PRIME Time

N51 (249) ორშაბათი, 23 დეკემბერი 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge



ფსიქოტროპული ნამლების რეალიზაციაზე EXCLUSIVE სანქციები მკაცრდება

15 დღეში 3,5 მილიონი ფსიქოტროპული აბის უკანონო გაცემის ფაქტი გამოვლინდა

რას უპირისპირებს ჭიკაიძე საფთიაქო ნარკომანიას?

თბილისის მერი „გადაყენეს“

კახი კახიშვილი: „როგორც ჩანს, პროკურატურამ კარგად დაასაბუთა, რომ მერი გამოძიებას ხელს შეუშლიდა და სასამართლომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო... უგულავას არჩევნებში მონაწილეობის უფლება დარჩება“

SCANDAL

ვინ გადაიხადა 800 ათასი ჟვანიას საქმეში

რა მესიჯი გაუგზავნა საკაშვილს მერაბიშვილმა

მამუკა არეშიძე: „ინტერესი ცალსახაა – ხარშილაძეს ლაპარაკი არ უნდა დაეწყო... მიკვირს, რატომ არ გაანადგურეს ხარშილაძე თავის დროზე. ეს არ იქნებოდა უცხო „ნაციონალური მოძრაობისთვის“

როგორ იცავს კუბლაშვილის სასამართლო ნაციონალებს

ვინ გამოიყენა სასამართლო ჟვანიას დაცვის უფროსის ციხიდან დასახსნელად EXCLUSIVE

ადვოკატების ხმაურიან ინიციატივას ექსპერტები უტოპიურს უწოდებენ

გია მეფარიშვილი: „მოსამართლე ვერ შეძლებს პირდაპირ გამოძიებას. ეს დილეტანტიზმია“

არმაზ ახვლედიანი: „სიტყვა „წმენდას“ არ გამოვიყენებდი, მაგრამ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ პარტიაში ცვლილებები შესაძლოა, იყოს“

თეა გოგნაძე: „როდესაც მასწავლებელი მოსწავლეს ეუბნება, წადი საუნაში და „იზასავეო“, მე ამ შემთხვევაში ვერაფრით დავდგებოდი მასწავლებლის მხარეს“

სკოლის დირექტორს ფარული ჩანაწერებით აშანტაჟებენ EXCLUSIVE



„იდიოტურ ხუმრობად“ მონათლული სამეფო განქორწინება EXCLUSIVE

ნუგზარ ბაგრატიონი: „ამ საკითხზე ერთ თვეში დამირეკეთ“

რატომ ზომავს NDI ვასაძის პოლიტიკურ რეიტინგს

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გამოფენა-აუქციონი 202-ე საჯარო სკოლის

my View
თამარ გონგაძე

ფერადი და შავ-თეთრი იუმორი ქველმოქმედებისთვის

გაზეთ „პრაიმტაიმის“ და ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდ „ოქროს ფრთის“ ინიციატივით, 21 დეკემბერს, ქარვასლაში, 202-ე საჯარო სკოლის უსინათლო მოსწავლეების დასახმარებლად კარიკატურების გამოფენა-აუქციონი მოეწყო. კარიკატურისტების - ზაალ სულაკაურისა და კემოს თვალით დანახული აღმასრულებელი ხელისუფლებისა და მედიის წარმომადგენლების 40 კარიკატურა გაიყიდა. ნამუშევრები სამინისტროების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების წარმომადგენლებმა და ცნობილმა ტელეჟურნალისტებმა შეიძინეს. ქველმოქმედებისთვის მხატვრებმა ორ სხვადასხვა მანერაში იმუშავეს. კემოს ვერსია იყო ფერადი, ზალიკოს - შავ-თეთრი. „პრაიმტაიმისთვის“, მრავალრიცხოვან პროექტებს შორის, უსინათლოთა დახმარება სიახლე არ არის. „პრაიმტაიმი“, უკვე 5 წელია, უსინათლოთათვის ყოველკვირეულ გაზეთს ბრაილის შრიფტით ბეჭდავს, პირველი ხმოვანი სინთეზატორიც „პრაიმტაიმის“ დახმარებით შეიქმნა. ამიტომაც, წელსაც, საახალწლოდ 202-ე საჯარო სკოლის უსინათლო და მცირემხედველობის მქონე ბავშვების დახმარებაზე გაკეთდა აქცენტი. ეს სკოლა საქართველოში ერთადერთია უსინათლო ბავშვებისთვის. 120-წლიანი ისტორიის მქონე სკოლა ავლაბარში, გუთნის ქუჩაზე მდებარეობს. სკოლის სამსართულიანი აგურის შენობაც ისტორიულ ძეგლს წარმოადგენს. სკოლაში თორმეტივე კლასია, სადაც სულ 49 ბენეფიციარი ირიცხება. 18 სარგებლობს პანსიონური მომსახურებით, დანარჩენები, ჩვეულებრივ, გაკვეთილების შემდეგ მშობლებს სახლებში მიჰყავთ. სკოლაში სწავლობენ ტოტალური უსინათლოები და მცირემხედველები. გამოფენა-აუქციონზე მათი ნაწილი იმყოფებოდა.

ხათუნა ჯალაღონია, 202-ე საჯარო სკოლის დირექტორი: - არაჩვეულებრივი ღონისძიება გაქვთ. კიდევ ერთხელ გაგვაოცა „პრაიმტაიმის“ დამფუძნებელმა, ქალბატონმა თამარ ფხაკაძემ ამ ლამაზი საღამოთი.

- რაში მოიხმართ ამ საღამოზე შემოსულ თანხას?

- როცა სკოლაში თანხა ჩნდება, აუცილებლად ვითვალისწინებთ ბავშვების სურვილებს. ახლა, ახალი წელი მოდის. გვაქვს ლამაზი ნაძვის ხე, რომელიც განათლების ეროვნულმა ცენტრმა გვაჩუქა. ბავშვებმა ნაძვის ხეზე თავიანთი სურვილები ჩამოკიდეს. ძირითადად სურთ MP3. ხშირად ფუჭდება და ალბათ, ამიტომ დაწერეს სურვილებში. ამიტომ მათ სხვა საჩუქრებთან ამ სურვილსაც ავუსრულებთ. ჩვენი მოსწავლეები ნარმატებულები არიან. სულ ახლახან „ბრავო რეკორდსში“ ცნობილ სახეებთან ერთად ჩვენი მოსწავლეების სიმღერები ჩაიწერა და დისკი გამოიცა.

ალეკო შაქარაშვილი (მეათე კლასელი): - ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი ღონისძიება მოგვიმზადეთ. ამ ტიპის ღონისძიებები ხშირად უნდა გაკეთდეს.

- დირექტორმა თქვა, რომ საახალწლოდ სურვილებს აგისრულებთ.

- ძალიან კარგი იქნება. პირადად მე არაფერი მინდა, სკოლას დაეხმარონ...

ნანა თოლორდავა (მეთერთმეტე კლასელი): - დიდი მადლობა ამ ღონისძიებისთვის და ყველაფრისთვის, რაც ჩვენთვის გააკეთეთ.

თამარ ფხაკაძე („პრაიმტაიმის“ დამფუძნებელი): - ის ხანგრძლივი ურთიერთობა, რაც უსინათლო ადამიანებთან გვაქვს, იმედი მაქვს, ისევ გაგრძელდება. ამ ადამიანებს, რომლებიც ყოველთვის ჩვენთან ერთად არიან, გვინდა საახალწლო სურვილები შევუსრულოთ და დავეხმაროთ. ვფიქრობ, ეს გამოფენა, რომელშიც ერთგვარი იუმორია ჩადებული, ამის საშუალებას მოგვცემს.

კემო: - პირველად არ ვმონაწილეობ ამ ტიპის საქველმოქმედო ღონისძიებაში. ხშირად ვცდილობ ჩემი ნიჭი ქველმოქმედებას მოვახმარო. ეს ჩემი სულისთვის დამამშვიდებელია. მით უმეტეს, როდესაც ასეთი კარგი ინიციატივა წამოვიდა „პრაიმტაიმიდან“ დიდი სიხარულითა და კმაყოფილებით დავხატე 40 კარიკატურა. მე ოთხი დღე დამჭირდა, ფერადი მეტ დროს მოითხოვს. შალვა რამიშვილის თავი ფარგლით შემოვხაზე და მერე ჩავახატე ნაკვთები. ნოდარ ხადური პირდაპირ დაიხატა. დასაჭერად რთული იყო ინგა გრიგოლიას ხასიათი. ზალიკომაც იწვალა. არის ადამიანთა კატეგორია, ან არ გამოდის, ან სხვას ემსგავსება.

ზაალ სულაკაური: - მე ჩემი მხატვრობით ვარჩენ ოჯახს. მაგრამ მხოლოდ ის ხომ არ არის, იშრომო და ოჯახს ფული მიუტანო. ვფიქრობ იმაზე, რომ ჩვენზე გაჭირვებული ბევრია. როდესაც სიტყვა ქველმოქმედებას გავიგებ, სიხარულით ვცქმუტავ ხოლმე. ვის არ აქვს ჩემი კარიკატურები. როგორ მიხარია, სადღაც უცებ რომ აღმოვაჩენ ჩემს ნახატს. მიხარია, ჩემს შემოქმედებას რომ აფასებენ, არ აქვს მნიშვნელობა პოლიტიკოსია თუ ჩვეულებრივი ადამიანი.

მანანა თოქმაჯიშვილი, პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის წარმომადგენელი: - მე შევიძინე ბატონი ბიძინა ივანიშვილის, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილისა და ბატონი კოკა ყანდიაშვილის კარიკატურები. ვფიქრობ, მათთვის ძალიან კარგი საახალწლო საჩუქრებია. უნდა ვაჩუქო. ძალიან კარგი ინიციატივა და ღონისძიებაა. ყველაფერში, რაც ქველმოქმედებას და სიკეთის კეთებას უკავშირდება, ნებისმიერი საშუალება გამართლებულია, მით უმეტეს, როცა საქმე ხელოვნებას და იუმორს უკავშირდება. ნახატებში დიდი სითბო დევს. იმ მუხტმა, რაც ამ აუქციონში ჩაიდო, მიზანი გაამართლა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

უსინათლო მოსწავლეების დასახმარებლად

სოფო მაისურაძე, ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი: - ნამდვილად ვიცი, რომ ამ კარიკატურის სამყოფელი მინისტრის, ბატონ დავით ნარმანიას კაბინეტში იქნება. ღონისძიება ძალიან კარგია. მისაღებია, როდესაც ქველმოქმედებას ყველა ადამიანი ეწევა.

ირაკლი გაფრინდაშვილი, ენერგეტიკის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური: - ეს ყველაფერი ქველმოქმედებას ხმარდება და იმ ბავშვებს, რომლებსაც ეს წინა საახალწლოდ სჭირდებათ. მიხარია და მივესალმები. ალბათ, ნამუშევარი მინისტრის კაბინეტში დაიკიდება.

ნინო გიორგობიანი, შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური: - კარიკატურებს პირადად მინისტრს გადავცემ. ვისაც შეგვიძლია რამე წვლილი შევიტანოთ სხვა ადამიანის დასახმარებლად ეს აუცილებლად უნდა გავაკეთოთ. საზოგადოება აქტიურად უნდა იყოს ჩართული მსგავსი ტიპის საქველმოქმედო პროექტების განხორციელებაში. მე ყოველთვის გვერდში დავუდგები ასეთი პროექტების განხორციელებას.

მაკა სადიგაშვილი, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი: - სიამოვნებით ვმონაწილეობთ ქველმოქმედებაში, ენთუზიაზმით მივესალმებით და შევიძინეთ კარიკატურები. ძალიან კარგი საღამოა. წინა საახალწლოდ კარგია თუ ეს მოკრძალებული წვლილი უსინათლო ბავშვებს გამოადგებათ.

ქეთი კავთელაძე, ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში სახელმწიფო მინისტრის, ალექსი პეტრიაშვილის მეუღლე: - ძალიან გულისამაჩუყებელია და ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ჩემი მოკრძალებული წვლილი შემაქვს ამ ბავშვების დასახმარებლად. კარიკატურები აუცილებლად ჩვენს სახლში დაიდებს ბინას.

მთავარი პროკურორის ოთარ ფარცხალაძის კარიკატურა ყველაზე ძვირად - 250 ლარად გაიყიდა.

ნუგზარ დევდარიანი: - რომ გავიგე, რომ უსინათლო ბავშვებს ეხმარებოდნენ, ეს კარიკატურა შევიძინე. მომწონს ბატონი ოთარის პიროვნება და ამიტომ გავაკეთე მასზე არჩევანი.

სოფო მოსიძე: - სამწუხაროდ, არავინ შეიძინა და მე შევიძინე საკუთარი კარიკატურა. სახლში ჩემს სამუშაო კაბინეტში დავკიდებ. გულწრფელად მიხარია ასეთ ღონისძიებაში რომ ვმონაწილეობ. დიდი საქმეს აკეთებს თქვენი გაზეთი, რომ წლებია უსინათლოებზე პატრონაჟი აქვს აღებული.

მაია ასათიანი: - ძალიან კეთილი კარიკატურაა. „პროფილს“ გვაქვს პატარა მუზეუმი, სადაც ჩემი ბევრი კარიკატურაა. „პრაიმტაიმის“ ამ საოცარი პროექტის ნამუშევრებსაც საპატიო ადგილს მივუჩენთ. გული გამითბა, რომ აქ ვარ და ამ ღონისძიებას დავესწარი. შესანიშნავი იდეაა. ეს არის სიკეთე არა რეკლამისთვის, არამედ სიკეთე სიკეთისთვის. ეს დასაფასებელია.

ინგა გრიგოლია: - ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიებაა, იმიტომ, რომ ამ ღონისძიებაზე შემოსული თანხა უსინათლო ბავშვებისთვისაა. სიამოვნებით ვმონაწილეობ ამ ღონისძიებაში. მიხარია, რომ წვლილი შევიტანე. ვფიქრობ, ყველაზე დიდი საქმე მსგავსი ღონისძიების მოწყობაა. მე კარიკატურების ჩემი კოლექცია მაქვს, მათ შორის ორი ზალიკოსი და ამათ შევმატებ. ზალიკოს ვერსია კეთილი და საწყალია, კემოსი არის უფრო გრიგოლია, ვარსკვლავურია. ორივე მომწონს.

გვანცა პაპავაძე, „პოლიტმეტრის“ ჟურნალისტი: - ჩვენ ნინო ჟიჟილაშვილის კარიკატურა შევიძინეთ. „მაესტრო“ დიდი სიამოვნებით ერთვება ამ მნიშვნელობის ღონისძიებაში. ნამუშევრები, სავარაუდოდ, მის კაბინეტში დაიდებს ბინას.

ზაზა შენგელია: - ინგლისში პოლიტიკოსები და ტელეწამყვანები ასეთ კარიკატურებს სააბაზანოში კიდებენ, ეს მათი ტრადიციაა. მე ჯერ არ მიფიქრია, ვნახოთ. კარგად დავფიქრდები. ჩვენ შორს ვართ ინგლისისგან. ასეთი ხალისიანი ღონისძიებით, ასეთი დიდი და ლამაზი საქმე კეთდება. ეს მისასალმებელია. დიდი მადლობა თაკოს და „პრაიმტაიმს“ ამ შესანიშნავი იდეისთვის. მას ამის ფანტაზია, შემართება ყოველთვის აქვს. ვფიქრობ, იდეა კარგ სიახლედ უნდა დამკვიდრდეს პოლიტიკურ თუ მედია ისტებლიშმენტში.

„პრაიმტაიმს“ ღონისძიების განხორციელებაში კულტურის სამინისტრო, კომპანია „სარაჯიშვილი“, კომპანია „ბორჯომი“, კაფეტერია „გურმე“, ღვინის ეროვნული სააგენტო და „მეიდან ჯგუფი“ დაეხმარა.

NATIONAL OSTEOPOROSIS FOUNDATION

ადამიანის უფლებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მთავარია თავისუფლად გადაადგილების უფლება!

ოსტეოპოროზი – XX საუკუნის ბოლოს „უცნობი“ დაავადებიდან XXI საუკუნის პირველ დეკადაში დედამიწაზე ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ დაავადებად იქცა. ის მოექცა სიცოცხლისათვის საშიშ დაავადებათა ოთხეულში და მოიაზრება ისეთ დაავადებებთან ერთად, როგორიცაა გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიები, დიაბეტი, ონკოლოგია. 50 წელს გადაცილებული მოსახლეობის 65-70%-ს უვითარდება ოსტეოპოროზი, რომელსაც ახლავს მაღალი ინვალიდობა და ხშირი მოტეხილობები. ძვლის ნაადრევი დიაგნოსტიკა და ეფექტური ადრეული მკურნალობა – გამოსავალი, იცხოვროთ ოსტეოპოროზული მოტეხილობების გარეშე!

დარეკეთ და დარეგისტრირდით ჩვენს ცხელ ხაზზე – 597–38–00–05, 599–80–57–70.

დენსიტომეტრია – მაღალი ფასდაკლებით, ~~195~~ ლარის ნაცვლად **30 ლარი**

რევმატოლოგის კონსულტაცია – ~~50~~ ლარის ნაცვლად **20 ლარი.**

იჩქარეთ!!!

მისამართი: ლუბლიანას ქ. #18/20, „თბილისის გულისა და სისხლძარღვთა კლინიკა“.

WOMEN OVER 50 WILL EXPERIENCE OSTEOPOROTIC FRACTURES. AS WILL MEN

ouch!

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ გადაიხადა 800 ათ

ვინ გამოიყენა სასამართლო ჟვანიას დაცვის უფროსის ციხიდან დასახსნელად

მარიამ ნადირაძე

პირდაპირ მივყვეთ მოვლენათა ქრონოლოგიას:

„პრაიმტაიმი“ პროგნოზირებდა, რომ ახალი მთავარი პროკურორი, რომელიც ამ პოსტზე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან გადმოვიდა, სწორედ იმ საქმეებს გააცოცხლებდა, რომელსაც ძველ სამსახურში იძიებდა. სხვა მრავალთა შორის ის იძიებდა „გრინსერვისის“ საქმესაც, რომელიც პრემიერ ზურაბ ჟვანიას დაცვის უფროსის, კობა ხარშილაძის სახელს უკავშირდება...

რამდენიმე დღის წინ გია ბარამიძემ ინგა გრიგოლიას გადაცემაში გააკეთა განცხადება, რომ პრემიერის გარდაცვალების ერთ-ერთი პირველი შემსწრე ხარშილაძეა და თუ ვინმეს აინტერესებს, რა და როგორ მოხდა, სწორედ მისგან მიიღებდა უტყუარ ინფორმაციას. როგორც ჩანს, პროკურატურამ ეს არგუმენტირებულ რჩევად მიიღო...

„პრაიმტაიმის“ 16 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებულ ინტერვიუში გოგლა ჟვანიამ განაცხადა, რომ მას უკვე ჰქონდა შეხვედრა მთავარ პროკურორთან და თუ უახლოეს მომავალში რომელიმე სკანდალური საქმე გაიხსნებოდა, ერთ-ერთი პირველი სწორედ ზურაბ ჟვანიას საქმე იქნება...

სწორედ 16 ნოემბერს დააკავეს კობა ხარშილაძე...

მისი დაკავებიდან რამდენიმე დღეში ჟვანიას საქმე სხვა სკანდალურ ჭრილშიც გაიჟღერებს: პატიმარი მერაბიშვილი ოფიციალურ განცხადებას ავრცელებს იმასთან დაკავშირებით, რომ ერთ საღამოს ის ტომარაჩამოფარებული გაიყვანეს ციხის ტერიტორიიდან, შეახვედრეს ფარცხალაძეს, რომელმაც მას ჟვანიას საქმესა და სააკაშვილის მიერ მიტაცებული თანხების წარმომავლობაზე გამოძიებასთან უნდა ითანამშრომლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას მდგომარეობა დაუმძიმდება...

პრემიერი ღარიბაშვილი მერაბიშვილის განცხადებას კობა ხარშილაძის დაკავებას, ანუ ისევ ჟვანიას საქმის კონტექსტს უკავშირებს და აცხადებს, რომ მერაბიშვილი პანიკაშია...

მალევე პროკურატურის მხრიდან ხარშილაძისა და მასთან ერთად დაკავებული პირის, ძველი თბილისის ყოფილი გამგებლის, ლაშა ფურცხვანიძის მიმართ აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობის მოთხოვნის მიუხედავად, სასამართლომ ორივე გირაოს შეფარდებით გაათავისუფლა. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს მხრიდან ასეთ გადაწყვეტილებებს ბოლო დროს ისედაც შეჩვეულები ვართ, ამ შემთხვევაში გაკვირვება გამოიწვია გირაოს ოდენობამ – თითოეულს 400 ათასი ლარი უნდა გადაეხადა. ეს კიდევ არაფერი – 800 ათასი უმოკლეს ვადაში გადაიხადეს. შესაბამისად, გაჩნდა ეჭვი, რომ ფული იმ ჯგუფმა, ან პიროვნებამ გაიღო, ვისაც არაფრით აწყობდა, რომ კობა ხარშილაძეს გისოსებს მიღმა საუბარი დაეწყო. მის მიმართ ინტერესი კი ცხადია, არა „გრინსერვისის“ კორუფციული საქმიანობა, არამედ პრემიერის გარდაცვალების რეალური მიზეზების დასახელება იქნებოდა...

სასამართლოს გადაწყვეტილებამ და მისმა შედეგმა კიდევ ერთი სერიოზული ეჭვი წარმოშვა: თუ ლოგიკას გავაგრძელებთ, მივალთ დასკვნამდე, რომ, თუ ხარშილაძის „გამოგდება“ ჟვანიას საქმის არგახსნით დაინტერესებულთა ინტერესში იყო, ამ ჯგუფში, ავტომატურად, კოტე კუბლაშვილიც მოიაზრება...

ცხადია, რომ ჩამოთვლილი ყველა ეს მოვლენა ჩვენი მკითხველისთვის ცნობილია, თუმცა, როდესაც ის ქრონოლოგიურად ლაგდება, დაგვეთანხმებით, ალბათ, რომ წარმოიქმნება ეჭვი – კულუარებში რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი „იხარშება“. სწორედ ამის ანალიზისთვის შევეცადეთ, ამ შესავლით მოგვემზადებინა მკითხველი. ახლა კი, როგორც ყოველთვის, ერთად შევუდგებით თემის გაშლას.

რაც შეეხება კობა ხარშილაძის ფიგურას, ის უკვე დიდი ხანია საზოგადოების ინტერესის სფეროში მოექცა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ზურაბ ჟვანიას საეჭვო ვითარებაში გარდაცვალების შემდეგ, პასუხისმგებლობის დაკისრების ნაცვლად, ის კარიერასაც ელვის სისწრაფით იწყობდა და ფინანსურ მდგომარეობასაც ასეთივე სისწრაფით იუმჯობესებდა.

კულუარების იმ ნაწილში, რომელიც დღეს „პოპულარობით“ ვეღარ სარგებლობს, ახლაც იხსენებენ, რომ თავის დროზე პრემიერის მეუღლე, ნინო ქადაგიძე ზურაბ ადეიშვილს შეუთანხმდა, რომ მეუღლის გარდაცვალების შესახებ მასალები არასდროს გამოქვეყნდებოდა, თუმცა იგივე ადეიშვილს სთხოვდა, რომ საჯარო სამსახურიდან გაეთავისუფლებინათ კობა ხარშილაძე, რომელიც იმჟამად უკვე ძველი თბილისის გამგებლის მოადგილის პოსტს იკავებდა და დაცვის მეორე წევრის, მიხეილ ძაძამიას მეუღლე, რომელიც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, იურიდიულ სამსახურში მუშაობდა. ამ მოთხოვნას თავისი არგუმენტიც ჰქონდა, რომ, რა ვითარებაშიც უნდა გარდაცვლილიყო პრემიერ-მინისტრი, დაცვა ვალდებული იყო, ეს არ დაეშვა...

კობა ხარშილაძის დაკავების ოფიციალურ ვერსიაზე საუბრით მკითხველს თავს არ შევაწყენთ და მხოლოდ იმით შემოვიფარგლებით, რომ გამოძიების მოტივაცია მის მიერ დაფუძნებული „გრინსერვისის“ საქმიანობას უკავშირდება, რომელმაც საეჭვოდ მოიგო მერიის 150-მდე ტენდერი და სწორედ ამ სამსახურმა მიჰყიდა მერიას თითო კვიპაროსი 990 ლარად...

რაც შეეხება ჟვანიასთან მიმართებაში ხარშილაძის საეჭვო როლს, გარდა იმისა, რომ მისი პირველი ჩვენების არავის სჯერა, რომლის მიხედვითაც, როდესაც ის ძაძამიასთან ერთად შევიდა ბინაში, სადაც პრემიერი გარდაცვლილი ნახა, გაზის სუნი იდგა, ზურაბ ჟვანიას ძმა წლების წინათ მისი მისამართით სხვა ეჭვებსაც გამოთქვამდა: „როდესაც ეს ამბავი მოხდა და ყველანი გაოგნებულები, შოკში ვიყავით, დაცვის ხელმძღვანელმა ხარშილაძემ ამოიღო ზურას ჯიბიდან მისი სეიფის გასაღები: ერთი სეიფი იყო ვაშლიჯვარში, „დემოკრატების“ ოფისში, ხოლო მეორე სეიფი – კანცელარიაში. სრულიად მარტო მივიდა იქ, არავინ ჰყავდა თანმხლები: არც ოჯახის წევრი, არც ნათესავი, არც მეგობარი... ამოიღო რაღაც ნივთები და გამოასუფთავა ეს სეიფები. დღემდე უცნობია, რა დაიკარგა იმ სეიფებიდან. ეს ნათელი გახდა მას შემდეგ, რაც მოვიკითხეთ რაღაც ნივთები, რომლის არსებობაც დანამდვილებით იცოდა ნინომ... ამ ხარშილაძემ აღიარა, რომ მან აიღო და თავისთან შესანახად წაიღო. შემდეგ რაღაც ნივთები დააბრუნა, მაგრამ რა არ დააბრუნა, რა ნივთები იყო კიდევ იმ სეიფებში, კაციშვილმა არ იცის. ამის შესახებ არაერთხელ ეცნობა გამოძიებას, მაგრამ სრულიად უშედეგოდ. არანაირი ინტერესი გამოძიების მხრიდან ამ ფაქტს არ გამოუწვევია“.

ახლა კი იმ ფონზე, როდესაც ყველა მხრიდან გვიკიჟინებენ, ახალი მოწმე გამოჩნდა და საქმე მალე გაიხსნებაო, ინკოგნიტო ადამიანებისგან ვრცელდება ინფორმაცია, რომ თითქოს მას 3 თებერვალს წყნეთის გზაზე, რომელზეც ორმა სამთავრობო და ერთმა „ციმციმებიანმა“ მანქანამ აიარა, დაინახა, როგორ გადმოვიდა ერთიდან და ჩაჯდა მეორეში მაღალი, იარაღიანი კაცი, რომელსაც ხარშილაძეს ამსგავსებს. მერე მოესმა ჟვანიას ხმა, რას შვრებით, მღუპავთო და გაიგო იარაღის გასროლა...

ამ ვერსიის გავრცელებამდე რამდენიმე ხნით ადრეც არსებობდნენ სხვა „ახალი მოწმეებიც“, რომლებიც სხვა ვერსიებს – პრეზიდენტისგან ნასროლი საფერფლის შესახებ, ან დათა ახალაიასგან მოხრჩობილი ჟვანიას შესახებ უამბობდნენ საზოგადოებას. ასე რომ, ინკოგნიტო მოწმეებს რომ არ დავეყრდნოთ, სჯობს, გამოძიებას დაველოდოთ. მანამდე კი ზემოჩამოთვლილი მოვლენები, **ექსპერტ მამუკა არეშიძესთან ერთად, გავაანალიზოთ:**

– რა იმუშავა სახელმწიფო ჩინოვნიკმა ისეთი, რომ პირველივე მოთხოვნისთანავე გადაიხადა 400 ათასი? თუ ვივარაუდებთ, რომ ეს თანხა „გრინსერვისმა“ გადაუხადა, იგივე კითხვები ამ შემთხვევაშიც დაისმება. ჩემთვის ეს ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ ხარშილაძე, სულ მცირე, კორუფციულ სქემებში იყო ჩართული.

– რა დამსახურება აქვს ხარშილაძეს ისეთი, რომ მან ასეთი მომგებიანი ბიზნესი შექმნა?

– თუ გავითვალისწინებთ მის პოზიციებს ზურაბ ჟვანიას კარზე და შემდგომში მისი გარდაცვალების იდუმალ მხარეს, ბუნებრივია, უნდა ვივარაუდოთ, რომ ხარშილაძე, სულ მცირე, ინფორმაციას ფლობდა და პირი რომ არ გაეღო, მას ჰქონდა ეს პრეფერენცია იმ ტიპის, როგორიც ჰქონდა ამ ბიზნესის სახით. პროკურატურაში ახალი ხელმძღვანელობის მისვლამ სურათი შეცვალა. როგორც ჩანს, ხელისუფლების პოლიტიკაც გახდა, რომ გადაიდგას მკვეთრი ნაბიჯები სამართლიანობის აღდგენის პროცესში. რამდენად მასშტაბური იქნება ეს პროცესი, ამაზე ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. კობა ხარშილაძის შემთხვევაში გირაოს ოდენობა იმხელაა, რომ მის მიმართ უკვე წარმოიქმნა საზოგადოებრივი აზრი, რომ ის კორუმპირებულია. ამიტომ ის ერთგვარ ანკესზე ჩამოეკიდა, რომელიც მას მანევრის საშუალებას აღარ აძლევს.

– თუმცა არსებობს ეჭვი, რომ სხვა დაინტერესებულმა პირმა გადაიხადა ეს ფული...

– ვინც არ უნდა იყოს ის, ეს ინტერესი პოლიტიკური მოტი-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მამუკა არეშიძე:
„ინტერესი ცალსახაა – ხარშილაძეს ლაპარაკი არ უნდა დაეწყო... მიკვირს, რატომ არ გაანადგურეს ხარშილაძე თავის დროზე. ეს არ იქნებოდა უცხო „ნაციონალური მოძრაობისთვის“

რა მესიჯი გაუგზავნა საკაშვილს მერაბიშვილმა

EXCLUSIVE

ვაციით არის განპირობებული და ეს უფრო მეტ ეჭვს აჩენს. მარტო გამგებელი რომ დაეჭირათ, ვინმე გადაიხდიდა ამხელა ფულს? რა თქმა უნდა, არა, მაგრამ, როცა საქმე ხარშილაძეს შეეხო, აქ უკვე ინტერესი ცალსახაა – ხარშილაძეს ლაპარაკი არ უნდა დაეწყო. მართალი გითხრათ, მიკვირს, რატომ არ გაანადგურეს ის თავის დროზე. ეს არ იქნებოდა უცხო „ნაციონალური მოძრაობისთვის“. როგორც ჩანს, სერიოზული გარანტიები მიიღეს მისგან. სამხარაულის ფიზიკური განადგურებით მათ უკვე დაუშვეს ის, რომ ზედმეტი კითხვები გაჩნდა. ამას ხარშილაძეც რომ მიმატებოდა, ისინიც კი აღარ დაიჯერებდნენ ჟვანიას გარდაცვალების მაშინდელ ოფიციალურ ვერსიას, ვისაც ამის სჯეროდა.

– მერაბიშვილის ცნობილ სკანდალურ განცხადებას და ხარშილაძის დაკავებას თქვენ განიხილავთ ერთ კონტექსტში. ღარიბაშვილმა ეს ორი ფაქტი ერთმანეთს უკვე დაუკავშირა...

– მე არ ვუშვებ, რომ მერაბიშვილი მთლად ტყუის. არა მგონია, ასეთი სულელი იყოს. რამდენიმე ვარიანტს განვიხილავ: მერაბიშვილი ვა-ბანკზე მიდის და ტყუილს ამბობს. მერე იტყვის, ფირები წაშალესო...

– რისთვის ტყუის?

– ხელისუფლების დისკრედიტაციისთვის... შეიძლება მერაბიშვილი მართლა გამოიყვანეს, მაგრამ ციხის ტერიტორიაზე და არა ფარცხალაძესთან, არამედ სხვასთან შესახვედრად. მესამე შემთხვევაში შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გამოიყვანეს, ოღონდ სხვა. ეს გააკეთა იმ მეხუთე კოლონამ, რომელიც ძალოვნებში დღემდე მრავლად არის. ესეც გაკეთდა საერთაშორისო რეზონანსისთვის. მეოთხე ვარიანტს თუ განვიხილავთ, მის მიხედვით შეხვედრა შედგა, ოღონდ მერაბიშვილის ინიციატივით, თითქოს სერიოზული ინფორმაციის მისაწოდებლად და წამოეგო ფარცხალაძე. ყველა ვარიანტში ეს არ ჩანს ხელისუფლების ინიციატივად. ეს არის გააზრებული ოპერაცია, რომელსაც ხელისუფლება წამოეგო...

– ოთხივე ვარიანტში შედეგი ხელისუფლების დისკრედიტაციაა. მაშინ რატომ არ იძიებენ ამ ფაქტს?

– იქნებ დაიწყო კიდეც? იქნებ გამოძიება დაიწყო კიდეც და მეხუთე კოლონის არსებობის პირობებში გამორიცხავთ, რომ ყველა ფირი წაშლილი აღმოჩენილიყო?

– ვის გულისხმობთ მეხუთე კოლონაში?

– რომ ვიცოდე, ხომ აუცილებლად დავასახელებდი?

– რუსეთი გყავთ მხედველობაში?

– რუსეთიც და მეორე მხრივ, ვგულისხმობ იმ გავლენის თანამშრომლებს, რომლებიც დატოვა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და რომლებიც შეიფარა ახალმა ხელისუფლებამ... მერაბიშვილმა იგრძნო, რომ ხელისუფლებამ უფრო აგრესიული სისხლის სამართლის პოლიტიკა წამოიწყო. ის ინფორმირებული ადამიანია და კონტრნაბიჯი შეიმუშავა ამ განცხადებით. ხელისუფლებამ კი ეს განცხადება, თავის მხრივ, უგულავას თემის გააქტიურებით გადაფარა. ეს არის გარკვეული თამაშის წესები, რომელიც შეზღუდულ სივრცეში ხდება. შეზღუდული სივრცე კი იმიტომ აქვთ, რომ ამას აკვირდება დასავლეთი. ორივეს რომ ხელი გახსნილი ჰქონდეს, წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა.

– ბევრმა მერაბიშვილის განცხადების ადრესატად სააკაშვილი აღიქვა და მიიჩნია, რომ ის შანტაჟზე წავიდა ამით...

– ვერ აღვიქვი მე ეს ასე. მას ამის საჯაროდ გაკეთება არ სჭირდება, ვინაიდან მასაც, ახალაიასაც და სხვებსაც საკმარისი არხები ჰყავთ სააკაშვილამდე, რომ, თუ ის შესაბამისად არ მოიქცევა, მათ რაღაცები იციან და ალაპარაკდებიან. თუნდაც კეზერაშვილის შემთხვევა ავიღოთ: სააკაშვილი თუ არ იაქტიურებს, კეზერაშვილს შეუძლია, ის საერთოდ უსახსროდ დატოვოს. მერაბიშვილს შეუძლია, მოყვეს, მაგალითად, როგორ მოხდა აგვისტოს ომი და როგორ დაიკიდა ფეხებზე სააკაშვილმა ამერიკელი პარტნიორები... და ბევრი სხვა რამის გაკეთებაც შეუძლია, რომ სააკაშვილს აღარსად დაედგომებოდეს. ბოლოს და ბოლოს, ახალაიასავით შეუძლია მოიქცეს, რომელიც ულუფა-ულუფა უშვებს ინფორმაციებს.

„თუ გავითვალისწინებთ მის პოზიციებს ზურაბ ჟვანიას კარზე და შემდგომში მისი გარდაცვალების იდუმალ მხარეს, ბუნებრივია, უნდა ვივარაუდოთ, რომ ხარშილაძე, სულ მცირე, ინფორმაციას ფლობდა და პირი რომ არ გაეღო, მას ჰქონდა ეს პრეფერენცია იმ ტიპის, როგორიც ჰქონდა ამ ბიზნესის სახით“

– ისევ ხარშილაძის თემას დავუბრუნდეთ: ის ამ წლების განმავლობაში ოქროს მოწმედ სახელდებოდა. როცა ეს მოწმე ხელში ჰყავდა პროკურატურას, როგორ გაუშვეს ხელიდან?

– სიმართლე გითხრათ, ეს მანევრი მომეწონა კიდეც. დღეს ნებისმიერი მოქალაქისთვის კობა ხარშილაძე კორუმპირებულია და ანკესზეა წამოკიდებული. ჩემი ინფორმაციით, ჟვანიას სიკვდილის სპექტაკლის დამდგმელი ბევრი იყო. ყველას თავისი როლი და ნიშა ჰქონდა. პროფესიონალები იყვნენ და კარგად ჰქონდათ დალაგებული, ვის რა უნდა ეთქვა მოგვიანებით...

– ხარშილაძის ნიშა რა იყო?

– ვერ გეტყვით, მაგრამ მის წინააღმდეგ სერიოზული მტკიცებულება არ იყო. თუმცა ახალი მოწმე უკვე გამოჩნდა.

– გულისხმობთ იმ მოწმეს, რომელიც ამბობს, რომ ჟვანია ხარშილაძემ მოკლა?

– მთავარი ის არის, რომ ხარშილაძე დაცვის უფროსი იყო და მან უნდა დაიცვას ობიექტი. თუ ვერ დაიცვა, ის ან მონაწილეა, ან დამნაშავეა, რომელმაც თავისი მოვალეობა ვერ შეასრულა. ფაქტია, რომ ის ინფორმაციას ფლობს.

როგორ იცავს კუბლაშვილის სასამართლო ნაციონალებს

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა კომპრომატები დაუდეს პროკურატუ

my View

მირიან ბოქოლიშვილი

ჩხატარაშვილი პროკურატურას უყვება, რომ თავის დროზე, სანდრო გირგვლიანის საქმის გამოძიების შესახებ დათა ახალაიას დავალებით ეკონტაქტებოდა გიორგი ღვინიაშვილსა და გიორგი ლაცაბიძეს

თემურ ტაბაღუა: „კახა ბუცხრიკიძე დამიკავშირდა და მითხრა, რომ ციხიდან გაყვანილი პატიმრები უკან მოჰყავდა დაწესებულებაში და მე უნდა გამეფრთხილებინა თანამშრომლები“

საპარლამენტო უმცირესობის წევრები გასულ კვირას გირგვლიანის საქმეზე პროკურატურაში დაიბარეს. ამჯერად კითხვები გიორგი ღვინიაშვილსა და კახა ბუცხრიკიძეს დაუსვეს. „პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი ხდება თუ რა კომპრომატები, უფრო სწორედ კი რა ჩვენებები დაუდეს წინ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს პროკურატურაში. ირკვევა, რომ ღვინიაშვილის წინააღმდეგ ჩვენებას პროკურატურის ყოფილი მაღალჩინოსანი დავით ჩხატარაშვილი იძლევა, კახა ბუცხრიკიძეს კი ციხის ყოფილი უფროსი თემურ ტაბაღუა, იგივე მამა ნიკოლიზი ადებს ხელს.

„პრაიმტაიმი“ ერთხელ უკვე წერდა გირგვლიანის მკვლელობის საქმეში არსებული ჩვენებების შესახებ, რომელთაგან ერთ-ერთი სწორედ დავით ჩხატარაშვილს ეკუთვნის. წლების განმავლობაში ჩხატარაშვილი ადეიშვილის მარჯვენა ხელად ითვლებოდა, თუმცა იუსტიციის მინისტრი არ ყოფილა ერთადერთი მაღალჩინოსანი, ვისთანაც მას ახლო მეგობრობა აკავშირებდა. მისი კარიერული წინსვლა დათა ახალაიას სახელს უკავშირდება. ის, სწორედ ახალაიას მოადგილე გახლდათ წლების განმავლობაში. კერძოდ, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში დავით ჩხატარაშვილმა მუშაობა 2004 წლის დეკემბერში დაიწყო, კუდ-ის უფროსის მოადგილედ. იმ პერიოდში მას რამდენიმე გახმაურებულ საქმეზეც კი მოუწია მუშაობა, მათ შორისაა სწორედ სანდრო გირგვლიანის მკვლელობა. სწორედ მის ჩვენებაში ფიგურირებს გიორგი ღვინიაშვილის სახელი. ჩხატარაშვილი პროკურატურას უყვება, რომ თავის დროზე, სანდრო გირგვლიანის საქმის გამოძიების შესახებ დათა ახალაიას დავალებით ეკონტაქტებოდა გიორგი ღვინიაშვილსა და გიორგი ლაცაბიძეს.

„კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორის დავით ახალაიას თხოვნით ვუკავშირდებოდი პროკურატურის ხელმძღვანელობას, ესენი უნდა ყოფილიყვნენ გიორგი ლაცაბიძე და გიორგი ღვინიაშვილი. მათთან ვკითხულობდი ინფორმაციას გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე. ისინიც მაწვდიდნენ იმ ინფორმაციას, რისი გახმოვანებაც შესაძლებელი იყო და მე მას ვაწვდიდი დავით ახალაიას. დავით ახალაიას ამ საკითხით დაინტერესებას მე ვხსნი იმ გარემოებებით, რომ საზოგადოებაში არსებობდა აზრი მისი ამ საქმეში მონაწილეობის შესახებ და ასევე იმით, რომ დანაშაულის ჩადენისთვის დაკავებულნი იყვნენ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები... კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლების გერონტი ალანიას, ალექსანდრე ღაჭავას, მიხეილ ბიბილურიძისა და ავთანდილ აფციაურის ეჭვმიტანილების სახით დაკავება 2006 წლის 6 მარტს ჩემთვის უცნობია, რადგან ეს საგამოძიებო მოქმედება ჩაატარეს პროკურატურის გამომძიებლებმა. თუმცა, მათ დაკავებამდე, ზუსტი თარიღის დასახელება მიჭირს, რამდენიმე დღით, ან შესაძლოა საათით ადრეც, თუ არ ვცდები, თავის სამუშაო კაბინეტში დამიბარა დეპარტამენტის დირექტორმა დავით ახალაიამ და მითხრა, რომ გახსნილია ე.წ. „გირგვლიანის საქმე“ და გარკვეულია, რომ ამ საქმეში ფიგურირებენ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები – გერონტი (გია) ალანია, ალექსანდრე ღაჭავა, მიხეილ ბიბილურიძე და ავთანდილ აფციაური. დავით ახალაიამ დაახლოებით ის ვერსია მიამბო, რაც შემდეგ გამოძიების მიერ გახმოვანდა და მთხოვა, შემედგინა შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც შემდგომი რეაგირებისთვის უნდა გადაგზავნილიყო პროკურატურაში. აქვე გიჩვენებთ, რომ დავით ახალაიას თხოვნითვე, რომელსაც აინტერესებდა, ექსპერტიზის დასკვნაში აღნიშნული დაზიანებები სანდრო გირგვლიანს განზრახ მიაყენა ვინმემ, თუ მათი მიღება შესაძლებელი იყო მისი გაქცევის შედეგად – დამოუკიდებლად. მე, მისივე მითითებით, ასული ვიყავი ოქროყანის სასაფლაოზე და დავათვალიერე მიდამო. თუმცა, ვინაიდან ვერანაირ დასკვნამდე ვერ მივედი, დავით ახალაიას ვუთხარი, რომ შეიძლებოდა თუ არა სანდრო გირგვლიანს სხეულზე დაზიანებები მიეღო გაქცევის შედეგად, ვინმესგან დამოუკიდებლად, მე დაზუსტებით ვერ ვიტყოდი. თუმცა, არც ეს ვერსია გამოვრიცხე, რადგან სასაფლაოზე ბევრი ლითონის მესერი იყო, რომელზეც დაცემის შედეგად შესაძლებელი იყო სანდრო გირგვლიანს მართლაც მიეღო სწორედ იმ სახის დაზიანებები, რომლებიც ექსპერტიზის დასკვნაში იყო მითითებული“.

ჩხატარაშვილის ჩვენებით ირკვევა, რომ ის სანდრო გირგვლიანის საქმის გამოძიების შესახებ ინფორმაციას იღებდა გიორგი ღვინიაშვილისგან და ამ ინფორმაციას აწვდიდა დათა ახალაიას

მოკლედ, ჩხატარაშვილის ჩვენებით ირკვევა, რომ ის სანდრო გირგვლიანის საქმის გამოძიების შესახებ ინფორმაციას იღებდა გიორგი ღვინიაშვილისგან და ამ ინფორმაციას აწვდიდა დათა ახალაიას. რაც შეეხება კახა ბუცხრიკიძეს, მის წინააღმდეგ ჩვენებას მამა ნიკოლოზი, იგივე თემურ ტაბაღუა იძლევა. პროკურატურაში, დაკითხვიდან რამდენიმე დღის შემდეგ, სასულიერო პირმა პროკურატურა ზეწოლაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ საგამოძიებო ორგანო მას ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ ჩვენების მიცემას აიძულებდა. თუმცა მოგვიანებით გაჩნდა კონტრბრალდებაც, რომ ტაბაღუაზე ზეწოლას არა პროკურატურა, არამედ დაცვის ხმარე ახორციელებდა. მოკლედ, ასეა თუ ისე, გირგვლიანის საქმეში დევს მისი დაკითხვის ოქმი, რომელსაც პირობითად შესაძლოა,

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რაში ღვინიაშვილსა და ბუცხრიკიძეს?

„აქვე გიჩვენებთ, რომ დავით ახალაიას თხოვნითვე, რომელსაც აინტერესებდა, ექსპერტიზის დასკვნაში აღნიშნული დაზიანებები სანდრო გირგვლიანს განზრახ მიაყენა ვინმემ, თუ მათი მიღება შესაძლებელი იყო მისი გაქცევის შედეგად – დამოუკიდებლად“

მოძღვრის აღიარებაც კი ვუწოდოთ.

თემურ ტაბაღუა 2012 წლის 23 დეკემბერს აღიკვეცა სასულიერო დიაკვნად მამა ნიკოლოზის სახელით და მსახურობდა სამების საკათედრო ტაძარში. ბერად აღკვეცამდე, 2002 წლიდან, მუშაობდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტში სხვადასხვა თანამდებობებზე და ბაჩო ახალაიას ახლო მეგობრად ითვლებოდა. 2006 წლის ივნისში, ახალაიამ თემურ ტაბაღუა დანიშნა სასჯელაღსრულების #10 საერთო რეჟიმის დაწესებულების ხელმძღვანელად. ეს დაწესებულება განთავსებული იყო ზაჰესში და განკუთვნილი გახლდათ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისა და მათთან გათანაბრებული პირების სასჯელის მოსახდელად. ციხის უფროსად თემურ ტაბაღუას დანიშვნიდან რამდენიმე დღეში ხსენებულ დაწესებულებაში გადაჰყავთ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე გასამართლებული კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომლები: გერონტი ალანია, ალექსანდრე ღაჭავა, ავთანდილ აფციაური და მიხეილ ბიბილურიძე.

„მათ გადმოყვანამდე, დაახლოებით ერთი კვირით ადრე, ჩემთვის უკვე ცნობილი იყო ზემოაღნიშნული პირების ჩვენს დაწესებულებაში შესაძლო მოთავსების თაობაზე, რის შესახებაც მე მითხრა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე კახა ბუცხრიკიძემ. მისივე მითითებით, სად-ის სამეურნეო ნაწილის თანამშრომლების მიერ მოხდა პატიმართა საცხოვრებელი კორპუსის ერთი ნაწილის, კერძოდ, მედპუნქტისთვის დათმობილი ოთახების გარემონტება. აღნიშნულით თავიდან უნდა აგვეცილებინა გერონტი ალანიას, ალექსანდრე ღაჭავას, მიხეილ ბიბილურიძისა და ავთანდილ აფციაურის სხვა პატიმრებთან ურთიერთობა და შესაძლო კონფლიქტები, რადგან ეს უკანასკნელნი შესაძლებელი იყო, რომ მათ მიერ ყოფილიყვნენ დაკავებულნი. სარემონტო სამუშაოები დაახლოებით ერთი კვირის მანძილზე მიმდინარეობდა, რა დროსაც ყოფილი მედპუნქტის ფართში მოეწყო ოთხი ოთახი, დამოუკიდებელი სველი წერტილები, შეიღება კედლები, იატაკი და სხვ. სარემონტო სამუშაოების დასრულებისთანავე ალანია, ღაჭავა, აფციაური და ბიბილურიძე საბადრაგო სამსახურმა მოიყვანა დაწესებულებაში“, – ყვება პროკურატურისთვის მიცემულ ჩვენებაში მამა ნიკოლოზი, იგივე თემურ ტაბაღუა.

მისივე თქმით, ხსენებული პატიმრები ციხეში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაღალჩინოსნებმა მიაცილეს, რომელთა მხრიდან გაიცა მითითება, რომ ესენი არიან განსაკუთრებული პატიმრები და მათზე ციხის შიდა განაწესით დადგენილი არც ერთი წესი და ვალდებულება არ უნდა გავრცელებულიყო. მათ უნდა მისცემოდათ ციხის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა, მობილური ტელეფონით შეუზღუდავად სარგებლობის უფლება, ხოლო მათთან მისული მნახველები არ უნდა შეზღუდულიყვნენ დროში, არ უნდა შემოწმებულიყვნენ არც მნახველები და არც მათ მიერ მიტანილი ამანათები. მამა ნიკოლოზი ჩვენებაში ასევე მიუთითებს, რომ პატიმრების მოყვანის დღესვე საბადრაგო ავტომანქანით ციხეში მოიტანეს ავეჯი და სხვა ნივთები, რომელიც განთავსდა „განსაკუთრებული პატიმრებისთვის“ განკუთვნილ ოთახებში. სხვებისგან განსხვავებით, პრივილეგირებულ პატიმრებს ჰქონდათ ხის საწოლები, ტელევიზორები, მაცივრები, სხვადასხვა კომპიუტერული ტექნიკა, ჰაერის გამაგრილებლები და სხვა ნივთები. მათ კომფორტულად მოწყობილ ოთახებში შეუყვანეს საკაბელო არხები და ინტერნეტი, საჭმელს კი მათთვის სპეციალურად გამოყოფილ სამზარეულოში მიირთმევდნენ.

„მათ ნებისმიერ დროს შეეძლოთ ციხის ადმინისტრაციულ შენობაში და მათ შორის, ჩემს კაბინეტში შემოსვლა. არ მოწმდებოდნენ მნახველები და იყო შემთხვევები, როდესაც ისინი გვიან ღამემდე რჩებოდნენ, იმართებოდა სუფრები და ქეიფები. მეც მომიწია რამდენიმე ასეთ სუფრაზე ყოფნა, რა დროსაც ალკოჰოლური სასმელებიც მიუღიათ სუფრის წევრებს... ზემოდასახელებულ პირებთან ხშირად მომსვლელთაგან შემიძლია დავასახელო იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომელი დავით ჩხიტუნიძე, ასევე, გენინსპექციის თანამშრომელი ია პაიჭაძე, მეგის ქარდავა და სხვები“, – ყვება სასჯელაღსრულების #10 დაწესებულების ყოფილი დირექტორი.

ჩვენებაში თემურ ტაბაღუა ასევე იხსენებს იმ ფაქტებს, როდესაც გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე გასამართლებული პირები საერთოდ ტოვებდნენ დაწესებულებას.

„2008 წლის აგვისტოში, ბაჩანა ახალაია, მისი მოადგილე კახა ბუცხრიკიძე, დავით ჩხიტუნიძე და კიდევ რამდენიმე პირი ვიმყოფებოდით თურქეთში დასასვენებლად. აგვისტოს დასაწყისში რუსეთთან გართულებული სიტუაციისა და დაწყებული საომარი მოქმედებების გამო, მე, ბაჩანა ახალაია, კახა ბუცხრიკიძე და კიდევ რამდენიმე პირი საქართველოში დავბრუნდით 8 აგვისტოს და მაშინვე გავემართეთ საომარი მოქმედებების ეპიცენტრში (დავით ჩხიტუნიძე ჩვენზე ადრე ჩამოვიდა საქართველოში). კერძოდ, ზემოხსენებულ პირებთან და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეცდანიშნულების რაზმთან ერთად ვიმყოფებოდით ერედვში, სადაც მოვყევით დაბომბვაში და მე მივიღე მძიმე კანტუზია. საბოლოოდ თბილისში დავბრუნდი 11 აგვისტოს და როცა მივედი #10 დაწესებულებაში, ჩემმა მოადგილემ, მურად გაბუნიამ დამახვედრა დაახლოებით 25 პატიმრის სია, რომელთაც სურვილი ჰქონდათ, საომარ მოქმედებებში ჩაბმულიყვნენ. პატიმრების საომარ მოქმედებებში შესაძლო ჩაბმის შესახებ და ასეთი სიის შედგენის მითითება მივიღე პირადად დავით ჭაკუასგან, რომელიც ამ პერიოდში ბაჩანა ახალაიას მოადგილედ მუშაობდა.

#10 დაწესებულებაში სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან მიიტანეს სამხედრო ფორმები, მაგრამ საბოლოოდ ისინი არ გამოუყენებიათ, რადგან პატიმრები საომარ მოქმედებებში არ ჩართულან. თუმცა იმავე დღეს მობილურით დამიკავშირდა ჩემი მოადგილე და შემატყობინა, რომ #10 დაწესებულებიდან დავით ჩხიტუნიძემ გაიყვანა გერონტი ალანია, ალექსანდრე ღაჭავა, ავთანდილ აფციაური და მიხეილ ბიბილურიძე. მე მაშინვე დავუკავშირდი ბაჩანა ახალაიას და მოვახსენე ზემოხსენებული პირების ციხიდან გაყვანის შესახებ, თავიდან მან გაიკვირვა და მითხრა, რომ ყველაფერს გაარკვევდა და დამიკავშირდებოდა, თუმცა მე იმავე დღეს პირადად შევხვდი ბაჩანა ახალაიას, რომელმაც მითხრა, რომ ყველაფრის საქმის კურსში იყო და იცოდა, რომ ხსენებული პირები მოდულის შენობაში იმყოფებოდნენ. აგვისტოს ბოლოს, ანუ დაახლოებით ათი დღის შემდეგ, კახა ბუცხრიკიძე დამიკავშირდა და მითხრა, რომ ციხიდან გაყვანილი პატიმრები უკან მოჰყავდა დაწესებულებაში და მე უნდა გამეფრთხილებინა თანამშრომლები“, – ყვება ციხის ყოფილი დირექტორი თემურ ტაბაღუა.

დავით ჩხატარაშვილი: „გიორგი ღვინიაშვილი მაწვდიდა ინფორმაციას გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და მე მას ვაწვდიდი დავით ახალაიას“

მამა ნიკოლოზი საგამოძიებო ორგანოებს ასევე უყვება, რომ ციხეში დაბრუნებული „განსაკუთრებული პატიმრები“ კვლავინდებურად სარგებლობდნენ პრივილეგიებით და მათზე თითქმის არ ვრცელდებოდა არანაირი შეზღუდვა.

„გერონტი ალანიას, ალექსანდრე ღაჭავას, მიხეილ ბიბილურიძისა და ავთანდილ აფციაურის პრივილეგირებულ მდგომარეობაში ყოფნა გაგრძელდა მათ საბოლოო გათავისუფლებამდე, ანუ 2009 წლის სექტემბრამდე“, – ყვება ტაბაღუა.

ის ხსენებული პატიმრების პრივილეგირებულ მდგომარეობას კუდის ხელმძღვანელობასთან, კერძოდ კი, დათა ახალაიასთან მეგობრობით ხსნის და ამბობს, რომ შსს-ს სხვა ყოფილი თანამშრომლები, რომლებიც ასევე #10 დაწესებულებაში იხდიდნენ სასჯელს, მსგავსი უპირატესობებით არ სარგებლობდნენ.

„ზემოხსენებული პირებისთვის თითქმის შეუზღუდავი უფლებების მინიჭება, მიუხედავად მათი ციხეში ყოფნისა, არ უნდა ყოფილიყო კახა ბუცხრიკიძის გადასაწყვეტი საკითხი, ყოველ შემთხვევაში მის მიერ თქმულმა სიტყვებმა, ასეთი შთაბეჭდილება დატოვა. ამასთანავე, ყველასთვის ცნობილი იყო გერონტი ალანიას კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორ დათა ახალაიასთან ახლო მეგობრული დამოკიდებულების შესახებ. ვფიქრობ, რომ სწორედ აღნიშნულმა გარემოებებმა განაპირობა მისი და დანარჩენი პატიმრების პრივილეგირებული ყოფნა ჩვენს დაწესებულებაში“, – წერს საკუთარ ჩვენებაში თემურ ტაბაღუა.

სავარაუდოდ, ეს არის ერთ-ერთი ჩვენება, რომელსაც პროკურატურა კახა ბუცხრიკიძის წინააღმდეგ გამოიყენებს, თუმცა, როგორც ამბობენ, ბუცხრიკიძის სახელი ციხის სხვა თანამშრომლების ჩვენებებშიც ფიგურირებს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სკოლის დირექტორს ფარულ

მირიან ბოქოლიშვილი

„როდესაც მასწავლებელი მოსწავლეს ეუბნება, რომ წადი საუნაში და „იზასავეო“, მე ამ შემთხვევაში ვერაფრით ვერ დავდგებოდი მასწავლებლის მხარეს“

ბოლო პერიოდში ფარული ჩანაწერებისა და კომპრომატების გავრცელება იმდენად აქტუალურია, რომ, როგორც ჩანს, ამ ყველაფერმა არც საგანმანათლებლო სივრცეს აუარა გვერდი. გასულ კვირას რედაქციაში დაგვიკავშირდა თბილისის მე-60 საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი თეა გოგნაძე, რომლის თქმითაც მას ფარული ჩანაწერების გავრცელებით აშანტაჟებდნენ. „პრაიმტაიმთან“ საუბრისას, სწორედ ბინძური კომპრომატები გახდა ის საფუძველი, რომ განათლების მინისტრმა 13 დეკემბერს ის სამსახურიდან გაათავისუფლა. მანამდე კი იყო დაპირისპირება პედაგოგთა ერთ ჯგუფს შორის, კომპრომატების ჩაწერა და ზეწოლა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში... მოკლედ, რა ხდება მე-60 სკოლაში? რა კომპრომატებით ებრძვიან ერთმანეთს პედაგოგები და რატომ მიმართავენ ისინი მოსწავლეებს შეურაცხმყოფელი ფრაზებით? „პრაიმტაიმი“ სკოლიდან გათავისუფლებულ დირექტორს, თეა გოგნაძეს ესაუბრა:

- 2010 წლის სექტემბერში დავინიშნე სკოლის დირექტორად. ახლა ვაპირებ სასამართლოში სარჩელის შეტანას, რადგან ჩემი გათავისუფლება მოხდა უკანონო, ფარული ჩანაწერის საფუძველზე. სკოლაში 9 ივნისს სამეურვეო საბჭოს არჩევნები იყო, მე, როგორც დირექტორი, გავდექი გვერდით, რადგან დირექტორი არ ერევა სამეურვეო საბჭოს არჩევნებში. საკმაოდ ლიბერალური პოლიტიკა ვაწარმოე მთელი 4 წლის განმავლობაში და ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ასე დამიპირისპირდებოდნენ. დღეს, მე, დამტოვეს მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად ქუჩაში, მეუღლე გარდაცვლილი მყავს და ერთადერთ შემოსავლის წყაროს სწორედ ჩემი ხელფასი წარმოადგენდა.

- და რა მოხდა კონკრეტულად? რა ფარულ ჩანაწერებზე საუბრობთ?

- 2012 წლის 17 ოქტომბერს, როდესაც გიორგი მარგველაშვილი დაინიშნა განათლების მინისტრად, ჩემთან შემოვიდა შიდა აუდიტი შემოწმების მიზნით, თუმცა სხვა სკოლებისგან განსხვავებით, ჩვენ ვიყავით ერთადერთი სკოლა, რომელსაც ვერანაირი დარღვევა ვერ უპოვეს. საყვედურიც კი ვერ გამომიცხადეს. ჯერ კიდევ მაშინ ვიფიქრე, რომ, ალბათ, მოხსნას მიპირებენ-მეთქი, მაგრამ საფუძველი არ ჰქონდათ და ვერაფერი გააწყვეს. სანამ სკოლის დირექტორად დავინიშნებოდი ბაღის გამგედ ვმუშაობდი, როდესაც გადაწყდა, რომ სკოლაში უნდა გადავსულიყავი, ჩემთან მოვიდა ერთ-ერთი პედაგოგი, რომელმაც პირდაპირ მითხრა: ჩვენ გვაქვს ბინძური მასალები შენს წინააღმდეგ და გირჩევთ სკოლაში არ მოხვიდე თორემ გამოგიქვეყნებთო. ცხადია გამეცინა, რადგან ჩემი ცხოვრება სიბინძურე არაფერი მიკეთებია და შესაბამისად ვერც ვერანაირი მასალები ექნებოდათ. მე მას ვუთხარი, რომ ასეთი შანტაჟით ვერაფერს გახდებოდა კოლექტივი, მე მოვალ სკოლაში და უკეთესია, რომ კოლეგიალობა გამოიჩინოთ და ღირსეულად ვიმუშაოთ ერთად-მეთქი. აქამდეც ვიცოდი, რომ #მე-60 საჯარო სკოლაში საკმაოდ რთული კოლექტივი იყო, 8 წლის წინ სასწავლო ნაწილის ხელმძღვანელობით გააგდეს დირექტორი, ასეთივე ინტრიგებით და დაჭერინეს კიდეც. ამ ქალბატონმა შემდეგ საპროცესო შეთანხმება გააკეთა და ფულის სანაცვლოდ გამოუშვეს. იგივე ქალბატონი და იგივე გუნდი მებრძვის დღეს მეც. საუბარია ნანა ლომთათიძეზე, რომელსაც აქვს ერთი პრობლემა: ვერ აბარებს დირექტორობის გამოცდებს თვითონ და ყველა დირექტორი შეიკლა ხელში. იგივე ქალბატონმა მომიგზავნა პედაგოგი, რომელიც კომპრომატების გავრცელებით დამემუქრა. მე ამ ყველაფრისთვის ყურადღებაც არ მიმიქცევია, საერთოდ არ მახასიათებს სადამსჯელო ღონისძიებების გატარება. მაშინაც კი გავიტანე და დავიცავი ჩემი პედაგოგები, როდესაც მომიტანეს 15-კაციანი სია (შინდლერის სიას ვეძახდი ამას), რომლებიც უნდა გამეთავისუფლებინა. ამ სიის სათავეში იყო ქალბატონი ქეთევან კერესელიძე, რომელიც თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ერთ-ერთი ღირსეული პედაგოგია საქართველოში. იმ ადამიანების ნაწილი, რომელიც მაშინ მე დავიცავი და პოლიტიკური შეხედულებების გამო გათავისუფლებას უპირებდნენ, დღეს მე გადამიდგნენ და სკოლა დამატოვებინეს. თან ძალიან ბინძური მეთოდებით.

- სანამ მაშინ ამ დეტალებს მოგვიყვებით, გვითხარით, ვინ მოგაწოდათ ე.წ. შინდლერის სია?

- ეს მითითება პირველად „ნაციონალური მოძრაობის“ ადგილობრივი ორგანიზაციიდან წამოვიდა, შემდეგ დამინიშნეს შეხვედრა კუდ-ის ერთ-ერთი დეპარტამენტის ხელმძღვანელთან. მაშინ, ხომ გეუბნებით, ვეცადე სიტუაცია დამეშოშმინებინა და ეს კოლექტივი უცვლელად შევინარჩუნე. სამწუხაროდ, აქეთ შემომიტრიალდა მე ეს ხალხი. თავიდან ვიფიქრე, რომ პოლიტიკური ნიშნით გამათავისუფლეს, რადგან ამის ნიშნები დღესაც არსებობს და ჩვენ ყველა ვხედავთ ამას. მაგრამ ის, რა ჩანაწერიც განათლების სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში დამიდეს, მივხვდი, რომ ეს იყო შიდა ინტრიგები და ჩემი პერსონის წინააღმდეგ ბინძური მეთოდების გამოყენება. ჩემ გათავისუფლებას თვითონ ბავშვებში მოჰყვა საკმაოდ ცუდი რეაქცია, პრაქტიკულად გაკვეთილებზე არ შევიდნენ და ჩაშალეს სასწავლო პროცესი.

- და რატომ ამოგიღეს სამიზნეში?

- იმიტომ, რომ მე მკაცრად დავაყენე დისციპლინის საკითხი სკოლაში. ზოგადად ამ სკოლაში მასწავლებლებს არ ჰქონდათ გაკვეთილის ჩატარების ჩვევა. აქ არის კლანი, რომელიც ნიშნებს ფულის გამო წერს და ბავშვებს ფიზიკურად უსწორდება. ამ ყველაფერმა განსაკუთრებით ხშირი ხასიათი მიიღო ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, რატომღაც ჩათვალეს, რომ ამ ქმედებებისთვის მათ პასუხს არავინ მოსთხოვდათ და დაიწყო სრული თავაშვებულობა. გახდნენ საკმაოდ აგრესიულები. რატომ არ აწყობდათ ჩემი დირექტორობა? იმიტომ რომ, როდესაც სიმართლე ბავშვის მხარეს იყო, მე აუცილებლად მხარს ვუჭერდი მის პოზიციას და არ



„ერთ-ერთ ბავშვს უთხრა მასწავლებელმა - რას გავხარ შვილო, არც დედას ჰგავხარ არც მამას, აყვანილი იქნებიო“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„დღეს ეს კლანი კვლავ მემუქრება, რომ თუ არ გავჩუმდები კომპრომატებს „ფეისბუქზე“ აგიტვირთავთო“

EXCLUSIVE

„წერილი მივწერე ქალბატონ თამარს და ამ წერილის საპასუხოდ სამსახურიდან გამათავისუფლა“

მერიდებოდა მასწავლებლისთვის მიმეცა შენიშვნა. როდესაც მასწავლებელი მოსწავლეს ეუბნება, რომ წადი საუნაში და „იზასავეო“, მე ამ შემთხვევაში ვერაფრით დავდგებოდი მასწავლებლის მხარეს. მათ აინტერესებთ სხვისი პირადი ცხოვრება, იქექებიან ბავშვების ცხოვრებაში და შემდეგ კლასიდან-კლასში ავრცელებენ ათასგვარ ჭორებს. მაპატიეთ, მაგრამ „თქვენი დედა .....“, „ბოზიშვილო“ და ა.შ. ამ ფრაზებით რომ მიმართავს პედაგოგი მოსწავლეს, დირექტორმა ამაზე რა რეაქცია უნდა მისცეს? გათავისუფლებამდე აღშფოთებული მშობელი მოვიდა ჩემთან, რომლის შვილიც მასწავლებელმა ისე სცემა, რომ სახეზე ეტყობოდა თითების ანაბეჭდი ბავშვს. გაგიჟებული იყო მშობელი. ჩემი შეცდომა ის იყო, რომ მხოლოდ ხმამაღალი საუბრით და სიტყვიერი შენიშვნით შემოვიფარგლებოდი ხოლმე და მაშინვე არ დავატოვებინე სამსახური ასეთ მასწავლებლებს. მაგრამ, ხომ ხედავთ, ხმამაღალი საუბარიც ვერ აიტანეს, შეთხზეს სიბინძურეები და, პირიქით, მე გამაგდეს სკოლიდან. სიბინძურეში ვგულისხმობ ფარულ ჩანაწერს, რომელიც გააკეთეს სამეურვეო საბჭოს არჩევნების დასრულების შემდეგ. ეს გააკეთა ქალბატონმა ხათუნა წამალაშვილმა. ეს ქალბატონი, თავის დროზე, სწორედ პარტიული ნიშნით გამოგვიგზავნეს სკოლაში, იყო მითითება, რომ სკოლაში დაგვესაქმებინა. ამ ქალბატონთან მქონდა ხმამაღალი საუბარი და ახლა გეტყვით რის გამოც: ჩვენთან სკოლაში მოქმედებს ინკლუზიური განათლების პროგრამა და სწავლობენ აუტიზმით დაავადებული ბავშვებიც. ერთ-ერთ ასეთ ბავშვს უთხრა - რას ჰგავხარ შვილი, არც დედას ჰგავხარ არც მამას, აყვანილი იქნებიო. წარმოიდგინეთ რა დაემართა მის მშობელს, როცა ეს შეიტყო. ამის გამო მე მკაცრად ვუსაყვედურე და ხმამაღალი საუბარიც მქონდა ამ ქალბატონთან. ვუთხარი, მეორედ მსგავსი ფაქტი რომ განმეორდეს, უსიტყვოდ დატოვებ სამსახურს-მეთქი. სამწუხაროდ, ეს ქალბატონი არაა ერთადერთი გამონაკლისი. ეს აგრესიული კლანი ხშირად მადანაშაულებდა იმაში, რომ თითქოს „დებილების სკოლად ვაქციე სასწავლო დაწესებულება“. ზუსტად ამ ფრაზებით საუბრობენ.

- მოდით დავაკონკრეტოთ რა ფარულ ჩანაწერებზეა საუბარი?

- სამეურვეო საბჭოს არჩევნებზე, ამ კლანმა, ჩემს წინააღმდეგ შეკრა პირი. მოგეხსენებათ სამეურვეო საბჭო ირჩევს შემდეგ დირექტორს. სხვადასხვა მაქინაციებითა და ინტრიგებით ამ კლანმა ყველაფერი გააკეთა, რომ სამეურვეო საბჭოში არ მოხვედრილიყვნენ ის ადამიანები, რომლებიც სკოლის დირექტორის თანამდებობაზე ჩემს კანდიდატურას დაუჭერდნენ მხარს. ჩემი შეცდომა იყო ის, რომ არჩევნების დასრულების შემდეგ ამაზე უკმაყოფილება გამოვხატე. კერძოდ, ხათუნა წამალაშვილი დავიბარე კაბინეტში და ვთხოვე აეხსნა თუ რას მერჩოდა და რატომ მიკეთებდა ამას. განერვიულებული ვიყავი და შეიძლება ცოტა ხმამაღლაც მომივიდა საუბარი, იქვე ვთხოვე, რომ ჩვენი საუბარი ამ ოთხაში დარჩენილიყო, რადგან არჩევნები უკვე ჩავლილი იყო და ზედმეტი მითქმა-მოთქმა საჭიროდ აღარ ჩავთვალე. აღმოჩნდა, რომ ეს ქალბატონი ამ საუბრის დროს ფარულ ჩაწერას ახორციელებდა. სექტემბერში ჩვეულებრივ გამოვცხადდი სკოლაში, მუშაობას შეუდგა სამეურვეო საბჭოც, მაგრამ პირველი, რაც გააკეთეს, არის ის, რომ გააყალბეს ოქმი. ანუ საბჭოდან ერთი წევრი გავიდა და მის ნაცვლად უნდა შეეყვანათ სხვა, თუმცა ოქმზე ხელმოწერები გააყალბეს. მაგალითად, ფეხბურთელი ლადო ბურდული, რომელიც სამეურვეო საბჭოს წევრია (მისი შვილი ჩვენს სკოლაში სწავლობს), საერთოდ არ იმყოფებოდა საქართველოში იმ დღეს, მაგრამ ოქმზე მისი ხელმოწერაც იყო. ასე მოხდა კიდევ რამდენიმე მშობელთან დაკავშირებით, რომლებმაც განცხადებით მომმართეს, რომ ადგილი ჰქონდა დარღვევას. მე სამართლებრივად ვალდებული ვიყავი ეს ფაქტი შემეტყობინებინა გენერალური ინსპექციისთვის და ასეც მოვიქეცი. მოკლედ, მალე მიბარებენ გენინსპექციაში, სადაც რამდენიმე საათის განმავლობაში ჩემზე ხორციელდებოდა სერიოზული ფსიქოლოგიური ზეწოლა. ბოლოს მოულოდნელად მითხრეს, რომ გენინსპექციას ჰქონდა ფარული ჩანაწერი, რომელიც თითქოს ადასტურებდა ჩემ ჩარევას სამეურვეო საბჭოს არჩევნებში. დამიდეს ის ჩანაწერი, რომელიც ქალბატომა ხათუნამ განახორციელა ჩემს კაბინეტში სრულიად უკანონოდ. ფსიქოლოგიური ზეწოლის მიზნით კი მეუბნებოდნენ: ხომ არ გინდათ გაჩვენოთ ეს ჩანაწერი? იქნებ გაინტერესებთ რას ამბობთო და ა.შ. მოკლედ, ამ ჩანაწერის საფუძველზე, 13 დეკემბერს, მინისტრის ბრძანებით დამატოვებინეს სკოლა, სამეურვეო საბჭოს არჩევნებში ჩარევის საფუძველზე, რაც არის აბსურდი. არანაირ ჩარევას ადგილი არ ჰქონია. დღეს ეს კლანი კვლავ მემუქრება, რომ თუ არ გავჩუმდები, იმ ჩანაწერს „ფეისბუქზე“ აგიტვირთავთო. არანაირ სამარცხვინოს იქ მე არ ვსაუბრობ და არც ვაკეთებ, ამიტომ თქვენი გაზეთის მეშვეობით მივმართავ მათ, სადაც უნდათ იქ ატვირთონ, მე კი ჩემი უფლებების აღსადგენად სასამართლოს გზით ვიბრძოლებ.

- მინისტრთან შეხვედრა არ გიცდიათ?

- არაერთხელ მქონდა მცდელობა, წერილიც მივწერე, მაგრამ უშედეგოდ. მე, წინა ხელისუფლების ადვოკატად ნამდვილად არ გამოვდგები, მათ თავის ცოდვები ეყოფათ, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ახლა დიმიტრი შაშკინი რომ ყოფილიყო მინისტრი ასჯერ შევხვდებოდი მას. ფაქტია, რომ შაშკინს მსგავსი პრობლემების მიმართ არ ჰქონდა გულგრილი დამოკიდებულება და როგორც მინიმუმ შეგხვდებოდა ადამიანს. ამას ვერ მივაღწიე თამარ სანიკიძესთან. წერილი მივწერე ქალბატონ თამარს და ამ წერილის საპასუხოდ სამსახურიდან გამათავისუფლა. ეს, გარკვეულწილად გასაგებიცაა. მინისტრის მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი გახლავთ ნანა ლომთათიძის ახლო ნათესავი. ადამიანის, რომელიც წლების განმავლობაში ცდილობს გახდეს მე-60 სკოლის დირექტორი და რომელიც პრაქტიკულად ხელმძღვანელობს ჩემთან დაპირისპირებულ კლანს. 13 დეკემბერს არის თამარ სანიკიძის მიერ ხელმოწერილი ჩემი გათავისუფლების ბრძანება, 12 დეკემბერს კი ჩემთან კაბინეტში მოვიდა ნანა ლომთათიძე და მითხრა - აი, ხომ ხედავთ ქალბატონო ნანა, ეს რა დაგემართათო. მე არც კი ვიცოდი, რომ გათავისუფლებული ვიყავი. ანუ მან ბრძანების გამოცემამდე იცოდა მისი ნათესავისგან ჩემი გაშვების შესახებ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რას უპირისპირებს ჭიკაიძე

ფსიქოტროპული წამლების რეალიზაციაზე სანქციები მკაცრდება

my View

მირიან ბოქოლიშვილი

ფსიქოტროპული წამლების რეალიზაციაზე კონტროლი მკაცრდება. ეს ინიციატივა გასულ კვირას მთავრობის სხდომაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა გააჟღერა. ალექსანდრე ჭიკაიძის ინიციატივით, მომზადებულ პროექტს პარლამენტი უახლოეს ხანში განიხილავს.

„ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების რეცეპტის გარეშე გაყიდვა გამოიწვევს აფთიაქის მფლობელის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას და ფარმაცევტული საქმიანობის უფლების ჩამორთმევას მინიმუმ 10 წლით“, – განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

სააფთიაქო ბაზარზე, ამ მხრივ, არსებული რთული სიტუაციის შესახებ „პრაიმტაიმს“ არაერთი სტატია გამოუქვეყნებია. ირკვევა, რომ ბოლო წლებში საქართველოში ნარკომომხმარებელთა რაოდენობა საკმაოდ შემცირდა, თუმცა ნარკოტიკები ფსიქოტროპულმა მედიკამენტებმა ჩაანაცვლა, რომლებიც დღეის მდგომარეობით, ბევრ ფარმაცევტულ დაწესებულებაში ყოველგვარი რეცეპტის გარეშე გაიცემა. ჩვენ მიერ ჩატარებულმა არაერთმა ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ბევრ აფთიაქში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ მედიკამენტებზე ექიმის დანიშნულებას საერთოდ არ გთხოვენ. სპეციალისტების თქმით, მსგავსი კატეგორიის პრეპარატების რეალიზაციით აფთიაქები იმდენად დიდ მოგებას ნახულობენ, რომ სოლიდური ჯარიმების გადახდაც კი უღირთ.

გია ბურჯანაძე: „ახალგაზრდა გოგონამ სრულიად უპრობლემოდ შეიძინა რამდენიმე ფირფიტა ფსიქოტროპული მედიკამენტი და სუიციდის მიზნით დალია“

სხვათა შორის, არცთუ დიდი ხნის წინ ჯანდაცვის სამინისტრომ აფთიაქების მასობრივი შემოწმება დაიწყო. პირველადი დასკვნა, რომელიც მაშინ უწყებამ გამოაქვეყნა, საკმაოდ შემაშფოთებელი აღმოჩნდა. აფთიაქებში რეიდს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ფარმაცევტული სამსახური ახორციელებდა. შემოწმების პირველი ეტაპი 10 დღეს მოიცავდა. ამ პერიოდის განმავლობაში სააგენტომ რეალიზაციის წესების დარღვევის არაერთი ფაქტი გამოავლინა. საუბარია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ მედიკამენტებზე (ფსიქოტროპული წამლები, პრეკურსორები, ნარკოტიკების შემცველი საშუალებები), რომლებიც აფთიაქებში სპეციალური რეცეპტის გარეშე იყიდებოდა. 10 დღეში გამოვლინდა ნახევარ მილიონამდე მსგავსი პრეპარატის უნებართვოდ გაცემის ფაქტი.

„ამ ეტაპზე ჩვენ მიერ შემოწმებულია სულ 15 ფარმაცევტული დაწესებულება. რეალიზაციის წესის დარღვევა დაფიქსირებულია 11 აფთიაქში. საუბარი მაქვს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ მედიკამენტებზე, რომლის რეალიზაცია უნდა ხდებოდეს სპეციალური რეცეპტის, ე.წ. ფორმა #2-ის საფუძველზე. წესების დარღვევით გაცემულია სულ 464 165 ერთეული პირველ ჯგუფს მიკუთვნებული პრეპარატი. ასევე, დაფიქსირდა პირველ ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული საშუალებების აღრიცხვის წესების დარღვევის ფაქტები. ეს ეხება 12 აფთიაქს. იყო დაწესებულებები, სადაც ერთდროულად გვხვდებოდა რეალიზაციისა და აღრიცხვის წესების დარღვევა. ცალკე მხოლოდ აღრიცხვის წესების დარღვევა დაფიქსირდა ოთხ აფთიაქში. ანუ არის აფთიაქები, სადაც რამდენიმე სამართალდარღვევის ფაქტი გამოვლინდა ერთდროულად“, – აცხადებდნენ ჯანდაცვის სამინისტროში, თუმცა არსებული კანონმდებლობის ფარგლებში უწ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საფთიაქო ნარკომანიას?

15 დღეში 3,5 მილიონი ფსიქოტროპული აბის უკანონო გაცემის ფაქტი გამოვლინდა

ყება მხოლოდ აფთიაქების ფულადი დაჯარიმებით შემოიფარგლა. ფარმაცევტულმა დაწესებულებებმა, რომლებსაც სანქციები დაუწესდათ მუშაობა რამდენიმე დღეში უპრობლემოდ განაგრძეს.

სანქციების მიუხედავად, სააფთიაქო ქსელებში ფსიქოტროპული და ნარკოტიკების შემცველი მედიკამენტები დანიშნულების გარეშე მაინც იყიდება... მომხმარებლებს შორის კი ბევრი არასრულწლოვანია. ფსიქოტროპულ წამლებს ყიდულობენ არამხოლოდ ე.წ. კაიფის გამოწვევის, არამედ სუიციდის მიზნითაც კი. მაგალითად, „პრაიმტაიმს“ არასამთავრობო ორგანიზაცია „ანტიკორუფციული კავშირიდან“ ერთი ასეთი ფაქტის შესახებ აცნობეს.

„ერთ-ერთი კლინიკიდან მოგვაწოდეს ინფორმაცია, რომ შეყვანილია ახალგაზრდა გოგონა, რომელმაც თავი მოინამლა ფსიქოტროპული წამლით. აღმოჩნდა, რომ გოგონას შეყვარებულმა უღალატა, წავიდა აფთიაქში, სადაც სრულიად უპრობლემოდ შეიძინა რამდენიმე ფირფიტა ფსიქოტროპული მედიკამენტი და სუიციდის მიზნით დალია. არის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც სკოლაში ასეთი წამლებით გაბრუებული მოსწავლე გამოცხადდა“, – განუცხადა „პრაიმტაიმს“ „ანტიკორუფციული კავშირის“ თავმჯდომარე გია ბურჯანაძემ.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ შს მინისტრის, ალექსანდრე ჭიკაიძის ახალი ინიციატივა სანქციების გამკაცრების შესახებ, ფსიქოტროპული წამლების უკანონო რეალიზაციაზე დადებითად აისახება. ცნობილია, რომ შსს-მ ეს საკანონმდებლო ინიციატივა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად შეიმუშავა. პროექტის განხილვა მოხდა, როგორც ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოში, ასევე, სისხლის სამართლის კანონმდებლობის სამუშაო ჯგუფის ფარგლებში. საბოლოოდ შეჯერებული ვარიანტი ჭიკაიძემ მთავრობის სხდომაზე გასულ კვირას წარადგინა.

„კანონპროექტის მიზანია კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკების მოხმარების აღმოფხვრა და ლეგალური სამკურნალო საშუალებების არალეგალურ არხებში გადინების პრევენცია. 2009 წლიდან ფიქსირდება კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკული საშუალებების (დეზომორფინი („ნიანგი“, „კრაკადილი“) და ამფეტამინები (ე.წ. „ვინტის“ და „ჯეფის“) მოხმარების მკვეთრი ზრდა საქართველოში. მათ დასამზადებლად საჭირო უმთავრესი ქიმიური ნივთიერებების შეძენა ადვილად არის შესაძლებელი აფთიაქში, მზა ფარმაცევტული პროდუქტის – კოდეინის, ეფედრინის, ფსევდოეფედრინისა და ნორეფედრინის შემცველი კომბინირებული საშუალებების სახით. აღნიშნული კომბინირებული საშუალებების აფთიაქებიდან გაცემა უნდა ხორციელდებოდეს „ფორმა #2“ რეცეპტის საფუძველზე, თუმცა ეს წესი, უმეტეს შემთხვევებში, უხეშად ირღვევა. ჯანდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის გაფორმებული მემორანდუმის, ისევე როგორც აღნიშნული უწყებების მინისტრების ერთობლივი ბრძანების საფუძველზე, 2013 წლის 16 ოქტომბრიდან 1-ელ დეკემბრამდე 27 აფთიაქში განხორციელებულმა ერთობლივმა ინსპექტირებამ გამოავლინა, რომ „ფორმა #2“ რეცეპტის გარეშე, კანონმდებლობის დარღვევით, გაცემულია 3 447 946 ერთეული (აბი) კოდეინის შემცველი კომბინირებული პრეპარატი. აღნიშნული შეადგენს აფთიაქების მიერ სრულად გაცემული კოდეინის შემცველი კომბინირებული პრეპარატების რაოდენობის 99,99%“-ს, – ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც შსს ავრცელებს.

ნარკოლოგი გელა ლეჟავა შს სამინისტროს ინიციატივას, სააფთიაქო ნარკომანიის აკრძალვასთან დაკავშირებით მიესალმება. როგორც გელა ლეჟავამ განაცხადა, შს მინისტრის ინიციატივა დროული კი არა, საკმაოდ დაგვიანებულია. მისი თქმით, სააფთიაქო ნარკომანია მსოფლიო პრობლემაა.

„აფთიაქიდან გამოტანილი წამლებიდან დამზადებული ნარკოტიკები ძალიან მძიმე შედეგს იძლევა. საქართველოში ყველაზე დიდი პრობლემა ამ მხრივ არასრულწლოვნებზე წამლების გაყიდვაა, რადგან ისინი ამ წამლებს გადაჭარბებული დოზით მოიხმარენ, რაც სავალალო შედეგამდე მიდის“, – განაცხადა ლეჟავამ.

მისივე განმარტებით, აღნიშნული პრობლემის მოგვარების კიდევ ერთი გზა არის ის, რომ წამლების შემოტანაზე დაწესდეს კვოტა. ექსპერტი ამბობს, რომ საჭიროა ერთიანი კონტროლის გამკაცრება, რომელშიც აუცილებლად უნდა ჩაერთონ შს სამინისტრო, ჯანდაცვის სამინისტრო, საბაჟო და სააფთიაქო ქსელი. მისივე თქმით, სააფთიაქო ნარკომანიის აკრძალვამ შესაძლოა, წამალდამოკიდებულები აგრესიულები გახადოს, ისინი ყველაფერს ეცდებიან, რომ ეს წამლები ხელში ჩაიგდონ. თუმცა, ექსპერტის განმარტებით, სახელმწიფომ ამ ადამიანების რეაბილიტაციაზეც უნდა იზრუნოს.

პროექტის დადებით ეფექტზე საუბრობს „ანტიკორუფციული კავშირის“ თავმჯდომარე გია ბურჯანაძეც. მისი თქმით, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული მედიკამენტების უკანონო რეალიზაცია საგანგაშო ზღვარს აღწევს და საჭიროა, ხელისუფლებამ დროულად იმოქმედოს.

„ეს პროექტი ნამდვილად მისაღებია. ჩვენი ორგანიზაცია წლების განმავლობაში იბრძვის იმისთვის, რომ აფთიაქებზე ამ კუთხით გამკაცრებულიყო კონტროლი. ცხადია, როდესაც უკანონოდ ხდება ფსიქოტროპული წამლების გაყიდვა, სასჯელი უნდა იყოს მაქსიმალურად მკაცრი და ადეკვატური. დიდი იმედი, მაქვს, რომ ამ ცვლილების შემდეგ კონკრეტული აფთიაქების მფლობელები დაფიქრდებიან, სანამ ამ პრეპარატებს გასცემენ. საკანონმდებლო ბაზა ამ დრომდე ამას ადეკვატურად ვერ არეგულირებდა. მაქსიმალური ჯარიმის გამოყენების შემთხვევაშიც კი, მეწარმე 150 ლარად არეგისტრირებდა ახალ შპს-ს და კვლავინდებურად განაგრძობდა საქმიანობას. ახლა, როდესაც შესაბამისი ცვლილებები შედის სისხლის სამართლის კოდექსში, ცხადია, ეს დადებითად აისახება. იმდენად დიდი მოგება აქვთ აფთიაქებს ასეთი პრეპარატების რეალიზაციიდან, რომ ჯარიმების გადახდა არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. სულ ახლახან დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც ჯანდაცვის სამინისტრომ 6-ათასლარიანი ჯარიმა გამოუწერა აფთიაქს, მაგრამ ზუსტად ერთი კვირის შემდეგ ის კვლავინდებურად გასცემდა უნებართვოდ ფსიქოტროპულ წამლებს. ჯარიმა ამ ეტაპზე 6000 ლარია პირველ ჯერზე, მეორე შემთხვევაში – უკვე 12 ათასი, მაგრამ ამ სოლიდურმა ჯარიმებმაც კი ვერ მოაგვარა პრობლემა. ჩვენი ინფორმაციით, ერთ რიგით აფთიაქში ერთ დღეში გაიცემა 3-დან 5 ათას ლარამდე ფსიქოტროპული მედიკამენტი, მათი დიდი ნაწილი – რეცეპტის გარეშე. ხომ წარმოგიდგენიათ, რა ფინანსურ დაინტერესებაზეა საუბარი“, – ამბობს „ანტიკორუფციული კავშირის“ თავმჯდომარე გია ბურჯანაძე,

მოკლედ, სააფთიაქო ნარკომანიას ხელისუფლება მკაცრ სანქციებს უპირისპირებს. რამდენად შეცვლის ახალი მიდგომა არსებულ ვითარებას, ამას, ალბათ, დრო გვიჩვენებს. ჭიკაიძის საკანონმდებლო ინიციატივას საქართველოს პარლამენტი, სავარაუდოდ, უახლოეს პლენარულ სხდომებზე განიხილავს.

გელა ლეჟავა:
„საქართველოში ყველაზე დიდი პრობლემა, ამ მხრივ, არასრულწლოვნებზე წამლების გაყიდვაა, რადგან ისინი ამ წამლებს გადაჭარბებული დოზით მოიხმარენ“

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ შს მინისტრის, ალექსანდრე ჭიკაიძის ახალი ინიციატივა სანქციების გამკაცრების შესახებ, ფსიქოტროპული წამლების უკანონო რეალიზაციაზე დადებითად აისახება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ფედერალური ბიურო სააკაშვილისა და

„კეზერაშვილმა გამოძიებასთან თანამშრომლობა უკვე დაიწყო“

მარიამ ნადირაძე

„ჩატარდა არჩევნები, შეიცვალა მთავრობა... ბუნებრივია, ჩემი ყოფილი სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, გარკვეული შეკითხვები ექნებოდათ. ამაში არაფერს ტრაგიკულს არ ვხედავდი არც მაშინ და არც დღეს, თუ მე რამე კითხვებით დამიბარებდნენ. არასდროს არც კი დამიგვიანია არც ერთ დაკითხვაზე. ყველგან მივდიოდი ამ ერთი წლის განმავლობაში და ყველა კითხვაზე პასუხს ვაძლევდი გამომძიებელს. ამას მოჰყვა მერე ის, რომ ჩემი მოადგილეების დაბარება დაიწყეს, შემდეგ დაიწყეს ჩემს დეპარტამენტს დაქვემდებარებული სამმართველოს უფროსების დაბარება, გაიშალა თემა და ჩავიდა მენეჯერებამდე. ძალიან იმედიანად იყვნენ გამომძიებლები იმასთან დაკავშირებით, რომ რაღაც ბომბს აღმოაჩენდნენ. და ის ყბადაღებული თემა, რომელიც ყველა გაზეთსა და ჟურნალში იწერებოდა, რომ თითქოს ჩვენ იქ ვიჯექით და გამოვჭამეთ ჯარის მთელი ბიუჯეტი, ამას ააფეთქებდნენ და რაღაც ფურორს მოახდენდნენ... ეს, რა თქმა უნდა, ასე არ მოხდა და ვერც მოხდებოდა. რამდენიმეჯერ იყო ასეთი შემოთავაზებაც, რომ საერთოდ წავსულიყავი ქვეყნიდან. ეს იმას მოემსახურებოდა, რომ, თუ მე ქვეყნიდან წავიდოდი, ეს სიბინძურეები, რაც ჩვენი მისამართით ხშირად გაჟღერდა, აუცილებლად გამართლდებოდა რაღაც დოზით – გაიქცა ქვეყნიდან იმიტომ, რომ ეს ყველაფერი მართალია. რამდენი წელია, ფეხი არსად მომიცვლია. ორჯერ ვიყავი წასული საზღვარგარეთ – ერთხელ ერთი კვირით, ერთხელ – სამი დღით და დავბრუნდი. გასაგებია, რომ ბევრს არ ესიამოვნა. გამომდინარე იქიდან, რომ მე დღემდე ძალიან კარგი და მეგობრული ურთიერთობა მაქვს ყველა ჩემს ყოფილ თანამშრომელთან, მორალურად უკვე აუტანლად მიმაჩნია იმის ყურება, როგორ იჩაგრება ამდენი ხალხი, როგორ წუხს ამდენი ოჯახი მხოლოდ იმისთვის, რომ ვიღაცამ ჩემზე დაწეროს რაღაცა. ახლა არის ზუსტად ის მომენტი, როდესაც რაღაც ქმედითი ნაბიჯი უნდა გადავდგა, რაღაცით უნდა დავეხმარო იმ ხალხს, რომელიც ამ წლების განმავლობაში არაფერს აშავებდა, გარდა იმისა, რომ ემსახურებოდა თავის ქვეყანას და ასრულებდა თავისი ხელმძღვანელის უშუალო მითითებებს, დღეს ამისთვის იჩაგრებიან.

ალექსანდრე ნინუა

„მე მაქვს ინფორმაციები, რომ კეზერაშვილი უკვე თანამშრომლობს სამართალდამცველებთან იარაღის შესყიდვის საქმეში. სააკაშვილი ცდილობდა მის დახსნას, ჩასულიც იყო საფრანგეთში ჩიორა თაქთაქიშვილთან ერთად, მაგრამ ვერ მოახერხა ვერაფერი“

ეს გადაწყვეტილება ჩემთვის ძალიან რთულია, ყველა დამეთანხმება ამაში, მაგრამ სხვა გზა არ არის. მე მინდა მივეხმარო ამ ხალხს. შეუძლებელია, ვიღაცისთვის იმის ყურება, რომელიც ყვირის, რომ თურმე მე ჯარი გავძარცვე, მე ამ დროს თბილისში ვარ, არ ვიმალები, არ გავრბივარ, არსად არ წავსულვარ, ყოველდღე დავდივარ დაკითხვაზე და ეს მისი ნაყვირები ყოველდღე უფრო და უფრო უფასურდება. თუ ის არის იდეფიქსი, რომ ამდენ ხალხს შეეშვებიან, მე ციხეში დავჯდები და ამით ვინმე დაისვენებს, მაშინ მე ამ შემთხვევაში ჩემი მეგობრების წინაშე ვალდებულად ვთვლი თავს, რომ მივიღო გადაწყვეტილება და წავიდე ციხეში, ოღონდ არა იმ დანაშაულისთვის, რომელიც არ ჩამიდენია, არამედ დანაშაულისთვის, რომელიც ჩამიდენია. თუ ამ ჩანაწერს ვინმე ახლა უყურებს, ე.ი. მე ციხეში ვარ. ახლა უკვე დაიწყო 12 დეკემბერი, 2013 წლის“.

ამ განცხადებიდან რამდენიმე საათში მან რუსთაველზე პატრულის წინ დააგდო იარაღი. რამდენიმე საათში დააკავეს. პატიმრობაც შეუფარდეს, თანაც ისე, რომ დაცვაც იგივეს მოითხოვდა.

ეს ისტორია ალექსანდრე ნინუას შეეხება, რომელიც დავით კეზერაშვილის მინისტრობის დროს თავდაცვის შესყიდვების დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა და მერეც, ბიზნესში მისი მარჯვენა ხელი იყო.

მალე ამ ფაქტს პროკურატურა გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ნინუა FBI-ს თანამშრომლობის ფარგლებში დაკითხა და მას ამერიკელი თანამშრომელიც ესწრებოდა. სწორედ ამ განცხადებამ წარმოშვა ეჭვი, რომ ნინუათი დაინტერესება სწორედ კეზერაშვილის საქმეზე იყო მიბმული, რომელიც იარაღით ვაჭრობაში იმხილება.

კეზერაშვილის მინისტრობის დროს განხორციელებულ იარაღის შესყიდვებს „პრაიმტაიმმა“ უკვე მიუძღვნა სტატია. არაინფორმირებულ მკითხველს მოკლედ შევახსენებთ ექსპერტ ტრისტან წითელაშვილის კერძო გამოძიების შედეგებს: „ეს ყველაფერი უკრაინაში დაიწყო 2004 წლიდან. იქ ფუნქციონირებს ასეთი სახელმწიფო კომპანია: „უკრსპეცექსპორტი“, რომელიც ტექნიკისა და შეიარაღების გაყიდვის პროცესებს განაგებს. სააკაშვილმა და მისმა მინისტრებმა ამ კომპანიასთან დაამყარეს კავშირი. ჩაერთო ორი ქვეყნის პრეზიდენტი და დაიწყეს იარაღისა და ტექნიკის შესყიდვა... განსაკუთრებული ყურადღება მიმართული იყო საჰაერო თავდაცვის ტექნიკაზე... ასეთი სისტემები ჩვენს შეიარაღებულ ძალებს ერიცხებოდა, მაგრამ რეალურად იყო ჯართი. 2007 წელს ნამდვილად შეიძინა საქართველომ საჰაერო თავდაცვის სისტემის 9 კომპლექტი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საბრძოლო მდგომარეობაში იყო ერთი და ისიც ერთი გასროლის შემდეგ გამოვიდა მწყობრიდან. დანარჩენები საერთოდ ძველი იყო. საწვავის ავზები ჟანგისგან იყო შეჭმული, კორპუსებში კი ბალახები – ამოსული. არც ერთი „ბუკი“ არ დაიქოქა 2008 წლის ომის დროს. 2007 წელს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 500 მილიონს შეადგენდა და მერე, პარლამენტის დადგენილებით, როდესაც გივი თარგამაძე იყო თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, დასხდნენ სააკაშვილი, კეზერაშვილი, თარგამაძე და ამ 500 მილიონს კიდევ 400 მილიონი დაუმატეს. ამ წელს საჰაერო თავდაცვის სისტემების შესაძენად 50 მილიონი ლარი იყო გამოყოფილი. როდესაც „ბუკები“ შეიძინეს, მართლაც გამართული სისტემის შესყიდვა მოხდა... ამ ტექნიკის ჩამოსვლის შემდეგ ცოტა ხანში ის უკრაინელი სპეციალისტები ჩამოვიდნენ, ვისაც აქ, ადგილზე, სწავ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თემურ ალასანიას დასაჭერად ემზადება?!

რა კავშირშია თავდაცვის ყოფილი მაღალჩინოსნის დაპატიმრება კეზერაშვილის საქმესთან?

EXCLUSIVE

ფრანსუა ნითელაძე

„საქმე მარტო ნინუათი არ ამოიწურება. ფედერალური ბიურო დღეს მოქმედი მაღალჩინოსანი სამხედროებითაც დაინტერესდება – ესენი არიან ურიდია და ფოჩხუა. პირველი საჰაერო თავდაცვის სარდალია, მეორე კი უკრაინაშია სამხედრო ატაშე. უკრაინაში იარაღით ვაჭრობის საქმეში ორივე მათგანი ჩართული იყო“

ლება უნდა ჩაეტარებინა პირადი შემადგენლობისთვის. ისინი გაოცდნენ, ეს რა არის, ჩვენ ეს ტექნიკა იქ არ მიგვიღიაო. მეორე დღესვე სასწრაფო წესით გაუშვეს ეს ხალხი... ჩვენი ჯარისთვის განკუთვნილი ტექნიკა რეალურად სხვა ქვეყანაში გავიდა. იმ ქვეყნებში, რომლებსაც ემბარგო ადევს და უფლება არ აქვთ, შეისყიდონ ტექნიკა და შეიარაღება... სავარაუდოდ, სირიასა და ირანში... სხვათა შორის, ამ შესყიდვებსა და გაყიდვებში ფიგურირებს მიხეილ სააკაშვილის ბიძა, თემურ ალასანიაც. რუსეთიდან უკრაინაში იარაღის შესვლა სწორედ მისი ჩარევით ხდებოდა. ისიც ცნობილი ფაქტია, რომ მას სირიასთან, ირანთან, მექსიკასთან და სხვა ასეთ ქვეყნებთან იარაღის ბიზნესი ჰქონდა. 2008 წლის ომის დროს, თქვენ წარმოიდგინეთ, თემურ ალასანია გორში იმყოფებოდა. რა ესაქმებოდა მას ომში. ის არის რუსეთის მოქალაქე, რუსული „ფეესბეს“ გენერალ-პოლკოვნიკი. ის იმ მომენტში ოფიციალურად წარმოადგენდა მოწინააღმდეგე მხარეს. ის ამ დროს სწორედ ამ ე.წ. შესყიდული იარაღის „გაპრავებისთვის“ გახლდათ ჩამოსული... თემურ ალასანიას ამოცანა იყო, ეს შეიარაღება და ტექნიკა გატარებულიყო საბრძოლო დანაკარგში და ყველაფერი გასუფთავდებოდა. რეალურად ასეც მოხდა. იმ რაოდენობის შეიარაღებაზე, რასაც სააკაშვილის ხელისუფლება ამბობდა, რუსებმა გაიტანესო, გვაქვს ინფორმაცია, რომ მისი მესამედიც არ აქვთ გატანილი რუსებს და წასულია იმ ქვეყნებში, სადაც მათ ჰქონდათ გაჩაღებული იარაღის ბიზნესი.

ნინუას დაკავების შემდეგ, „პრაიმტაიმი“ კვლავ ტრისტან წითელაშვილს დაუკავშირდა. გთავაზობთ მასთან ინტერვიუს:

– ნინუა კეზერაშვილს თავდაცვაში ფინანსური პოლიციიდან გადმოყვა. მის სახელთან არის დაკავშირებული ბიზნესმენებისთვის ფულის გამოძალვა და სხვა შავბნელი საქმეები. თავდაცვის ბიუჯეტის თითქმის 70 პროცენტი ტექნიკისა და შეიარაღების შესყიდვაზე იხარჯებოდა. ნინუა აწარმოებდა მოლაპარაკებებს უკრაინელებთან, ის ადგენდა ნუსხებს და გამოყოფდა თანხებს ბიუჯეტიდან. მას უკავშირდება ის საქმე, რომ ტექნიკას ვყიდულობდით და ის საქართველოს ნაცვლად სხვა ქვეყნებში აღმოჩნდებოდა. მე მაქვს ინფორმაციები, რომ კეზერაშვილი უკვე თანამშრომლობს სამართალდამცველებთან იარაღის შესყიდვის საქმეში. სააკაშვილი ცდილობდა მის დახსნას, ჩასულიც იყო საფრანგეთში ჩიორა თაქთაქიშვილთან ერთად, მაგრამ ვერ მოახერხა ვერაფერი. ნინუა ყველაფერზეა ინფორმირებული. ის კეზერაშვილის ყველა დავალებას ასრულებდა. უბადლო შემსრულებელი იყო. მაგრამ ამ პროცესების თავი და თავი სააკაშვილი იყო.

– თქვენ გვიმტკიცებდით, რომ ამ საქმეში გარეულია სააკაშვილის ბიძა, თემურ ალასანიაც. თუ კეზერაშვილმა თანამშრომლობა დაიწყო გამოძიებასთან, გამოდის, რომ საფრთხის წინაშე დგებიან სააკაშვილიც და ალასანიაც?

– ვიქტორ ბუტი, რომელიც იარაღის ბიზნესში თემურ ალასანიას პარტნიორი იყო, დაახლოებით 2 წლის წინათ დააპატიმრეს. ამ პატიმრობას მისი ადვოკატები იქამდე ასაჩივრებდნენ, სანამ კეზერაშვილს დააპატიმრებდნენ. ამ ფაქტის შემდეგ ბუტის ადვოკატებმა გასაჩივრება შეწყვიტეს. ცხადი გახდა, რომ ასეთი საკითხები წყდებოდა საფრანგეთში, იქ ხდებოდა შეთანხმებები, რომელ ქვეყანას რა ტიპის შეიარაღება სჭირდებოდა, როდესაც სააკაშვილი გააქტიურდა, მას უკვე ჰქონდა ინფორმაცია, რომ კეზერაშვილმა თანამშრომლობა დაიწყო. ამიტომ ის მარტო ბიძის კი არა, საკუთარი თავის გადასარჩენად ცდილობდა ყველაფერს. რეალურად ამ საქმეს იძიებს ფედერალური ბიურო. როდესაც მისი წარმომადგენლები საქართველოში იყვნენ ჩამოსულები, მათ მიიღეს გარკვეული ინფორმაცია. სწორედ ამით დაიწყეს მათ მუშაობა ამ საქმეზე. პირადად მეც მივაწოდე ამერიკის საელჩოს ჩემი გამოძიების მასალები.

– კეზერაშვილის დაპატიმრების შემდეგ?

– არა. მის დაპატიმრებამდე 2 თვით ადრე. ფედერალური ბიუროს დაინტერესებაც ბუნებრივია: წარმოიდგინეთ ამერიკელი პარტნიორების მდგომარეობა, როცა აღმოაჩენდნენ, რომ მათგან გაგზავნილი დაფინანსებით სააკაშვილის ხელისუფლება ყიდულობდა იარაღს და აგზავნიდა ქვეყნებში, სადაც ამერიკელი ჯარისკაცები იხოცებიან.

– მთელ ამ პროცესში, ნინუას როლია საინტერესო... მისი განცხადებით, ის 1 წელია განიცდის ზეწოლას და ძალით დააჭერინა თავი...

– მის შესახებ ჩვენ გვქონდა ინფორმაციები, მაგრამ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენ არ ვიყავით უფლებამოსილი, მოგვეხდინა მისი ლუსტრირება... ის, რომ თითქოს ზეწოლის ქვეშ იყო, მის მიერ მოგონილი სცენარია. ნინუა იყო შემსრულებელი, მაგრამ საკმაოდ სერიოზული ინფორმაციები აქვს. ამიტომაც აუცილებელიც კი იყო, ის დაეკავებინათ. თუკი დაიწყებს თანამშრომლობას, პროკურატურა, ალბათ, მზად არის, შეუმსუბუქოს მას სასჯელი. ისიც ვიცით, რომ ნინუას გარკვეული ნაბიჯები გადადგმული აქვს ამ მიმართულებით და ის თანამშრომლობს კიდეც გამოძიებასთან. ნინუას ეს განცხადება გადაფარვას ნიშნავს იმ ხალხის თვალში, თითქოს ის ტყუილადაა დაკავებული. ეს ადამიანები ხვალ და ზეგ აღმოჩნდებიან ნინუას გვერდით.

– მაგრამ ის იარაღის უკანონო ტარების გამოა დაჭერილი და არა იმ საქმისთვის, რაზეც თქვენ საუბრობთ...

– ნინუას ყველა გზა ჩაკეტილი ჰქონდა და მან ძალიან კარგად იცოდა, დღეს თუ ხვალ მას აუცილებლად დააპატიმრებდნენ. ისიც კარგად იცოდა, რომ მან პასუხი უნდა გასცეს გამოძიებას.

– თუ კეზერაშვილმა დაიწყო თანამშრომლობა, ფედერალურმა ბიურომ კი ითხოვა ნინუას დაკითხვა, გამოდის, რომ ეს უკანასკნელი კეზერაშვილზე მეტ ინფორმაციას ფლობს?

– არა, უბრალოდ, მისი ჩვენებით კეზერაშვილის ჩვენების გამყარების იმედი აქვთ. აქ საუბარია ფინანსებზე, სად, რომელ ბანკში ირიცხებოდა ეს თანხები. ნინუას ეცოდინებოდა, რა რაოდენობის თანხები იყო საჭირო ამა თუ იმ ტექნიკის შესაძენად. მაგრამ საქმე მარტო ნინუათი არ ამოიწურება. ფედერალური ბიურო დღეს მოქმედი მაღალჩინოსანი სამხედროებითაც დაინტერესდება – ესენი არიან ურიდია და ფოჩხუა. პირველი საჰაერო თავდაცვის სარდალია, მეორე კი უკრაინაშია სამხედრო ატაშე. უკრაინაში იარაღით ვაჭრობის საქმეში ორივე მათგანი ჩართული იყო. დიდი სამუშაოა ამ მიმართულებით ჩასატარებელი, რადგანაც თემურ ალასანია და მიხეილ სააკაშვილიც უნდა დააპატიმრონ, რომლებიც „მამები“ იყვნენ ამ ყველაფრისა.

– იქმნება შთაბეჭდილება, რომ პროკურატურას ურჩევნია, თემურ ალასანიასა და მიხეილ სააკაშვილის საკითხი ფედერალურმა ბიურომ თავად გადაწყვიტოს...

– გეთანხმებით, რადგანაც ასეთი პერსონების მიმართ საქართველოს პროკურატურა შესაძლოა, უძლური აღმოჩნდეს. ამიტომაც არის FBI ჩართული ამ პროცესში, რომ ვინმემ გავლენა არ მოახდინოს ქართულ პროკურატურაზე და ქართულ პროკურატურასაც ურჩევნია, სწორედ FBI იყოს ჩართული და მან დაიჭიროს თემურ ალასანია და მიხეილ სააკაშვილი. ძალიან სერიოზული მიმართულებით მუშაობენ ამ ადამიანების მიმართ.

„ასეთი საკითხები წყდებოდა საფრანგეთში, იქ ხდებოდა შეთანხმებები, რომელ ქვეყანას რა ტიპის შეიარაღება სჭირდებოდა, როდესაც სააკაშვილი გააქტიურდა, მას უკვე ჰქონდა ინფორმაცია, რომ კეზერაშვილმა თანამშრომლობა დაიწყო. ამიტომ ის მარტო ბიძის კი არა, საკუთარი თავის გადასარჩენად ცდილობდა ყველაფერს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

ვინ დატოვებს უმრავლესობას დავით საგანელიძესთან ერთად

დავით საგანელიძემ ჯერ კობა დავითაშვილი გაუშვა პოლიტიკიდან და ახლა თავადაც მიჰყვა. თუმცა განსხვავება ის არის, რომ „სახალხო პარტიის“ უკვე ყოფილი ლიდერი პარლამენტში დარჩა კონკრეტული მიზნით და მიზეზით – დეპუტატის ხელფასი ოჯახის სარჩენად სჭირდება. დავით საგანელიძე კი საპარლამენტო მანდატსაც ტოვებს და, შესაბამისად, ხელფასსაც. თუმცა, დავითაშვილისგან განსხვავებით, მას წასასვლელი აქვს და თანაც ასარჩევად. მცირეხნიანი დასვენების შემდეგ ყოფილი პოლიტიკოსი გადაწყვეტს, რომელ საქმიანობას დაუბრუნდეს – ექიმობას თუ ბიზნესმენობას...

მანამდე კი, როგორც ამბობენ, საპარლამენტო უმრავლესობას შესაძლოა, კიდევ რამდენიმე დეპუტატი გამოეთიშოს. სია საკმაოდ ვრცელია. ბუნებრივია, ამაზე ხმამაღლა ჯერ არავინ საუბრობს და არც არავინ ადასტურებს. ფაქტი კი ერთია, უმრავლესობამ კობა დავითაშვილის შემდეგ ზაქარია ქუცნაშვილიც მოიშორა. ნელ-ნელა, მაგრამ მყარად. ქუცნაშვილი არც პრეტენზიას გამოთქვამს და არც ჩამოცილებით უკმაყოფილებას... კულისებში არ გამორიცხავენ, რომ იგივე გზა გაიარონ გოგი ქავთარაძემ და ელისო ჩაფიძემაც. ქავთარაძეს, სხვათა შორის, გაორება ისედაც ჰქონდა. წინასაარჩევნოდ ის ღიად აცხადებდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების დღეს ნინო ბურჯანაძე გიორგი მარგველაშვილს სერიოზულ ოპონირებას გაუწევდა და ქალბატონი ნინოს წინსვლა მას გულით გაახარებდა... როგორც ჩანს, ქავთარაძის გაორებამ პარტიაზე მაინც იმოქმედა...

რაც შეეხება ელისო ჩაფიძეს, მის მიმართ ბიძინა ივანიშვილმა ერთხელ უკვე დააფიქსირა საკუთარი დამოკიდებულება. ის პარტიის პოლიტსაბჭოს მდივნობიდან გადააყენეს და მოგვიანებით პოლიტსაბჭოში საერთოდ აღარ შეიყვანეს... თუმცა ჩაფიძეც და ქავთარაძეც, საგანელიძისგან განსხვავებით, პარლამენტის სხდომებს ჯერ კიდევ ესწრებიან და საპარლამენტო ცხოვრებაში ჩართულებიც არიან... საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა კი, შეიძლება ითქვას, პარლამენტი უკვე დატოვა. ის სესიებს აღარ ესწრება და პოლიტიკაც აღარ აინტერესებს. საგაზაფხულო სესიის გახსნისას მის ადგილს უკვე მისივე ადგილმონაცვლე დაიკავებს. ვინ გახდება საგანელიძის შემცვლელი ამაზე უმრავლესობა იმსჯელებს. ამისთვის მთელი ერთთვიანი პერიოდი აქვთ. თავად დეპუტატის გადაწყვეტილება, როგორც ამბობენ, საბოლოოა და აღარ შეიცვლება. „ახლების“ ყოფილ წევრს უკვე „ოცნებაშიც“ ემშვიდობებიან. თინა ხიდაშელმა გადაწყვეტილება თავიდანვე დაუწუნა საგანელიძეს და განაცხადა, რომ მისი მხრიდან არასწორი საქციელი იყო საქმის შუა გზაზე მიტოვება.

თინა ხიდაშელი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი:

– ვფიქრობ, ზოგადად, არ არის სწორი საქციელი, როდესაც პარლამენტიდან დროზე ადრე მიდიხარ. ეს დათოს გადაწყვეტილებაა და ჩვენ ვერ ჩავერევით. ჩვენ ვიცით ამის შესახებ, უკვე კარგა ხანია, დათო ამაზე საუბრობს.

საგანელიძემ წასვლაზე საუბარი მართლაც დიდი ხნის წინ დაიწყო. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც კუდ-ის აგენტობას აბრალებდნენ. მაშინ ხელისუფლებაში ახალი მოსული საგანელიძე აცხადებდა, რომ აგენტობის დამტკიცების შემთხვევაში არამარტო პოლიტიკას, საერთოდ ქვეყანასაც და ოჯახსაც დატოვებდა. ბუნებრივია, ბრალდება ოპონენტების მხრიდან ბრძოლის ბინძურ მეთოდად ჩათვალა და დეპუტატობაც გააგრძელა. მეორე რაუნდი უკვე შიგნით, საკუთარ კოლეგებთან გაიმართა. დავით საგანელიძეს „ოცნების“ დაახლოებით 15-კაციანი ჯგუფი დაუპირისპირდა, რომლებსაც უმრავლესობის ლიდერმა საარჩევნო შტაბების თავმჯდომარეობა აუკრძალა, მაშინ როდესაც თავადაც იგივე პოსტი ეკავა. თუმცა საკუთარ თავს გამონაკლისად აცხადებდა და ირწმუნებოდა, მაღალი პოსტის მქონე დეპუტატები საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელებად ცუდ გავლენას მოახდენენო... როგორც ამბობენ, დაპირისპირებულმა მხარეებმა წერილიც კი დაწერეს და საგანელიძის „თავიდან მოშორების“ მიზნით ხელმოწერებიც შეაგროვეს. ინფორმაციამ თავის დროზე საგანელიძემდეც მიაღწია, თუმცა ის ბოლო წუთამდე ცდილობდა, დაპირისპირება დაემალა და ყველაფერს ისევ ოპონენტების ბოროტ ქმედებებს აბრალებდა...

დავით საგანელიძე: „მე მეოთხე მოწვევის პარლამენტის წევრი ვარ და მივიჩნევ, რომ პოლიტიკაში ჩემ მიერ დასახული ამოცანა შევასრულე“

დავით საგანელიძე:

– ძალიან გთხოვთ, ამ 14 კაცს მიმართოთ, რომ ვინმესგან მოვისმინოთ ამ თემის სიმართლე. მინდა გითხრათ, რომ საპარლამენტო უმრავლესობა საკმაოდ შეკრულია. მე განსაკუთრებით მკაცრი ვიყავი იმ პერიოდში, როცა ჯერ საპარლამენტო, ხოლო შემდეგ საპრეზიდენტო საარჩევნო შტაბებს ვხელმძღვანელობდი. იქ ვიყავი ძალიან მომთხოვნი და ბევრ თემას მე დამოუკიდებლად ვწყვეტდი. შედეგი თქვენ თვითონ ნახეთ და დათვალეთ. თუ ვინმეს ეს არ მოეწონა, ეს მისი პრობლემაა, მაგრამ, ალბათ, ერთი-ორი ადამიანის გარდა, არ დარჩა არავინ, ვინც ეს სწორად არ გაიგო.

თანაპარტიელების აბუნტებას დავით საგანელიძე მარტივად აიტანდა, თუმცა, როგორც ამბობენ, შენიშვნა მან პირადად ბიძინა ივანიშვილისგანაც მიიღო, როდესაც დაპირისპირების შესახებ მოუყვა. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ხმამაღლა საუბარი დეპუტატმა პოლიტიკიდან ბიზნესში გადასვლაზე. პირველად საკუთარი სურვილი ერთ-ერთ შეკრებაზე გაუმხელია. მოგვიანებით, როდესაც ინფორმაციამ გაჟონა, საგანელიძე გაოცებული იყო, ისეთ ვიწრო წრეში გამოვთქვი აზრი, წესით, არავის არ უნდა გაეგოო. არ არის გამორიცხული, ინფორმაციის გაჟონვასაც დაეჩქარებინა მისი გადაწყვეტილება. ასეა თუ ისე, უკვე დღეს ის საკუთარ გადაწყვეტილებას ამართლებს და მიიჩნევს, რომ აწი უფრო ბევრი დრო დარჩება ოჯახისთვის და შვილებისთვის...

დავით საგანელიძე:

– მივიჩნევ, ჩემი ძირითადი ამოცანა პოლიტიკაში შევასრულე იმ მხრივ, რომ მცირე წვლილი შევიტანე იმ სიბინძურის თავიდან მოშორებაში, რასაც სააკაშვილის სახით არსებული ხელისუფლება ერქვა. მე მეოთხე მოწვევის პარლამენტის წევრი ვარ და ვთვლი, რომ პოლიტიკაში ჩემ მიერ დასახული ამოცანა შევასრულე. მიკვირს, როდესაც შინაურულ, მეგობრულ წრეში იტყვი რამეს და ამას ჟურნალისტები აიტაცებენ. ჩემი პოზიცია დავაფიქსირე ერთ რამეში, რომ 15 წელი პოლიტიკაში ვარ. ვიფიქრებ, ოდესმე უნდა დადგეს ის მომენტი, როცა დათო საგანელიძე დაუბრუნდება იმ საქმეს, რითაც დაიწყო. პროფესიით ექიმი გახლავართ, რაღაც დროის განმავლობაში ძალიან მძიმე წნეხის ქვეშ ბიზნესშიც ვიყავი და პარლამენტში მივედი, რომ გარკვეული ბიზნესი დამეცვა. ვფიქრობ, ჩემი მოვალეობა გარკვეულწილად შევასრულე, აგური თუ არა, კენჭი მაინც დავდე იმ საქმეში, რასაც ქვეყანაში სამართლიანი ხელისუფლების მოსვლა ჰქვია. ალბათ, ოდესმე შეიძლება ამ საპარლამენტო ციკლის დასრულების შემდეგ ვთქვა, რომ ისევ დავუბრუნდები ჩემს საქმიანობას, თუმცა ეს იქნება ბიზნესი თუ მედიცინა, ჯერჯერობით არ ვიცი.

საკუთარ სამომავლო გეგმებზე საგანელიძე დეტალურად ჯერ არ საუბრობს. თუმცა ფაქტია, რომ ცოტა ხნის წინ ის არათუ პოლიტიკიდან წასვლას აპირებდა, არამედ მზად იყო, მისადმი უარყოფითად განწყობილ „დაჯგუფებას“ ბრძოლაში აჰყოლოდა და საკუთარი სიმართლე დაემტკიცებინა. როგორც ირკვევა, საგანელიძემ მხარდაჭერა ლიდერებში ვერ დაინახა და რაც მთავარია, ვერც ბიძინა ივანიშვილისგან მიიღო ვერანაირი ნიშანი, რადგან, გავრცელებული ინფორმაციით, საგანელიძის საკითხი ჯერ კიდევ იმ პოლიტსაბჭოზე განიხილეს, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი ესწრებოდა...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თბილისის მერი „გადააყენეს“

კახი კახიშვილი: „როგორც ჩანს, პროკურატურამ კარგად დაასაბუთა, რომ მერი გამოძიებას ხელს შეუშლიდა და სასამართლომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო... უგულავას არჩევნებში მონაწილეობის უფლება დარჩება“

ნინო დათაშვილი

გიგი უგულავა გადააყენეს, სასამართლომ მას უფლებამოსილება შეუჩერა. შეიძლება ითქვას, რომ დემოკრატიული სახელმწიფოსთვის საკმაოდ ექსტრემალურ ვითარებაში – ღამის პირველ საათზე. როგორც თამარ ჩერგოლეიშვილმა სოციალურ ქსელებში დაპოსტა: „სასამართლომ გამოაცხადა გადაწყვეტილება დარბაზში. იქ ვიჯექი, საკუთარი ყურით მოვუსმინე და წამოვედი. და აი, ახლა, ღამის პირველ საათზე დაურეკა მოსამართლემ და გამოუცხადა, რომ თანამდებობიდანაა გადაყენებული. აი, ასეთი დემოკრატია მივიღეთ – მილიონნახევრიანი ქალაქის პირდაპირი წესით არჩეულ მერს მოსამართლე ისე ხსნის თანამდებობიდან, მოსმენასაც არ ატარებს“.

გიგი უგულავას გადაყენებამ ორი მიმართულებით გააჩინა კითხვები – სამართლებრივი და პოლიტიკური. სამართლებრივი იმიტომ რომ თბილისის არჩეული მერი ჰყავს, 2011 წლის არჩევნებში გიგი უგულავამ საარჩევნო მარათონი ირაკლი ალასანიას მოუგო და ხმების 55% მოიპოვა. მაშინ ალასანიამ უგულავას არჩევნებში გამარჯვებაც მოულოცა. შესაბამისად, რამდენად იყო სასამართლო უფლებამოსილი, პროკურორის შუამდგომლობა დაეკმაყოფილებინა?

და მეორე, მერის გადაყენებით, ხომ არ ცდილობს ხელისუფლება, დავით ნარმანიას მერობისკენ მიმავალი საარჩევნო გზა „გაუწმინდოს“.

„პრაიმტაიმთან“ საუბარში კახი კახიშვილი მიიჩნევს, რომ არც სამართლებრივი პროცედურები დარღვეულა და არც პოლიტიკურად შეეშლება ხელი გიგი უგულავას – ის შეძლებს სრულფასოვანი კამპანია აწარმოოს.

– სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს არჩეული პირების იმ ნუსხას, რომელთა უფლებამოსილების შეჩერებისთვისაც აუცილებელია, მთავარმა პროკურორმა სასამართლოს შუამდგომლობით მიმართოს. თუმცა, ამ ჩამონათვალში არ არის თბილისის მერის თანამდებობა. შესაბამისად, მასზე საერთო წესი ვრცელდება, რაც ნიშნავს იმას, რომ რიგით პროკურორსაც შეუძლია სასამართლოში შუამდგომლობით შევიდეს. როგორც ჩანს, პროკურატურას კარგად ჰქონდა დასაბუთებული, რომ მერს შეეძლო, ხელი შეეშალა გამოძიებისთვის, ამიტომაც სასამართლომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო... კანონის მიხედვით, თუ არსებობს ვარაუდი, რომ თანამდებობის პირი თანამდებობაზე დარჩენით ხელს შეუშლის გამოძიებას ან მისი თანამდებობაზე დარჩენით გააგრძელებს დანაშაულებრივ საქმიანობას, მაშინ დგება მისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი...

კახი კახიშვილი, ასევე, მიიჩნევს, რომ პოლიტიკურ პროცესებს მაშინ შეეშლებოდა ხელი და მაშინ შეიძლება პოლიტიკურ დევნად მომხდარის შეფასება, თუკი გიგი უგულავას ადგილობრივ არჩევნებამდე ნ თვით ადრე დააპატიმრებდნენ, თუმცა, ახლა ის სასამართლო გადაწყვეტილების უკან პოლიტიკას ვერ ხედავს.

კახი კახიშვილი:

– გიგის შეუძლია, არჩევნებში მონაწილეობის მიღება და სრულფასოვანი საარჩევნო კამპანიის ჩატარება. შინაგანად ვეთანხმები სასამართლოს, რომ მერს პატიმრობა არ შეუფარდა. მას უფლება ექნება, დარეგისტრირდეს მერობის კანდიდატად. კონკურენტის მოშორების მცდელობა მაშინ იქნებოდა, მისთვის პატიმრობა რომ შეეფარდებინათ... რაც შეეხება დასავლეთს და როგორი იქნება მისი რეაქცია, აქ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, როგორ აქვს სასამართლოს დასაბუთებული განჩინება.

სოციალურ ქსელებში უკვე დიდი ხმაური ატყდა, სავარაუდოდ, დღეს დიპლომატების შეფასებებსაც მოვისმენთ. გიგი უგულავა პოლიტიკურ დევნასა და სასამართლოს ზეწოლაზე ალაპარაკდა.

გოკა გაბაშვილის განმარტებით:

– პროკურატურა შუამდგომლობით შემოვიდა, რომ პატიმრობა შეეფარდებინათ გიგი უგულავასთვის. რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, რომ სასამართლომ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. ვერ გატეხეს სასამართლო, მიუხედავად იმისა, რომ სრულიად ცხადია სურვილი, რომ დაიჭირონ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები, განსაკუთრებით ადგილობრივი არჩევნების წინ. ძალიან კარგად გვესმის, რომ, ამ მხრივ, განსაკუთრებული სამიზნე არის გიგი უგულავა. ორი საქმე უკვე არსებობს მის წინააღმდეგ, ეს მესამე საპნის ბუშტია, რომელიც სასამართლოზე გასკდა საწყის ეტაპზე და გასკდება საბოლოოდ, როცა არსობრივი განხილვა იქნება ამისი. მათ დამატებით აქვთ კიდევ შეტანილი შუამდგომლობა უფლებამოსილების შეწყვეტაზე. პანიკურ ნაბიჯებს დგამს პროკურატურა. ამ მხრივ, ამ წუთებშიც გრძელდება სასამართლოზე ზეწოლა. იმედი გვაქვს, რომ სასამართლო ბოლომდე გაუძლებს ამ ზეწოლას. საქმე თავიდან ბოლომდე პოლიტიკურია. ეს არის კლასიკური ნიმუში შერჩევითი სამართლის, კლასიკური ნიმუში პოლიტიკური ოპონენტების მოშორებისა. ეს არის მკაფიო ბელორუსიზაციის ნიშნები.

თბილისის მერს 2013 წლის 18 დეკემბერს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით – სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ, დედაქალაქის განვითარების მიზნით შექმნილი ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდისთვის“ გამოყოფილი დიდი ოდენობით საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვის ფაქტზე.

გიგი უგულავასთვის წარდგენილი ბრალდება 7-დან 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა. პროკურატურა თბილისის მერს თბილისის განვითარების ფონდიდან 48 მილიონის გაფლანგვის ფაქტზე ედავება.

გიგი უგულავამ ჯერ კიდევ სასამართლოზე განმარტა, რომ: „ბრალდების არსი არის პოლიტიკური, იმიტომ რომ მე ვარ მერი, რომელიც არ ემორჩილება „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას“.

სასამართლოს დაწყებამდე გიგი უგულავამ ის ადამიანები დაასახელა, ვინც უხეშად ერევა და ახდენს ზეწოლას მთელ ამ პროცესზე, სასამართლოს დასრულების შემდეგ კი მან უკვე ის პირები ჩამოთვალა, ვისი ჩვენების საფუძველზეც პროკურატურა მისი პოლიტიკიდან გაყვანას ცდილობს.

სასამართლოს შემდეგ:

„ყველაზე მეტად რაზეც მწყდება გული, არის ის, რომ ამ ბოლო სამ დღეში, მთავარი მოწმეები არიან ხაჩირიშვილი, თევდორაძე, რაფავა, ანუ ის ხალხი, ვინც „ნაციონალური მოძრაობიდან“ „ოცნებაში“ გადაბარგდა, მათ „პასტაც“ არ დასჭირდათ, დაუწერეს და ხელი ისე მოაწერეს. მე მრცხვენია, არ შეიძლება, ქვეყანა ააგო ასეთ სულმდაბალ ხალხზე, რომელიც, რასაც დაუწერ, ყველაფერზე ხელს მოაწერს. ეს ბრალიც ისევე საპნის ბუშტივით გასკდება, როგორც დანარჩენი.

...ჩვენ ვიცოდით, რომ ეს ყველაფერი იყო წინასწარ დაგეგმილი. სასამართლოზე მიდის ძალიან დიდი ზეწოლა. ნებისმიერი მოქალაქის ბრალია, დავეხმაროთ მათ, ამ ზეწოლას გაუძლონ. მიუხედავად იმისა, რომ გირაო შემიფარდეს, ჯერ ბრძოლა არ არის დამთავრებული.

გეგმა არის ის, რომ აქ ეს სპექტაკლი დაედგათ და მაქსიმალურად მოგვწოლოდნენ, გირაო მაქსიმუმი აიღეს. მთავარი საწადელი არის ის, რომ არჩევნების წინ ჩამომიცილონ.“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

არმაზ ახვლედიანი პოლიტიკაში წასვლა ბ

ქეთი ხატიაშვილი

რა პოზიციები აქვს პარტია „ქართულ ოცნებას“ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“, რა ცვლილებები იგეგმება მომავალში და როგორია ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკური გემოვნება; რამდენად კონკურენტუნარიანი გახდება პარტია და როგორ შეიძლება აეწყოს საარჩევნო სისტემა? ამ და სხვა საკითხებზე „პრაიმტაიმს“ პარტია „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრი და საერთაშორისო მდივანი არმაზ ახვლედიანი ესაუბრა.

„სიტყვა „წმენდას“ არ გამოვიყენებდი, მაგრამ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ პარტიაში ცვლილებები შესაძლოა, იყოს“

– ყველაზე საინტერესო ამ ეტაპზე ის არის, როდის ჩატარდება საბჭოს სხდომა, რომელზეც ბევრი საკითხი გაირკვევა, დაწყებული 14 დეპუტატის წერილით და დამთავრებული ბერიძის თემით. უკვე დაანონსდა, რომ ძვირადღირებული ავტომანქანების საკითხი საბჭოზე განიხილება...

– პარტიის პოლიტიკური საბჭოს სხდომა დეკემბრის ბოლომდე ჩატარდება. ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის. არაერთი საკითხი დაგროვდა განსახილველად. მათ შორის იქნება ავთო ბერიძის საკითხიც, როგორც ეს არაერთხელ გამოცხადდა. რაც შეეხება დეპუტატების წერილს, მე ზუსტად არ ვიცი, რას გულისხმობთ...

– აქ საუბარია დაპირისპირებაზე, რომელიც კოალიციაში დავით საგანელიძესთან დაკავშირებით გახმაურდა და სკანდალის სახეც კი მიიღო...

– არანაირი დაპირისპირება არ იკვეთება. დავით საგანელიძე საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერია, ვერანაირ დაპირისპირებას ვერ ვხედავ მასთან მიმართებაში. ამიტომ ასეთი საკითხის განხილვას გამოვრიცხავ.

– სხვათა შორის, ვინც ამ სკანდალში ფიგურირებდა, ყველამ დაკარგა პოზიციები: ზაქარია ქუცნაშვილმა – ფრაქციის თავმჯდომარის პოსტი, დავით საგანელიძემ გაირკვა, რომ პოლიტიკაც დატოვა და პარლამენტსაც ტოვებს...

– საგანელიძის წასვლა უკავშირდება ბიზნესში მის წასვლას და ეს მან თავად თქვა. მე არ მაქვს სხვა ინფორმაცია. კიდევ ვამბობ, რომ მე არ ვფლობ ინფორმაციას რაიმე დაპირისპირების შესახებ მასთან დაკავშირებით, ამიტომ გამოვრიცხავ, ეს საკითხი პოლიტსაბჭოს განსახილველი გახდეს.

– ერთგვარად დაუჯერებელია, რომ ადამიანს, რომელიც საარჩევნო შტაბის უფროსი იყო და საკმაოდ რადიკალურ პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებდა, ერთ დღეში გაახსენდა, რომ მისი მოწოდება ბიზნესია...

– საგანელიძე ბიზნესში ძალიან წარმატებული იყო წარსულში. შტაბში მუშაობის დროსაც მომისმენია კერძო საუბარში, რომ მას პოლიტიკიდან წასვლის სურვილი ჰქონდა. ამას ის იმ საქმის კეთებას უკავშირებდა, რაც მისთვის უფრო მისაღები და კომფორტულია. როდესაც ადამიანი მიდის პოლიტიკიდან, ეს შეიძლება ბევრ რამეს უკავშირდებოდეს, გადაღლას, ოჯახს და ასე შემდეგ. ჩვენთან, უბრალოდ, ეს ძალიან იშვიათობაა და გვიკვირს.

– ვრცელდება ინფორმაცია, რომ „ქართულ ოცნებაში“ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ კოალიციის რიგებში ერთგვარი წმენდა მოხდება, ბევრი შეიცვლის პრიორიტეტს და პარლამენტიდან სხვა სფეროში გადაინაცვლებს...

– სიტყვა „წმენდას“ არ გამოვიყენებდი, მაგრამ ის, რომ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, მანამდეც და შორეულ მომავალშიც ცვლილებები შესაძლოა იყოს პარტიაში, მის ხელმძღვანელ რგოლში...

– პარლამენტის შემადგენლობაშიც?

– ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რომელიმე დეპუტატი სხვა სამსახურში გადასვლასთან დაკავშირებით გავიდეს პარლამენტიდან. ყოველ შემთხვევაში, ამ გადასახედიდან ასეთ პროცესს ვერ ვხედავ. რაც შეეხება მომავალ საპარლამენტო არჩევნებს, იქ, რა თქმა უნდა, უფრო მეტი გამოცდილებით მოხდება საპარლამენტო შემადგენლობის შერჩევა.

– მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე კოალიცია ისევ ერთიანი შემადგენლობით გამოვა, თუ ფიქრობთ, რომ კოალიციაში შემავალი პატიებისთვის არჩევნებში დამოუკიდებლად გასვლა უფრო პრიორიტეტული იქნება?..

– მიმაჩნია, რომ პოლიტიკურად არა მხოლოდ ამ კოალიციისთვის, არამედ დღეს ჯერ კიდევ მშენებლობის პროცესში მყოფი ქართული პოლიტიკური პროცესისთვის იქნებოდა სასარგებლო, თუ მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის კოალიცია შენარჩუნდებოდა. თუმცა ამის პროგნოზირება რთულია. ჩვენ ვიცით, რომ ადგილობრივი არჩევნებისთვის ერთად ვიქნებით და ასე მგონია, რომ კოალიციაში შემავალი თითოეული სუბიექტისთვის ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია ერთად ყოფნა. ეს არის ობიექტური მოცემულობა.

– თვითმმართველობის რეფორმის შეჩერების ერთ-ერთ მიზეზად ეგრეთწოდებული ორპროცენტიანი პარტიები დასახელდა. ანუ, რეფორმის მიხედვით, დაყოფა თითქოს პატარა პარტიებს გამარჯვების მეტ შანს მისცემდა, სოფელში იმარჯვებს პიროვნება და არა პარტია...

– მე მგონია, რომ 5-10 წლის შემდეგ საქართველოში შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს საარჩევნო სისტემა და კოდექსი. ის ორიენტირებული იქნება არა პოლიტიკურ ლიდერებზე, არამედ პოლიტიკურ პროგრამებზე. სამწუხაროდ, ეს ჯერ ასე არ არის და სწორედ აქედანაა, ამდენი თავსატეხი რომ გვაქვს. მეორე მხრივ, ნამდვილად კრიტიკულ აღქმას საჭიროებს მაჟორიტარული სისტემა...

– თქვენი პოზიცია როგორია ამ სისტემასთან დაკავშირებით?

– ვფიქრობ, მომდევნო საპარლამენტო არჩევნების ჩათვლით შერეული საარჩევნო სისტემა ძალაში უნდა დარჩეს და შემდეგი საპარლამენტო არჩევნებისთვის შესაძლოა ეფიქრა ქვეყანას, გადასულიყო პროპორციულ სისტემაზე. ამ კონტექსტში მთავარია, შეიცვალოს საზოგადოების დამოკიდებულება არჩევნებისადმი, შეიცვალოს საზოგადოების საარჩევნო და პოლიტიკური კულტურა და იყოს შეუქცევადი ნება პოლიტიკური ელიტის, როცა არ უნდა ტარდებოდეს არჩევნები, ეს ყველაფერი სამართლიანად ხდებოდეს. აქ იმას ვგულისხმობ, რომ ხშირ შემთხვევაში საზოგადოების გაღიზიანება მაჟორიტარული სისტემის მიმართ იმას უკავშირდება, რომ ჩვენ ძველი დროიდან ინერციით მოგვყვება ის დისკომფორტი, რაც ახლავს ამ პროცესს.

ვგულისხმობ იმას, რომ მაჟორიტარული სისტემით არჩევნები ნაკლებ დემოკრატიულად გამოიყურება. ჩვენთან ვერ ჩამოყალიბდა საარჩევნო კულტურა. ანუ საზოგადოება თუ მხარს უჭერს ჩვეულებრივ მაჟო-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნი: „საგანგელიძის იზნეს უკავშირდება“

„პოლიტსაბჭოს სხდომაზე ავთო ბერიძის საკითხიც განიხილება“

„ის, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ პრაიმერისი ჩაატარა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს რეალური დემოკრატიულობის გამოხატულებაა“

EXCLUSIVE

რიტარ კანდიდატს, ძალიან ნაკლებად არის დაინტერესებული მისი პოლიტიკური პლატფორმით. შეიძლება განიხილავდე, რომელ პოლიტიკურ მიმდინარეობას ეკუთვნის ესა თუ ის კანდიდატი, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში არ არის ინტერესი კონკრეტული პოლიტიკური პროგრამის მიმართ. ხშირად, განსაკუთრებით მცირე ზომის საარჩევნო რაიონებში ყველაფერი დადის იქამდე, ვინ უფრო კარგად მოინდომებს იმ რაიონში. სამეურნეო ფუნქციის აღება რაიონის მასშტაბით ცუდი არ არის, მაგრამ ჩვენ ხომ პოლიტიკოსებს ვირჩევთ. შესაბამისად, აქ საჭიროა პოლიტიკური პროგრამა და იდეის გარშემო გაერთიანება. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ამისგან ჯერ შორს ვართ.

– როდესაც თქვენ საუბრობთ მაჟორიტარების საარჩევნო სისტემაში ყოფნა-არყოფნაზე, ეს შეიძლება განვიხილოთ კომპლექსურად – მრავალპარტიული იქნება ქვეყანა თუ ორპარტიული?

– ვისურვებდი, რომ საქართველო მაინც მრავალპარტიული იყოს. მრავალპარტიულობა რაღაც ეტაპზე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მრავალპარტიულობაში არ ვგულისხმობ 10-15 ძლიერი პოლიტიკური ძალის არსებობას, მაგრამ უნდა იყოს 4-5 ძლიერი პოლიტიკური ძალა, რომლებიც ერთმანეთისგან ფინანსურად და იდეოლოგიურად დამოუკიდებლები იქნებიან. აქ ლაპარაკია მყარ ელექტორატზე, რომელსაც საკუთარი პროგრამით, მუშაობითა და ნდობით მოიპოვებ... დღეს თუ შევხედავთ, გამოკვეთილი არ არის, რომ ადგილობრივი არჩევნების შედეგად შეიძლება მივიღოთ 4-5 პარტიისგან შედგენილი საკრებულოები. თუმცა მე ამას ვისურვებდი.

– კვოტების განაწილებაზე კოალიციაში საუბარი უკვე დაიწყო?

– კოალიციაში ჯერ არ ყოფილა საუბარი კვოტებზე. 27 ოქტომბრის არჩევნებიდან ვხედავ, რომ ჯერჯერობით სამი სუბიექტი ჩანს. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ეს ჩემი ადამიანური სურვილია. მე ამას ვუყურებ, როგორც გრძელვადიან დემოკრატიულ გეგმას და მიმაჩნია, რომ აუცილებლად უნდა გამრავალფეროვნდეს ქართული პოლიტიკური სპექტრი.

– თუ პროგრამებს დავეყრდობით მრავალფეროვანი, ალბათ, ვერ იქნება. საგარეო პოლიტიკას თუ ავიღებთ, არის პრორუსული, პროდასავლური და კიდევ რაღაც შუა, რომელიც თქვენ დაიჭირეთ...

– არჩევნებზე ისაუბრეთ და ბარიერის დაწევასთან დაკავშირებით ან სისტემასთან დაკავშირებით როგორ ჩამოყალიბდით?

– საბოლოო გადაწყვეტილება, როგორც ვიცი, მიღებული არ არის. მიმაჩნია, რომ ეს ბარიერი გონივრული უნდა იყოს. შესაძლოა, კიდევ დაიწიოს. ჩვენ, ამ შემთხვევაში მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ, უნდა მივცეთ სასტარტო პირობა იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებსაც, სხვადასხვა ობიექტური მიზეზის გამო, არ უხერხდებათ, ერთბაშად წამოდგნენ ფეხზე.

– პარტია „ქართულ ოცნებას“ დავუბრუნდეთ. ვფიქრობ, კოალიციაში შემავალ პარტიებთან შედარებით, ეს პარტია არა მხოლოდ ახალი, არამედ სტრუქტურულად ისეთი ჩამოყალიბებული არ არის, როგორც, ვთქვათ, რესპუბლიკელები, ან იმიჯის თვალსაზრისით ალასანიას პარტია. თუ ავიღებთ „ქართული ოცნების“ შემადგენლობას, პოლიტიკოსების ნაკლებობა შეიმჩნევა. რამდენად ფიქრობთ, რომ ღარიბაშვილს სერიოზული გადაწყვეტილების მიღება მოუწევს და რა გადაწყვეტილების მიღებას ურჩევდით, რომ თვითონ პარტიაც არ დადგეს გარკვეული პრობლემების წინ არჩევნებში მონაწილეობის დროს?

– მაინც მეჩვენება, რომ პარტია „ქართული ოცნება“ კოალიციაში ყველაზე უფრო რეიტინგული გაერთიანებაა.

– სტრუქტურული თვალსაზრისით ვამბობ...

– რაც შეეხება სტრუქტურას, ცნობილია, რომ ბოლო რიგგარეშე ყრილობაზე პარტიამ წესდების ახალი რედაქცია მიიღო, რომელიც ბევრ რამეს ცვლის სტრუქტურულად. ახლა მიმდინარეობს სწორედ პროცესი ამ სტრუქტურის ჩამოყალიბებისა. პარტიის ამჟამინდელ ხელმძღვანელს ირაკლი ღარიბაშვილსა და გენერალურ მდივანს კახი კალაძეს გაცნობიერებული აქვთ, რომ ყველაფერი უნდა წარვმართოთ იქით, რომ ჩამოყალიბდეს ნორმალური დასავლური ტიპის პოლიტიკური ძალა, რომელიც იქნება სიცოცხლისუნარიანი და მოახერხებს, გაუძლოს პოლიტიკურ ქარტეხილებს.

– ლიდერების ნაკლებობას როგორ შეივსებს? რესპუბლიკელები პროცესში ძალიან აქტიურად არიან ჩართულები და „ქართული ოცნება“ ძირითადად დებატებით შემოიფარგლება, ისიც ხშირ შემთხვევაში შეურაცხმყოფელი ფრაზებით.

– „რესპუბლიკურმა პარტიამ“ ამას სამი ათწლეულის განმავლობაში მიაღწია. თუმცა ის, რომ „ქართული ოცნება“ ახალშექმნილი პარტიაა, არ ათავისუფლებს მას მთელი რიგი ვალდებულებებისგან. ჩვენი ამოცანაა, მოვახერხოთ და შევქმნათ ისეთი ობიექტური საფუძვლები, რაც უახლოეს ხანებში პარტიაში ახალ სახეებს მოიზიდავს და ეს სახეები, უბრალოდ, ახალი კი არ იქნება, ეს იქნება სწორი სახეები. ეს ჩვენი ზეამოცანაა. საბედნიეროდ, პარტიაშიც და პარტიის ირგვლივაც, ვიცნობ არა ერთ ადამიანს, რომელიც უახლოეს ხანებშიც დიდ სიკეთეს მოუტანდა როგორც პარტია „ქართულ ოცნებას“, ისე პარტიულ და პოლიტიკურ პროცესს საქართველოში. ჩვენი ამოცანაა ასეთი ადამიანების პოვნა და, საერთოდ, შიდაპარტიული დემოკრატიის დამკვიდრება. ეს მმართველი ძალისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

– შიდაპარტიულ დემოკრატიაზე მინდა აქცენტის გაკეთება. ხშირად ივლება პარალელები და ახლაც გავავლებ. სააკაშვილის დროს იყო საუბრები, რომ ექვსი ადამიანი იღებს გადაწყვეტილებებს და შემდეგ ეს ვრცელდება ყველაზე. თქვენს შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ კოალიციაში ასეთი ადამიანი არის ბიძინა ივანიშვილი. მან გადაწყვიტა, ვინ იქნება პრეზიდენტი, პრემიერი, მერი და კოალიციამ ეს მიიღო. შესაბამისად, რა რესურსი არსებობს, რომ პარტიაში დემოკრატიული პროცესი განვითარდეს? მაგალითად, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მიმართა პრაიმერისს. თქვენ როგორ აპირებთ, აჩვენოთ, რომ პარტიის შიგნით პროცესები გამჭვირვალეა?

– ერთია, რომ ვაჩვენოთ და მეორეა, რა ხდება სინამდვილეში. ის, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ პრაიმერისი ჩაატარა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს რეალური დემოკრატიულობის გამოხატულებაა.

– ფორმალური ნიშნები იყო?

– ძალიან ბევრი. რაც შეეხება ჩვენს პოლიტიკურ ძალას, როდესაც გადაწყდა პრეზიდენტის, პრემიერისა და მერის კანდიდატურები, თავად ვიყავი ამ განხილვის მონაწილე და შემიძლია გითხრათ, რომ განხილვა, ჩემი წარმოდგენით, ძალიან დემოკრატიულ ვითარებაში ჩატარდა. მაშინდელი პრემიერის, ბიძინა ივანიშვილის შემოთავაზება იყო ეს და გულახდილად ვიტყვი, რომ ეს იყო მხოლოდ შემოთავაზება და ყველა სხვა აზრის გათვალისწინების შესაძლებლობაც დარჩა...

– ალტერნატივა ვინ იყო თუნდაც მერის პოსტზე?

– მე იმას ვამბობ, რომ, როდესაც წარმოდგენილ იქნა ნარმანიას კანდიდატურა, იქვე ითქვა, რომ ნებისმიერი სხვა კანდიდატურის განხილვა შესაძლებელი იქნებოდა. არ იყო სიჩქარე. ჩემთვის ეს პროცედურა მისაღებია. როდესაც გუნდის ხელმძღვანელი, აღიარებული ლიდერი, ასე იქცევა. სხვა შემთხვევაში შეიძლება სულაც დაყენოს კანდიდატურა და მისი ნდობა იმდენად მაღალი იყოს, რომ განხილვის გარეშეც დაუჭირონ მხარი. ჩვენს შემთხვევაში კი გუნდის ყოფილმა ლიდერმა, ბატონმა ივანიშვილმა დააყენა რა კანდიდატურა, თავად გვთხოვა, რომ ყოფილიყო საფუძვლიანი განხილვა.

– განსხვავებული აზრი იყო?

– განსხვავებული აზრი არ ყოფილა, უბრალოდ, თუ ვინმეს ეყოლებოდა სხვა კანდიდატურა, ეჭვიც არ მეპარება, რომ წამოაყენებდა მას. ჩვენ გვქონდა საკითხის რეალური განხილვის შესაძლებლობა და ეს მთავარია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვეფერები გილოცავთ შობა-ახალი წლის

და გთავაზობთ
20 იანვრის ჩათვლით

20%-დან 40%-მდე
ფასდაკლებით ენვიტას,
დოქტორ ფიშერის, დოლივას,
აჰავას, ლაკალუტის,
საუგელას, ალგასანისა და
ტონუს ელასტის სამკურნალო
პროდუქციას

გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!

+995 32 296 72 27
www.aversi.ge

ავერსი
AVERSI

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სალომე ზურაბიშვილი მერის კანდიდატად დასახელდება?



„კარგი იქნებოდა, რომ თითო მათგანმა თავისი გადაწყვეტილების ახსნა-განმარტება მიაწოდოს საზოგადოებას. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა ვიცოდეთ ვინ ვინ არის და საით მიდის...“

ხათუნა მგალობლიშვილი

სალომე ზურაბიშვილმა ბევრი იბრძოლა საპრეზიდენრო არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლების მოსაპოვებლად. მისთვის ეს ოცნება აუსრულებელი დარჩა. თუმცა არ დაბოღმილა, არც განგაში აუტეხავს. წინასწარვე აცხადებდა, რომ დიდი შანსებით ახალი ხელისუფლება მის კანდიდატურას დაბლოკავდა. საკუთარ ამომრჩეველს სწორედ ამ იდეას აჩვევდა. მაშინაც და ახლაც თვლის, რომ წინ ბევრი შანსი მიეცემა. მომდევნო შანსი, როგორც ჩანს, მისთვის საგაზაფხულო თვითმმართველობის არჩევნები გახდება.

როგორც ამბობენ, სალომე ზურაბიშვილი სწორედ ადგილობრივი არჩევნებისთვის ემზადება. რა სტატუსით და ვისთან ერთად გავა არჩევნებზე „დაბრაკული“ საპრეზიდენტო კანდიდატი ეს ჯერ გადაწყვეტილი არ არის. არ არის გამორიცხული სალომე ზურაბიშვილმა საარჩევნო კოალიცია ჩამოაყალიბოს ქრისტიან-დემოკრატებთან და ახალ მემარჯვენეებთან ერთად. ან სულაც რამდენიმე პარტიის მერობის კანდიდატად დასახელდეს... დეტალებზე მსჯელობა, როგორც ამბობენ, უკვე მიმდინარეობს. მოსაფიქრებლად დრო ჯერ კიდევ ბევრია, რადგან თავად პარტიები ჯერ ხელისუფლების გადაწყვეტილებას ელიან, როდის გადაწყდება არჩევნების თარიღის დასახელება.

შესაბამისად, საარჩევნო დეტალებზე ჯერ „საქართველოს ხმის“ თავმჯდომარეც ვერ საუბრობს. მურმანიძის განცხადებით პარტია აქამდეც იღებდა არჩევნებში მონაწილეობას და გამონაკლისს არც გაზაფხულზე დაუშვებს.

თეიმურაზ მურმანიძე, „საქართველოს გზის“ თავმჯდომარე:

- მე შემიძლია გითხრათ, რომ პარტია აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში, ეს უკვე გადაწყვეტილია. რაც შეეხება ქალბატონ სალომეს, ამასთან დაკავშირებით განცხადებას თავად გააკეთებს.

- თქვენ გქონდათ უკვე მასთან საუბარი?

- ჯერ არაფერზე გვისაუბრია. ამაზე საუბარი ცოტა ადრეც მიმაჩნია ახლა.

- არც მის პოზიციას იცნობთ?

- არა, არ ვიცი. თუმცა როგორიც არ უნდა იყოს მისი გადაწყვეტილება, პარტია აუცილებლად გავა არჩევნებზე.

ოფიციალური განაცხადი სალომე ზურაბიშვილს ჯერ არ გაუკეთებია. თუმცა საკუთარ მოსაზრებას ის თითქმის ყველა პოლიტიკურ მოვლენასთან დაკავშირებით აფიქსირებს. პრინციპში, ახალი ხელისუფლების კრიტიკა ზურაბიშვილმა მალევე დაიწყო. ერთ-ერთი მთავარი საკითხი „ქართული ოცნების“ ნეპოტიზმი იყო, რომელზეც ზურაბიშვილმა საკუთარი მოსაზრება სოციალურ ქსელში დააფიქსირა: „საქართველო ნელ-ნელა იქცევა კერძო კლუბად: ადამიანები ინიშნებიან ყველაზე მნიშვნელოვან თანამდებობებზე პირადი კავშირების გამო, მათზე არაფერი ვიცით, გარდა ოფიციალური მოკლე ბიოგრაფიისა, საზოგადოებას არაფერი გაუგია მათ გამოცდილებაზე, განათლებაზე, გარდა იმისა, რომ „ის“ მათ ენდობა. დანარჩენი ხასიათდება პრტყელ-პრტყელი სიტყვებით: მაგარია, პატიოსანია, კარგი კაცია... სახელმწიფოს აშენებას სხვა რამე სჭირდება: საზღვრები, ძლიერი ეკონომიკა, სახელმწიფო სამსახურები, სადაც ადამიანები დაინიშნებიან საჯაროდ აღიარებული კრიტერიუმების მიხედვით. ჩვენი კომფორმისტული მასა კი თავს უკრავს, ულოცავს და ფიქრობს თუ ასეა, იქნებ მეც სადმე ამოვყო თავიო“...



„მე შემიძლია გითხრათ, რომ პარტია აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში, ეს უკვე გადაწყვეტილია“

თეიმურაზ მურმანიძე: „ქალბატონ სალომე ამასთან დაკავშირებით განცხადებას თავად გააკეთებს“

არანაკლები რეაქცია გამოიწვია უმრავლესობის დეპუტატების მხრიდან უკრაინისადმი სოლიდარობის არგამოცხადების ფაქტმა. საქართველოს პარლამენტში უმცირესობის ინიციატივით უკრაინის მოვლენებისადმი სოლიდარობის ნიშნად დოკუმენტი შემუშავდა. ხელმოწერა ნებისმიერ დეპუტატს შეეძლო. ბუნებრივია, ნაციონალების იდეა მიუხედავად ოპონირებისა „ოცნების“ ბევრი წევრისთვისაც მისაღები აღმოჩნდა. თუმცა კონკრეტულმა დეპუტატებმა უარი განაცხადეს ხელმოწერაზე. არ აქვს მნიშვნელობა მიზეზს. ამის გამო მათი სია ჯერ თავად უმცირესობის წევრებმა გამოაქვეყნეს, მოგვიანებით კი უცხოეთში სწორედ ზურაბიშვილმა გაავრცელა, სადაც საკუთარი შეფასებაც დაურთო თან...

სალომე ზურაბიშვილი:

- ჩემის აზრით, სამარცხვინოა სია იმ დეპუტატებისა, ვინც ხელი არ მოაწერა სოლიდარობის დოკუმენტზე მეიდანთან შეკრებილ უკრაინელ მებრძოლების მიმართ! მერე ესენი გვეტყვიან ევროპისკენ მივდივართო და პრტყელ-პრტყელ სიტყვებს არ დაგვაკლებენ, როგორც მანამდე მიშისტებმა იცოდნენ! კარგი იქნებოდა, რომ თითო მათგანმა თავისი გადაწყვეტილების ახსნა განმარტება მიაწოდოს საზოგადოებას. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა ვიცოდეთ ვინ ვინ არის და საით მიდის...

ზურაბიშვილის განცხადებით ახალმა ხელისუფლებამ შეცდომა დაუშვა, როდესაც ევროპელი ლიდერების, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის უკრაინაში ჩასვლის შემდეგ მაინც არ მიიღო იქ გამგზავრების გადაწყვეტილება. ამით მარგველაშვილმა ბურთიც და მოედანიც სწორედ ოპოზიციას დაუთმო. თუმცა სოლიდარობის გამოუცხადებლობის გარდა ზურაბიშვილი კიდევ უფრო დიდ პრობლემას თავად ქვეყნის ორიენტაციაში ხედავს. მას მიაჩნია, რომ ხელისუფლება ცდილობს ევროპისგან უარყოფითი ხატი შეუქმნას მოსახლეობას და ამას წარმატებით აკეთებს.

სალომე ზურაბიშვილი:

- სულ ისმის ევროპა! ევროპა! ისეთივე მხურვალე ევროპელობის განცხადებებს ვისმენთ, როგორც ადრე სააკაშვილისგან გვესმოდა, მაგრამ ამ ლოზუნგების უკან სინამდვილეში არაფერი არ დგას: არც ევროპის უკეთ გაცნობა, არც მისი ღირებულებების გავრცობა. ვფიქრობ, რომ უფრო შენიღბულად მიდის ევროპის დისკრედიტაცია უკვე სხვა კუთხით: მისი ღირებულებები გაშარჟებულია, ვითომდა მთელი ევროპა გეი პარადების მომხრე იყოს და ამით შემოიფარგლებოდეს ევროპული კულტურა და ფასეულობები. ევროპა წარმოდგენილია, როგორც სააკაშვილის ბოლო დამცველი: თურმე პარაფირებაზე უარს გვეტყოდნენ თუ სააკაშვილი გასამართლდება ან მერაბიშვილი ციხიდან არ გამოვა, ანუ ნელ-ნელა იხატება სურათი სადაც გვთავაზობენ ევროპის ხატს - როგორც დამცველს, არა ადამიანის უფლებების და თავისუფლების, არამედ კონკრეტული და „ოდიოზური“ ფიგურების.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„იდიოტურ ხუმრობად“ მონათლული სამეფო განქორწინება EXCLUSIVE

ხათუნა მგალობლიშვილი

მონარქიის აღდგენის მომხრეები ჩიხში შევიდნენ. სამეფო ოჯახი დაინგრა. აღდგება თუ არა, არავინ იცის. განშორების პირველი მცდელობა პატრიარქის ჩარევით ქვეყნისთვის დადებითად, მაგრამ წყვილისთვის წარუმატებლად დასრულდა. აშკარაა, რომ დავით და ანა ბაგრატიონებს ერთად ყოფნა არ უნდათ. ეს თავიდანვე ნათელი იყო, როდესაც ისინი ქორწინდებოდნენ. ანას პირველი მეუღლე ძალიან დიდი ხნის განმავლობაში უარს აცხადებდა განქორწინებაზე. მხოლოდ პატრიარქის ჩარევის შემდეგ მიიღო ანას დათმობის გადაწყვეტილება. სამეფო ოჯახის წევრები განქორწინებაზე კომენტარს არ აკეთებენ. ნუგზარ ბაგრატიონის განცხადებით, საკუთარი ქალიშვილის ოჯახზე ერთი თვის შემდეგ ალაპარაკდება. ერთადერთი ადამიანი, ვინც წყვილის დაშორებაზე შეფასება გააკეთა, ეს ანას ბებია იყო. ანას ბებიამ დავით ბაგრატიონის განცხადებას განქორწინების შესახებ იდიოტური ხუმრობა უწოდა. როგორც ჩანს, სამეფო ოჯახი ცდილობდა, სკანდალი გარეთ არ გამოეტანა, თუმცა არაფერი გამოუვიდა. დავით ბაგრატიონმა განქორწინების შესახებ ცნობა პირველად 15 დეკემბერს გაავრცელა.

დავით ბაგრატიონი: „დიდი დანანებით, ანა ბაგრატიონთან ჩემს ქორწინებას დასრულებულად ვაცხადებ. მადლობას ვუხდი მას საერთო შვილისთვის. მისი სამეფო უმაღლესობის, გიორგი ბაგრატიონ-ბაგრატიონისთვის, რომელიც ნათლობის დღეს, 2013 წლის 3 ნოემბერს, ბაგრატიონთა დინასტიის მემკვიდრედ გამოაცხადა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ და რომელიც, მისი მამის, ბაბუისა და წინაპრების მსგავსად, მუხრანის პრინცის ტიტულს დაეუფლება“... თუმცა უკვე ყოფილ მეუღლეს საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ განცხადების გაკეთება მეორედაც დასჭირდა, როდესაც საზოგადოებაში მითქმა-მოთქმა ატყდა. დავით ბაგრატიონმა მეორე განცხადებით დაადასტურა, რომ მისი გადაწყვეტილება არც ხუმრობა ყოფილა და მით უფრო, არც იდიოტური.

განქორწინების მიზეზი, ბუნებრივია, არ სახელდება. თუმცა მინიშნებები კეთდება და ერთ-ერთ მთავარ მიზეზად სწორედ ანას მამას, ნუგზარ ბაგრატიონს ასახელებენ. როგორც ამბობენ, ნუგზარ ბაგრატიონი დაუსრულებლად ცდილობდა, საკუთარი უპირატესობა დაემტკიცებინა დავითის წინაშე. ის პირდაპირ დავითთან აცხადებდა, რომ მონარქიის აღდგენის შემთხვევაში მისი ქალიშვილის გარეშე დავით ბაგრატიონი ქვეყანას ტახტის მემკვიდრეს ვერ გაუჩენდა. ბუნებრივია, ამ თემაზე ხმამაღლა არავინ საუბრობს. თუმცა უპირატესობის დამტკიცების დასტურია ნუგზარ ბაგრატიონის მხრიდან ანასა და დავითის საქორწინო ხელშეკრულების მოთხოვნა. ინიციატორი სწორედ გოგოს მამა იყო. მოთხოვნის საფუძველზე საქორწინო ხელშეკრულებაში უნდა ჩაწერილიყო, რომ უპირატესობა სწორედ ანა ბაგრატიონ-მუხრანელის შტოს ეკუთვნოდა. ხელშეკრულებაში, რომელიც ხელმოსაწერად იყო მომზადებული, დასტურდებოდა, რომ ოჯახის ახლად შობილი მემკვიდრე სამეფო სტატუსს სწორედ დედის მხრიდან მიიღებდა,

ისევე როგორც ეს მოხდა ანას პირველი ქორწინების შემთხვევაში. თავად დავითი კი ხდებოდა მეუღლე-კონსორტი, ისევე როგორც ანას პირველი მეუღლე. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ქორწინება არადინასტიურ ქორწინებად ჩაითვლებოდა, ანასა და დავითის შვილი კი იქნებოდა მუხრანელთა თავადური შტოს შთამომავალი და არა სამეფო შტოს გამგრძელებელი. როგორც ამბობენ, სწორედ ამ საკითხის გამუდმებულმა განხილვამ დაძაბა ურთიერთობა მეუღლეებს შორის.

ია ბაგრატიონ-მუხრანელი, საქართველოს თავად-აზნაურთა საგვარეულოს უფროსის მოადგილე:

– ბევრს ვერაფერს გეტყვით... საერთოდ, ძალიან ცუდია, როდესაც ახალგაზრდები შორდებიან და ბავშვი ცალკე იზრდება. ამ შემთხვევაში კი საქმე გაცილებით სერიოზულადაა. ეს განქორწინება ძირს უთხრის მონარქისტულ იდეას და მტრის წისქვილზე ასხამს წყალს. ეს ყველაფერი ძალიან პირადულია. წესით, ჭკუა თუ აქვთ ორივეს, წერტილი უნდა დაუსვან ამ გაუგებრობას. მათ ოჯახი უნდა შეინარჩუნონ და მომავალზე იზრუნონ... პატრიარქის სურვილი იყო, ეს ოჯახი შექმნილიყო, მაგრამ, თუ ორ ადამიანს ერთმანეთი არ უყვარდა, ვის შეეძლო ამის დაძალება?! ამიტომ დავითსა და ანას ყველაფერზე თავის დროზე უნდა ეფიქრათ. პრობლემები მაშინ უნდა მოეგვარებინათ, ახლა უკვე შვილი ჰყავთ და ძალიან ცუდია, როდესაც ოჯახი ინგრევა. მე, ისევე როგორც მთელი საქართველო, ძალიან გულნატკენი ვარ. ამ ყველაფერს ვხედავ არა მარტო როგორც საოჯახო ისტორიას, არამედ დიდ ზეწოლასა და ბრძოლას მონარქისტულ იდეასთან.

მონარქიის აღდგენის ერთ-ერთი მთავარი მომხრე სწორედ ბიზნესმენი ლევან ვასაძეა. ვასაძემ ტახტის მემკვიდრე 3 ნოემბერს გააქრისტიანა და მისი სულიერი მამა გახდა. ეს პატრიარქის გადაწყვეტილება იყო და სწორედ ნათლობის დღეს განაცხადა ვასაძემ, რომ მონარქიულ ქვეყნებში ოჯახის ინსტიტუტი ბევრად უფრო მყარია.

ლევან ვასაძე, ბიზნესმენი:

– სტატისტიკის მიხედვით, ოჯახის ინსტიტუტი მონარქიულ ქვეყნებში ბევრად მეტადაა დაცული, ვიდრე რესპუბლიკური მმართველობის ქვეყნებში... დედამიწაზე ყოველი მესამე სახელმწიფო არის სამეფო გვირგვინის ქვეშ. ძირითადი მაჩვენებლებით რესპუბლიკები ვერ ედრებიან ამ სახელმწიფოებს, იშვიათი გამონაკლისების გარდა. ეს არის ელიტა სახელმწიფოებრივი მართვისა. ლაპარაკი იმაზე, რომ მონარქიასთან დემოკრატია შეუთავსებელია, სრული აბსურდი და ტყუილია. დაახლოებით 200 სახელმწიფოდან 41 მონარქისტულია.

ახლა, როდესაც იდეალურად აწყობილი გეგმა იშლება, კომენტარის გაკეთებას ყველა გაურბის. როგორც ჩანს, ყველა პატრიარქის ქმედების მოლოდინშია. ის არის ერთადერთი, ვის სურვილსაც შესაძლოა, ისევ დაჰყვეს წყვილი და თხოვნა-მოთხოვნის შემთხვევაში კვლავ შერიგდნენ... თუმცა ფაქტია, რომ პირველი დაშორების შემთხვევაში დავით ბაგრატიონს საკუთარი გადაწყვეტილება ასე სახალხოდ არ გამოუფენია...

რატომ ზომავს

ხათუნა მგალობლიშვილი

ძალიან ბევრჯერ უარყო პოლიტიკაში მოსვლის ალბათობა. ბევრჯერ პირდაპირ განაცხადა, რომ ვერ იტანს პოლიტიკას და გაცილებით აღმატებული საქმით არის დაკავებული. მიუხედავად ამისა, მოლოდინი, რომ ლევან ვასაძე ქართულ პოლიტიკაში გამოჩნდება, მაინც არსებობს. ეს მოლოდინი ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში აღწევდა პიკს. კანდიდატად დასახელების ვადის ამოწურვის შემდეგ, ვასაძეს აქტიურად განიხილავდნენ დედაქალაქის მომავალ მერად. უარი აქაც მკაცრი იყო. თუმცა სწორედ ამ პერიოდში NDI ბიზნესმენს რეიტინგებს უმოწმებდა, თანაც პოლიტიკურს და თანაც საკუთარი ინიციატივით. მაშინ ლუის ნავარომ საკუთარი ორგანიზაციის გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ ვასაძე აქტიურად აკეთებდა პოლიტიკურ განცხადებებსა და შეფასებებს. შესაბამისად, არსებობდა მოლოდინი მისი პოლიტიკაში ჩართვის...

ლუის ნავარო, NDI-ს საქართველოს ოფისის დირექტორი:

– მიზეზი, რატომაც ლევან ვასაძე არის ჩვენს – „მოგწონთ თუ არ მოგწონთ“ – კითხვარში ჩასმული, არის ის, რომ მან დააფიქსირა თავისი მოსაზრება საქართველოს პოლიტიკის შესახებ. მაინც გადავწყვიტეთ, რომ გაგვეზომა ბატონი ლევან ვასაძის მოწონების მაჩვენებელი. გარდა ამისა, ის ჩართული იყო გიორგი მარგველაშვილის საპრეზიდენტო კამპანიაში და შესაძლებელია, მის გამოჩენას რაიმე ზეგავლენაც კი ჰქონოდა კამპანიაზე. ბატონი ვასაძე არის მეორე ადამიანი ბოლო ორი წლის განმავლობაში, რომელსაც საკმაოდ დიდი ფინანსები აქვს. ისევე, როგორც პრემიერ-მინისტრის გამოჩენას პოლიტიკაში ძალიან დიდი გავლენა ჰქონდა დასაწყისში და მეტწილად ეს იყო მისი ფინანსების გამო, ასევე, შესაძლებელია, გავლენა მოეხდინა ვასაძის განცხადებასაც, ამიტომ არის ის ჩვენს კვლევაში.

პრინციპში შესაძლებელია, რომელიმე კონკრეტულ პარტიას ვასაძის მიმართ პოლიტიკური ინტერესებიც ჰქონოდა და ბუნებრივია, მისი რეიტინგის გაზომვაც ადეკვატური მოთხოვნა იქნებოდა. თუმცა ფაქტია, რომ გამოკითხულთა მხოლოდ 16%-მა მოიწონა ბიზნესმენი პოლიტიკოსის რანგში, ხოლო 37%-ს აღმოჩნდა, რომ ვასაძის შესახებ საერთოდ არაფერი სმენია. თუმცა ეს ყველაფერი რამდენიმე თვის წინ იყო. მას შემდეგ ვასაძე მომავალი მეფის ნათლია გახდა და კიდევ დამატებით რამდენიმე ორიგინალური იდეის ავტორობაც „მიისაკუთრა“.

ვასაძის ერთ-ერთი ბოლო იდეა პატიმრებს უკავშირდება. ის ცდილობს, ერთდროულად ორი კურდღელი დაიჭიროს და, პატიმრების კეთილდღეობასთან ერთად, საქართველოს სასაზღვრო ზოლიც გააძლიეროს. სწორედ ამისთვის დასჭირდა უძველესი, საბჭოთა პერიოდის დროინდელი სასჯელის განახლება. უფრო დეტალურად კი პატიმრების საზღვრისპირა სოფლებში გადასახლება ციხეში ჩასმის ნაცვლად.

ლევან ვასაძე:

– სასაზღვრო ზონებში გვაქვს კატასტროფული მდგომარეობა. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის 52% არის მთა. ეს იმის მიხედვით, თუ ჩვენ ავიღებთ მთის განსაზღვრების ქართულ მეთოდს – 10 ათას მეტრს ზევით, ანუ ვაზის გავრცელების ზევით. გასული საუკუნის დასაწყისში მთაში ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 24% ცხოვრობდა, ახლა ცხოვრობს 4%. ვინც, ვთქვათ, თაღლითობა ჩაიდინა, იმის მაგივრად, რომ ორთაჭალაში იჯდეს და სახელმწიფოს უზარმაზარი ფული უჯდებოდეს, გაკეთდეს ცენტრები ამ ხალხის განსახლების და მიეცეთ უფლება ოჯახის წევრებს მათთან ერთად ცხოვრების. ამ ადამიანებს ჰყავდეთ საქონელი, მუშაობდნენ და ჰქონდეთ რესოციალიზაციის ბევრად უკეთესი პირობები. ჩვენ ახლა გვყავს დაახლოებით 14 ათასი პატიმარი. აქედან არამძიმე დანაშაულზე არ ვიცი, რამდენია, ვივარაუდებ, რომ კაცის მკვლელი და მძიმე დანაშაულის ჩამდენი იქ მცირე პროცენტია. ჩვენ შეგვიძლია, დაახლოებით, 10 ათასამდე პატიმარი, იმის მაგივრად, რომ ბეტონის გალიაში დავალპოთ, სადაც კარტის თამაშის გარდა, არაფერს აკეთებენ და გიჟდებიან, დავუბრუნოთ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

NDI ვასაძის პოლიტიკურ რეიტინგს

ლევან ვასაძის პოლიტიკური აქტივობები

„ისევე, როგორც პრემიერ-მინისტრის გამოჩენას პოლიტიკაში ძალიან დიდი გავლენა ჰქონდა დასაწყისში და მეტწილად ეს იყო მისი ფინანსების გამო, ასევე, შესაძლებელია, გავლენა მოეხდინა ვასაძის განცხადებასაც, ამიტომ არის ის ჩვენს კვლევაში“

EXCLUSIVE

NDI
NATIONAL DEMOCRATIC INSTITUTE FOR INTERNATIONAL AFFAIRS

კარგად დავიწყებულ ძველს. ბრიტანეთმა – ავსტრალია და რუსეთმა ციმბირი სწორედ ასე დაასახლა და ჩვენ რა ჯანდაბა დაგვემართა...

ვასაძის იდეას ძირითადად უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა, რადგან არ არსებობს გათვლები, რამდენი მილიონი დაუჯდება სახელმწიფოს მსგავსი სოფლების შექმნა, აშენება, მათი დაცვა, ან როგორ მოხდება იქ დამნაშავეების გაკონტროლება, რამდენად პატიოსნად დაიცავენ წესებს და, ვთქვათ, არ დატოვებენ მონიშნულ ტერიტორიას...

მსგავსი კანონი არსებობდა საბჭოთა რუსეთში. ეს იყო სასჯელის შედარებით „ჰუმანური“ ფორმა, რომელიც ხშირ შემთხვევაში დამატებით ხასიათს ატარებდა. 1920 წლიდან კი სისხლის სამართლის დანაშაულს მიემატა პოლიტიკური დანაშაულიც. შესაბამისად, რუსეთი ამ პერიოდიდან სწორედ პოლიტიკური ანგარიშსწორებისთვის იყენებდა გადასახლების მეთოდს. ბუნებრივია, გადასახლებულს ეკრძალებოდა შემოსაზღვრული ტერიტორიის დატოვება. პირი ვალდებული იყო, ყოველთვიურად გამოცხადებულიყო და რეგისტრაცია გაევლო ადგილობრივ შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებაში. საბჭოთა პერიოდში გადასახლებულები, ასევე, ვალდებულები იყვნენ, საზოგადოებრივი საქმით დაკავებულიყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სასჯელი დაუმძიმდებოდათ. მართალია, საცხოვრებელი ადგილმდებარეობის შერჩევის უფლება პატიმრებს კანონის მიხედვით ჰქონდათ, თუმცა, როგორც წესი, მათ ამ უფლების გამოყენების საშუალებას არავინ აძლევდათ.

რუსეთის გარდა, აღნიშნული კანონი სხვა ქვეყნებშიც გამოიყენებოდა. მაგალითად, დიდმა ბრიტანეთმა ეს მეთოდი დაახლოებით მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეებში შემოიღო და ისინი, სასჯელის სახით, საკუთარ მოქალაქეებს ამერიკასა და ავსტრალიაში ასახლებდნენ. პრინციპში, ბრიტანელების მიზანი ამ ტერიტორიების ათვისება უფრო იყო. სხვათა შორის, ბრიტანეთი თითქმის ოთხი საუკუნის განმავლობაში იყენებდა გადასახლების პოლიტიკას ოღონდ არამხოლოდ პატიმრებთან მიმართებაში. მათ ადგილობრივი ღარიბი და დაუცველი ოჯახებიდან მიჰყავდათ ბავშვები და მოზრდილები უკეთესი ცხოვრების მოწყობის მიზნით. „ბავშვი მიგრანტების“ ოდენობა საკმაოდ დიდი იყო, მათგან დაახლოებით 130 ათასი „მიგრანტი ბავშვი“ იძულების წესით გადაასახლეს კანადაში, ავსტრალიაში, ზიმბაბვეში და ბრიტანეთის სხვადასხვა იმპერიებში. ისინი წლობით ცხოვრობდნენ ბავშვთა სახლებში, სადაც ძირითადად სექსუალური ძალადობის, იძულებითი შრომისა და აგრესიის მსხვერპლნი ხდებოდნენ... მოგვიანებით აგრესიის ფაქტების დადასტურდა კიდეც და ვითომ კეთილშობილური პროგრამაც შეწყდა.

ბავშვებამდე საქართველოში ჯერ არ მისულან. პროცესი, როგორც ჩანს, პატიმრებით დაიწყება. სხვათა შორის, ექსპერტი კახი კახიშვილი, ალბათ, გამონაკლისია, ვინც ვასაძის იდეა მოიწონა და მაშინვე წარსული გაიხსენა.

კახი კახიშვილი, ექსპერტი:

– ეს მოდელი ადრეც იყო, ოდესღაც მოქმედებდა ნამდვილად. ნაკლებად მძიმე დანაშაულზე ვრცელდებოდა. ცუდი იდეა არ არის, როგორც ვიცი, თავად სოზარ სუბარსაც აქვს იდეები ამ საკითხთან დაკავშირებით. როგორც ვიცი, არის იდეა, რომ ნაკლები დანაშაულის ჩამდენმა პირებმა

განსაკუთრებულ პირობებში მოიხადონ სასჯელი. ინიციატივა ნამდვილად კარგია, მაგრამ ჩვენ მარტო იმაზე კი არ უნდა ვიზრუნოთ, რომ პატიმრებს ციხეში არ სცემონ და შეურაცხყოფა არ მიაყენონ, არამედ იმაზეც, რომ ამ ადამიანებს ციხიდან გამოსვლის შემდეგ წასასვლელი ჰქონდეთ, ან რაიმე პროფესია, რომ ცხოვრება დაიწყონ. წარმოიდგინეთ, რომ ადამიანმა მოიხადა 15 წელი და გამოდის აბსოლუტურად სხვა გარემოში, სხვა ერაში. სამსახურში მას არავინ მიიღებს და ამიტომ საჭიროა, პატიმრები მოვამზადოთ გარეთ გამოსასვლელად.

– მსგავსი სპეცპროექტები წინა ხელისუფლების დროსაც არსებობდა...

– მე არ ვსაუბრობ შაბლონებზე და მხოლოდ სიტყვიერ პროექტებზე. პატიმარი ციხიდან გამოსვლის დროს მინიმალურად მომზადებული უნდა იყოს, რომ მან ისევ არ დაუშვას შეცდომა და უკან არ შებრუნდეს.

– ეს პროექტი ძალიან ძვირი არ დაუჯდება ხელისუფლებას?

– არ დაუჯდება ძვირი. ხელისუფლებას ძვირი უჯდება პატიმრის ციხეში შენახვა. დანარჩენი ძვირი არაფერი არ ჯდება. ადამიანს თუ შეუქმნი პირობებს, რომ მან თავისი თავი შეინახოს, დამიჯერეთ, იმაზე ძვირი არ დაჯდება, ვიდრე ხელისუფლება ქოლგის მატარებლებსა და „ლენდ კუიზერებში“ ხარჯავს.

ვასაძის მეორე იდეა ემიგრანტებს უკავშირდება. იდეა პატიმრების გადასახლებამდე მოუვიდა და მიზანი ემიგრანტების ჩამოსახლებაა. ამისთვის ვასაძე სპეციალური გეგმის შემუშავებას აპირებს. იდეები ჯერ მხოლოდ გონებაში არსებობს და დამუშავების პროცესშია...

თავად ვასაძე საქართველოში საბოლოოდ დასახლებამდე საზღვარგარეთ ცხოვრობდა. მისივე განცხადებით, სამშობლოში დაბრუნება სწორედ მისი შვილების გაზრდამ განაპირობა. მას სურს საკუთარი შვილები საქართველოში აღიზარდონ და მისივე სურვილია, რომ ასევე გაიზარდოს ყველა ქართველი ბავშვი...

ლევან ვასაძე, ბიზნესმენი:

– ახლა ვფიქრობთ და ვსწავლობთ, როგორ ვუშველოთ ჩვენ მათ და როგორ გვიშველონ მათ ჩვენ. ძალიან მიხარია, რომ ახალ პოლიტიკურ რეალობაში ამ საკითხთან მიმართებაში ბევრად უფრო გააზრებული პოლიტიკა შეინიშნება. საოცარი დამთხვევაა ათეისტისთვის და საოცარი ნიშანია მორწმუნე ადამიანისთვის, რომ აბსოლუტური უმრავლესობა, დაახლოებით 70% იმ დოვლათისა, რომელიც საქართველოში უცხოეთიდან იგზავნება, მოდის მართლმადიდებლურ ქვეყნებზე. სწორედ მართლმადიდებელი ქვეყნებიდან შემოდის ყველაზე ბევრი ფულადი გზავნილი, ეს შემთხვევითი არ არის. ვინმე იტყოდა, რომ ეს უკავშირდება იმას, რომ რუსული იციან და ამიტომ მიდიან რუსეთში. თუმცა ამ არგუმენტს სრულიად აბათილებს საბერძნეთის ფაქტორი, რომელიც, რუსეთის მერე, მეორე ადგილზე დგას მატერიალური დოტაციით საქართველოში. ვიფიქროთ, რატომ ხდება ასე. რა, განა საბერძნეთი აშშ-სა და იტალიაზე უფრო მდიდარია? თუ აქ რაღაც სხვა მიზეზებია, რომელზე საუბარიც გვეკრძალება შხამიანი იდეოლოგიის გამო.

საკითხის შესწავლის შემდეგ, ვასაძის განცხადებით, საქართველო ბოლო 25 წლის მანძილზე ყველაზე ემიგრირებადი ერი გახდა. სხვათა შორის, ემიგრანტების დაბრუნება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი პრიორიტეტული დაპირება იყო წინასაარჩევნოდ, თუმცა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მოსაზრება ნაკლებად ხმოვანდებოდა. საბოლოოდ კი ისევე ჩაბარდა წარსულს, როგორც ბევრი სხვა მათგანი...

„ცუდი იდეა არ არის, როგორც ვიცი, თავად სოზარ სუბარსაც აქვს იდეები ამ საკითხთან დაკავშირებით. როგორც ვიცი, არის იდეა, რომ ნაკლები დანაშაულის ჩამდენმა პირებმა განსაკუთრებულ პირობებში მოიხადონ სასჯელი. ინიციატივა ნამდვილად კარგია“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მანქანებში, პრემი
გახარჯული მილ

my View

ხათუნა
მგალობლიშვილი

აღმოჩნდა, რომ ავთანდილ ბერიძე კრებითი სახელია. იგივე სინდრომით ბევრი ჩინოვნიკია დაავადებული. უბრალოდ, მათგან ყველაზე უიღბლო სწორედ აჭარელი ბერიძე აღმოჩნდა. მას არ გაუმართლა და ყველაზე გადასატეხი ჯოხი სწორედ მასზე გადატყდა. ბერიძის მწარე დასჯით დაშინებული დანარჩენი „მეოცნებეები“ ახლა პანტაპუნტით შლიან ტენდერებს, აღარც მანქანა გვინდა და აღარც ცხოვრებაო. თუმცა გამონაკლისები მაინც არსებობენ. მაგალითად, მარნეულის საკრებულოს თავმჯდომარე. ბატონმა ისპანდერმა, თქმით კი თქვა, 114-ათასლარიან მანქანაზე ტენდერი ჩავშალეო, მაგრამ რეალურად ის უბრალოდ შეჩერებულია. როგორც ჩანს, თავმჯდომარე ეშმაკობს, ცდილობს, ქაოსური მითქმა-მოთქმა მიწყნარდეს და მერე სანატრელ ბოლო მოდელ მანქანასაც ხელში ჩაიგდებს. მანამდე კი სათქმელი აქვს: უკვე ოთხი თვეა უმანქანოდ დავდივარო. და ამის მიზეზი იცით, რა არის? წინამორბედის მიერ დატოვებული „ძველი“ ავტომანქანა. სიძველესაც გააჩნია. ვისთვის რა არის ძველი. მაგალითად, ალეკო ელისაშვილისთვის „ვოლგაც“ მისაღებია თავისი სიძველეებით, ისპანდერ ქემიროვი კი 2006 წლის მანქანით ვეღარ დადის. ისე დაძველდა, აუქციონზეც აღარ იყიდებაო, წუხს...

თუმცა ფაქტია, წინასაახალწლოდ მანქანების სკანდალი სწორედ ბერიძემ ააგორა და მას ამის გამო ყველა ქალაქის საკრებულო, გამგეობა თუ მერია გადაიმტერა. ასევე, ფაქტია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ბოლო ორი წლის განმავლობაში მარტო ავტომანქანებში 90 მილიონი ლარი დახარჯა. ინფორმაცია საია-მ გაასაჯაროვა. მართალია, ბოლო მოდელი მანქანების შესყიდვის ტენდენცია პერიოდულად მცირდებოდა, მაგრამ ეს მხოლოდ დროებით. ნაციონალებმა ბერიძის სკანდალი განაზოგადეს და კონკრეტული ფაქტებით დაიწყეს საუბარი...

ნუგზარ წიკლაური, საპარლამენტო უმცირესობის წევრი:

– მთავრობა აქტიურად ცდილობს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ექსცენტრიკული თავმჯდომარისთვის ძვირადღირებული ავტომობილის შესაძენად გამოცხადებული ტენდერის ფაქტი გაასაღოს, როგორც იზოლირებული შემთხვევა. ამასთანავე, ხელისუფლების სხვადასხვა შტოები, იმ დროს, როდესაც საქართველოს ეკონომიკა დაღმასვლას განიცდის და უმუშევრობა იზრდება, აქტიურად არიან დაკავებულები ძვირადღირებული მანქანების შეძენით. ეს ყველაფერი ხდება იმ ფონზე, როდესაც სახელმწიფო ბიუჯეტში გარღვევამ 800 მილიონ ლარს მიაღწია. ეკონომიკას დააკლდა მილიარდ-ნახევარი ლარი, ხოლო მომავალ წელს მთავრობა აპირებს, ქართველი ხალხი დაამძიმოს მილიარდ 600-მილიონიანი ახალი ვალის აღებით. მეტიც, მომავალ წელს ჩინოვნიკებს, მათ შორის მაღალი თანამდებობის პირებს, რომელთაც ხელფასი ისედაც რამდენიმე ათასი ლარი აქვთ, ხელფასი კიდევ 137 მილიონი ლარით ეზრდებათ. მაგალითად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით, გამოცხადდა ტენდერი ძვირფას ავტომობილებზე, რომელთა ფასიც არის 114 ათასი, 56 ათასი, 52 ათასი და 48 ათასი ლარი. ორიოდე თვის წინ გარდაბნის საკრებულომ შეიძინა 80 ათას ლარად ღირებული „ტოიოტა ლენდ კრუიზერის“ ჯიპი და, სამწუხაროდ, ეს არ გახლავთ სრული ჩამონათვალი. „ქართული ოცნების“ მთავრობას, როდესაც ისინი ხელისუფლებაში მოვიდნენ, ადგილზე დახვდა ძალიან კარგი და თანამედროვე ავტოპარკი, რომელიც ნამდვილად არ განიცდის განახლების აუცილებლობას.

მიუხედავად აუცილებლობის არარსებობისა, საკუთარი მანქანების შემადგენლობა განაახლეს პროკურატურაში, პარლამენტში, იუსტიციის, ენერგეტიკისა და საგარეო საქმეთა სამინისტროებშიც. მათგან ყველაზე მეტი ახალი მანქანების შესყიდვაში პროკურატურამ დახარჯა – 485 ათასი ლარი.

ამ მხრივ, განსაკუთრებით აქტიური აჭარის რეგიონი იყო და შესაბამისად, ადგილობრივი უწყებები. მაგალითად, გარემოს დაცვის სამმართველოში ახალმა ხელმძღვანელობამ ორ მანქანაში 53 ათასი ლარი გადაიხადა, მაშინ როდესაც 2012 წელს ამავე თანხის ახალი მანქანები იყო შესყიდული. თუმცა 54 ათასი ლარი არ არის მაქსიმუმი, რაც მანქანებში დახარჯულა. მაგალითად, ქალაქ რუსთავის თვითმმართველობამ ერთ ავტომანქანაში 170 ათასი ლარი გადაიხადა. მარნეულის საკრებულოს თავმჯდომარემ კი – 114 ათასი. მართალია, თავად უარყოფს და აცხადებს, რომ ეს თანხა რამდენიმე მანქანის შესყიდვას მოხმარდა, მაგრამ გავრცელებული ინფორმაცია აბსოლუტურად სხვაა.

ისპანდერ ქემიროვი, მარნეულის საკრებულოს თავმჯდომარე:

– არაფერი არ არის შესყიდული. ტენდერი იყო გამოცხადებული, მაგრამ ჩავშალეთ, აღარ გვინდა არც მანქანა და არც არაფერი. ჩვენ ძალიან ძვირიანი მანქანები არ გვქონია შერჩეული, ხუთი მანქანის ყიდვა გვინდოდა,

მომავალ წელს ჩინოვნიკებს, მათ შორის მაღალი თანამდებობის პირებს, რომელთაც ხელფასი ისედაც რამდენიმე ათასი ლარი აქვთ, ხელფასი კიდევ 137 მილიონი ლარით ეზრდებათ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ეჯსა და საწვავში ოთოჯით ლარი

„2006 წლის მანქანა იყო, ძველი მანქანაა. ოთხი თვეა, აუქციონზეა და არ იყიდება“

ეს იყო სპეცმანქანები. სამსახურებს სჭირდებოდა და თავმჯდომარეს. გავრცელდა ინფორმაცია, რომ თითქოს ერთ მანქანაში ვიხდიდით 114 ათასს, ეს ორი მანქანის თანხაა რეალურად. ასევე, ითქვა, რომ თითქოს საკრებულოს თავმჯდომარემ 220 ათასად იყიდა მანქანა... რეალურად მე ვიყიდე სახანძრო სპეცმანქანა რაიონისთვის.

– თქვენ თქვით, რომ ეს მანქანები სამსახურებს ესაჭიროებოდა. და მაშინ რატომ ჩაშალეთ ტენდერი?

– ჯერ არ ჩაშლილა ტენდერი, ვინ გითხრათ, რომ ჩაიშალა?

– თავად არ თქვით, ჩაიშალაო?

– ხო, იმიტომ რომ ისეთი ამბავი ატყდა, აღარ მინდა მანქანები. მაგრამ ტენდერი ჯერ ჩაშლილი არ არის, მაგრამ, ალბათ, ჩავშლი.

– ანუ შეიძლება მაინც შეისყიდოთ ეს მანქანები?

– ყველაფერი შეიძლება.

– საკრებულოს ყველაზე ძვირიანი რა მანქანა ჰყავს?

– 28 ათას 500-იანი

– დოლარი თუ ლარი?

– დოლარი. ლარზე არაფერი არ იყიდება, ყველაფერი დოლარზეა.

– ეს თქვენთვის იყო განკუთვნილი?

– კი, მე ახლა მანქანის გარეშე ვარ. ჩემი გაფუჭდა, დაძველდა და აუქციონზეა გაყვანილი.

– რომელწლიანი მანქანა გყავდათ, რომ დაძველდა?

– 2006 წლის მანქანა იყო, ძველი მანქანაა. ოთხი თვეა, აუქციონზეა და არ იყიდება.

– როდის გადაწყდება, საკრებულო შეისყიდის თუ არა მანქანებს?

– არ ვიცი, ვნახოთ, ჯერ ძალიან დიდი მითქმა-მოთქმაა ატეხილი და მერე ვნახოთ.

გაპრობლემებური საკითხის გადაჭრას ხელისუფლება უკვე ცდილობს. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, გუნდმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მუშაობა ჯერ კიდევ ბიძინა ივანიშვილის პრემიერობის დროს დაიწყო...

ირაკლი ღარიბაშვილი, პრემიერ-მინისტრი:

– ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ბიძინა ივანიშვილი იყო პრემიერ-მინისტრი, მისი დავალებით სახელმწიფო კანცელარიამ დაიწყო მუშაობა ახალი სტანდარტების განსაზღვრის თაობაზე. ეს სტანდარტები შემუშავების პროცესშია და იმის მიხედვით განისაზღვრება, რომელი თანამდებობის პირს, რა კლასისა და ტიპის ავტომანქანა უნდა ჰყავდეს. ისე აღარ იქნება ეს, როგორც გასულ წლებში იყო და ქაოსურად, უამრავი ძვირადღირებული ავტომობილის შეძენა ხდებოდა. შსს-ში ჩემი მუშაობის დროს ჩვენ გავასხვისეთ ძვირადღირებული, არაეკონომიური მანქანები.

კონკრეტული მექანიზმის შექმნაზე საუბრობენ არასამთავრობო ორგანიზაციებიც. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას მიაჩნია, რომ ხელისუფლებამ ბევრად ეკონომიურად უნდა ხარჯოს სახელმწიფო ფული. კახა კოჟორიძის განცხადებით, შეიქმნება სპეციალური სახელმწიფო კომისია, რომელიც შეიმუშავებს გარკვეულ რეგულაციებს.

სოფიო ჭარელი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი:

– კანონი, რომლითაც სახელმწიფო შესყიდვები მიმდინარეობს, ძალზე ზოგადია, მასში ნათქვამია, რომ შესყიდვებისას სახელმწიფო ორგანიზაციები სახელმწიფო სახსრებს რაციონალურად უნდა ხარჯავდნენ, თუმცა, არ არსებობს კონკრეტული წესი, კრიტერიუმი, მაგალითად, რა სახის ავტომანქანა უნდა შეისყიდოს სამინისტრომ თუ სხვა ორგანომ, რა ხარჯები უნდა დაიხარჯოს მათ შესაძენად. ამიტომ, მთავრობას მივმართეთ რეკომენდაციით, შემუშავდეს სამართლებრივი აქტი, რომელიც კონკრეტულ წესებს, კრიტერიუმებს დაადგენს და ყველა საჯარო დაწესებულებაზე გავრცელდება. შეიქმნა სამთავრობო კომისია, რომელიც ამ საკითხს სწავლობს. ჩვენმა ორგანიზაციამ, ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენის წესთან დაკავშირებით, საჯარო სამსახურებში საინტერესო კვლევა ჩაატარა. კვლევის თანახმად, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ოქტომბრის არჩევნებიდან 2013 წლამდე 307 ავტომობილი შეიძინეს, 2013 წელს კი საჯარო დაწესებულებებმა 461 ავტომანქანა იყიდეს.

აღმოჩნდა, რომ ავტომანქანების ტენდერის გამოცხადებისას ჩინოვნიკები კონკრეტულ მოთხოვნებსაც აყალიბებენ, მაგალითად, ზოგიერთ ჩინოვნიკს სურს, რომ მის მანქანას სცეპმაცივარი ჰქონდეს, ან განსაკუთრებული საჭის დიზაინი, ან სულაც ხისა და ტყავის დიზაინით იყოს გაწყობილი შიდა ინტერიერი... „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ მსგავსი მოთხოვნები ფუფუნებაა და არა აუცილებლობა. შესაბამისად, ისინიც მხარს უჭერენ, რომ უნდა არსებობდეს ზედა ზღვარი მოთხოვნების გათვალისწინებაში.

სხვათა შორის, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეზე მეტად გასასკანდალებელი დედაქალაქის საკრებულოს ხარჯებია, მაგრამ შიხიაშვილის უწყებამ რატომღაც ნაკლები სკანდალი გამოიწვია. ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით. როგორც ირკვევა, თბილისის საკრებულოს მანქანებშიც ყველაზე მეტი აქვს გახარჯული ერთი წლის განმავლობაში, საწვავშიც და პრემიებშიც. აღნიშნული უწყება ერთადერთია, რომელსაც ბევრად მეტი საშტატო ერთეული აქვს გამოყოფილი მძღოლებისთვის. მოკლედ, ფაქტია, რომ საკრებულოში კომფორტის ბევრი მოყვარული „ცხოვრობს“. გასული წლიდან საკრებულომ 28 ახალი ავტომობილი შეისყიდა და ჯამში, მილიონამდე ლარი აქვს დახარჯული. აქედან ყველაზე ძვირიანი Mitsubishi l200-ია. ის 54 ათას 850 ლარი ღირდა, ყველაზე „იაფი“ კი საკრებულოს Kia rio დაუჯდა – 20 ათას 950 ლარი. ნუ ვისთვის იაფი და ვისთვის ორი წლის ხელფასი, ან კიდევ უფრო მეტის... ბუნებრივია, ასეთი დონის მანქანებსაც განსაკუთრებული ოდენობის საწვავი ესაჭიროებათ. შესაბამისად, ადეკვატურად გამოიყურება საწვავში გახარჯული თანხებიც. 2013 წელს საკრებულომ საწვავში 352 ათასი ლარი დახარჯა და მიხვდა, რომ იგივე რაოდენობა არ ეყოფოდათ მომავალი წლისთვის. ამიტომ 2014 წლის ბიუჯეტში საწვავის თანხა თითქმის ასი ათასით გაზარდეს – 432 ათასს შეადგენს. საინტერესო ფაქტია, რომ საკრებულომ საწვავში სამჯერ მეტი დახარჯა, ვიდრე მთავრობის კანცელარიამ და კიდევ უფრო მეტი, ვიდრე რამდენიმე სამინისტრომ.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ უცნობია ავთანდილ ბერიძის პრემიების ისტორია. მანქანების მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, დაახლოებითი წარმოდგენის შექმნა პრემიებზეც შეგვიძლია. თუმცა გონების დაძაბვა არ გვჭირდება თბილისის საკრებულოსთან მიმართებაში. აქ ყველაფერი ცხადი და ნათელია. შიხიაშვილამდე თუ საკრებულოს 23 წევრი იღებდა პრემიას, მისი თავმჯდომარედ დანიშვნის შემდეგ ეს რიცხვი 31-მდე გაიზარდა. შესაბამისად, თანხაც. ბოლო ათი თვის განმავლობაში პრემიებში საკრებულომ 1 707 631 ლარი დახარჯა. აქედან ყველაზე „მდიდარი“ ჯაბა სამუშია და გიორგი ტყემალაძე არიან. თითოეულმა მათგანმა, ჯამში, 19-19 ათასი ლარი აიღო. ირაკლი შიხიაშვილი რიგით მეორე ადგილზეა. მან ათი თვის მანძილზე 18 ათას 684 ლარი აიღო.

„ტენდერი იყო გამოცხადებული, მაგრამ ჩავშალეთ, აღარ გვინდა არც მანქანა და არც არაფერი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ნაციონალური მოძრაობიდან“ „ქა
ოცნებაში“ ბევრი უსახური არსება გა

ნინო დათაშვილი

მთავრობის ყოფილი საპარლამენტო მდივანი გია ხუროშვილი ამჯერად საბურთალოს გამგებლის პოსტზეა. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ თვითმმართველობების დონეზე ურთიერთობები საკმაოდ დაძაბული იყო, თბილისში – უფრო ნაკლებად, ცალკეულ რეგიონებში – უფრო მეტად. გია ხუროშვილი ამბობს, რომ, დაძაბულობის მიუხედავად, ცდილობს საკრებულოსთან საქმიანი ურთიერთობების შენარჩუნებას. „პრაიმტაიმთან“ ის ნაციონალების პოლიტიკურ შეცდომებზეც საუბრობს და განმარტავს, რომ, ნამდვილი დამნაშავე, თუნდაც მისი უახლოესი გუნდიდან გამოვლენილი, უნდა დაისაჯოს:

– სიმართლე გითხრათ, მას შემდეგ, რაც 2012 წლის არჩევნების შედეგები გამოცხადდა, მე პატივი ვეცი მოსახლეობის უმრავლესობის არჩევანს და დავტოვე ჩემ მიერ დაკავებული საკმაოდ მაღალი თანამდებობა. არ ჩავთვალე საჭიროდ, რომ თანამდებობის შენარჩუნების მიზნით პოლიტიკური ბრძოლა გამეგრძელებინა. მიმაჩნია, რომ, რაც არ უნდა თვლიდე, რომ კარგ საქმეებს აკეთებ ან აკეთებდი, საზოგადოებას თავი არ უნდა მოაბეზრო, და თუ თავი გაქვს, ბრძოლა პროფესიული განვითარებისთვის უნდა გააგრძელო და უკადრებელი არასოდეს იკადრო!

მე მაქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის12-წლიანი გამოცდილება. სტუდენტებთან მუშაობა დღემდე არ შემინწყვეტია და ამავდროულად მაქვს საკმაოდ კარგი საერთაშორისო კავშირ-ურთიერთობები. ასე რომ, შვებაც კი ვიგრძენი, სიმართლე გითხრათ, როცა სახელმწიფო სამსახურს ჩამოვშორდი.

აშშ-ში ვიყავი წასული, სადაც ვაპირებდი, გამეგრძელებინა ჩემი პროფესიული კარიერა, განვითარება. ერთ მშვენიერ დღეს მოვისმინე ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის განცხადება, რომლის შინაარსი დაახლოებით ასე ჟღერდა, რომ ყველა, ვინც „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს ვმუშაობდით, ვართ კრიმინალები და თითქოსდა ჩვენ არ გვაქვს უფლება საჯარო საქმიანობის (ალბათ, საზოგადოებაში გამოჩენისაც) და მადლიერი უნდა ვყოფილიყავით, თუკი ჩვენ მიმართ ამნისტია გამოცხადდებოდა. ეს ჩემთვის ძალიან შეურაცხმყოფელი იყო. ისევე როგორც იმ ათიათასობით ადამიანისთვის, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს მუშაობდა. მერწმუნეთ, ამ დროს ნებისმიერი თავმოყვარე და მართალი ადამიანი უარს იტყვის გაუჩინარებაზე და შეეცდება, დაამტკიცოს, რომ ეს ასე არ არის. და, ბატონო ბიძინა, თქვენ ამ განცხადებისას დიდი შეცდომა დაუშვით. პირადად მე ამ მომენტიდან გადავწყვიტე, უარი მეთქვა პასიურ პოლიტიკურ ცხოვრებაზე, დავბრუნდი საქართველოში, შევქმენი არასამთავრობო ორგანიზაცია და დღემდე არ მავიწყდება ივანიშვილის ასეთი შეურაცხმყოფელი განცხადება.

დღეს „ნაციონალური მოძრაობიდან“ „ქართულ ოცნებაში“ ბევრი უსახური არსება გადახტა. ჰგონიათ, რომ ხალხს დაავიწყდა მათ მიერ გაფუჭებულ საქმეები და დღეს მორალს გვიკითხავენ. მინდა, მათ შევახსენო, რომ მართალია, მათ მოიპოვეს პოლიტიკური ინდულგენცია, მაგრამ საზოგადოების ნდობასა და პატივისცემას ვერ მოიპოვებენ. თუმცა ამას ყველაზე ვერ ვიტყვი, მათ შორის არის რამდენიმე ღირსეული ადამიანიც, რომელიც ჩვენი ხელისუფლების ზოგიერთი უპასუხისმგებლო ჩინოვნიკის ზღვარგადასულმა ქმედებამ მიიყვანა ამ ნაბიჯის გადადგმამდე და დარწმუნებული ვარ, მოვა დრო, როცა ამ ჩინოვნიკების სახელები ხმამაღლა ითქმება.

ნურავის ეგონება, რომ მე ვარ „ნაციონალური მოძრაობის“ ბრმა მხარდამჭერი, პირიქით, მე ველოდები ნამდვილ დამნაშავეთა გამოვლენას და მათს უმკაცრესად დასჯას, ისევე როგორც ამას ელოდება და მხარს უჭერს უამრავი ადამიანი, რომელიც არ არის „ქართული ოცნების“ მეხოტბე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ეს მომენტი გამოიყენოს განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანების გასანადგურებლად.

ვფიქრობ, გამოძიება უნდა დაჩქარდეს, ხელისუფლებამ ერთმანეთისგან უნდა გამიჯნოს მისატევებელი და მიუტევებელი შეცდომები და ჭკვიან, პროფესიონალ და გამოცდილ, თუმცა განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანებთან ბრძოლას არ უნდა მოახმაროს დროის ის პერიოდი, როცა საქმე უნდა აკეთოს. ამიტომ დრეს პრემიერი ღარიბაშვილი დიდი გამოწვევის წინაშე დგას. „სიმპათიით ვუყურებ ირაკლი ღარიბაშვილს. ვიმედოვნებ, ეს ადამიანი უფრო მეტად შეძლებს პოლიტიკური წესრიგის დამყარებას, თუკი სახელმწიფოს მართვაში პრინციპულობას გამოიჩენს და დროულად მოახერხებს უპასუხისმგებლო ადამიანების ჩამოიშორებას.

– რაიმე სახის პრობლემებია თქვენსა და საკრებულოს შორის?

– მე არ მეშინია არც ჩემი წარსულის, არც დღევანდელობის და ვფიქრობ, რომ არ გავექცევი პასუხისმგებლობას არც მომავალში. მე რომ გამგებლობას დავთანხმდი, ყველაზე დიდი პასუხისმგებლობას ხალხის წინაშე ვგრძნობდი და მადლობა მინდა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, ვისთან ერთადაც დღეს მიწევს მუშაობა. პირველ რიგში, ვგულისხმობ საბურთალოს რაიონის მოსახლეობას, ასევე ყველა ჩემს ოპონენტს, რომლებიც ეიფორიის ქვეშ არ არიან და ღირსეულად ასრულებენ თავის ფუნქციას – გაკრიტიკებენ, როცა ამას იმსახურებ და საჭიროების შემთხვევაში ხელს არ გიშლიან საქმის კეთებაში. ნუ გაგიკვირდებათ, თუკი საკრებულოს შემადგენლობაში ასეთ ადამიანებად დავასახელებ გიორგი მუსხელიშვილს, გიორგი ტყემალაძეს, გულიკო ზუმბაძეს, ნათელა მაჭავარიანსა და ზოგიერთ სხვას. მე ეს ადამიანები საქმეში ვნახე, მოვისმინე მათი მწვავე კრიტიკაც, მაგრამ ვიგრძენი მათი გვერდში დგომაც მაშინ, როცა ჩემი გადაწყვეტილებები იყო დასაბუთებული და ხალხის საჭიროებებზე მორგებული.

თავიდან, გამოგიტყდებით, მოვინდომე, ვყოფილიყავი მეურვე გამგებელი, როგორც ეს დღეს მოდაშია, მაგრამ ცოტა ხანშივე დავრწმუნდი, რომ ასე შორს ვერ წახვალ, რადგან შენ თუ ხალხმა აგირჩია, თუ ხელმძღვანელობ ადგილობრივ თვითმმართველობას და გრძნობ პასუხისმგებლობას, მარტო შენი მეურვეობა საკმარისი არ არის. იქ, სადაც მეურვის ფუნქციას ამოწურავ, მერე იწყება ბრძოლა შენივე მოსახლეობის ინტერესების დასაცავად და თუ ეს ვერ შეძელი, მაშინ რისთვის უნდა გენდობოდეს ხალხი. ბევრჯერ შევეფეთე ისეთ სიტუაციას, როცა ყველა საშუალება ამოვწურე, როგორც „მეურვემ“ და ამის შემდეგ მომიწია სხვადასხვა კარის „ბრახუნით შენგრევა“ და რაც გინდა დაარქვით ამას, გნებავთ, როგორც პოლიტიკოსმა თუ ადვოკატმა, რადგან ეს დასჭირდა ჩემივე ხალხის ინტერესებს. ასე რომ, არავინ დაიჯეროთ, რომ საკმარისია, მეურვე გემგებელი, მერი, მინისტრი თუ პრეზიდენტი:) თუ მხოლოდ მეურვე იქნები, ან დეპრესია მოგიღებს ბოლოს, ან კიდევ ხალხი გამოგაგდებს ოთახში შეყუჟულს, თუ მას პასუხს ვერ გასცემ და იძახებ, მეურვე ვარო.

– ამბობენ, რომ აპირებთ, საკრებულოს დეპუტატად იყაროთ კენჭი...

– გამგეობაში საკმაოდ რთულ პერიოდში მოვედი და ძალიან ბევრი პრობლემა დამხვდა:

1. უნდობლობა, გამგეობის, როგორც ინსტიტუციის, მიმართ.

2. გამგეობა ადამიანების დიდ ნაწილში აღიქმებოდა, როგორც პარტიის ოფისი, და განსხვავებული შეხედულების მქონე ადამიანები პირდაპირ ერიდებოდნენ კომუნიკაციას, რაც უდიდეს შეცდომად მიმაჩნია.

3. გამგეობას არ ჰქონდა კომუნიკაცია თავისი მოსახლეობის დიდ ნაწილთან და მას ადამიანები აკითხავდნენ მხოლოდ გარდაუვალი აუცილებლობის დროს.

და კიდევ ბევრი სხვა. დღეს, ამ გადმოსახედიდან თამამად შემიძლია გითხრათ, ყველა პოლიტიკოსმა თავისი კარიერა ადამიანებთან პირდაპირი კომუნიკაციით უნდა დაიწყოს და შემდეგ მიხვდება, რა უნდა ხალხს. მაშინ იქნება მისი საქმიანობა ეფექტური, როცა ეს ყველაფერი გამოვლილი გაქვს.

საკმაოდ რთული და საინტერესო აღმოჩნდა ამ პრობლემებთან გამკლავება, მაგრამ მოხარული ვარ, რომ მართალია, წარმოუდგენელი შრომის შედეგად (ხშირად ღამეები თავზე დაგვთენებია თანამშრომლებს), მაგრამ ჩვენ შევძელით ბევრი მტკივნული საკითხის მოგვარება.

1. მიხარია ის, რომ შეხვედრაზე მოსულ მოქალაქეთა რიცხვი დღითი დღე მატულობს.

2. ადამიანები მოდიან ჩვენთან არა მხოლოდ საკუთარი პრობლემის ერთჯერადი მოგვარების მიზნით, არამედ ისინი გამგეობასთან უკვე თანამშრომლობენ, ასევე, სხვების პრობლემების მოგვარების კუთხითაც და დღეს 2000 ოჯახის შესახებ მოკვლეული ინფორმაცია მიდევს მაგიდაზე, რომელიც გამგებელთან არსებული საზოგადოებრივი სათათბიროს წევრებმა მომაწოდეს და საახალწლოდ ჩვენ დახმარებას გავუწევთ მათ. და ეს პროცესი გაგრძელდება.

3. ჩვენ ავამუშავეთ ბევრი ისეთი პროექტი, რომელიც მანამდე არასოდეს ამუშავებულა, მათ შორის უცხოეთის სხვადასხვა რეგიონებთან, აქტიური თანამშრომლობის კუთხით, და თუკი უძლურ ბებიას გამგეობა დაეხმარა წამლის შეძენაში, მის შვილიშვილს ჩვენ მივეცით მომავლის პერსპექტივა და სოციალურად დაუცველი 4 ბავშვი დღეს გამგეობის მხარდაჭერით სწავლობს ბერლინის სკოლაში და ჩვენ ამ ტიპის პროექტებს აუცილებლად გავაგრძელებთ.

4. ვაგრძელებთ შეხვედრებს საზოგადეობის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან და დავაწესეთ საპატიო და ამაგდარი საბურთალოელის წოდება. და ეს არ არის ფორმალობა. ვაპირებ ამ ადამიანების ცოდნა, გამოცდილება და რჩევები საბურთალოს რაიონის შემდგომ განვითარებას მოვახმარო.

5. მიმდინარეობს მოლაპარაკებები ამერიკის, იტალიის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნების ადგილობრივ თვითმმართველობებთან სხვადასხვა ტიპის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ და მე ამ კონტაქტების შედეგად, ვფიქრობ, ბევრ საბურთალოელს დავეხმარები.

6. საბურთალოს რაიონში მდებარე საბავშვო ბაღების გამგეები ამჯერად იმყოფებიან გერმანიაში, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, და მათი მიღებული გამოცდილება უდავოდ აისახება ჩვენი პატარების მომავალ განვითარებაზე.

7. 2013 წელს საბურთალოს რაიონში სოციალური დახმარების შესახებ განცხადებების 97%, რომლებიც მიეკუთვნებოდა გამგეობის კომპეტენციას, ნაწილობრივ ან სრულად დაკმაყოფილებულია.

8. გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა და რაიონში დღესაც შეუჩერებლად მიმდინარეობს სამუშაოები, როგორც კორპუსებში, ასევე ქუჩებსა და ეზოებში.

ეს იმიტომ ჩამოვთვალე, რომ ადამიანებს ვუთხრა, ადგილობრივ ხელისუფლებაში ყოფნა ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა და თუკი მას სერიოზულად მიუდგები, ბევრი სერიოზული პრობლემის მო-

გია ხუროშვილი:
„როდესაც გაბრალებენ, რომ შენ სისხლისმსმელი ხარ და ქვეყანას აქცევ, კი არ უნდა დაიმალო, არამედ კეთილი უნდა ინებო და ბრალდებას შესაბამისი პასუხი გასცე, გააბათილო, თუ არადა, დეზინფორმაციისგან დაბნეული საზოგადოება აუცილებლად მოგთხოვს პასუხს და სამართლიანადაც“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რთულ დახტა“

გვარებას შეძლებ.

თუმცა იმასაც გეტყვით, რომ ყველაზე ნაკლებად გამგებლობაზე ვოცნებობდი და აბსოლუტურად არ ვოცნებობ საკრებულოს დეპუტატობაზე.

– თქვენ, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი, რას მიიჩნევთ თქვენი გუნდის მთავარ შეცდომად?

– პირდაპირ დაგისახელებთ, პროკურატურის აქტიური ჩარევა ბიზნესში, როცა ამის ნებას აძლევ უწყებას, მერე რთული ხდება მისი კონტროლი, არადა პასუხისმგებლობას ხელისუფლება იღებს. არც მაშინ არ მომწონდა პროკურატურის უადგილო აქტიურობა და არც დღეს ვიტყვი იმას, რომ ეს მართალი იყო.

ასევე, „ნაციონალური მოძრაობის“ მთავარ შეცდომად მივიჩნევ იმას, რომ ბევრი მოხელე თავს არიდებდა საზოგადოებასთან აქტიურ კომუნიკაციას და მთელ რიგ საკითხებზე ახსნა-განმარტების მიცემას. როდესაც გაბრალებენ, რომ შენ სისხლისმსმელი ხარ, ბავშვებს კლავ, ქალებს საშვილოსნოს აჭრი და ქვეყანას აქცევ, კი არ უნდა დაიმალო, არამედ კეთილი უნდა ინებო და ბრალდებას შესაბამისი პასუხი გასცე, გააბათილო, თუ არადა, დეზინფორმაციისგან დაბნეული საზოგადოება აუცილებლად მოგთხოვს პასუხს და სამართლიანადაც.

კიდევ ერთ შეცდომად მივიჩნევ, რომ შურისძიების ეს კარუსელი, რომელიც დღეს ტრიალებს, სამწუხაროდ, „მოდური“ იყო 9 წლის წინათაც და „მოდურია“ დღესაც. რას ვგულისხმობ? შევეცდები, გასაგებად ავუხსნა საზოგადოებას. 2004 წელს მაშინდელმა პრემიერმა ზურაბ ჟვანიამ დამიბარა და მითხრა, დაწერე ისეთი კანონი, რომელიც საზოგადოებას შეარიგებს ერთმანეთთან, ყველას ვაპატიებთ წარსულში დაშვებულ შეცდომებს, გარდა, რა თქმა უნდა, მძიმე დანაშაულებისა და ქვეყანა დაიწყებს ახალ ცხოვრებასო. კარგად მახსოვს ჩემი შეკითხვა, – კახა თარგამაძესაც გულისხმობთ-მეთქი, რადგან ის იმ პერიოდში განიხილებოდა, როგორც ყველაზე ოდიოზური ფიგურა.

არ დამავიწყდება ბატონი ზურაბის პასუხი: თუკი ადამიანები მიხვდებიან თავის შეცდომას და თუნდაც უკანონოდ ნაშოვნ ფულს ისევ ქართველებს მოახმარენ, ბიზნესს აქ ჩამოიტანენ და ქვეყანას განავითარებენ, ვაპატიოთ, სად ვდიოთ, აბა, ამათ დაუსრულებლადო. მაშინ ცოტა გამიკვირდა, მაგრამ დღეს ვაანალიზებ ამას და ვიხსენებ, რომ საზოგადოება ამისთვის მზად კატეგორიულად არ აღმოჩნდა. მეტიც, ეს იდეა იმდენად არაპოპულარული იყო, რომ იდეა ქონების ლეგალიზაციის შესახებ კანონიდან საერთოდ გაქრა და შინაარსი კანონისა ასეთი ჩამოყალიბდა – არავის არაფერი ეპატიებოდა.

ზოგიერთი პოლიტიკოსი მაშინაც საზოგადოების დაკვეთად აცხადებდა ნულოვან ტოლერანტობას. დაბოლოს, სამწუხაროდ, ეს ნულოვანი ტოლერანტობა შეეხო უამრავ ოჯახს და ბევრმა ადამიანმა საუკეთესო წლები ციხეში უაზროდ გაატარა. როცა შეიძლებოდა, ეს რესურსი ქვეყანას სხვანაირად გამოეყენებინა, თარგამაძე კი, რომლის გვარსაც ამ კანონის „გასაპრავებლად“ ახსენებდდნენ... გსმენიათ ვინმეს მისი დასჯის შესახებ? მე პირადად არაფერი გამიგია. სხვა კი ამ რეპრესიის მსხვერპლი ბევრი ვნახე.

ამიტომ დიდი დაფიქრება გვმართებს დღესაც, უნდა შეჩერდეს შურისძიების კარუსელი, საზოგადოებამ უნდა მოძებნოს ძალები საკუთარ თავში, რომ ერთი პროფესიის ადამიანები ერთმანეთში მოსისხლე მტერს კი არ ხედავდნენ, არამედ ისინი ერთად უნდა იბრძოდნენ თავისი ქვეყნის გადასარჩენად, უნდა აიკრძალოს სიძულვილის რიტორიკა და საჯარო მოხელეები და მათი ოჯახის წევრები თანამდებობაზე დანიშვნებს 200-300-კაციან სუფებზე, რესტორნებში კი არ უნდა აღნიშნავდნენ, არამედ უნდა უფიქრდებოდნენ იმ პასუხისმგებლობას, რომელიც ამ თანამდებობას მოჰყვება, წინააღმდეგ შემთხვევაში ისტორიის განმეორება გარდაუვალი იქნება და ეს ადამიანებს სასიკეთოს არაფერს მოუტანს.

მარიამ ნადირაძე

რამდენიმე წლის წინათ სააკაშვილის კანონმდებლებისგან გაჟღერებული იდეა დღეს ხდება განხილვის საგანი. ადვოკატთა კორპუსი მოითხოვს, რომ მოწმეების დაკითხვა არა პოლიციაში, ან პროკურატურაში, არამედ პირდაპირ სასამართლოზე მოხდეს. ამ ინიციატივის მხარდამჭერები მიიჩნევენ, რომ ეს ერთადერთი გზაა პრევენციისთვის, რათა მოწმეებზე ზეწოლა არ მოხდეს ძალოვან უწყებებში.

ადვოკატების ხმაურიან ინიციატივას ექსპერტები უტოპიურს უწოდებენ

EXCLUSIVE

იგივე ადვოკატები ამ იდეას მხარს სააკაშვილის ხელისუფლების პირობებშიც უჭერდნენ. მაშინ ამ მიმართულებით კანონპროექტიც შემუშავდა, თუმცა სუპერდემოკრატიის სახელით წამოწყებულმა ინიციატივამ საბოლოოდ ჩაილურის წყლის ორი წლის დოზა დალია, ვინაიდან მისი განხორციელება მაშინდელმა ხელისუფლებამ სწორედ 2 წლით გადადო. რა იყო ამის მიზეზი, ამ თემაზე მსჯელობა სხვადასხვა რაკურსით შეიძლება, თუმცა ჩვენი სტატიისთვის ეს არ არის მთავარი თემა. დღეისთვის უფრო აქტუალური ის გახლავთ, რამდენად შეიძლება მაშინ შეჩერებული იდეის განხორციელება და თუ ეს მაინც ვერ მოხდება, ექნებათ თუ არა მის მხარდამჭერებს სათქმელი, რომ დღევანდელი ხელისუფლებაც, წინამორბედის მსგავსად, საქმეების შეკერვას მოწმეებზე ზეწოლის ფასად გეგმავს...

ამ თემასთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიცია აქვს პროფესორ გია მეფარიშვილს, რომელიც მიიჩნევს, რომ მოწმეებზე ზეწოლისგან თავის დასაცავად არსებობს სულ სხვა, გაცილებით მარტივი ხერხი. „პრაიმტაიმი“ სწორედ მასთან ინტერვიუს გთავაზობთ:

– სისხლის სამართლის საქმე უნდა დასრულდეს წინასწარ გამოძიებაში და მერე საქმე უნდა წავიდეს სასამართლოში. ხომ ასეა? ბუნებრივია, წინასწარი გამოძიების მასალებში იქნება მოწმის დაკითხვის ოქმიც. მერე ეს საქმე როგორ შევა იმ სასამართლოში, სადაც მოწმის ჩვენება დაფიქსირდება?

– აცილების საფუძველია?

– რა თქმა უნდა და ეს არარეალურია, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ასეთი რამ არ არსებობს. ამას სჯობს, სხვა მიმართულებით ვიმუშაოთ. აუცილებელი რომ გახდეს მოწმის ჩვენების ტექნიკური საშუალებებით ჩაწერა, ეს ხომ მოხსნის ამ პრობლემას, რის საშიშროებასაც ადვოკატები ასახელებენ? ვინ გაბედავს იძულებას, როდესაც დაკითხვის პროცესი ფირზე აისახება? დღეს ეს გამოძიების უფლებაა. თუ კანონმდებლობაში შევა ცვლილება, რომ, თუ მოწმე მოითხოვს ფირზე ჩვენების ჩაწერას და ასლი მას გადაეცემა, ხომ ვეღარავინ მოახერხებს მის ფაბრიკაციას? მით უმეტეს, თუ ადვოკატი ეყოლება თან. შესაბამისად, საკითხიც გადაწყვეტილია... სხვათა შორის, 1998 წელს ჩვენ გვქონდა კანონში, რომ მოწმეს ჰყოლოდა ადვოკატი. როდესაც ეს ამოაგდეს კანონიდან სააკაშვილის ხელისუფლებაში, რას ფიქრობდნენ, ნეტავ? ვინმემ ხმა ამოიღო?

– ანუ თქვენ სთავაზობთ ალტერნატივას...

– დიახ, რომ ტექნიკური საშუალებებით დაკითხვის ჩაწერა იყოს არა გამომძიებლის, არამედ მოწმის უფლება. საქმეში დაახლოებით 80-85 პროცენტი არის მოწმეების ჩვენებები. ეს რომ სასამართლოზე მოხდეს, წარმოგიდგენიათ, რა მოხდება? იქნება კალათბურთის თამაში. სადაც მოწმე ჩვენებას დააფიქსირებს წინასწარი გამოძიების სტადიაში, იმ სასამართლოში საქმე აღარ შევა განსახილველად. ამხელა რესურსი ჩვენ გვაქვს? შევძლებთ ამას? რა თქმა უნდა, ვერა. თანაც, რა აზრი აქვს ამის გაკეთებას?

– თქვენ ამბობთ, რომ ასეთი პრეცედენტი არ არსებობს, რომ მოწმე პირდაპირ სასამართლოზე იკითხებოდეს...

– დაგიკონკრეტებთ: იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს სასამართლომდე წარმოების (წინასწარი გამოძიების) სტადია, მოწმის დაკითხვის ასეთი წესი არსად არ არსებობს. უხერხულობანი, რომელიც შეიქმნა ქართული პრაქტიკის მიხედვით, რაც იწვევს ადამიანის უფლებების მასობრივ დარღვევებს, განსაკუთრებით საპოლიციო დაწესებულებებში წარმოდგენისთანავე, შეიძლება კანონმდებლის მიერ პოლიტიკური დევნის შემთხვევაში მოიხსნას, ელემენტარულად, შემდეგი საშუალებებით: დღეს გამომძიებელს უფლება აქვს, ჩაწეროს მოწმის ჩვენება მაგნიტოფონზე, ან ვიდეოზე. თუ აღნიშნულ უფლებას დაკითხვისას მივცემთ მოწმესაც, ისე რომ მან ასლი მიიღოს, ყველა უხერხულობა მოიხსნება. ამასთანავე, მას უნდა აღუდგეს ადვოკატით სარგებლობის უფლება. ადვოკატი მის დაკითხვას უნდა დაესწროს.

– ადვოკატის დასწრების უფლება მოწმეს ხომ არც დღევანდელი კანონმდებლობით აქვს ჩამორთმეული?

– არ სარგებლობს. დღეს მას უფლებას განუმარტავს გამომძიებელი და პრაქტიკულად არ აძლევს ადვოკატით სარგებლობის საშუალებას.

– ის, რომ ამის პრეცედენტი არც ერთ სხვა ქვეყანაში არ არსებობს, არც სააკაშვილის დროს იცოდა ვინმემ და არც ახლანდელმა ადვოკატებმა იციან, ვინც ამ ინიციატივას უჭერს მხარს?

– არ იციან... რატომ გამორიცხავთ ამას?

– თავი რომ დავანებოთ სხვა ქვეყნების გამოცდილებას, იდეა საკმაოდ ლიბერალურად ჟღერს. მისი განხორციელების სირთულე რაში მდგომარეობს?

– ამის გაკეთება ორგანიზაციულად ძალიან რთულია: თუ მოსამართლე დააფიქსირებს მოწმის ჩვენებას და ამის შესახებ შეადგენს ოქმს, ის მოსამართლე მერე ამ სისხლის სამართლის საქმეს ვეღარ განიხილავს. ჩვენ ამის გამკეთებლები არ ვართ და წავა „პინკ-პონკის“ თამაში.

– თქვენ საუბრობთ წინასწარი გამოძიების ფარგლებში მოწმის დაკითხვაზე მოსამართლის მიერ, მე კი გთავაზობთ განვიხილოთ თემა, შეიძლება თუ არა მოწმე პირდაპირ სასამართლო განხილვის დროს დაიკითხოს...

– ჩვენთან კონსტიტუციით წინასწარი გამოძიების ვალდებულება არსებობს. ამას ვერ გავექცევით. მოსამართლე ვერ შეძლებს პირდაპირ გამოძიებას. ეს დილეტანტიზმია. ახლა არის აზრი, რომ თითქოს წინასწარი გამოძიება არის წარსულის გადმონაშთი და თუ საქმე პირდაპირ დაიწყება სასამართლო გამოძიებაში, ამით ყველაფერი მოგვარდება. საქმე ასე მარტივად არ არის. წინასწარი გამოძიების ამოცანა არის, მტკიცებულებები მოკრიბოს და სასამართლოში მიიტანოს. ეს თუ არ იქნება, წინასწარი გამოძიების მისიას ვინ შეასრულებს? მოსამართლე? თუ მოსამართლე ამას გააკეთებს, ის არსებითად ვეღარ განიხილავს საქმეს. ამის გარდა, წინასწარ გამოძიებას ახორციელებენ გამომძიებლები, მას ეხმარებიან ოპერატიული სამსახურები, ექსპერტები და ა.შ. სასამართლოში რომ არ იქნება ეს, ამაზე იფიქრა ვინმემ? წინასწარი გამოძიების გარეშე წარმოება არ არსებობს. ბოლოს და ბოლოს, დევნა ხომ უნდა განახორციელოს ვინმემ? ბრალდება ხომ უნდა წაუყენოს? დევნა უნდა აღიძრას გამომძიებლის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად... თუ ჩვენ გავიზიარებთ ამერიკულ მოდელს და შევქმნით დიდი ჟიურის სისტემას, რომელიც ამ ვალდებულებას იღებს, კი ბატონო, მაგრამ ეს ძალიან ძვირი სიამოვნებაა. თანაც არაეფექტურია. ის, რაც ამერიკელებს არ მოსწონთ, ჩვენ რატომ უნდა შევქმნათ? უმჯობესი იქნება, ვიფიქროთ არსებულის მოდერნიზებაზე.

გია მეფარიშვილი: „მოსამართლე ვერ შეძლებს პირდაპირ გამოძიებას. ეს დილეტანტიზმია“

საჭიროა თუ არა წინასწარი გამოძიება?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მცდელობა გავყვე ნაკვალევს

ელენე კაპანაძე

ელენე რაქვიაშვილის პერფორმანსი, რომელიც ფონდი CARTVELI-ს მეშვეობით მოხვდა ლონდონში, ჯერ ქართულ საშობაო ბაზრობაზე იყო წარმოდგენილი, შემდეგ კი გალერეა WHITE CUBE-ში, სადაც „Be my Guest"(ანა სალდაძე დავით გიგაური) ქართული რეცეპტების წიგნის პრეზენტაცია მოეწყო.

ელენე რაქვიაშვილი, პროფესიით მხატვარი, პერფორმანსზე, ვიდეო არტზე, ფოტოგრაფიასა და ინსტალაციებზე მუშაობს. საქართველო მისთვის ინსპირაციის უშრეტ წყაროს წარმოადგენს, მისი თქმით, გარემო იმდენად რთული, მრავალფეროვანი და მოულოდნელია, რომ არასოდეს წავიდოდა სადმე სხვაგან საცხოვრებლად. ელენეს, ცხოვრებისადმი ძალიან საინტერესო დამოკიდებულება აქვს; ყველა წინაღობასა და პრობლემას როგორც გამოწვევას ისე აღიქვამს და ფიქრობს, რომ ის სირთულეები, რაც შეხვედრია მისი კარიერული წარმატების მთავარი კომპონენტია. მისი პირველი HAPPENING-იც 90-იანი წლების თბილისის სასოწარკვეთილებიდან დაიბადა. მეტროდან გამოსული ხალხი ჩაბნელებული ქუჩის მაგივრად გაჩახჩახებულ სივრცეში მოხვდნენ, სადაც გამოსახულებები კედლებზე ერთმანეთს ენაცვლებოდა. ელენეს მთავარი მამოძრავებელი იმპულსი გაუბედურებული, ორიენტირებსაცდენილი და დეპრესიული მასის გამხნევება იყო. პირველი პერფორმანსის ათი წლის თავზე, ხელოვანი ხუმრობს, რომ მისი მეგობრები დღემდე ელოდებიან როდის მორჩება „მაიმუნობას" და ხატვას დაიწყებს.

ელენემ მოახერხა აკადემიის „დამღისგან" თავის დაღწევა და თავი პერფორმანს არტისტად დაიმკვიდრა. თუმცა, მისი თქმით, ტრადიციული განათლება დაეხმარა კომპოზიციის ანყობაში, დისციპლინა და აკურატულობა ასწავლა. ის გარეგან საკითხებს ირჩევს გამოსაკვლევად. მისი შემოქმედება სოციალურ თემებზე, იდენტურობის კითხვებზე, გენდერსა და ტრადიციების გარშემო ტრიალებს. მისი თქმით, ხელოვნება ეპოქებსა და საზოგადოების მსოფლმხედველობას ცვლის, ამიტომ იგი აუცილებლად უნდა ეხებოდეს სოციალურ თემებს. ხელოვანი უკმაყოფილოა ერთობის არარსებობებით კრეატიულ წრეში, მაგრამ აუდიტორიასაც ინუნებს. დამთვალიერებელი ბევრად უფრო მიმღები, აქტიური და არაინდიფერენტული იყო 90-იან წლებში.

მისი შემოქმედება ხშირად ავლებს პარალელს ევროპულ ფასეულობებთან და ამით ქართული მენტალობის ყველაზე პრობლემატური საკითხების გამომჟღავნებას ცდილობს. ბევრს მუშაობს ფართო კონცეპტებზე, როგორიცაა ქართული ნაციონალური იდენტობა, ისევე როგორც სპეციფიკური ისტორიული მოვლენები. ხელოვანი, თავის შემოქმედებაში, ევროპისა და აზიის გასაყარზე მყოფი საქართველოს გამორჩეულობას კარგად უსვამს ხაზს. ხშირად დროში მოგზაურობს, რომ ღრმად გამჯდარი სტერეოტიპებისა და შეხედულებების ფესვებს მიაკვლიოს.

მისი პერფორმანსი „ჩემი მცდელობა გავყვე ნაკვალებს" იწყება ნაციონალურ კაბაში გამოწყობილი ხელოვანის ნელი მოძრაობით ქვევრის მიმართულებით. ელენე ცდილობს მოირგოს ერთ-ერთი. პროცესში ნელ-ნელა იხდის, რომ ეს შეუძლებელი მოქმედება ჩაატაროს. ტანსაცმლის გახდისას მონოტონურ, უსახურ კომბინიზონში რჩება. ქვევრში გაძრომის მცდელობა მისი გატეხვით მთავრდება. ხელოვანი ნამტვრევებს კრეფს და ცდილობს ერთმანეთს მოარგოს. ბოლოს ხვდება - შეუძლებელია ქვევრში გაძრომა ან უკვე დამტვრეულის გამთელება. დამწუხრებული, თავდახრილი ელენე ამთავრებს პერფორმანსს. ქართული საზოგადოებისთვის დამახასიათებელია უცხოური ნესჩვეულებების პირდაპირი გადმოღება. ეს არაბუნებრივად, ძალდატანებულად და არალოგიკურად გამოიყურება - როგორც თიხის ჭურჭლის მორგების მცდელობა. ქვევრის ალეგორია ნამდვილად კარგი გადანყვეტილებაა, რადგან, ძირითადად, ძალიან ტრადიციული, ქართული ჩვეულებები გადიან ამ მოდიფიკაციებს. „დომინანტი ქვეყნების გავლენა ყოველთვის იგრძნობოდა საქართველოში, მაგრამ, ბევრი რაღაც იკარგება გაუაზრებელი ევროპიზაციის მცდელობაში - ტრადიციები, იდენტურობა, თვითშეგნება". - აღნიშნავს ხელოვანი.

ელენე რაქვიაშვილი ქართველი ხელოვანების იმ პატარა ჯგუფს მიეკუთვნება, რომლებიც ახერხებენ საკუთარი უნიკალურობის შენარჩუნებას და ამავდროულად შეესაბამებიან ევროპულ არტ ტენდენციებს.

პერფორმანსი ლონდონში ფონდი „ქართველი"-ს მეშვეობით მოხვდა. ეკა მონიავას, ლიზა ჩაჩხიანისა და ტერეზა კანდელაკის კოლექტივის მთავარი მიზანია, რომ ქართულ თანამედროვე ხელოვნებას გაუკეთოს პოპულარიზაცია. მათი უშრეტი ენთუზიაზმის ნაყოფია pop-up შოუების სერია, რომლებიც გამორჩეულად საინტერესო სახელებს ეთმობა.



ელენე რაქვიაშვილი: „მჯერა, ყველგან შეიძლება განვითარება, მაგრამ რა ტალღაზე დარჩები შენგან გამომდინარეობს"

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თაღლითური სქემა, რომელსაც პ

ვის და რატომ მფარველობდნენ ლაშა ნაცვლიშვილი, მაია მწარიაშვილი და გიგი უგულავა?

ერეკლე სტურუა

საზოგადოებას უამრავი ისტორია აქვს მოსმენილი იმის შესახებ, რა მდგომარეობაში ჩავარდნენ იპოთეკარებისგან დაზარალებული ადამიანები. შესაბამისად, იპოთეკარების მიმართ უკვე შექმნილია ერთგვარი საზოგადოებრივი დამოკიდებულება. თუმცა, გვინდა გიამბოთ ისტორია, რომელიც მკითხველს საზოგადოების ამ ნაწილის მდგომარეობაზე განსხვავებულ მოსაზრებას შეუქმნის. როგორც აღმოჩნდა, ცალსახა წარმოდგენა იმის თაობაზე, რომ იპოთეკარები აზარალებენ მხოლოდ, არცთუ ცალსახა ყოფილა და თურმე ისინიც ზარალდებიან სხვებისგან. თანაც, საკმაოდ მტკივნეულად...

„სულ ასამდე ადამიანი დავზარალდით. ერთ-ერთი ქალბატონი, რომელსაც კონსერვატორია აქვს დამთავრებული, კიბის უჯრედში ცხოვრობს დღესაც... ერთი ამაზე ნერვიულობას გადაყვა – გული გაუსკდა, რადგან ყველაფერი დაკარგა. რამდენიმე უსახლკაროდ დარჩა. ზოგიერთი თბილისიდან სხვა რაიონებში გადასახლდა. ამ ფონზე ლიკა კახიანს 4 სახლი უნდა ჰქონდეს თბილისში და მისი შვილი ლონდონში სწავლობს, იმ დროს როცა ჩემი შვილების გადასახადს აკადემიაში ჩემი მეგობრები იხდიდნენ. მე თვითონ ჩემი ძმის სახლში ვცხოვრობ...“ – უამბობს „პრაიმტაიმს“ ნიაზ მამრიკიშვილი, რომელიც ისტორიის ერთ-ერთი მონაწილეა. ხოლო ვინ არის ქალბატონი ლიკა კახიანი და ვინ არიან მისი კომპანიონები, ამის შესახებ ბატონ ნიაზთან ქვემოთ შემოთავაზებულ ინტერვიუში შეიტყობთ:

– 2008 წლის ივლისში ჩვენ შევიტანეთ ფული მშენებარე სახლში, რომელიც მდებარეობდა ჭავჭავაძის #5 ა-ში. იმ დროისთვის 5 სართულის კარკასული შენობა იდგა. პროექტში ეს სახლი იყო 9-სართულიანი. სახლს აშენებდა კომპანია „ლიბერთი სითი“, რომელიც გახლდათ კომპანია „იბერია სითის“ სამართალმემკვიდრე. მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს კომპანია ყოველ ახალ პროექტზე სახელს იცვლიდა.

– ეს კომპანია დღეს ისევ ფუნქციონირებს?

– კომპანიისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ის სამი ადამიანი, რომელიც ამ თაღლითური სქემის თავი და თავია, „ფუნქციონირებს“ რომელია...

– ვინ არიან ეს ადამიანები?

– „ენკი-ბენკის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, ლიკა კახიანი, ზურაბ დანელია, რომელიც ამჟამად სოფლის მეურნეობის სამინისტროში მუშაობს და თემურ გოგიბერიძე. ამ უკანასკნელს, უბრალოდ, ბოჰემური ცხოვრებისკენ აქვს მიდრეკილება. მათ ჩვენგან 3 მილიონ დოლარზე მეტი აკრიფეს.

– რამდენი ადამიანისგან?

– თუ არ ვცდები, 100 ადამიანისგან. საუბედუროდ, დღეისთვის ეს ციფრიც არ არის დადგენილი. ეს თავის დროზე პროკურატურას უნდა დაედგინა. ამავე დროს ამ ადამიანებს ამავე პროექტისთვის აღებული ჰქონდათ ვალი მილიონ ასი ათასი დოლარის ღირებულების „საქართველოს ბანკისგან“. დანარჩენი თანხა კი ჩვენგან აკრიფეს. გააფორმეს იპოთეკის ხელშეკრულებები და გარანტიის სახით ჩადეს ეს ბინა, რომელიც 2009 წელს უკვე აშენებული უნდა ყოფილიყო. ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული იყო, რომ მისი დარღვევის შემთხვევაში, მივიღებდით შესაბამის ბინებს.

– ანუ, როგორც მივხვდი, თქვენი მიზანი იყო არა ბინის შეძენა, არამედ იპოთეკური სესხისგან საპროცენტო სარგებლის მიღება...

– დიახ... სამთვიანი სესხი აიღეს, გაფორმდა ხელშეკრულებები, დამოწმდა ნოტარიუსში.

– სარგებელი პროცენტის სახით რამდენი უნდა ყოფილიყო?

– სტანდარტულად, 3 პროცენტი. თუ ამ პირობას არ შეასრულებდნენ, მივიღებდით იმ ბინას, რომელშიც ფული გვქონდა ჩადებული...

– კონკრეტულად თქვენ რამდენი მიეცით ამ კომპანიას?

– 39 ათასი დოლარი... სექტემბერში ამ კომპანიამ თავი გაკოტრებულად გამოაცხადა. აღმოჩნდა, რომ მათ გააფორმეს ხელშეკრულებები სხვა პირებთან ოქტომბერში, მაშინ როცა გაკოტრებულები იყვნენ და უზრუნველყოფად ისევ ის ქონება ჩადეს, რაც უკვე დატვირთული იყო იპოთეკით... ეს რომ შევიტყვეთ, უკვე ხმაური ატყდა. ნოემბერში შედგა შეკრება. მათ აღიარეს, რომ ეს ახალი კონტრაქტები გაფორმდა, მაგრამ გვითხრეს, რომ ჩვენ ფულს დაგვიბრუნებდნენ. თუმცა 2009 წლის ივლისში გავარკვიე, რომ 2008 წლის ბოლოს გოგიბერიძეს 200 ათასი მიუცია კახიანისთვის, მათ შორის ჩემი ფულიც, რომელიც კახიანმა ჯიბეში ჩაიდო. გამომრჩა თქვენთვის მათი ფუნქციების წარმოდგენა: გოგიბერიძე იყო კომპანიის გენერალური დირექტორი, დანელია გახლდათ იურიდიული და ფინანსური ხელმძღვანელი. ჩვენს თითოეულ ხელშეკრულებაზე მას ჰქონდა ხელი მოწერილი. შუამავალი გახლდათ ლიკა კახიანი. სწორედ მისი საშუალებით დავუკავშირდით ამ კომპანიას.

– უშუალოდ კომპანიაში არ მუშაობდა?

– მოგვიანებით მან დაიწყო იმის მტკიცება, რომ თითქოს მასაც ჰქონდა ამ საქმეში ფული ჩადებული. მაგრამ საეჭვო ის არის, რომ მას ერთ-ერთი ხელშეკრულება კომპანიის გაკოტრების შემდეგ, ანუ ოქტომბერში აქვს გაფორმებული და ჩადებული აქვს 110 ათასი ევრო. ერთი სიტყვით, შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ სულ რომ არ დაგვეკარგა ჩვენი ფული, ყადაღა დაგვედო ამ ქონებისთვის. მანამდე არბიტრაჟსაც მივმართეთ. მანაც დააკისრა კომპანიას ჩვენს სასარგებლოდ ფულის გადა-



ნიაზ მამრიკიშვილი

„ზურაბ დანელიამ სხვისი პირით შემომითვალა: მაია მწარიაშვილი სანამ ქალაქის პროკურორია, ვერაფერს გახდები, ჩემი შვილის ნათლიაა, ლაშა ნაცვლიშვილი კი – ჩემი ჯგუფელი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

როკურატურა 6 წელია არ იძიებს

„2010-ში ვიგებთ, რომ ის ობიექტი, რაშიც ჩვენ ფული გვქონდა ჩადებული, ბუნებაში აღარ არსებობს. ადვოკატისგან შევიტყვე, რა შეიძლებოდა ყოფილიყო მათი განზრახვა: თუკი მე ამ მისამართზე მითითებული მქონდა ჩემი ბინის კონკრეტული მისამართი, ფართი და ა.შ., 23-სართულიან სახლში იქნება სულ სხვა კონფიგურაცია და იგივე მისამართზე იქნება სულ სხვა ბინა, სულ სხვა მონაცემებით. შესაბამისად, ვერ მოხდებოდა იდენტიფიკაცია და დამიქნევდნენ ხელს“

„გამოსაძიებელიც არაფერი იყო, იმდენად აშკარა გახლდათ ყველაფერი. ერთმა ფული მისცა, მეორემ მოიპარა... ისინიც არ ამბობდნენ, ფული არ აგვიღიაო“

EXCLUSIVE

ხდა. საქმე პროკურატურამდეც მივიდა, რომელიც არც კი ფიქრობდა ჩვენთან გასაუბრებას. მით უმეტეს, არ ჩქარობდა გამოძიებას.

– რატომ?

– მოგეხსენებათ, რა დროზე ვსაუბრობთ, როცა უბრალოდ ფანჯარას ვერ ამოჭრიდი, თუ მერიისგან და კერძოდ, პატივცემულ უგულავასგან არ გექნებოდა ზურგი. მოგვიანებით გაირკვა, რომ მათაც ძალიან კარგად ჰქონდათ დალაგებული ეს ურთიერთობები. ამიტომაც გამომძიებლები სულაც არ ცდილობდნენ, ოდნავ მაინც წასულიყო წინ საქმე. ვიხვეწებოდით დაკითხვას, მაგრამ არავინ გვაქცევდა ყურადღებას. ბოლოს და ბოლოს, გამომძიებელთან არაოფიციალურ შეხვედრაზე მოვხვდი, მაგრამ ეს არ ყოფილა ოფიციალური დაკითხვა. ზოგიერთები, რომლებმაც უფრო შორს გადაწყვიტეს წასვლა, ამუშავდა სახელმწიფო მანქანა და მაშინვე გააჩერეს. ამასობაში პოსტფაქტუმ ვარკვევთ, რომ 2009 წლის ბოლოს იმ ადგილას, სადაც 5 სართულის კარკასი იყო, აღარაფერი აღარ არის, ერთი დიდი ორმოა. ჩემი მეგობარი არქიტექტორისგან შევიტყვე, რომ მერიაში იგივე მისამართზე, ჭავჭავაძის #5 ა-ში დამტკიცდა ახალი პროექტი, 23-სართულიანი სახლის მშენებლობა. დამტკიცდა პირველადი პროექტი. ეს ნიშნავს, რომ განშლა ჯერ არ არის გაკეთებული. ერთი სიტყვით, 2010-ში ვიგებთ, რომ ის ობიექტი, რაშიც ჩვენ ფული გვქონდა ჩადებული, ბუნებაში აღარ არსებობს. ადვოკატისგან შევიტყვე, რა შეიძლებოდა ყოფილიყო მათი განზრახვა: თუკი მე ამ მისამართზე მითითებული მქონდა ჩემი ბინის კონკრეტული მისამართი, ფართი და ა.შ., 23-სართულიან სახლში იქნება სულ სხვა კონფიგურაცია და იგივე მისამართზე იქნება სულ სხვა ბინა, სულ სხვა მონაცემებით. შესაბამისად, ვერ მოხდებოდა იდენტიფიკაცია და დამიქნევდნენ ხელს. ეს ყველაფერი გაგრძელდა 2011 წელშიც. ამასობაში პირადად შევხვდი მორალის ერთ-ერთ დღევანდელ მქადაგებელს, დავით სიხარულიძეს. მაშინ იუსტიციის მინისტრის მოადგილე იყო, ამჟამად დეპუტატი უმცირესობიდან. მის კაბინეტში ყველაფერი მოვუყევი. დამპირდა, ერთ კვირაში ყველაფერს გავარკვევო. ერთ კვირაში კი გაარკვია, რომ ყველაფერი მისი თანაპარტიელების კონტროლის ქვეშ იყო და ბუნებრივია, არც დამკავშირებია. ბოლოს და ბოლოს, მოვიდა 2012 წელიც. დაიმედებული იმით, რომ პატრონი გამოგვიჩნდა, ახალი საპროტესტო წერილები ვაფრინეთ თეა წულუკიანის, ეკა ბესელიას, უჩა ნანუაშვილის მისამართით, ფინანსურ პოლიციაში, კბილაშვილთან. ბოლოს ფინანსურ პოლიციასთან 40 კაცი შევიკრიბეთ. ყურადღება მოგვაქციეს, გამომძიებელიც მოგვიჩინეს, ბატონი უნგიაძე. დაუქნიეს თითი – უახლოეს ერთ კვირაში ეს ხალხი დაკითხული იყოსო. ამის მერე რამდენიმე კვირა გავიდა და არავინ გვიკავშირდებოდა. ისევ ვეტაკეთ ამ უნგიაძეს. როგორც იქნა, თითქოს ვალი დაგვადო, ერთი ნაწილი დაგვკითხა. რა თქმა უნდა, მჯიღი ირტყეს გულზე, ამათ ყველას დავიჭერთო. გამოსაძიებელიც არაფერი იყო, იმდენად აშკარა იყო ყველაფერი. ერთმა ფული მისცა, მეორემ მოიპარა... ისინიც არ ამბობდნენ, ფული არ აგვიღიაო.

– იმ 200 ათასს გულისხმობთ, გოგიბერიძემ კახიანს რომ მისცა?

– ვგულისხმობ იმას, რომ გოგიბერიძემ, კახიანმა და დანელიამ, ჩვენგან ფული აიღეს და ამაზე ოფიციალური დოკუმენტაციაც არსებობს. ანუ, ჩვენ ფული გავეცით, მათ კი გააქრეს. აქ რა იყო გამოსაძიებელი? 5 წლის ბავშვიც მიხვდებოდა ყველაფერს. ჩვენ ამ ფულის დაბრუნებას ვითხოვდით, თორემ დაიჭირეთ და ჩამოახრჩვეთო, კი არ მოგვითხოვია... როგორც მოგვიანებით გავარკვიეთ, ეს ფული ამ კომპანიას ამ კონკრეტული პროექტისთვის კი არ აუღია, სულ სხვა პროექტი წამოუწყიათ, სულ სხვა ნაკვეთი იყიდეს... ერთი სიტყვით, უნგიაძემ ერთი თვე იაქტიურა და მერე ისიც გაქრა. ამიტომ მის ზედამხედველ პროკურორთან, თემურ ნაჭყებიასთან დავიწყეთ ინტენსიური ურთიერთობა. ყველა შეხვედრა იწყებოდა მისი ტექსტით, რომ ამ ხალხის დაჭერას აპირებდა. მერე გამოიცვალა ტექსტი – ამათი დაჭერა თქვენ რას მოგცემთ, მთავარია, ფული დაგიბრუნოთო... ბოლოს შევჯერდით, – იქნებ ინვესტორი თქვენ თვითონ მოგეძებნათო...

– ამასობაში 23-სართულიანი სახლის მშენებლობა არ დაიწყო?

– მერიაში ამ კონკრეტულ მისამართზე ისევ არსებობს ეს პროექტი. მაგრამ მშენებლობის დაწყება ვერ მოასწრეს.

– თქვენ ხომ მიწაზე ყადაღა გქონდათ დადებული და ეს ყადაღა ამ პროექტს ხელს არ უშლიდა?

– ვერ გეტყვით... ეს ყველაფერი ერთმანეთის პარალელურად ხდებოდა და ამ ფაქტსაც პროკურატურა რა თვალით შეხედავდა, ამაზე ვერ გიპასუხებთ. ერთი რამ კი ცხადია, რომ ფული გადახდილი გვაქვს და ამ ადამიანებს ის წაღებული აქვთ. რა იყო გასარკვევი, არ ვიცი, მაგრამ ამაზე ბრძოლა გრძელდება უკვე მეექვსე წელია. ამასობაში კი ისინი არც ფულს აბრუნებენ, არც სახლი შენდება, ის ხუთსართულიანი კარკასიც დაინგრა და ამ ყველაფრის ფონზე პროკურატურა ჩვენ დაზარალებულადაც კი არ გვცნობს.

– რატომ?

– როგორც აღმოვაჩინეთ, მათ მფარველები გამოუჩნდნენ ახალ ხელისუფლებაშიც. წინა ხელისუფლებაში მათ მფარველად გიგი უგულავა სახელდებოდა და ამაში იყო ლოგიკა, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ 9-სართულიანი პროექტი უცებ 23-იანი გახდა და ამ სართულებს ასე იოლად რომ არ არიგებდნენ, თქვენც კარგად მოგეხსენებათ.

– ეს 23-სართულიანი სახლი ისევ „ლიბერთი სითის“ უნდა აეშენებინა?

– დიახ, აბა ვის?

– ძველი ხელისუფლების წასვლის შემდეგ, პროკურატურას რატომ უნდა შეეკავებინა თავი ამ საქმის გამოძიებისგან?

– პროკურატურის პოზიციას მე ვერ მოგახსენებთ, თუმცა გიამბობთ ერთ ამბავს: ზურაბ დანელიამ სხვისი პირით შემომითვალა: მაია მწარიაშვილი სანამ ქალაქის პროკურორია, ვერაფერს გახდები, ჩემი შვილის ნათლიაააო, ლაშა ნაცვლიშვილი კი – ჩემი ჯგუფელიო. ამიტომ, მშვიდად მოიქეცი და დაელოდე, სახლი როდის აგიშენდებაო. მერე ლიკა კახიანმა შეუთვალა სხვებს, ჩემმა შვილმა დაიწყო პროკურატურაში მუშაობა და სჯობს, ფრთხილად იყოთო. ასე რომ, მართალია, გადაჭრით ვერ ვიტყვი, რომ გამოძიების პროცესი მწარიაშვილმა, ან ნაცვლიშვილმა შეაჩერა, თუმცა გამოძიების პოზიცია ლოგიკურად ადასტურებს ამ კავშირებს... ბოლოს და ბოლოს, იმის ნაცვლად, რომ საქმე გამოეძიებინათ და შედეგამდე მისულიყვნენ, პროკურატურა დაკავდა საქმის „მოგვარებით“. როგორც უკვე მოგახსენეთ, გვირჩევდა ინვესტორის მოძებნასაც. ჩვენც დავიწყეთ მათი ძებნა იმისთვის, რომ ინვესტორს მიწა ეყიდა, ჩვენ გავესტუმრებინეთ და მერე იქ სახლს ააშენებდა თუ რას გააკეთებდა, ამას თავად გადაწყვეტდა. ამასობაში ცვლილებები მოხდა ამ კომპანიის მენეჯმენტში. გამგეობის თავმჯდომარეობიდან გადააყენეს გოგიბერიძე (თუმცა გამგეობაში დატოვეს) და თავმჯდომარედ დანიშნეს ჯუმბერ კახიძე, რომელიც ამ მიწის მფლობელი გახლდათ. თავის დროზე ისიც მოატყუეს და შემდეგ, როგორც ჩანს, გამოსავალი ამ საკადრო ცვლილებით მონახეს. ასე რომ, დღეს სწორედ კახიძეზეა გადაწყვეტილება, გაყიდის თუ არა თავის მიწას, თუმცა, ჩვენ ფული მისთვის არ მიგვიცია. ბოლოს და ბოლოს, გამოჩნდა არაბი ინვესტორი, რომელმაც მოგვთხოვა, გაგვერკვია, ვის რამდენი გვქონდა ჩადებული ამ მიწაში. ამ ამბავმა პროკურატურამდეც მიაღწია. ჩვენ შევთავაზეთ პროკურატურას – აგერ, ბატონო, გავითვალისწინეთ თქვენი რჩევა, ვიპოვეთ ინვესტორი. მართალია, არ იჭერთ იმ თაღლითებს, მაგრამ იმაში მაინც შეგვიწყვეთ ხელი, რომ მათ ხელი არ შეგვიშალონ. იცით, რა გვიპასუხეს? იანვრამდე უნდა ვაცადოთ ამ კომპანიას, რომ იქნებ თვითონ მონახონ ინვესტორიო. ანუ გამოდის, რომ მათ უნდა მონახონ ინვესტორი, რომელიც ჩვენც გაგვისტუმრებს და თავადაც დარჩებათ მოგება. ასეთი რამ ბუნებაში არ ხდება და ამასობაში კი გადის უკვე მეექვსე წელი... ეს ყველაფერი კი, როგორც ჩანს, იმ საერთო ენის შედეგია, რომელიც ამ ხელისუფლებასთან გამონახეს. ალბათ, ამ საქმეში ვიღაც-ვიღაცების ინტერესებიც ჩაიდო, ვგულისხმობ თანამდებობის პირებს პროკურატურაში...

– ფინანსურ ინტერესებს გულისხმობთ?

– აბა, სხვა რა უნდა ვიგულისხმო? პროკურატურა გვკარნახობდა პირობებს, ვთქვათ, მოგვეცემოდა თუ არა უფლება, რომ მოგვენახა ინვესტორი.

– ჯუმბერ კახიძე არ დასთანხმდა, გაეყიდა მიწა იმ არაბ ინვესტორზე?

– კახიძე ვერ დაითანხმეს. ამასობაში ვალის მოთხოვნა დაიწყო „საქართველოს ბანკმაც“.

– ინვესტორი თქვენ, იპოთეკარებს, გაკმაყოფილებდათ?

– დიახ, ჩვენ გვისტუმრებდა, მაგრამ იმ სამეულს არაფერი აღარ რჩებოდა.

– დაკარგეთ ეს ინვესტორი?

– ბუნებრივია, რადგან ამის უფლება პროკურატურამ იანვრამდე გადაგვიწია. ამასობაში პროკურატურაში არც კბილაშვილია, არც ნაცვლიშვილი და არც მწარიაშვილი. ახლა ყველაფერი თავიდან გვაქვს დასაწყები. ეს ისტორია დაბრუნდა ისევ იმ წერტილში, რომელშიც იყო 2012 წლის იანვარში. ერთი კვირის წინ ერთ-ერთ ხელმძღვანელს უკვე შევხვდი პროკურატურაში. გვაიმედებენ. ვნახოთ...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ყაზტრანსგაზ-თბილისი“ გაფრთხილებთ

KazTransGas TBILISI

- **გაუმართავი გაზის ხელსაწყოებისა და არასტანდარტული საკვამლე და სავენტილაციო არხების ხმარებისას შესაძლებელია სათავსში მხუთავი აირის – CO-ს გამოყოფა, რომელიც უფერო, უსუნო, უგემო და ძლიერ მომწამლავია. გარემოში CO-ს 0.5%-ს დაგროვება 20-30 წუთში ახდენს ადამიანზე სასიკვდილო ზემოქმედებას, ხოლო 1% შესუნთქვისას 1-2 წუთში იწვევს სიკვდილს.**
- **უსაფრთხოების პირობების დაუცველობა დიდ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ გაზის დანადგარების მომხმარებელს, ასევე მისი მეზობლების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.**

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:

- **ნუ მიანდობთ გაზის დანადგარების სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას პირს, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია;**
- **სათავსი, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ვენტილაციით; გაზის ხელსაწყოებით სარგებლობის დროს ხშირად გაანიავეთ სათავსი;**
- **გამათბობლის ან წყალგამაცხელებლის ჩართვამდე შეამოწმეთ კვამლსადენში წევა;**
- **შენობაში გაზის სუნის შემჩნევისას შეწყვიტეთ გაზის მოხმარება, გადაკეტეთ გაზის ონკანები, გამოაღეთ კარ-ფანჯრები, გაანიავეთ სათავსი. არ იხმაროთ ღია ცეცხლი, ელექტროხელსაწყოები და არ ჩართოთ ან არ გამორთოთ შუქი.**

დარეკეთ 114-ზე!

- **გაზის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია, შეამოწმოს, გადაკეტილია თუ არა ონკანები: გაზის მრიცხველთან, გაზქურასთან, წყალგამაცხელებელთან და გამათბობელ ხელსაწყოებთან;**
- **ნება მიეცით გაზის მეურნეობის მუშაკს, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ გაცემული სამსახურებრივი მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, შემოვიდეს თქვენს ბინაში მრიცხველიდან ანათვლების აღების, გაზგაყვანილობების, გაზის ხელსაწყოების დათვალიერებისა და ტექნიკური მომსახურების ჩასატარებლად.**

კატეგორიულად აკრძალულია!

- **საცხოვრებელ სახლებში, სკოლებში, ბაგა-ბაღებში, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში გაზზე მომუშავე ყველა სახეობის გამათბობელი და წყალგამაცხელებელი მოწყობილობების მონტაჟი და ექსპლუატაცია, რომელთა გამოყენებისას წვისთვის საჭირო ჰაერი აიღება სათავსიდან და წვის პროდუქტების გაწოვა არ ხდება კვამლსადენების მეშვეობით (ვინაიდან წვის პროდუქტები სათავსშივე რჩება);**
- **სავენტილაციო არხების საკვამლე არხებად გამოყენება;**
- **არასტანდარტული და თვითნაკეთი გაზის ხელსაწყოებისა და სანთურების გამოყენება;**
- **გაზის ხელსაწყოებისა და გაზგაყვანილობის თვითნებური მონტაჟი, გადაადგილება, შეერთება, გაზგაყვანილობის შეცვლა, მისი გაჯის, ცემენტის ხსნარის, შპალერის, ხის პანელის, კარადების ქვეშ მოქცევა, სავენტილაციო ცხაურის დაფარვა (დაგმანვა);**
- **დასასვენებლად და დასაძინებლად იმ სათავსების გამოყენება, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, გარდა სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული გამათბობელი ღუმელისა;**
- **გაზის ხელსაწყოების ჩამკეტი მოწყობილობების, საკვამლე-სავენტილაციო არხების არარსებობის შემთხვევაში ბუნებრივი გაზის გამოყენება;**
- **ანთებული გაზის ხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება;**
- **გაზსადენიდან ან გაზის ხელსაწყოებიდან გაზის გაჟონვის დადგენის მიზნით ღია ცეცხლის გამოყენება.**

გახსოვდეთ, რომ:

- **პასუხისმგებლობა საცხოვრებელ სახლებში გაზის საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების ექსპლუატაციაზე ეკისრებათ მომხმარებლებს.**

პატივცემულო მომხმარებლებო!

გთხოვთ, დაიცვათ გაზის უსაფრთხოდ სარგებლობის წესების მოთხოვნები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ხელისუფლება დევნილთა რაოდენობას ხელოვნურად ამცირებს?

my View
მირიან ბოქოლიშვილი

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრომ დევნილთა საყოველთაო აღწერის ფარგლებში დარღვევები გამოავლინა. ამის შესახებ მინისტრმა რამდენიმე დღის წინ ისაუბრა. დავით დარახველიძის თქმით, წინა ხელისუფლება ხელოვნურად ზრდიდა დევნილთა რაოდენობას. უწყებამ 500 საქმე უკვე გადაუგზავნა პროკურატურას, 1000 საქმის შესწავლა კი ამჟამადაც მიმდინარეობს. მოკლედ, დარახველიძე წინა ხელისუფლებას დევნილთა რაოდენობის ხელოვნურ ზრდაში ადანაშაულებს, თავად მას კი ხელოვნურად შემცირებას ედავებიან. გასულ კვირას რედაქციაში დაგვიკავშირდა „უპარტიოთა მოძრაობის“ ხელმძღვანელი, აფხაზეთიდან დევნილი მამუკა გვაძაბია, რომელიც დავით დარახველიძის უწყებას კონკრეტულ ბრალდებებს უყენებს. რეგისტრაციისთვის მისულ გვაძაბიას პრობლემა თავად შეექმნა, თუმცა ამბობს, რომ ანალოგიურ სიტუაციაშია უამრავი დევნილია, რომლებსაც რეგისტრაციაზე უარს ეუბნებიან.

„დარახველიძის უწყება პრაქტიკულად „ბომჟებთან“ გვაიგივებს“

„სირცხვილია, როცა ერთ დროს „ბეტეერებსა“ და ტანკებზე გადამჯდარი ქალბატონები და ბატონები დღეს სამართლიანობის აღდგენაზე გველაპარაკებიან“

მამუკა გვაძაბია, „უპარტიოთა მოძრაობის“ ხელმძღვანელი:

– ის, რაც პირადად გადამხდა, არ მეხება მხოლოდ მე, მსგავსი პრობლემა ბევრ დევნილს შეექმნა. ხელოვნურად ხდება დევნილების რაოდენობის შემცირება. მიჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ადგილი აქვს დევნილების პრობლემის ნიველირებას, მავანს სურს, რომ ეს გახდეს მხოლოდ ჰუმანიტარული პრობლემა და პოლიტიკური კომპონენტი აღარ არსებობდეს. არ მინდა ამ საკითხის პერსონიფიცირება, მაგრამ მოგახსენებთ, რაც მე გადამხდა. ჯერ კიდევ 2003 წელს, რუსეთიდან გამომძევეს, როგორც არასასურველი პიროვნება, საბუთებში ჩამიწერეს „ბომჟი“ და ისე გამომიშვეს. 10 წლის შემდეგ პრაქტიკულად იგივე სტატუსს მანიჭებს ჩემი ქვეყანა. ჩვენი ხელისუფლება მე, საქართველოს მოქალაქეს, დევნილს აფხაზეთიდან, არ მაძლევს საშუალებას, გავიარო რეგისტრაცია მუდმივი საცხოვრებლის მიხედვით. საუბარია დევნილთა ახალ რეგისტრაციაზე. მე, როგორც წესი და რიგია, მივმართე ერთ-ერთ სარეგისტრაციო განყოფილებას, რომელიც ისნის რაიონში 74-ე სკოლაშია განთავსებული და ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, თითიდან გამოწოვილი მიზეზით უარი მითხრეს, იმ მისამართზე დავრეგისტრირებულიყავი, სადაც ვცხოვრობ. ეს მაშინ, როცა წინა რეგისტრაცია უპრობლემოდ გავიარე და დევნილის საბუთიც მაქვს. ალბათ, მივმართავ სასამართლოს და მოვუწოდებ, იგივე გააკეთონ იმ დევნილებმაც, რომლებსაც ხელოვნურ ბარიერებს უქმნიან. ეს არ არის პიროვნული პრობლემა, ეს არის ქვეყნის პრობლემა. დღეს დარახველიძის უწყება პრაქტიკულად იგივეს აკეთებს, რაც 2003 წელს გამიკეთა რუსეთმა, ანუ „ბომჟებთან“ გვაიგივებს.

„ვფიქრობ, პროტესტის ნიშნად, საერთოდ უარი ვთქვა დევნილის სტატუსზე“

– დარახველიძე ამბობს, რომ პირიქით, წინა ხელისუფლების დროს ხელოვნურად ხდებოდა დევნილთა რაოდენობის გაზრდა...

– მე არ ვარ არც ერთი ხელისუფლების დამცველი. არ გამოვრიცხავ, რომ ვიღაც ასეთ კრიმინალურ ქმედებას მართლაც სჩადიოდა. შეისწავლონ და გაარკვიონ. ის, რომ წინა ხელისუფლებაში ვიღაც დევნილთა რაოდენობას ხელოვნურად ზრდიდა, არ გამორიცხავს, რომ მოქმედი ხელისუფლება პირიქით, ხელოვნურად ამცირებს მას. ის, რის მოწმეც ამ რამდენიმე დღის წინ გავხდი, ჩემთვის შოკისმომგვრელი იყო და საუბარი იმაზე, რომ წინა ხელისუფლება უარესს აკეთებდა, არგუმენტი ნამდვილად არ არის. ვფიქრობ, პროტესტის ნიშნად, საერთოდ უარი ვთქვა დევნილის სტატუსზე.

– სახელისუფლებო გუნდში ამბობენ, რომ სამართლიანობა უნდა აღდგეს ყველა სფეროში და მათ შორის დევნილთა რეალური სიების დადგენაც სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთო...

– ზოგადად, ეს ყბადაღებული „სამართლიანობის აღდგენა“ არის სპეკულაცია და სხვა არაფერი. საქართველოს უახლოეს ისტორიაში ყველაზე დიდი უსამართლობა მოხდა 1991-92 წლების მიჯნაზე. მე დღეს სამართლიანობის აღდგენაზე საუბარს ვიწამებდი და აბსოლუტურად შევუერთდებოდი ამ პათოსს, თუ ეს პროცესი სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყებოდა. დღეს სამართლიანობის აღდგენაზე ყველაზე მეტს ის ადამიანები საუბრობენ, ვინც ტელევიზიასთან ავტომატგადაკიდებულები მინახავს, ქალბატონებიც და მამაკაცებიც. მაინტერესებს, ამ ბოლო წლების საქმეებით რომ ინტერესდებიან მხოლოდ, წინა წლებში სამართლიანობა სუფევდა ქვეყანაში? მათ, ვინც მილიონები დააგროვეს 90-იან წლებში, თუნდაც 2003 წლამდე, სუფთა ხელებით იშოვეს ეს ფული? მაშინ გამოვიდნენ და გვითხრან, რომ სამართლიანობას აღადგენენ მხოლოდ გარკვეული პერიოდის მოცულობით. სირცხვილია, როცა ერთ დროს „ბეტეერებსა“ და ტანკებზე გადამჯდარი ქალბატონები და ბატონები დღეს სამართლიანობის აღდგენაზე გველაპარაკებიან. სამწუხაროდ, დღეს ასეთი ტიპის აგრესიულ და რადიკალურ რიტორიკაში რიგი სასულიერო პირებიც არიან ჩართულნი, რომლებიც პირდაპირ ამბიონებიდან წყევლიან საერო პირებს.

– თუმცა ეს, ზოგადად, ეკლესიის საერთო პოზიციად, ალბათ, არ უნდა გავიხილოთ...

– რა თქმა უნდა, ეკლესიაში არის ბევრი მართლაც ღვაწლმოსილი და პატივსაცემი მოღვაწე, მაგრამ მოდით, პირდაპირ ვთქვათ, რომ, სამწუხაროდ, არიან ისეთებიც, მათ შორის მაღალი რანგის სასულიერო პირები, რომელთა საჯარო განცხადებები არანაირად არ ჯდება მართლმადიდებლური სწავლების ფარგლებში, რელიგიის, რომელიც სიყვარულსა და სათნოებას ქადაგებს. მე ვერ მივესალმები იმ სასულიერო პირის განცხადებას, რომელიც მიიჩნევს, რომ თურმე რუსებმა წესრიგი დაამყარეს საქართველოში და თურმე 2008 წელს ნასროლი ბომბები ღვთის გამოგზავნილი ყოფილა. დღეს არსებობს ერთი რეალობა: მართლმადიდებელი ოკუპანტი ძალიან კარგად სპეკულირებს ჩვენი ერთმორწმუნეობით. ამ რამდენიმე დღის წინ ინტერნეტში დამიკავშირდა ერთი ჩემი ებრაელი მეგობარი, რომელიც რუსეთში მოღვაწეობს და საკმაოდ კარგადაა ჩახედული იქაურ პოლიტიკურ სიტუაციაში, აქვს კავშირები პოლიტიკურ წრეებთან. მან ასეთი რამ მითხრა: მომლოცველები, რომლებიც რუსეთის სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოდიან საქართველოში, დაკომპლექტებულია „გეერუსა“ და „ფეესბეს“ აგენტურითო. ყველა ასეთ ჯგუფს საქართველოში შემოჰყვება რუსეთის აგენტურა, რაც, ცხადია, ქართული სახელმწიფოსთვის სასიკეთო ნამდვილად არ გახლავთ. როგორც ჩანს, ეს არის ყველაზე კარგი შირმა მათთვის. თქვენი გაზეთის მეშვეობით მივმართავ საქართველოს სპეცსამსახურებს, დაინტერესდნენ ამ საკითხით.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„საქართველოს დელეგაცია გახსნის ცერემონიაზე საქართველოს დროშით გამოვა“

ნინო დათაშვილი

რუსეთის აგრესიას ევროპის ნაწილი ღიად აპროტესტებს. გერმანიისა და ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტები უარს აცხადებენ სოჭის ოლიმპიადაზე დასწრებაზე. ორივე მათგანი აცხადებს, რომ, სანამ რუსეთში ადამიანის უფლებების მხრივ, სიტუაცია არ შეიცვლება და დემოკრატია რეალურად არ იარსებებს, იქამდე რუსეთი მათთვის არასასურველი ადგილი იქნება სტუმრობისთვის.

გერმანიის პრეზიდენტი, იოახიმ გაუკი:

– ეს გადაწყვეტილება გამოწვეულია რუსეთში არსებული ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებით და ოპოზიციური პარტიის რეპრესირებით...

გერმანიის პრეზიდენტი იმედს გამოთქვამს, რომ საკუთარ სპორტსმენებს, საკუთარი გადაწყვეტილებით, შეურაცხყოფას არ მიაყენებს. პრეზიდენტი პირობას დებს, რომ სოჭიდან დაბრუნებულ მონაწილეებს თავისთან მიიწვევს და პირადად დაელაპარაკება...

არც გერმანიაა ერთადერთი და არც იოახიმ გაუკი. ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტ ვივიან რედინგს ბევრი სულაც არ უფიქრია საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ: „რა თქმა უნდა, სოჭის ოლიმპიადაზე არ ჩავალ“...

რედინგი რუსეთს პროტესტს უმცირესობის შესახებ კანონმდებლობის გამო უცხადებს. ევროკომისიის იუსტიციის, ფუნდამენტური უფლებებისა და სამოქალაქო საკითხების ხელმძღვანელი პირობას დებს, რომ რუსეთთან ურთიერთობას იქამდე შეწყვეტს, სანამ პუტინი სექსუალური უმცირესობების მიმართ არსებულ კანონმდებლობას არ შეცვლის.

ოლიმპიურ თამაშებს ოფიციალური პირების გარდა, სპორტსმენებმაც გამოუცხადეს ბოიკოტი. მიზეზი ძირითადად რუსეთში ადამიანის უფლებების უგულებელყოფაა.

საქართველომ კი ბოლო წუთს მიიღო გადაწყვეტილება, მხოლოდ სპორტსმენები გაუშვას და მთავრობა ქვეყანაში დარჩეს. საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის, გრიგოლ ვაშაძის განცხადებით, „ოცნების“ გადაწყვეტილება ძირითადად უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა განაპირობა.

იოახიმ გაუკი: „ეს გადაწყვეტილება გამოწვეულია რუსეთში არსებული ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებით და ოპოზიციური პარტიის რეპრესირებით...“

გრიგოლ ვაშაძე:

– მე თავიდანვე შევთავაზე ხელისუფლებას რეცეპტი, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. მათ ვუთხარი, რომ ნუ შერცხვებოდათ და მიემართათ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისთვის, რათა ჩვენი სპორტსმენები ოლიმპიადის დროშით გამოსულიყვნენ. ქართველი სპორტსმენები უნდა წავიდნენ და მონაწილეობა მიიღონ, რადგან ჩვენს ინტერესში ნამდვილად არ შედის სანქციების მიღება და ორი ოლიმპიური თამაშების გამოტოვება. ხელისუფლებამ დრო შეგნებულად გაწელა, იქამდე სანამ უკრაინის მოვლენები არ განვითარდა და არ გამოჩნდა, რა გავლენას ახდენს რუსეთი თავის მეზობლებზე დასავლური არჩევანის გამო. მხოლოდ ამის შემდეგ ამოღერღეს, რომ საქართველოს ხელისუფლება ოლიმპიადაზე არ გაემგზავრებოდა. ახლა უკვე დაგვიანებულია, რადგან ვერ მოესწრება ცვლილება, უკვე დეკემბრის მეორე ნახევარია. რაც შეეხება გერმანიის პრეზიდენტისა და ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტის ბოიკოტს, ეს, დამიჯერეთ, მხოლოდ დასაწყისია... ამ ხელისუფლების დიდი პრობლემა ის არის, რომ ორი-სამი ნაბიჯით წინ სიტუაციის დანახვა უჭირს.

– ანუ თქვენ ამბობთ, რომ სპორტსმენები ვეღარ მოასწრებენ განაცხადის შეტანას და ოლიმპიური დროშით გამოსვლას?

– რა თქმა უნდა, ვეღარ მოასწრებენ, რადგან ამას დრო სჭირდება. ჯერ მიმართვა, შემდეგ ნებართვის აღება...

– ფიქრობთ, რომ გერმანიასა და ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტს სხვებიც შეუერთდებიან?

– აუცილებლად შეუერთდებიან.

ყოფილი მინისტრის რჩევა ახალმა ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა. შესაბამისად, ქართველ სპორტსმენებსაც უკვე ქართული დროშითა და საქართველოს სახელით მოუწევთ გამოსვლა. ოლიმპიური კომიტეტი მიიჩნევს, რომ უკრაინის გამო თავის შეწუხება არ ღირს, რადგან თებერვლამდე იანუკოვიჩი საკითხს რამენაირად გადაწყვეტს...

კახა ბერიძე, ოლიმპიური კომიტეტის პრესსამსახურის უფროსი:

– გერმანიის ოლიმპიურმა კომიტეტმა გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ კონკრეტულად სოჭის ოლიმპიადისთვის გერმანიის პრეზიდენტს არ გამოუცხადებია ბოიკოტი. მან ბოიკოტი გამოუცხადა არა ოლიმპიადას, არამედ ქვეყანას და რუსეთში ადამიანთა უფლებების დარღვევას. იქ განმარტებულია, რომ, თუ ადამიანი არ მიემგზავრება სოჭში, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი ბოიკოტი კონკრეტულად ოლიმპიადას ეკუთვნის.

– უკრაინაში მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე, ქართველი სპორტსმენების მხრიდან ხომ არ იქნება უკრაინის მხარდამჭერი აქცია ან მსგავსი ქმედება?

– მაგაზე ახლა საუბარი ძნელია. ამაზე დღეს ვერც მე და ვერც ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ვერ ვისაუბრებთ. სიტუაციიდან გამომდინარე ვიმოქმედებთ. ჯერ ერთი, სოჭის ოლიმპიადა არის 7 თებერვალს და შესაძლებელია, ამ დროისთვის უკრაინის მოვლენები დიდი ხნის დასრულებული იყოს.



– თუ უკრაინის მთავრობამ ევრაზიული კავშირი აირჩია, ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს რაიმე პროტესტის ფორმა ქართველი სპორტსმენების მხრიდან?

– როგორც იცით, პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ მთავრობის წევრები ოლიმპიურ თამაშებზე არ გაემგზავრებიან. გაემგზავრება მხოლოდ ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობა და სპორტსმენები. თქვენს კითხვაზე შემიძლია გიპასუხოთ, რომ ქართველი სპორტსმენები ჩაერთვებიან სპორტულ აქტივობებში და არა სხვა რაიმე ღონისძიებებში.

– ოლიმპიური დროშის ქვეშ გამოვლენ ქართველი სპორტსმენები?

– საქართველოს დელეგაცია გახსნის ცერემონიაზე საქართველოს დროშით გამოვა.

„ამ ხელისუფლების დიდი პრობლემა ის არის, რომ ორი-სამი ნაბიჯით წინ სიტუაციის დანახვა უჭირს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ქართული ბრენდის რიგით მე-11 დაჯილდოების ცერემონიალი 26 დეკემბერს გაიმართება

ნანა შონია

ქართული ბრენდის რიგით მე-11 დაჯილდოების ცერემონიალი ტრადიციისამებრ 26 დეკემბერს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ გაიმართება. საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო „პროფილის“ კვლევების მიხედვით წარმატებული ბრენდები საზეიმო ცერემონიაზე დაჯილდოვდებიან.

როგორია წლების წარმატებული პროექტისთვის მზადების პროცესი, ამაზე „პრაიმტაიმი“ ექსკლუზიურად „ქართული ბრენდის დღის“ დამფუძნებლებს ელგუჯა მარღიას და მანანა გეგიძეს ესაუბრა.

„დღევანდელი მონაცემებით უკვე ცნობილია ყველა გამარჯვებული ბრენდი, რომელთა ვინაობაც 26 დეკემბერს დასახელდება“...

ელგუჯა მარღია, „ქართული ბრენდის დღის დამფუძნებელი“: - წელს, რიგით მე-11 დაჯილდოებას ვატარებთ, ამისთვის მზადება მთელი წლის მანძილზე მიმდინარეობს, შედეგები კი, ტრადიციულად, დაჯილდოების დღეს გამოცხადდება. ეს არ არის მარტო დაჯილდოების დღე, ის მოიცავს მთელ პერიოდს. არის პორტალი „ქართული ბრენდი“, სადაც არის უნიკალური შეფასების სისტემა და მთელი წლის მანძილზე ყველა მსურველს შეუძლია ხმა მისცეს სასურველ ბრენდს 60 სფეროში. მაგრამ იმისთვის, რომ დარწმუნებული ვიყოთ ამა თუ იმ ბრენდის საქმიანობაში, საველე კვლევებს სექტემბრიდან ვიწყებთ, 10 დღით ადრე კი ეს ყველაფერი ჯამდება და შემდეგ ვიღებთ შედეგებს. დღევანდელი მონაცემებით უკვე ცნობილია ყველა გამარჯვებული, რომელთა ვინაობაც 26 დეკემბერს დასახელდება. პროექტის მიხედვით, რომლის დაპატენტებაც 2005 წელს მოხდა, ნომინაციები უცვლელია: ლიდერი, რეპუტაცია და ნდობაა, წარმატებული ახალი ქართული ბრენდი, ბრენდპერსონა, წარმატებული ტელეპროექტი, რომელსაც ყოველწლიურად გამორჩეულ ტელეგადაცემას ვაჯილდოებთ. დაჯილდოებისადმი მოლოდინი კი ძალიან დიდია, რაც ნამდვილად მისასალმებელია.

მანანა გეგიძე „ქართული ბრენდის დღის დამფუძნებელი“: - „ქართული ბრენდის დღის“ წლევანდელი დაჯილდოება სირთულეების მიხედვით ნამდვილად არ ჩამოუვარდება მის წინამორბედებს. ყოველთვის რთულია ამხელა მასშტაბის პროექტზე მუშაობა. ამიტომ ყოველ წელს ისე ვნერვიულობ, როგორც პირველად. ეს არის შემთხვევა, როდესაც ყველა შესაძლო რისკი წინასწარ გათვლილი და დამუშავებული უნდა გქონდეს. განვიცდი, ამიტომ არაფერი არ უნდა გამომრჩეს, მიუხედავად იმისა, რომ პროექტს თავისი გენერალური მენეჯერი ჰყავს და ძალიან ბევრი ადამიანია ჩართული ამ პროცესებში, მაინც ყველაფერი დეტალურად უნდა გავიარო. არ შემიძლია ვიყო მშვიდად და შედეგებს ველოდებოდე.

- ალბათ, ამიტომაც არის ეს დაჯილდოება გამორჩეული და მას განსაკუთრებულად ელის ყველა.

- კი, ნამდვილად ასეა, დიდი ენერგია იხარჯება იმაში, რომ ყველაფერი მაღალ დონეზე იყოს ორგანიზებული. გარდა ამისა, არსებობს შეფასების უნიკალური სისტემა, რის გამოც ჩვენი კვლევები საზოგადოებაში მაღალი რეპუტაციითაა გამორჩეული. ბრენდის შეფასება სხვადასხვა კრიტერიუმებით ხდება, ყურადღება ექცევა აბსოლუტურად ყველაფერს, მენეჯმენტი, ცნობადობა, ქველმოქმედება, მარკეტინგული, სარეკლამო სტრატეგია, პოზიციონირება ბაზარზე, მეცენატობა, ქველმოქმედება, ნდობა და ხარისხი. ყველა კომპონენტი, ლოგოს ჩათვლით, მნიშვნელოვანია, ასევე ყურადღება ექცევა იმას, უყვარს თუ არა ესა თუ ის ბრენდი მომხმარებელს. ეს ყველაფერი ქმნის ბრენდს. არსებობს რამდენიმე კომპანია, ვინც ამდენი ხნის მანძილზე ლიდერობას ინარჩუნებს. ჩვენ ამ კუთხით 2008 წელს, ომის დროსაც არ გვქონდა კლება. იყო შემთხვევა, როდესაც წლების მანძილზე ლიდერი ბრენდები გამქრალან, თუმცა, ამის პარალელურად, ახალი ბრენდებიც აქტიურად ჩნდებიან ბაზარზე. შეიძლება ითქვას, რომ ეს ცოცხალი პროცესია, რომელიც ქვეყნის და საზოგადოების განვითარებასთან ერთად ვითარდება.

„ქართული ბრენდის დღე“ და თერთმეტწლიანი წარმატება

წლის ერთ-ერთი წარმატებული პროექტის „ქართული ბრენდის დღის“ ისტორია 11 წლის წინ, 2003 წელს იღებს სათავეს. ჟურნალისტი წყვილის მანანა გეგიძისა და ელგუჯა მარღიას იდეა საზოგადოებამ მაშინ სიტუაციის ადეკვატურად აღიქვა. თუმცა, ყველაფერმა წლებთან და განვითარებასთან ერთად სასურველი შედეგი გამოიღო.

მანანა გეგიძე: - 2003 წელს, როდესაც ჩვენ ეს ყველაფერი დავიწყეთ სიტყვა ბრენდიც კი უცხო იყო საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის. მე და ჩემი მეუღლე ორივე ჟურნალისტები ვართ, ჩვენ ძალიან კარგად ვხვდებოდით, იმ დროსაც კი, პიარის და მარკეტინგის მნიშვნელობას. ამიტომაც 2002 წლის 20 ნოემბერს დავაარსეთ საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო „პროფილი“. ჩვენთან არის ინტეგრირებული კომუნიკაციების სააგენტო. სადაც შედის რეკლამა, მარკეტინგი, პიარი. თუმცა იმ პერიოდისთვის უცხო იყო ეს ყველაფერი და ადამიანები, ვინც ბიზნესს იწყებდნენ, ამის საჭიროებას ვეღარ ხედავდნენ. ამიტომაც დაჯილდოების ცერემონიალის პირველი საღამო სალონური ხასიათის იყო. მასში მონაწილეობას იღებდნენ ისეთი კომპანიები, როგორებიც იყვნენ „თელავის ღვინის მარანი“, „თბილღვინო“, „ჯვივესი“, ფაქტობრივად ღვინის ბრენდებს მოიცავდა ეს დაჯილდოება. მოგვიანებით შემოგვემატა არყის, ხორცპროდუქტების და სხვადასხვა კომპანიები. დღეს კი უკვე თერთმეტწლიანი სამუშაო გამოცდილება გვაქვს.

„არსებობს რამდენიმე კომპანია, რომელიც ამდენი ხნის მანძილზე ლიდერობას ინარჩუნებს“

ელგუჯა მარღია, „ქართული ბრენდის დღის დამფუძნებელი:

„ამ წლების გამოცდილებით ჩვენ უკვე გამოვეცით სამაგიდო წიგნი „პიარის ენციკლოპედია“. თითქმის წელიწადზე მეტი ვიმუშავეთ ამ პროექტზე და შეიძლება ითქვას, რომ ის დღეს დეფიციტურია. ამ წიგნში თავმოყრილია მსოფლიო გამოცდილება. ჩვენ ასე დავიწყეთ და გავიზარდეთ საზოგადოებრივ აზრთან ერთად. დღეს, ჩვენი დაჯილდოება, ტრადიციულად, დეკემბერში იმართება და იქ წარმატებული ქართული ბრენდებია წარმოდგენილი“.

შუალედური პროექტი „ბრენდ მარათონი“

საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო „პროფილმა“, წელს პირველად, კიდევ ერთ ახალ, საინტერესო ტრადიციას „ბრენდების მარათონს“ ჩაუყარა საფუძველი.

მანანა გეგიძე: „წელს, პირველად ჩავატარეთ შუალედური პროექტი, სახელწოდებით „ბრენდების მარათონი“. ქართული ბრენდის დღე შუალედური პროექტია. ბრენდების მარათონი ჩავატარეთ ჯომარდობაში. ქართველმა ბრენდებმა ერთმანეთი გაიცნეს ჯომარდში, არაფორმალურ გარემოში. ეს ყველაფერი ძალიან საინტერესო და სასიამოვნო გამოდგა და ჩვენ ვაპირებთ, რომ, ყოველწლიურად, ივნისის თვეში ეს ტრადიციად ვაქციოთ“.

„ქართული ბრენდის დღის“ რიგით მე-11 დაჯილდოება და პარტნიორები

„ქართული ბრენდების რიგით მე-11 საზეიმო ღონისძიებას“, ტრადიციულად, ძალიან ბევრი მხარდამჭერი ჰყავს. პროექტის პარტნიორები არიან საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემია, „გრანდ ექსპო“, „ლეგატო“, „ენბი ტრენინგცენტრი“, „ჰორტენზია“ , „აიტი ექსპერტი“ საქართველოს ფოსტა.

საინფორმაციო მხარდაჭერა: 1. „რუსთავი 2“ 2. „მაესტრო 3“. „პირველი არხი“ 4. „მესამე არხი“ 5. რადიო „ფორტუნა“ 6. „ფორტუნა პლუსი“ 7. „სტარ ეფემი“ 8. გაზეთი „ყველა სიახლე“ 9. ჟურნალი „სარკე“ 10. „პრაიმტაიმი“ 11. Myvideo.ge 12. itv.ge 13. For.ge 14. Presa.ge 15. Droni.ge 16. „საპატრიარქოს ტელევიზია“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ღვინის ეროვნული სააგენტო

მიმდინარე წელი სსიპ „ღვინის ეროვნული სააგენტოსთვის“ საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა. განახლებული სისტემის მეშვეობით სააგენტომ, ერთ წელიწადში ფუნდამენტური ცვლილებელი განახორციელა. როგორც ღვინის ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, საგრძნობლად გაზრდილია ქართული ღვინის ექსპორტი. ქართული ღვინო უფრო და უფრო მოთხოვნადი ხდება მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში. ამ მიმართულებით „ღვინის ეროვნულმა სააგენტომ“ სწორი აქტივობები განახორციელა. ასევე შეიქმნა მომავალი წლის საპრომოციო გეგმა. როგორ აფასებენ მიმდინარე წლის მუშაობას და როგორია 2014 წლის პრიორიეტები? ამაზე „პრაიმტაიმი“ „ღვინის ეროვნული სააგენტოს “ ხელმძღვანელს, ლევან დავითაშვილს ესაუბრა.

„მესამე პროექტი, რომელიც ასევე 2014 წელს დაიწყება, საკმაოდ მნიშვნელოვანია. ეს იქნება მულტიდისციპლინარული სამეცნიერო კვლევითი პროექტი, რომლის მთავარი ამოცანაა საქართველოს, როგორც ღვინის სამშობლოდ ოფიციალურ, მეცნიერული კვლევის საფუძველზე გამოცხადება“

ლევან დავითაშვილი:

- დავიწყოთ იქიდან, რომ ღვინის ეროვნული სააგენტო ეს არის ორგანიზაცია, რომელიც 1900-იანების დასაწყისიდან მოდის, ყოფილი „სამტრესტია“, თუმცა, როდესაც მე მოვედი, სულ სხვა სიტუაცია დამხვდა. დარგიდან სულ იყო კრიტიკა, სახელმწიფოს მხრიდან გადაწყვეტილებების მიღება, არ იყო დარგთან შეჯერებული. ორგანიზაცია ასევე სტრუქტურულად არაადეკვატური იყო იმ ამოცანებთან, რასაც ისახავდა. არ არსებობდა სახელმწიფო პროგრამები მევენახეობა-მეღვინეობის სფეროში, ასევე არ არსებობდა შესაბამისი ორგანიზაციული ქვესტრუქტურები და სამუშაო პირობები.

- ანუ შეიძლება ვთქვათ, რომ ფორმალურად არსებობდა ეს ორგანიზაცია?

- დიახ, ორგანიზაცია რთულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მართალია სერტიფიცირების პროცესს ახორციელებდა, მაგრამ ეფექტურად ვერ მუშაობდა. დღეისათვის მოხდა სტრუქტურული რეორგანიზაცია და გამოიყო ოთხი დეპარტამენტი რომლებიც იმ ამოცანებს შეასრულებენ, რასაც რეალურად ეს ორგანიზაცია უნდა ემსახურებოდეს. მთავარი ამოცანები კი, ხარისხის მაქსიმალური კონტროლი, მიდევნებადობის სისტემის არსებობა, სერტიფიცირება, მეწარმეების რეგისტრაცია და ქართული ღვინის პოპულარიზაციაა.

- მაინც რა იყო ყველაზე დიდი სირთულე და წარმატება მიმდინარე წელს სააგენტოსთვის?

- 2013 წლის ყველაზე მთავარი მიღწევა, ალბათ, რთველია, რომელიც ბოლო წლებში ყოფილა. ფაქტობრივად, სამსახური მთლიანად გადაერთო მის მოსამზადებელ ეტაპზე. სიამაყით მინდა გითხრათ, რომ „რთველი 2013“ ახლებური სქემით ჩატარდა. ორგანიზების თვალსაზრისით, ლომის წილი „ღვინის ეროვნულ სააგენტოს“ მიუძღვის, როგორც დაგეგმვაში, ასევე მის განხორციელებაში, რა თქმა უნდა, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად. რთველი კონდიციური ყურძნის კრეფით დავიწყეთ, რაც წინა წლებში არ ხდებოდა.

„ჩვენ ვიცით რა ამოცანები გვაქვს შესასრულებელი 2014 წელს. რა გამოწვევებია ჩვენ წინაშე, რას მივაღწევთ და სად იქნება ქართული ღვინის ინდუსტრია. მე ვფიქრობ, რომ პრინციპულად სხვა ეტაპზე გადავდივართ. ქართული ღვინის ინდუსტრია თავისი ორგანიზებულობით, მოწესრიგებულობით და კონკურენტუნარიანობით გაიზრდება“

საბოლოო ჯამში არაკონდიცირებული ყურძნიდან საჭირო დონის ღვინო ვერ მიიღებოდა. მევენახე, რომელიც მთელი წლის განმავლობაში მოსავალს ელოდება და მერე მის დაბინავებაზე ზრუნავს, აუცილებელია სააგენტოსა და ზოგადად სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან ხარისხიანი ყურძნის ჩაბარების უზრუნველყოფა. ეს საწყისი პირობაა იმისა, რომ შემდეგ არსებობდეს ხარისხის ადეკვატური კონტროლის სისტემა. სანედლეულო ბაზის სწორი მონიტორინგით იწყება ღვინოს ხარისხის კონტროლი. ანუ ჩვენ შემთხვევაში მნიშვნელოვანი იყო, რომ რთველი ჩატარებულიყო მაქსიმალურად სამართლიან პირობებში. წინა წლებში გარკვეულ ხარვეზებს ჰქონდა ადგილი. სოციალური პასუხისმგებლობის აწევის ხარჯზე ხშირად ბიზნესი ზარალდებოდა. ერთი სიტყვით, ჩვენ ჩავატარეთ რთველი, სადაც მაქსიმალურად იყო დაცული ბიზნესის ინტერესი და ამისთვის ყველანაირი პირობა შევქმენით. კერძოდ, შელავათიანი სესხები, ხელმისაწვდომობა ნედლეულზე და სახელმწიფოს მხრიდან ნული კონკურენცია. რთველი ელექტრონიზებული აღრიცხვიანობით მიმდინარეობდა. სისტემაში სწორი აღრიცხვიანობა მნიშვნელოვანია ხარისხის კონტროლისათვის. ჩვენ მივიღეთ სრული ელექტრონული მონაცემთა ბაზა, რომლის საფუძველზეც შეიძლება მარტივად განხორციელდეს მიდევნებადობა თითოეულ ბოთლზე, ანუ ხარისხის კონტროლი ეფუძნება მთლიანად მიდევნებადობის სისტემას. ამის პარალელურად, მიმდინარეობდა მარკეტინგული ღონისძიებები. დიდი ყურადღება მიექცა ქვევრის ღვინის და ბუნებრივი ღვინოების წახალისებას. ოთხი გამოფენა ჩატარდა „ღვინის ეროვნული სააგენტოს“ მხარდაჭერით სხვადასხვა ქვეყანაში: ორი ინგლისში, საფრანგეთსა და იტალიაში. ასევე ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც ამ ერთი წლის განმავლობაში მივაღწიეთ, ის არის, რომ სახელმწიფო და კერძო სექტორი ერთმანეთის პარტნიორი გახდა. არსებობს სრული კომუნიკაციის საშუალება და ფაქტობრივად ყველა ღონისძიება, რომელსაც ჩვენ ვგეგმავთ, არის დარგთან შეჯერებული. ჩვენ ზემოთ ვახსენეთ რთველის დაგეგმვა, რომელიც მთლიანად იყო შეთანხმებული ღვინის კომპანიებთან. შედგა რამდენიმე შეხვედრა სოფლის მეურნეობის სამინისტროში, გათვალისწინებული იყო ყველა შენიშვნა, რომელიც წინა წლებში არსებობდა. ჩვენ ინტენსიურად ვმუშაობთ ქართული ღვინის მწარმოებელთა ასოციაციასთან. ასოციაცია „ქართულ ღვინო“-ში თითქმის ყველა ლიდერი კომპანიაა გაერთიანებული. ბუნებრივია, მევენახეების ინტერესები მაქსიმალურად დაცული იყო წლევანდელი რთველის განმავლობაში. ვფიქრობ, რომ ყველა მევენახე კმაყოფილია, როგორც ყურძნის ჩაბარების ფასით, ისე ორგანიზებულობით, ჩაბარების სიმარტივითა და ფასით. ყურძენი დაბინავდა ძალიან ნორმალურ პირობებში, რამაც დიდი ადამიანური რესურსისა და ძალისხმევის ჩართვა მოითხოვა.

- რაც შეეხება ექსპორტს, რა ვითარებაა ამ მიმართულებით?

- არ შეიძლება იმის უგულებელყოფა და იგნორირება, რომ რუსული ბაზრის გახსნით, ფაქტობრივად გაორმაგდა ქართული ღვინის ექსპორტი. ერთი მხრივ, ეს არის პოლიტიკურად და სახელმწიფო დონეზე მიღწეული შედეგი, რომელსაც ქვეყანა აღწევს თავისი მაღალი დიპლომატიის საშუალებით, რომელიც სააგენტომ გაწია. ჩვენ ვიყავით პირველი დელეგაცია, რომელიც ჩავიდა რუსეთში და დაიწყო მოლაპარაკება. აბსოლუტურად პოლიტიკისგან გამიჯნულად, ჩვენ დავიწყეთ საუბარი ტექნიკურ დეტალებზე. გავაცანით ქართული ხარისხის კონტროლის სისტემა, დოკუმენტაცია, ჩვენი კანონმდებლობა, ნორმატიული ბაზა, მოხდა ინსპექტირებების ორგანიზება. დღეს უკვე ვსაუბრობთ, ძალიან მნიშვნელოვან, შთამბეჭდავ საექსპორტო ციფრებზე, თანხებში მთელი ღვინის და ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების ექსპორტი 200 მილიონ დოლარზე მეტი გამოდის. მარტო ღვინის ექსპორტი, ამ მომენტისთვის, 130 მილიონ დოლარს აჭარბებს, მაგრამ რუსეთის გარდა, მნიშვნელოვანია ის ღონისძიებები, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში გავმართეთ, რაზეც უკვე ზემოთ გესაუბრეთ. ზრდა გვაქვს სტრატეგიულ ბაზრებზე, ეს არის პოლონეთი, ბალტიისპირეთი, უკრაინა, ყაზახეთი და ა.შ. თუმცა დაემატა ახალი ბაზრები, როგორიცაა ბრაზილია და ლათინო-ამერიკა. ანუ ამით იმის თქმა მინდა, რომ ძალიან დადებითი ტენდენციაა ექსპორტის თვალსაზრისით. ყველაზე დიდი გამოფენა გერმანიაში იმართება ხოლმე გაზაფხულის დასაწყისში და საქართველო რეგულარულად მონაწილეობს. ჩვენ უკვე მეათე წელია, რაც „პროვაინის“ გამოფენაში ვიღებთ მონაწილეობას, მაგრამ წელს უფრო მასშტა-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

“ ერთი წლის შედეგს აჯამეს

„მომავალ წელს იშვიათი ქართული ვაზის ჯიშების აღდგენის ხელშეწყობის პროგრამა განხორციელდება“

„წელს, ძალიან დადებითი ტენდენციაა ექსპორტის თვალსაზრისით“

EXCLUSIVE

ბურად ვიყავით წარმოდგენილები. ასევე მნიშვნელოვანი გამოფენები იყო ბალტიისპირეთში, პრეზენტაციები ნიდერლანდებში და პოლონეთში. საყურადღებოა სტრატეგიულ ბაზრებზე (ჩინეთი და ჰონგკონგი) ჩვენი აქტიობა.

- რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, როგორია 2014 წლის კალენდარი სააგენტოსთვის?

- 2013 წელი ღვინის ეროვნული სააგენტოსთვის საკმაოდ დატვირთული იქნება. ეტაპობრივად მოხდება ყველა მევენახის აღრიცხვიანობა, მათი ვენახების პასპორტიზაცია და რეესტრის წარმოება, რაც დღეს საერთოდ არ არსებობს. ამ პასპორტების საშუალებით მევენახეებს მარტივად შეეძლებათ კომუნიკაცია კერძო კომპანიებთან. უფრო გამარტივდება ჩაბარების პროცესი, ჩვენ გვექნება ზუსტი სტატისტიკა და შეგვეძლება ვმართოთ დარგი. ნათლად დავინახავთ თუ სად გვექნება დინამიკა, ხარისხობრივად უმჯობესდება ჩვენი ვენახები თუ უარესდება. ანუ, მევენახეობის კადასტრი არის ერთერთი ახალი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც 2014 წლიდან იწყება. მიმდინარე წელი, როგორც აღვნიშნე იყო ერთგვარი მოსამზადებელი პერიოდი. იცით, რომ ბიუჯეტი ნინა წელს იგეგმება, შესაბამისად, ჩვენ დაგეგმილი ბიუჯეტით მოვედით, თუმცა ამჯერად ახალი ბიუჯეტის დაგეგმვაში მივიღეთ მონაწილეობა და შესაბამისად განისაზღვრება რამდენიმე მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროგრამა 2014 წლისთვის. ასევე მომავალ წელს განხორციელდება იშვიათი ქართული ვაზის ჯიშების აღდგენის ხელშეწყობის პროგრამა. იმ ზონებში, როგორიცაა მესხეთი, ქართლი, იმერეთი, გურია, უნდა დაბრუნდეს ის იშვიათი ქართული ვაზის ჯიშები, რომელიც გადაშენების პირასაა. ამაში სახელმწიფო დაინტერესებულ პირებს უფასო ნერგების დარიგებითა და სწორი კონსულტაციით დაეხმარება. ამასთანავე გაუწევს ორგანიზებას და კერძო სექტორთან შეასრულებს მედიაციის ფუნქციას, რათა ყურძენი ჩაბარებული და გადამუშავებული იყოს. დამატებით, აღნიშნულ რეგიონებში გაშენდება ქარხნები, რომლის საუკეთესო მაგალითი კომპანია „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ პროექტია, რომელიც ჩვენივე თანადგომით განხორციელდება.

მესამე პროექტი, რომელიც ასევე 2014 წელს დაიწყება, საკმაოდ მნიშვნელოვანია, რომელიც იქნება მულტიდისციპლინარული სამეცნიერო კვლევითი პროექტი. მისი მთავარი ამოცანაა საქართველოს, როგორც ღვინის სამშობლოდ ოფიციალურად, მეცნიერული კვლევის საფუძველზე გამოცხადება. ჩვენ მიერ გამოცხადებული პრეტენზია იმის შესახებ, რომ საქართველო ღვინის სამშობლოა, რაზეც უამრავი ფაქტი მეტყველებს, თავმოყრილი უნდა იყოს ერთ სამეცნიერო პროექტში, რათა სრული და ძალიან მყარი სამეცნიერო საფუძვლები გვქონდეს ამის სათქმელად. აღმოჩენილია მრავალი ისტორიული ფრაგმენტები და არაერთი ფაქტი უძველესი ქვევრისა და წიბწის შესახებ, საჭიროებს მაღალ დონეზე კვლევებს. მიმდინარე წლის განმავლობაში ჩვენ მოლაპარაკებებს ვაწარმოებდით მსოფლიოს წამყვან მეცნიერებთან, გენეტიკოსებთან და არქეოლოგებთან. ჩვენ ამერიკელი ფრანგი დანიელი და კიდევ ბევრი სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერი გვყავს ჩართული ამ პროექტში, ფაქტობრივად ის ადამიანები, რომელთა სიტყვაც წამყვანია ამ სფეროში. 2014 წლიდან ამ პროექტის განხორციელდება დაიწყება, რომლის მსვლელობისას ჩვენ ძალიან მჭიდრო კავშირში ვიქნებით ეროვნულ მუზეუმთან, რადგან მეცნიერული კვლევის სრულყოფისათვის საჭიროა ახალი გათხრების წარმოება.

- ამის გარდა კიდევ რა იქნება მომავალ წელს სააგენტოს პრიორიტეტი?

- როგორც უკვე გითხარით, ჩვენი სააგენტოსთვის 2013 წელი მოსამზადებელი წელი იყო იმისთვის, რომ ტექნიკური ბაზა შექმნილიყო. არსებობს უკვე ყველა ტექნიკური ბაზა, მიმდინარეობს პროგრამული უზრუნველყოფის მომზადება. საგენტო მუშაობს ასევე შესაბამის საკანონმდებლო და ნორმატიულ ცვლილებებზე, რომელიც 2014 წელს განხორციელდება და დასრულდება. ეს გულისხმობს, როგორც ანალიტიკური ტესტირების მეთოდების გაუმჯობესებას, ისე დეგუსტაციის და ორგანულეფტიკური მეთოდების გაუმჯობესებას. ეს ყველაფერი თავს მოიყრის ერთიან ელექტრონულ ბაზაში, რითაც კომპანიებს გაუმარტივდებათ სერტიფიცირების სისტემა. მათ ელექტრონულად შეეძლებათ განაცხადების გაკეთება და სერტიფიკატების მიღება. ამავე დროს მთელი ანგარიშგება, რომელიც „ღვინის სააგენტოსა“ და კომპანიებს შორისაა, ამ ეტაპზე ჩვეულებრივ ფოსტის საშუალებით, ქაღალდით ხდება და ესეც გამარტივდება. ჩვენ გვექნება სრული ინფორმაცია არსებული ღვინის ნაშთებისა და არსებული ღვინო მასალების მოძრაობის შესახებ და მიდევნებადობა იქნება სრულყოფილი, ანუ ყველა ბოთლი იქნება დატესტილი და გაკონტროლებული. ამავე დროს, ყველა ბოთლი იქნება მარკირებული, სპეციალური ლოტის ნომრებით. ასე რომ 2014 წელს ამ სისტემის ამოქმედების შემდეგ, ნებისმიერ ქართულ ღვინოს ექნება სპეციალური ნომერი, რომლის სრული ლაბორატორიული და ორგანოლეფტიკური დასკვნები, შეიძლება სპეციალურ ვებსაიტზე ნახოს მომხმარებელმა. ეს, პირველ რიგში, ხარისხს აამაღლებს, იმიტომ, რომ მეწარმე აუცილებლად შესაბამისობაში მოიყვანს ქვეყანაში არსებულ ყველა სტანდარტს და ფალსიფიცირების ელემენტი ფაქტობრივად გამოირიცხება.

- 2014 წლის ბიუჯეტი რამდენით გაიზარდა?

- ჩვენი ბიუჯეტი საერთოდ არ გაზრდილა. შიდა სხვადასხვა პროგრამებში მოხდა სწორი გადანაწილება და შესაბამისად ეფექტურობა გავზარდეთ. სუბსიდირების ნაწილი შევამცირეთ, რის ხარჯზეც მოხდა ახალი, ძალიან საინტერესო პროექტების დაფინანსება, როგორც კადასტრის, ისე იშვიათი ჯიშების გავრცელების, ადმინისტრირების გაუმჯობესების კუთხით და სამეცნიერო პროექტების დაფინანსებით. ასევე სამჯერ არის გაზრდილი ქართული ღვინის პოპულარიზაციის ბიუჯეტი, ფაქტობრივად, მილიონიდან 4 მილიონ ლარამდე. მარკეტინგის სწორი დაღაგებით ჩვენ აღარ ვიქნებით დამოკიდებული რომელიმე ბაზარზე. მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ სამიზნე ბაზრების (ბალტიისპირეთი, პოლონეთი, სამხრეთ აღმოსავლეთ აზია, ჩინეთი, ჰონგკონგი, ტაივანი და ა.შ.) მიმართულებით დაიხარჯება ფული. სპონტანური მუშაობის ნაცვლად, მივედით სტრატეგიულ გეგმამდე, ჩვენ ვიცით 2014 წელს რა ამოცანები გვაქვს შესასრულებელი. რა გამოწვევები გვაქვს, რას მივაღწევთ და სად იქნება ქართული ღვინის ინდუსტრია. მე ვფიქრობ, რომ პრინციპულად სხვა ეტაპზე გადავა ქართული ღვინის ინდუსტრია. თავისი ორგანიზებულობითა და მოწესრიგებულობით, რაც საერთაშორისო ბაზარზე მის კონკურენტუნარიანობას გაზრდის.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

წინასაახალწლო ღონისძიება შოთა რუსთაველის სახელობის სკოლაში

თორნიკე ყაჯრიშვილი

რამდენიმე დღის წინ, „ჩაღლარის“ საგანმანათლებლო დაწესებულებების, შოთა რუსთაველის სახელობის რუსთავის სკოლა-ლიცეუმმა, სემესტრის დასრულება წინასაახალწლო ღონისძიებით აღნიშნა. იყო უამრავი, ძალიან მოწადინებული, მაგრამ მაინც დამტვრეული ქართულით ნათქვამი ლექსები და სიმღერები...

„ჩვენი კურსდამთავრებულები წარმატებით სწავლობენ ახლა საერთაშორისო უნივერსიტეტებში, როგორც ამერიკაში, ისევე თურქეთსა და ა.შ.

თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საკლასო ოთახები, თბილი გარემო და სწავლების უმაღლესი დონე, ეს სწორედ ამ სკოლის წარმატების საიდუმლოა. ქართულ-აზერბაიჯანულ სექტორში მთლიანობაში 400 მოსწავლეა, რომლის 90 პროცენტი აზერბაიჯანელი ბავშვებია და როგორც პედაგოგები ამბობენ, ქართველ თანაკლასელებთან ურთიერთობა, ჩვენს საზოგადოებასთან ინტეგრაციაში ეხმარებათ. აქ ეთნიკური წარმოშობით არავინ არჩევს ერთმანეთს, ყველა ერთმანეთის მეგობარია. სკოლის დირექტორთან ჩვენი საუბარიც სწორედ სკოლის ისტორიით დავიწყეთ.

მუსტაფა ჩირიში, შოთა რუსთაველის სახელობის, რუსთავის სკოლა-ლიცეუმის დირექტორი: - ჩვენი სკოლა 2007 წლიდან იწყებს მოღვაწეობას. პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით, გვაქვს ორი ქართული და აჯერბაიჯანული სექტორები. რადგან ჩვენი მოსწავლეების უმავლესობა არაქართველია და გვინდა, რომ, დამატებითი გაკვეთილების დახმარებით, კარგად ისწავლონ ქართული და ინგლისური ენები. პირველიდან მეშვიდე კლასის ჩათვლით, ქართულად და ინგლისურად მიმდინარეობს სწავლა. დაწყებითი საფეხურის დასრულების შემდეგ, მეშვიდე კლასიდან უკვე სხვადასხვა მეცნიერებები და დისციპლინები ისწავლება ინგლისურ ენაზე, ესენია: მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ინფორმატიკა და ბიოლოგია. ხოლო სხვა ჰუმანიტარული საგნები ისწავლება ქართულ ენაზე. მეათედან მეთორმეტე კლასის ჩათვლით, ყველა საგანი ისწავლება ქართულ ენაზე და ინგლისურიც, როგორც უცხო ენა. ამის მიზეზი კი ისაა, რომ საატესტაციო გამოცდები მოსწავლეებმა ქართულ ენაზე უნდა ჩააბარონ.

თანამედროვე ტექნოლოგიებით არის აღჭურვილი ჩვენი კლასები. გვინდა, რომ ამ თვალსაჩინოებებით უფრო წინ წავწიოთ ბავშვების ინტერესი. გვაქვს კაბინეტური წყობა. ვაწყობთ ექსკურსიებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ამ წელს დავიწყეთ სემინარები მშობლებისთვის. მაგალითად, პირველი სემინარის თემა იყო თანამედროვე ტექნოლოგიების სწორად გამოყენება. გასულ წელს პირველი გამოშვება გავუშვით სკოლიდან. ჩვენი კურსდამთავრებულები წარმატებით სწავლობენ ახლა საერთაშორისო უნივერსიტეტებში, როგორც ამერიკაში, ისევე თურქეთში და ა.შ. დანარჩენმა ჩვენმა კურსდამთავრებულებმა, საქართველოს წარმატებულ უმაღლეს სასწავლებლებში ჩააბარეს, მაღალი ქულებით. ყველა მოსწავლე მოხვდა სასურველ სასწავლებელში.

- კიდევ რითი განსხვავდება ეს სკოლა სხვა საჯარო სკოლებისგან?

- ეს არის სკოლა, სადაც დილის 9 საათზე მოდიან მოსწავლეები, უტარდებათ შვიდი გაკვეთილი. ჩვენ გვაქვს სერვისი, რომელიც გულისხმობს, რაიონებიდან ჩამოსული მოსწავლეების საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფას. გოგონები, რომლებიც ვთქვათ, ბოლნისიდან და გარდაბნიდან არიან ჩამოსულები, მშობლების სურვილისა და საფასურის გადახდის შემდეგ, რჩებიან ჩვენს პანსიონატში, რომელიც განთავსებულია სკოლის ბოლო სართულზე. შაბათს ბრუნდებიან სახლში და ორშაბათს დილით სკოლაში მოდიან. ბიჭების პანსიონატი სკოლასთან ახლოს მდებარეობს. სკოლის მოსწავლეებს, ისევე როგორც პედაგოგებს, ემსახურებათ ტრანსპორტი. ბავშვები აქ ესწრებიან საკლუბო და საოლიმპიადე ჯგუფების მეცადინეობებს და სხვადასხვა წრის აქტივობების. ფონდი, რომელიც სკოლაში დავაარსეთ, ყოველწლიურად აკეთებს სხვადასხვა საქველმოქმედო საღამოებს და ვეხმარებით მოხუცებულთა თავშესაფრებს, სოციალურად დაუცველებს და ა.შ. ვაწყობთ გამოფენა-გაყიდვას, აქედან შემოსული თანხით, საჭიროების მიხედვით ვყიდულობთ შესაბამის ნივთებს. ამ ყველაფერში ჩართულები არიან, როგორც მოსწავლეები, ისევე მასწავლებლები და მშობლები.

- როგორც ვიცით, ასევე საბავშვო ბაღიც გაქვთ სადაც აზერბაიჯანელი ეროვნების სკოლამდელები ჯერ კიდევ იქ ეუფლებიან ქართულ ენას.

- დიახ. ჩვენ გვაქვს სკოლამდელი ბავშვებისთვის საბავშვო ბაღი, სადაც აზერბაიჯანელი ბავშვები, როგორც ქართულს, ისევე ინგლისურს ეუფლებიან. სკოლას აქვს თავისი მისია. ჩვენთან მოდიან მოსწავლეები იმ რეგიონებიდან, რომლებიც ქართული ენის ცოდნის თვალსაზრისით ძალიან დაბალ დონეზე არიან. აქედან გამომდინარე, ვცდილობთ, რომ დავეხმაროთ და სიღრმისეულად შევასწავლოთ ქართული ენა. სწავლის საფასური წელიწადში 2 250 ლარია. საბავშვო ბაღის კი 1 300 ლარი წელიწადში.

- რაც შეეხება ამ ღონისძიებას?

- ჩვენ ტრადიცია გვაქვს და ყოველი სემესტრის ბოლოს აღვნიშნავთ ხოლმე სემესტრის დასრულებას. გვინდა, რომ ჩვენი მოსწავლეების თითოეულ სემესტრში შეძენილი და დაგროვილი ცოდნა გამოვამზეუროთ, ვანახოთ მშობლებს, ასევე მოწვეულ სტუმრებს რა გააკეთეს ბავშვება სემესტრის განმავლობაში.

თურქეთიდან მოწვეულ რამდენიმე პედაგოგს თუ არ ჩავთვლით, სკოლა ძირითადად ადგილობრივი კადრებით არის დაკომპრექტებული.

ლალი თოდაძე, სკოლის ინფომენეჯერი: „გვყავს, როგორც ადგილობრივი, ისევე თურქეთიდან მოწვეული პედაგოგები, რომლებიც ძირითადად მაღალ კლასებში ტექნიკურ საგნებს ასწავლიან უცხო ენაზე. ჩვენი ყველა პედაგოგი პერიოდულად გადის გადამზადების კურსებს. ჩემი შვილიც ამ სკოლაში სწავლობს. რა თქმა უნდა, ძალიან კმაყოფილი ვარ, როგორც მშობელი, ჩემი კოლეგებით. მეათე კლასელი შვილი მყავს, რომელმაც შარშან, თურქული ენის კულტურის ფესტივალზე, ჩვენი სკოლის ორგანიზატორობითა და საქართველოს სახელით 143 ქვეყნიდან მესამე ადგილი დაიკავა. მიიღო მიწვევა და უგამოცდოთ ჩაირიცხება ანკარის უნივერსიტეტში“.

სოფიო კოჭლამაზაშვილი, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი: „მეორე წელია ამ სკოლაში ვასწავლი, ახალ ბავშვებს, უკეთესად რომ შევასწავლოთ ქართული ენა და რომ არ გაუჭირდეთ პროგრამით გათვალისწინებული მასალის ათვისება, დამატებით გაკვეთილებს ვუტარებთ ხოლმე. ბავშვების დიდი მონდომების შედეგად, ეს ბარიერი მართლაც დაძლეულია და ამის მერე მართლაც დიდი ინტერესით არიან ჩართულები სასწავლო პროგრამაში. გარკვეული სირთულეები, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ ეს არის დაძლევადი, იმიტომ, რომ პედაგოგებიც ძალიან მონდომებულები ვართ და ბავშვებიც ძალიან ბევრს მუშაობენ. მართლა დასაფასებელია მათი მონდომება და შრომა, რადგან დღე და ღამეს ასწორებენ ეს ბავშვები იმისთვის, რომ ქართული ენა კარგად ისწავლონ“.

ექრემ დინდაროლი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და „ჩაღლარის“ საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოების წევრი: „ჩაღლარის“ საგანმანათლებლო დაწესებულუბები აერთიანებს შვიდ სკოლას და ერთ უმაღლეს სასწავლებელს, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს. 1993 წელს გაიხსნა პირველი სკოლა, რომელსაც დღეს ყველა „დემირელის“ სახელით იცნობს. 1994 წელს გაიხსნა ბათუმში მეორე სკოლა და ა.შ.

„ჩაღლარის“ საგანმანათლებლო მიმართულება თქვენს ქვეყანაში მას შემდეგ დაიწყო, რაც 1992 წელს მაშინდელმა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ და თურქეთის პრემიერ-მინისტრმა სულეიმან დემირელმა მოაწერეს ხელი განათლებისა და კულტურის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმს“.

ადემ ონალი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და „ჩაღლარის“ საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოების თავმჯდომარე: „20 წელია რაც საქართველოში საგანმანათლებლო საქმიანობას ვეწევით, აქ ჩვენ გვყავს ძალიან წარმატებული კურსდამთავრებულები“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მინისტრმა ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს სურვილები შეუსრულა



შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ ლეიკემიით დაავადებული ბავშვები მოინახულა და დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა.

მინისტრმა 4 წლის გიორგი სანკაშვილს და 7 წლის ლუკა ბოკერაშვილს საახალწლო სურვილები აუსრულა. ბავშვებმა, საახალწლოდ დაწერილ წერილში, თოვლის ბაბუას პატრულის ფორმა და მანქანები სთხოვეს. მინისტრმა გიორგის და ლუკას სპეციალურად მათთვის შეკერილი პატრულ-ინსპექტორის ფორმა და მანქანები გადასცა.

ალექსანდრე ჭიკაიძე იაშვილის კლინიკაში 17 წლის გიორგი კიკნაძესაც შეხვდა, რომელსაც ვრცელ საახალწლო წერილში ეწერა სურვილი, პირადად შეხვედროდა შინაგან საქმეთა მინისტრს.

მინისტრმა ბავშვებს გამოჯანმრთელება უსურვა და აღნიშნა, რომ შს სამინისტროს თანამშრომლები სისხლის ჩაბარების აქციაში მონაწილეობას კვლავ აქტიურად გააგრძელებენ.

ბოლო 10 თვის განმავლობაში პატრულ-ინსპექტორები, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ყოველ კვირას, სხვადასხვა რეგიონში ლეიკემიით დავადებული ბავშვებისთვის აბარებენ სისხლს. აქციაში „გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე“ პერმანენტულად კრიმინალური და სამხარეო პოლიციის თანამშრომლები მონაწილეობენ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დათო ტურაშვილი: „მინდა

my View
დეა თავბერიძე

„როგორც ჩანს, საბჭოური ცნობიერება, მართლა ყველაზე რთული დასაძლევი აღმოჩნდა ჩვენთვის და კარგა ხანს, ალბათ, კიდევ ვერ გადავლახავთ იმ მენტალურ ბარიერს, რომელიც უახლესი წარსულიდან მემკვიდრეობით გვერგო“

ბავშვობაში ყველაზე მეტად სურდა დიდი ფეხბურთი ეთამაშა და საქართველოს ნაკრების წევრი ყოფილიყო. თუმცა, წიგნის სიყვარულმა სძლია, წერა დააწყებინა და უამრავი წიგნის ავტორიც გახადა. დამწყებ ავტორს კი სტიმული რეზო ინანიშვილის სიტყვებმა მისცა. მისი მოთხრობების პირველი შემფასებელი, ლიტერატორებიდან, სწორედ ის იყო. საქებარი სიტყვებით სახლში დარეკა და მომავალი მწერლის დედას უთხრა - ძა-

ლიან ნიჭიერი შვილი გყავთო... ამ ნიჭს დამფასებელი სამომავლოდ უცხოეთშიც გამოუჩნდა. მისი წიგნები შვიდ ენაზე ითარგმნა...

ყველასთვის კარგად ცნობილი და ემოციური მწერალი დათო ტურაშვილი დღეს „პრაიმტაიმის“ სტუმარია.

- აღიარებული მწერალი ხართ საქართველოში, ეს წიგნების გაყიდვაზე თუ აისახება?

- ჩემს წიგნებს საქართველოში, ბევრი მკითხველიც ჰყავს და ბევრი მყიდველიც, მაგრამ წიგნის ბაზარი ჩვენს ქვეყანაში, მაინც იმდენად პატარაა, რომ მხოლოდ წიგნებით ცხოვრება, თითქმის შეუძლებელია. ამიტომაც, როცა ჩემი ცოლი ჩამომითვლის ხოლმე, რაში რამდენი გვაქვს გადასახდელი, ყოველთვის ვცდილობ წავუყრუო და სხვა თემებზე გადავიტანო საუბარი. თუმცა საბედნიეროდ, საქართველოს გარდა, კიდევ რამდენიმე ქვეყანაში უკვე გამოიცა ჩემი წიგნები და იმედია მომავალში მაინც მიიღებენ ჩემი შვილები ჩემს უცხოურ ჰონორარებს.

- ნიჭის გარდა რა არის საჭირო იმისთვის, რომ კარგი მწერალი იყო?

- მხოლოდ ნიჭი, რასაკვირველია, სრულიადაც არ არის საკმარისი წარმატების მისაღწევად და კარგი მწერალი რომ გახდე, ჯერ ბევრი კარგი წიგნი უნდა წაიკითხო და მერე ძალიან ბევრი უნდა იშრომო. საერთოდ წერა საკმაოდ მძიმე შრომა და ტანჯვაა, მაგრამ სამაგიეროდ ისეთი სასიამოვნო ვნებაც არის, რომ თუ ერთხელ დაიწყე, ვერასოდეს დაანებებ თავს.

- როგორია წერის პროცესი?

- წერის პროცესი სხვადასხვანაირია და ნებისმიერ წიგნს, განსხვავებული თავგადასავალი აქვს როგორც გამოცემამდე, ასევე გამოცემის შემდეგ. ზოგჯერ ისე ხდება, რომ დიდხანს დაატარებ რომელიმე წიგნის იდეას თავში და მხოლოდ შესაბამის დროს და გარემოს ელოდები, რომ დაჯდე და დაწერო. ზოგჯერ კი პირიქითაა და როგორ დავწეროთ წიგნი, ამის რეცეპტი არ არსებობს. პირადად ჩემთვის, თვითონ წერის პროცესი, გაცილებით სასიამოვნო და მნიშვნელოვანია, ვიდრე ყველაფერი დანარჩენი, რაც შეიძლება წიგნის გამოქვეყნებას მოჰყვეს შედეგად და ამიტომაც ყოველთვის მხოლოდ იმ წიგნებზე ვფიქრობ, რომლებიც ჯერ არ დამიწერია. წერის დროს კი, მუსიკის მოსმენა მიყვარს...

- პირველი რომანი რამდენი წლისამ დაწერეთ?

- პირველი რომანი ჩვიდმეტი წლის ასაკში დავწერე, მაგრამ ჯერ არ გამომიქვეყნებია და როცა გამოვაქვეყნებ, იმედია, რომ ისეთივე საინტერესო საკითხავი იქნება ახალგაზრდებისთვის, როგორც ჩემი სხვა წიგნები, რომელთა შესახებაც დადებით შეფასებას, საკმაოდ ხშირად ვისმენ ხოლმე. თუმცა გულწრფელად შემიძლია ვაღიარო, რომ ქება ან კრიტიკა, ნაკლებად მნიშვნელოვანია ჩემთვის და ჩემთვის მთავარია, რომ ისეთ წიგნებს ვწერდე, რომლებსაც მკითხველები ეყოლება და მიხარია, რომ ჯერჯერობით, ამას ვახერხებ კიდეც.

- ამჯერად რაზე მუშაობთ?

- როგორც ყოველთვის, ვწერ ახალ წიგნს და ეს არის რომანი, რომლის შესახებაც, წინასწარ საუბარი არ მსურს და ერთადერთი, რისი თქმაც ახლა შემიძლია, იმის პირობაა, რომ იგი რადიკალურად განსხვავებული იქნება ჩემი ბოლო წიგნისაგან, რომელსაც „ტყეების მეფე“ ჰქვია...

„ჩემი სუბიექტური აზრით კი, თბილისის მერი ხალხისა და საზოგადოების რჩეული უნდა იყოს და არა რომელიმე პოლიტიკური პარტიის“...

- როგორი საქართველო გინდათ?

- მინდა ევროპული საქართველო, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენთვის ისტორიულად და ტრადიციულად ღირებული ფასეულობებიც უნდა შევინარჩუნოთ და ის თანამედროვე სახელმწიფოს პრინციპებიც გავითავისოთ, რასაც დემოკრატიული საზოგადოებები ეფუძნება. ეს სინთეზი სავსებით რეალურია და ევროპული ოჯახი, სწორედ ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ ქვეყნებსა და ხალხებს აერთიანებს, სადაც ყველას შეუძლია საკუთარი თვითმყოფადობის შენარჩუნება.

- როგორ შეაფასებთ დღევანდელობას, როგორია ქართული რეალობა თქვენთვის?

- როგორც ბასა ჯანიკაშვილი ამბობს, რეალობა არ არსებობს და რაც არ არსებობს, იმის შეფასებაც საკმაოდ რთულია, მაგრამ, მეორე მხრივ, რეალობა ყველგან შეიძლება არსებობდეს. ერთხელ ხაშურში ასეთი საღღეგრძელოც კი მოვისმინე - სუფრის თამადა აქებდა სუფრის ერთ-ერთ წევრს და მის შესახებ ამბობდა, რომ სწორედ ის კაცი ქმნიდა ხაშურის რეალობას. მაშინ პირველად დავფიქრდი იმაზე, რომ თუ ხაშურშიც შეიძლება რეალობა არსებობდეს, ესე იგი ნებისმიერ ჩვენთაგანს შეუძლია ნებისმიერ ადგილას რეალობის შექმნაც და მისი შეცვლაც. ისე, სააკაშვილმა რომ შეგვჭამა ბათუმი და სიღნაღი მე გავალამაზეო, თუ მართლა მაგარი იყო, აბა ხაშური გაელამაზებინა...

- ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ქალაქის მერი უნდა იყოს ქალაქელი, გარჩევის საგნად იქცა რბილი და მაგარი „ლ“, აქვს თუ არა მნიშვნელობა ამას?

- პირველ რიგში, ვიტყვი იმას, რომ თბილისი არ არის თანამედროვე ევროპული ტიპის ქალაქი და საამისოდ მას აკლია მთავარი მახასიათებელი - მწვანე დასასვენებელი პარკები. რაც შეეხება მერის წარმომავლობას, როცა ამაზე კამათობენ, ცოტა მეღიმება კიდეც, რადგან ვინც ამბობს, რომ თბილისის მერი აუცილებლად თბილისელი უნდა იყოს, არ უთითებს ხოლმე კონკრეტულ უბანს და გავიგეთ, რომ თბილისელი უნდა იყოს, მაგრამ ბარემ ისიც გვითხრან - კონკრეტულად რომელი უბნელი. ხუმრობას რომ თავი დავანებოთ, როგორც ჩანს, საბჭოური ცნობიერება, მართლა ყველაზე რთული დასაძლევი აღმოჩნდა ჩვენთვის და კარგა ხანს, ალბათ, კიდევ ვერ გადავლახავთ იმ მენტალურ ბარიერს, რომელიც უახლესი წარსულიდან მემკვიდრეობით გვერგო. ამიტომაც ჩემთვის, არა წარმომავლობა, არამედ მომავალი მერის პარტიული კუთვნილება უფრო მნიშვნელოვანია და ის უფრო მაწუხებს, რომ ისევ პარტიული მერი უნდა გვყავდეს და რომელ პარტიასთან იქნება პასუხისმგებელი, ამ შემთხვევაში ამას მნიშვნელობა არა აქვს. გიგი უგულავამ ნამდვილად ბევრი კარგი რაღაც გააკეთა თბილისისთვის, მაგრამ თუკი შეცდომები დაუშვა, სწორედ იმის გამო, რომ თავისი პოლიტიკური პარტიის გავლენისაგან ვერ გათავისუფლდა. ჩემი სუბიექტური აზრით კი, თბილისის მერი ხალხისა და საზოგადოების რჩეული უნდა იყოს და არა რომელიმე პოლიტიკური პარტიის რჩეული ფიგურა. საერთოდაც იმის მომხრე ვარ, რომ ეს არ უნდა იყოს პოლიტიკური თანამდებობა და სავსებით შესაძლებელიც მგონია არაპარტიული მერის არჩევა, თუ ამაზე ყველანი შევთანხმდებით.

- დღეს, ბევრი ხელისუფლების-

„ისიც კარგად მესმის, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ საქართველოში უამრავი ადამიანი ისე გაამწარა, რომ მათ შურისძიებაც ამოძრავებთ, მაგრამ თუ ჩვენი ქვეყანა ამ გზით წავა, კიდევ დიდხანს ვერ დავადგებით ევროპისკენ მიმავალ რეალურ გზას“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ევროპული საქართველო“

„გიგი უგულავამ, ნამდვილად ბევრი კარგი რაღაც გააკეთა თბილისისთვის, მაგრამ თუკი შეცდომები დაუშვა, სწორედ იმის გამო, რომ თავისი პოლიტიკური პარტიის გავლენისაგან ვერ გათავისუფლდა“



„წერა საკმაოდ მძიმე შრომა და ტანჯვაა, მაგრამ სამაგიეროდ ისეთი სასიამოვნო ვნებაც არის, რომ თუ ერთხელ დაიწყე, ვერასოდეს დაანებებ თავს“

EXCLUSIVE

გან ითხოვს დაპირებული სამართლიანობის აღდგენას. ყველას გვახსოვს თქვენი ემოციური გამოსვლა. შეიძლება თუ არა თქვენც მათ რიგებში ჩაგთვალოთ ვინც სამართლის აღდგენას ითხოვს?

- რასაკვირველია, ყოველთვის სამართლიანობის მომხრე ვიქნები, მაგრამ არასოდეს ვიქნები იმის მომხრე, რომ ადამიანებს ბრალდებების დამტკიცების გარეშე თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯონ, როგორც ამას სააკაშვილის ხელისუფლება აკეთებდა. მერაბიშვილიც და ახალაიაც (ან ნებისმიერი სხვა), თუ მათ ვერაფერს დაუმტკიცებენ დანაშაულს და მათ მაინც ციხეს მიუსჯიან, უკანონო პატიმრები იქნებიან და ათასობით უკანონო პატიმარი, საქართველოს უკვე ჰყავდა უკანასკნელი ცხრა წლის მანძილზე და ამ საშინელ წარსულზე უარი უნდა ვთქვათ. ისიც კარგად მესმის, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ საქართველოში უამრავი ადამიანი ისე გაამწარა, რომ მათ შურისძიებაც ამოძრავებთ, მაგრამ თუ ჩვენი ქვეყანა ამ გზით წავა, კიდევ დიდხანს ვერ დავადგებით ევროპისკენ მიმავალ რეალურ გზას. სხვათა შორის, დასავლური ცივილიზაციის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი, კანონის უზენაესობაა და როცა სააკაშვილს კანონები, დემოკრატია და ადამიანის უფლებები ფეხებზე ეკიდა, ეს ჩემთვის სწორედ იმას ნიშნავდა, რომ ჩვენ დასავლეთისკენ არ მივდიოდით. იმედია ახლა მაინც გავაკეთებთ ნამდვილ ევროპულ არჩევანს და საქართველოში სასამართლოც დამოუკიდებელი იქნება, მედიაც და რაც მთავარია - ადამიანი...

შურისძიების განწყობას წინა ხელისუფლების ნარმომადგენლების მიმართ, ისიც განაპირობებს და აძლიერებს, რომ სააკაშვილის თანამოაზრე ნაციონალური მოძრაობის წევრები, საერთოდ არ გრძნობენ თავს დამნაშავედ და სინანულიც საერთოდ არ ეტყობათ იმის გამო, რაც ხდებოდა საქართველოში მათი მმართველობის დროს და ხალხის ძალიან დიდ ნაწილს, სწორედ ეს აღიზიანებს. მეტიც, სწორედ იმის გამო, რომ ისინი არასოდეს აღიარებდნენ შეცდომებს და არც ახლა აღიარებენ, ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებში იმაზე ორჯერ ნაკლები ხმები მიიღეს, ვიდრე ერთი წლის წინანდელი საპარლამენტო არჩევნების დროს, მაგრამ დასკვნებს მაინც არ აკეთებენ. არადა რა ჯობია შეცდომის აღიარებას და აქვე შემიძლია მაგალითი მივცე ყველას, ვისაც ეს ეძნელება ან სათაკილო ჰგონია და სწორედ თქვენს გაზეთში, ჩვენი წინა შეხვედრის დროს, დავუშვი შეცდომა, რომელსაც ახლა გამოვასწორებ. მაშინ ახალი დაკომპლექტებული იყო ახალი მთავრობა და გულწრფელად ვთქვი რომ არ მომეწონა კახი კალაძის დანიშვნა ენერგეტიკის მინისტრად და გულწრფელადვე ვაღიარებ, რომ შევცდი. ახალი მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენლისაგან განსხვავებით, სწორედ კახი კალაძე აღმოჩნდა ძალიან ენერგიული და სხვებზე პროგრესული, რადგან მან პირველმა გააკრიტიკა თავისივე ხელისუფლების წევრი, რომელსაც ოთხმოცი ათას დოლარად (ბიუჯეტის ხარჯზე) მანქანის შეძენა მოუნდა. სხვათა შორის, წინა ხელისუფლების პირობებში, ასეთი პრეცენდენტიც კი არ არსებობდა სამწუხაროდ და ამიტომაც მათ შეცდომებს, მერე ისეთი შეცდომაც დაემატა, რომელსაც ვეღარასოდეს გამოასწორებენ ვერც ისინი და ვერც სხვები. იგივე რომ არ განმეორდეს და იგივე რომ არ მოხდეს, ყველანი მაქსიმალურად კრიტიკულები უნდა ვიყოთ ახალი ხელისუფლების მიმართ, თორემ მერე გვიან იქნება და იმასაც დავკარგავთ, რასაც უკვე მივაღწიეთ. თუმცა სამართლიანობის აღდგენა არ უნდა აგვერიოს შურისძიებაში, მაშინაც კი, თუ დამნაშავეებს სინანულის გრძნობა არ აწუხებთ და თანამედროვე სახელმწიფოს შექმნა, სწორედ ამასაც ნიშნავს...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნინო იოსელიანი „ამით ცხ

my View
დეა თავგერიძე

„საქართველოში მე ისეთ ადამიანებში ვტრიალებ, ყველამ იცის ვინ ვინ არის და ქართველებისთვის უგო ეტყობა უფრო ახალი სახეა და“...

თბილისში ახალი ამბავი გავრცელდა, საქართველოში მყოფი დავით ბაგრატიონის ძმა უგო, თბილისში ერთ-ერთ გემოვნებიან ქალზე, ნინო იოსელიანზეა შეყვარებულიო. ქალაქში მოდურად ჩამცმელის სტატუსით ცნობილი ნინო იოსელიანი 18-წლიანი უცხოეთში ცხოვრების შემდეგ ერთი წელია, რაც საქართველოს დაუბრუნდა. მას სამშობლოში დასაბრუნებლად რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. ერთ-ერთი მეუღლესთან განშორებაა... თუმცა, ბევრი ქალბატონის მსგავსად, ამ ამბავს დეპრესიაში არ ჩაუგდია. პირიქით, ახალი ენერგიით შემართული საკმაოდ რისკიან საქმეს შეეჭიდა... სამომავლო გეგმებზე, პირად ცხოვრებასა და უგოსთან ურთიერთობაზე ჩვენი რესპონდენტი საკმაოდ საინტერესოდ ჰყვება. უფრო მეტიც, ცხოვრების ჟინით, ბრძოლის სურვილითა და სიცოცხლის სიყვარულით სავსე დადებითი ენერგიითაც გმუხტავს...

ნინო იოსელიანი: - ძალიან კარგი განწყობა მაქვს, რადგან მალე ახალი წელი დგება, ბევრი საინტერესო ღონისძიებაა ქალაქში, მე თვითონაც ბევრ კარგ პროექტში ვარ ჩართული.

- ახალი წლისთვის როგორ ემზადებით?

- როცა ახალ წელს უცხოეთში ვხვდებოდი ბევრად ადრე ვიწყებდი მზადებას, სადღაც ნოემბრის შუა რიცხვებიდან, რადგან იქ ადრე იწყება, მთელი ქალაქი დეკორირდება და ნოემბერშივე უკვე საახალწლო განწყობაა. ბავშვობიდან, ტრადიციულად, სახლში ყოველთვის დიდი ნაძვის ხე გვაქვს. რომელსაც სხვადასხვა ფერის სათამაშოებით ვრთავ ხოლმე. კონცეპტუალურად ვაკეთებ, ან წითელი და ოქროსფერი, ან ვერცხლისფერი და თეთრი, ასევე ძალიან მომწონს ხელით ნაკეთი სათამაშოები, ჩიტები და სხვადასხვა ცხოველები. უფრო დიზაინურ სტილში ვაკეთებ განსხვავებულ ნაძვის ხეებს... რაც შეეხება სუფრის განყობას, დიზაინსა და დეკორაციაზე ვზრუნავ, მაგრამ საქმლის დამზადება ძალიან არ მიყვარს, არც ვიცი კარგად.

- მეუღლესა და შვილებს საჭმელს ვინ უმზადებდა?

- ძირითადად ძიძა. მე შემიძლია გავაკეთო არაქართული კერძები, როდესაც საქართველოში „შარდენ ბარი“ მქონდა, რამდენიმე თვე, ბარსელონაში, „ქუქინ სქულში“ დავეუფლე აზიური და ევროპული კერძების დამზადებას. მაგრამ ქართული საჭმელების გაკეთება არ ვიცი. ახალი წლის სუფრაზეკი, საქართველოში, ძირითადად ქართული საჭმელებია.

- რამდენი ხანია რაც საქართველოში ხარ და თუ აპირებთ კვლავ უცხოეთში გამგზავრებას?

„სწორად დაგეგმილი და კარგად გათვლილი ნებისმიერი ბიზნესი ყოველთვის წარმატებულია. აქედან გამომდინარე წარმატების მჯერა“...

„ჩემთვის მიუღებელია ოჯახი, სადაც დაკა-დაკა, ჩხუბი, გაუგებრობა და სიყვარულის დეფიციტია. ამ შემთხვევაში ჯობია ცალ-ცალკე იყო და კარგად“...

„ყოველთვის ისეთ საქმეს ვკიდებ ხელს, რაც რისკთან არის დაკავშირებული, რაც სიახლეა“



- თითქმის ერთი წელია რაც აქ ვარ. 18 წელი ემიგრაციაში ვცხოვრობდი. ჯერ ამერიკაში ვსწავლობდი, იქ დავამთავრე „ჰაი სქული“, შემდეგ 5 წელი საფრანგეთში, ბოლოს კი ბარსელონაში 9 წელიწადი ვისწავლე. ამ ეტაპზე მინდა, რომ აქ 2 წელი დავრჩე, მაქვს პროექტები, მათ განხორციელებაზეც ვზრუნავ. ძალიან მინდა ტანსაცმლის ბრენდის გაკეთება, ეს ქართული ბრენდი იქნება, უფრო მასობრივი წარმოების. ამ ყველაფრის წარმოება ფაბრიკულად მოხდება. ეს იქნება პირველი პრეცედენტი, საკმაოდ დიდი და რთული პროექტია, რასაც ბევრი დრო და ჩემი აქ ყოფნა სჭირდება. აქედან გამომდინარე, ამ პროექტში აქტიურად ვიქნები ჩართული.

- ამ ბრენდისთვის სამოსს ცნობილი ქართველი დიზაინერები შექმნიან?

- ქართველი დიზაინერების ჯგუფი იქნება ჩართული, ახალგაზრდებიც და ცნობილებიც, გააჩნია კოლექციებს; იმდენად მრავალი კომპონენტისგან შედგება ეს ყველაფერი, რომ ერთი დიზაინერი ვერ გაუძღვება. დიდ ბრენდებში ყოველთვის ბევრი დიზაინერია, ძირითადად ახალგაზრდები და შემდეგ მარკეტინგის სპეციალისტები, რომლებიც დიზაინერებს კარნახობენ თუ რა სტილის კოლექცია უნდა გააკეთონ, რა ფერები უნდა გამოიყენონ, რა არის გაყიდვადი, შემდეგ, ამ კონცეფციიდან და სტრატეგიიდან გამომდინარე, დიზაინერები ქმნიან კოლექციებს. მთავარია, გაყიდვადი ფასი ჰქონდეს და მასობრივად გაიყიდოს.

- რამდენად წარმატებული იქნება თქვენი წამოწყება?

- სწორად დაგეგმილი და კარგად გათვლილი ნებისმიერი ბიზნესი ყოველთვის წარმატებულია. აქედან გამომდინარე, მჯერა წარმატების. ჩვენ ამის დიდი გამოცდილება გვაქვს. მოდის მარკეტინგს რაც შეეხება, მე თვითონ ეს ყველაფერი კარგად მაქვს ნასწავლი, ბაზარზეც არ რის ამ ნიშაში დიდი კონკურენცია, თვითონ ამიერკავკასიაშიც, და ვფიქრობ, რომ საინტერესო და კარგი რეგიონია ამ ყველაფრის განსავითარებლად.

- რას მეტყვით ფეშენ ვიკზე, ბევრი დიზაინერი გულნატკენი დარჩა წელს, რომ თბილისის მოდის კვირეული არ ჩატარდა.

- ფეშენ ვიკი ერთ-ერთი ღონისძიებაა, სადაც ქართველ დიზაინერებს თავიანთი კოლექციების ჩვენება შეუძლიათ. აქ ხდება ახალი სახეების აღმოჩენა. ამის გაუქმებამ კი ცუდად იმოქმედა ამ ყველაფერზე, მთელი ეს სეზონი, გაზაფხული - ზაფხული, ჩავარდა. როდესაც გინდა, რომ ქვეყანაში განვითარდეს ეს სფერო და ყველაფერი წინ წავიდეს, ფეშენ ვიკი აუცილებლად უნდა გქონდეს. დიდი იმედი მაქვს, რომ გაზაფხულზე ამგვარი რამ არ მოხდება და დიზაინერები შეძლებენ თავიანთი ნამუშევრების ჩვენებას. სადღაც მაისის დასაწყისში გვაქვს დაგეგმილი ფეშენ ვიკი, სადაც შემოდგომა-ზამთრის კოლექციების ჩვენება იქნება. დიდი იმედი გვაქვს, რომ ჩავატარებთ, რადგან გამოხმაურება მოჰყვა ამ ყველაფერს და სხვადასხვა სტრუქტურები მიხვდნენ, რომ საჭიროა.

- მაინც ვინ იყო მთავარი დამნაშავე იმაში, რომ მოდის კვირეული არ ჩატარდა?

- კულტურის სამინისტროსა და მერიის გამო დაფინანსების პრობლემა შეიქმნა. გარკვეული იყო, რომ აფინანსებდნენ, მაგრამ ბოლო წუთს გვითხრეს, ვერ ვახერხებთ, ბიუჯეტი არ არისო. ეს კი ისეთი ღონისძიებაა, რომელსაც წინასწარ გეგმავ. საერთაშორისო სტუმრები ჩამოგყავს, უამრავი სტუმარი გვყავდა მოწვეული და უცებ გადაიდო, გადადება კი როდის ხდება ხოლმე იცით? როდესაც ომია, ან რაღაც სასწაული ხდება. ჩვენ ფრანგ პარტნიორებს ძალიან გაუკვირდათ, ძალიან რთული გასაგები იყო მათთვის, რომ ბოლო წუთში აღარ დაგვაფინანსეს... უკვირდათ, როგორ, ხუთნლიანი კონტრაქტი არ გაქვთო? არადა, როცა ამ სახის პროექტს აკეთებ, გრძელვადიანი კონტრაქტი აუცილებელია, რომ სისტემატური სახე ჰქონდეს. აქ ამაზე არავინ გთანხმდება, რადგან ქვეყანაში პოლიტიკურად და ეკონომიკურად რა სიტუაცია იქნება არავინ იცის. ამიტომაც არ არის მიღებული, ამაზე ეცინებათ და გაოცებით კითხულობენ - რა�ა?!..

- საკმაოდ გემოვნებიან ქალად ხართ ცნობილი საქართველოში, თქვენი სტილი თავიდანვე გქონდათ, თუ უცხოეთში ყოფნისას გამოიმუშავეთ?

- მთელი ცხოვრების მანძილზე ის ეტაპები გავიარე, რომ სხვადასხვა სტილი მქონდა. ყველანაირი ფერის თმა მქონია, ქერა, თეთრი, ყვითელი, წითელი... ადამიანმა, როდესაც შენს სტილს ეძებ, ყველაფერი უნდა გამოსცადო და შემდეგ ის აარჩიო რაც გიხდება და თვლი, რომ ძალიან კომფორტულად გრძნობ თავს. სხვადასხვა ქვეყნებში როცა ცხოვრობ, იქ სხვადასხვა სტილია, მეც ყოველთვის მიყვარდა ამ სიახლეებისა და ექსპერიმენტების ჩემს თავზე გაკეთება. აქედან გამომდინარე, ბევრი ექსპერიმენტი ჩამიტარებია, ბოლო ათი წელია, რაც ეს სტილი მაქვს, თუნდაც ვარცხნილობის და არ ვაპირებ შეცვლას. რაც შეეხება ჩაცმულობას, სკოლის ასაკშიც კი ყოველთვის განსხვავებულად მიყვარდა ჩაცმა, არ მიყვარდა ის, რაც ყველას ეცვა. ამის გამო ხშირად მიხდებოდა დირექტორის კაბინეტში შესვლა. ამერიკაში სწავლის პერიოდი მახსენდება... კათოლიკურ სკოლაში ვსწავლობდი, იქ კი იყო ფორმა, ქვედაბოლო უნდა გცმოდა, რომელიც მუხლსზემოთ არ უნდა ასულიყო, ასევე საყელოიანი პერანგი. სკოლაში წესების წიგნი იყო, სადაც ეწერა ვის რა უნდა ჩაგვეცვა. ერთხელ, ტყავის შარვალი ვიყიდე, რომელიც მოდაში იყო ძალიან, მეც ძალიან მომწონდა და ასეთ მკაცრ სკოლაში ტყავის შარვლით მივედი. ლამის გაგიჟდნენ, დირექტორთან დამიბარეს, რა გაბედე, რა გაცვიაო. მე კი მშვიდად გადავშალე წესების წიგნი და განვაცხადე, აქ ტყავის შარვალზე არაფერი წერია და აქედან გამომდინარე, რადგან წიგნში არ ეწერა, ჩავთვალე, რომ შეიძლებოდა ჩამეცვა-მეთქი. ვერ დამსაჯეს, გაელიმათ და მითხრეს, ამას აუცილებლად შევიტანთ წიგნშიო... ყოველთვის მქონდა მიდრეკილება რაღაც განსხვავებულზე, არ მიყვარს, რომ მეც იმ შაბლონსა და სტერეოტიპში ჩავჯდე, რაც ყველას აქვს, ჩემი გემოვნება და ჩემი ხედვა მაქვს...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ოვრეზა არ მთავრდება“...

„მართლა ძალიან კარგი პიროვნებაა, მაგრამ არის მომენტი, როცა რაღაც საკითხებში ვერ უგებ და ფიქრობ, სანამ ურთიერთობა დაიძაბება, ჯობია ასე მოიქცე“

„ამ ეტაპზე მინდა, რომ აქ 2 წელი დავრჩე, მაქვს პროექტები, რომლის განხორციელებაზეც ვზრუნავ“...

EXCLUSIVE

- ცხოვრებაში რამდენად ავლენთ ხოლმე თავნება ხასიათს?

- ყოველთვის ისეთ საქმეს ვკიდებ ხელს, რაც რისკთან არის დაკავშირებული, რაც სიახლეა. საქართველოში, ძალიან ხშირად, სხვის ბიზნესმოდელს აკოპირებენ. ეს ჩემთვის მიუღებელია. ბავშვობიდანვე ასე იყო. ყოველთვის მინდა, რომ რაღაც ახალი შემოვიტანო და ახალი დავნერგო. თუნდაც, ჩემი ბარის მაგალითი ავიღოთ. როცა შარდენზე „შარდენ ბარის“ გაკეთება გადავწყვიტე, იქ ბარი არავის ჰქონია. მინდოდა განსხვავებული გამეკეთებინა, ყოფილიყო ძვირფასი გარემო, სადაც შეჭამდი, დალევდი და მუსიკასაც მოისმენდი. ჩვენებებიც ხშირად ეწყობოდა და სხვადასხვა დიზაინერების ფოტოგამოფენაც, რაღაც შეხვედრის ადგილი იყო და ეს იყო პირველი. თავიდან პარტნიორებს ვეძებდი, პარტნიორები კი ძირითადად ასაკიანი მამაკაცები იყვნენ, გემოვნება დიდად რომ არა აქვთ განვითარებული. მე ვუხსნიდი რისი გაკეთება მსურდა. ისინი კი გაოცებული მისმენდნენ და ბოლოს მეკითხებოდნენ - კი მაგრამ, თუ ხაჭაპური და ხინკალი

„როდესაც ოპტიმისტურად ხარ განწყობილი, მაშინ ბევრად სხვანაირად იქცევი, ბევრად სხვანაირად აღიქვამ ყველაფერს და ბევრად წარმატებული ხარ, ვიდრე დეპრესიაში და სასოწარკვეთაში ჩავარდნილი“

არ გექნებათ ამ ბიზნესში ფული რამ უნდა შემოიტანოს, ხალხს როგორ მოიზიდავთო?!... მე კი ვუხსნიდი, მაგრამ არაფერი ესმოდათ... საბოლოოდ პარტნიორი ვერ ვიპოვე, რადგან ყველა ფიქრობდა, ეს გოგო პარიზიდან ჩამოვიდა და გაურკვეველ რაღაცაზე საუბრობს, რაც საქართველოში არანაირად არ გამართლებსო, თუმცა „შარდენ ბარმა“ გაამართლა; მას შემდეგ, რაც „შარდენ ბარი“ გავხსენი, ამ ქუჩაზე უამრავი ბარი გაიხსნა. აქედან გამომდინარე, ყოველთვის მიყვარს რისკიანი ნაბიჯების გადადგმა, მიყვარს სიახლე... თუნდაც ეს ბრენდი, გარისკო და ამხელა რაღაც წამოიწყო, არ არის იოლი საქმე. დაინტერესებული ვარ, რომ ახალი და კარგი გავაკეთო, თან საქართველოში, იმიტომ რომ ქართველი ვარ და მიუხედავად იმისა, რომ საზღვარგარეთ ვცხოვრობდი, ყოველთვის მქონდა ეს სულისკვეთება, რომ უცხოეთში მიღებული განათლება და გამოცდილება საქართველოში გამომეყენებინა.

- ესპანეთში, როგორც ვიცი, გათხოვების შემდეგ მოგიხდათ გამგზავრება.

- კი, 9 წელი ვიცხოვრე ბარსელონაში. მყავს 2 შვილი ლუკა და ალექსანდრე. ისინიც აქ არიან ახლა. ჩემი ჩამოსვლის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ მინდოდა შვილებს ქართული წერა-კითხვა ესწავლათ, რადგან იქ ინგლისურ-ესპანურ სკოლაში დადიოდნენ და უჭირდათ ქართულად საუბარი. ახლა 7-8 წლისანი არიან, ცოტა მერე რომ ჩამოვსულიყავით გაუჭირდებოდათ. ეს ის ასაკია, როცა იოლად შეიძლება აითვისო. მერე ბავშვები კომპლექსდებიან.

- როგორც ვიცი, ქმარს დაშორდით, რამდენი ხანია რაც ერთად არ ხართ?

- 7 თვე იქნება...

- ალბათ, დეპრესიამაც „გაიძულა“, რომ სამშობლოში დაბრუნებულიყავი.

- არა, დეპრესიული მომენტები არ მქონია. ოჯახის დანგრევა არ არის იოლი გადაწყვეტილება, მაგრამ მყარად მქონდა გადაწყვეტილი. საქართველოში დაბრუნებამ ეს განცდები, რა თქმა უნდა, იოლად გადამატანინა. ახლა კი იმდენად ვარ ჩემს საქმეში ჩართული და იმდენად მიყვარს, რომ რეალურად არც მქონდა ამაზე საფიქრალი დრო. მივეჩვიე და ძალიან კარგად ვარ ჩემს ქვეყანაში, ჩემს შვილებთან ერთად, მტკივნეულად არ გადამიტანია.

- ყოფილი მეუღლე რა პროფესიის არის?

- პროფესიით ექიმია, სამედიცინო აქვს დამთავრებული და ბარსელონაში ცხოვრობს, მაგრამ ექიმად არ მუშაობს, თავისი კერძო ბიზნესები აქვს. 12 წელია რაც იქ ცხოვრობს, მაგრამ საქართველოში ხშირად ჩამოდის და ბავშვებს ნახულობს. ჩემი კლასელი იყო, ანუ ის არ არის, რომ მარტო 9 წელი ვიცნობდი, სკოლიდან ვიცნობთ ერთმანეთს, მართლა ძალიან კარგი პიროვნებაა, მაგრამ არის მომენტი, როცა რაღაც საკითხებში ვერ უგებ და ფიქრობ, სანამ ურთიერთობა დაიძაბება, ჯობია ასე მოიქცე. ჩემთვის მიუღებელია ოჯახი, სადაც დაკა-დაკა, ჩხუბი, გაუგებრობა და სიყვარულის დეფიციტია. ამ შემთხვევაში ჯობია ცალ-ცალკე იყო და კარგად, ვიდრე ბავშვები ამ დაძაბულ სიტუაციას უყურებდნენ. 16 წლიდან დამოუკიდებლად ვცხოვრობ, ძალიან თავისუფალი ტიპი ვარ და როცა შევხედე, რომ ის არ იყო, რაც მინდოდა, გადავწყვიტეთ დავშორებოდით ერთმანეთს.

- ალბათ, დეპრესიამაც „გაიძულა“, რომ სამშობლოში დაბრუნებულიყავი.

- არა, დეპრესიული მომენტები არ მქონია. ოჯახის დანგრევა არ არის იოლი გადაწყვეტილება, მაგრამ მყარად მქონდა გადაწყვეტილი. საქართველოში დაბრუნებამ ეს განცდები, რა თქმა უნდა, იოლად გადამატანინა. ახლა კი იმდენად ვარ ჩემს საქმეში ჩართული და იმდენად მიყვარს, რომ რეალურად არც მქონდა ამაზე საფიქრალი დრო. მივეჩვიე და ძალიან კარგად ვარ ჩემს ქვეყანაში, ჩემს შვილებთან ერთად, მტკივნეულად არ გადამიტანია.

- ყოფილი მეუღლე რა პროფესიის არის?

- პროფესიით ექიმია, სამედიცინო აქვს დამთავრებული და ბარსელონაში ცხოვრობს, მაგრამ ექიმად არ მუშაობს, თავისი კერძო ბიზნესები აქვს. 12 წელია რაც იქ ცხოვრობს, მაგრამ საქართველოში ხშირად ჩამოდის და ბავშვებს ნახულობს. ჩემი კლასელი იყო, ანუ ის არ არის, რომ მარტო 9 წელი ვიცნობდი, სკოლიდან ვიცნობთ ერთმანეთს, მართლა ძალიან კარგი პიროვნებაა, მაგრამ არის მომენტი, როცა რაღაც საკითხებში ვერ უგებ და ფიქრობ, სანამ ურთიერთობა დაიძაბება, ჯობია ასე მოიქცე. ჩემთვის მიუღებელია ოჯახი, სადაც დაკა-დაკა, ჩხუბი, გაუგებრობა და სიყვარულის დეფიციტია. ამ შემთხვევაში ჯობია ცალ-ცალკე იყო და კარგად, ვიდრე ბავშვები ამ დაძაბულ სიტუაციას უყურებდნენ. 16 წლიდან დამოუკიდებლად ვცხოვრობ, ძალიან თავისუფალი ტიპი ვარ და როცა შევხედე, რომ ის არ იყო, რაც მინდოდა, გადავწყვიტეთ დავშორებოდით ერთმანეთს.

- რა რჩევებს მისცემთ ახალგაცილებულ ქალბატონებს, რომლებიც ამის გამო დეპრესიაში ვარდებიან?

- ყოველთვის უნდა გჯეროდეს შენი თავის და შენი საქმე და გზა უნდა ნახო ცხოვრებაში. მე ვფიქრობ, რომ ისეთი ქალები ვარდებიან დეპრესიაში, რომლებიც 100%-ით ქმარზე არიან დამოკიდებულები, არა აქვთ თავიანთი ცხოვრება და თავიანთი გზა, ხოლო ის ქალები, რომლებსაც თავიანთი საქმე და თავიანთი ცხოვრება აქვთ, ვერ დავიჯერებ, რომ ასე განიცდიდნენ, რადგან ამით ცხოვრება არ მთავრდება, ცხოვრება წინ არის, სავსე სიურპრიზებითა და საინტერესო რაღაცებით. მე ძალიან მიყვარს ცხოვრება. ადამიანი თუ პოზიტიურად მიუდგები ამ ყველაფერს და გააანალიზებ, რომ ეს იმიტომ ხდება, რომ რაღაც ახალი იწყება, მაშინ არ იქნები დეპრესიული, პირიქით... როდესაც ოპტიმისტურად ხარ განწყობილი, მაშინ ბევრად სხვანაირად იქცევი, ბევრად სხვანაირად აღიქვამ ყველაფერს და ბევრად წარმატებული ხარ, ვიდრე დეპრესიაში და სასოწარკვეთაში ჩავარდნილი. ნებისმიერი პრობლემა უნდა გააცნობიერო და უნდა მიხვდე, რომ ეს პრობლემა არის რაღაცის დასასრული და რაღაც ახალის, საინტერესოს დასაწყისი.

- თქვენთან დაიწყო ახალი და საინტერესო, პირადს ვგულისხმობ, თუნდაც სიყვარულის სახით?

- არა, სიყვარულის სახით არა. მაგრამ ჩემს საქმიანობას რაც შეეხება, კი. ეს 9 წელი, რაც ბარსელონაში ვცხოვრობდი, ოჯახზე ვიყავი გადართული, ახლა უფრო ჩემს ბიზნესს მივუბრუნდი, მომავალზე, კარიერაზე ვფირობ; აქედან გამომდინარე, ცოტა რთულია, შეათავსო სიყვარული და ეს პირადი ცხოვრება შენს საქმიან ცხოვრების სტილთან, ამიტომ, ამ ეტაპზე ვფიქრობ, „ტაიმ აუტი“ ავიღე, მხოლოდ სიყვარულობანათი და სახლობანათი აღარ მინდა ვიყო დაკავებული, რომ უფრო განვვითარდე ჩემი ახალი გეგმებით და ბიზნესის კუთხით.

- ქალაქში რომ სხვას ამბობენ?

- რას ამბობენ?

- შეყვარებულია, ბაგრატიონის ძმაზე, უგოზეო...

- მე და უგო მეგობრები ვართ. 5-6 წელია ვიცნობ. უგოსაც კარგად ვიცნობ და დავითსაც, ჩემი მეგობრები არიან. ისინი ესპანეთში ცხოვრობენ. რა თქმა უნდა, მეგობრული კონტაქტი მაქვს, იმიტომ რომ ბევრი რამე გვაკავშირებს, თუნდაც ესპანეთი, ენა. მათ ცოტა უჭირთ ქართულად საუბარი. საქართველოში მე ისეთ ადამიანებში ვტრიალებ, ყველამ იცის ვინ ვინ არის და ქართველებისთვის უგო ეტყობა უფრო ახალი სახეა და აქედან გამომდინარე გაავრცელეს ეს ჭორი. როგორც მეგობარი მართლა ძალიან კარგი ადამიანია, სხვა არ ვიცი, ამაზე არც არასდროს მიფიქრია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ნახევარზე მეტი მშიერი ატარებს დღეებს“



„სახელმწიფო რაღაც სუბსიდიებს უნდა დებდეს საწარმოებში, ანუ კანონპროექტი უნდა იყოს ასეთი, უსინათლოს როცა დაასაქმებ, საგადასახადო შეღავათები უნდა ჰქონდეს ფირმებს, რომ დაინტერესდნენ“

„ბევრი ზამთარს ისე ატარებს, რომ გათბობის საშუალებაც კი არა აქვთ. ამ ადამიანებს მიხედვა და პატრონობა უნდა“





my View
დეა თავბერიძე

„გათბობაზე ხომ ზედმეტია საუბარი, ზოგჯერ 4-5 დღე ისე გადის, რომ პურიც არა აქვთ... ერთ-ერთს, მხედველობასთან ერთად, სმენაც დაქვეითებული აქვს, ანალოგიურ დღეში ჰყავს ძმაც, რომელიც ვერ დადის, ერთი მოხუცი დედის შემყურენი არიან ორივენი“, - ამგვარი ტკივილიანი ისტორიით საქართველოში ბევრი უსინათლოა. რეგიონებში მცხოვრებთა შორის უმეტესობის ერთადერთი საფიქრალი ლუკმა-პურის შოვნაა... სწორედ ამ პრობლემებზე სასაუბროდ ეწვივნენ „პრაიმტაიმს“ გორისა და ბოლნისის უსინათლოთა კავშირის ფილიალის თავმჯდომარეები. მანამდე კი სხვადასხვა კომპანიებს გადაუგზავნეს თხოვნები, მათი სურვილია ფილიალის უსინათლო წევრებს ამ საახალწლოდ მაინც გაულამაზონ ერთი დღე.

რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების უზრუნველყოფისათვის, რა მხრივ უნდა შეიცვალოს სახელმწიფო პოლიტიკა, როგორ უნდა მოგვარდეს ის მწვავე პრობლემები, რაც დღეს უსინათლოს ძალიან აწუხებს? ეს ის საკითხებია რაზეც ჩვენმა რესპონდენტებმა ისაუბრეს.

დავით გურასპაშვილი, გორის უსინათლოთა კავშირის ფილიალის თავმჯდომარე: - ამ ფილიალის თავმჯდომარე 98 წლიდან ვარ. მეც პირველი ჯგუფის უსინათლო გახლავართ, ამიტომ მთელი ჩემი ცხოვრება ამ ხალხის გვერდით მაქვს გატარებული. უფლის წყალობით, კეთილი და ქველმოქმედი ადამიანების დახმარებით ყოველ შობას და აღდგომას მათ პატარა ნობათს გადავცემთ. არიან კომპანიები, რომლებიც შემონაწირს გვიკეთებენ, „ბარამბოს“ ქარხანა, „ნატახტარი“, ვაკის ძეხვის ქარხანა, ამას ვაგროვებთ და მერე, ვისაც ყველაზე ძალიან უჭირს იმათ ვურიგებთ, საახალწლო და სააღდგომო ნობათს. მადლობა ამ კომპანიებს ამისთვის. ეს ძალიან დიდი ყურადღებაა ამ ადამიანების მიმართ, ისინიც გრძნობენ, რომ სულ მიტოვებულები არ არიან და მათზე ვიღაც ზრუნავს.

- რას იტყვით იმ პრობლემებზე, რომელიც დღეს უსინათლოს აქვს და რამაც თქვენ „პრაიმტაიმში“ მოგიყვანათ?

- დღეს პრობლემები ჩვეულებრივ ადამიანს აქვს და თქვენ წარმოგიდგენიათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანი რა მდგომარეობაში იქნება?! ძალიან რთულია დღევანდელი დღე უსინათლოსთვის. პირველი და ყველაზე მთავარი პრობლემა ადაპტირებაა, საზოგადოებასთან ინტეგრირებული უნდა იყოს. ბევრი რამ სახელმწიფოზეა დამოკიდებული, მით უმეტეს მისი ადაპტირება და ინტეგრირება. უცხოეთში შექმნილია ისეთი პირობები, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანს, დამოუკიდებლად ყველაფრის გაკეთება შეუძლია. საერთოდ, ადამიანი მომავლის იმედით ცოცხლობს, მაგრამ ახლა რასაც ვუყურებ, ამ პერიოდიდან ძალიან რთულია ეს რომ რეალობად აღიქვა ადამიანმა, თუმცა თუ მოვინდომებთ ნელ-ნელა, ეტაპობრივად რაღაცას აუცილებლად შევძლებთ. მთავარია სახელმწიფო დაინტერესდეს ამით. ქვეყნის მეთაურებმა ამ ხალხის პრობლემები, გულთან ახლოს მიიტანონ და აქედან დაიწყოს ყველაფერი, თორემ ჩვეულებრივი ადამიანი ვერაფერს შეძლებს.

- უსინათლოები დამატებით რაიმე სახის დახმარებას თანხის სახით თუ იღებენ?

- დამატებით უსინათლო არაფერს იღებს. ერთადერთი, ბოლნისის ფილიალის თავმჯდომარემ, ზაზა მარტიაშვილმა მოახერხა, მუნიციპალიტეტის გვერდში ამოდგომით, თავისი ფილიალით უსინათლოებს დახმარებოდა. ბოლნისის გამგეობა მათ ყოველთვე 100 ლარს ურიცხავს. ეს უკვე შეღავათია. ზოგს აქვს კეთილი ნება და ეხმარება, ზოგს არა. რამდენიმე კვირის წინ ჩვენს გამგებელს შევხვდი, ავუხსენი უსინათლოების გაუსაძლისი მდგომარეობა, რაღაცას გავითვალისწინებო, იმედი მოგვცა, ვნახოთ.

- როგორ მოახერხეთ, რომ ყოველთვიურად ფინანსდებიან ის უსინათლოები, რომლებიც თქვენთან არიან გაწევრიანებულები?

ზაზა მარტიაშვილი, ბოლნისისა და მარნეულის უსინათლოთა კავშირის ფილიალის თავმჯდომარე: - ბოლნისის ფილიალის თავმჯდომარე ჩემამდე ბატონი იუზა უგრეხელიძე გახლდათ, მან შეძლო, რომ უსინათლოებს თვეში 30 ლარი მიეღოთ, შემდეგ მე მოვახერხე და მუნიციპალიტეტს 100 ლარამდე გავაზრდევინე ეს თანხა. ეს გამგებლის კეთილი ნება იყო, გაგებით მოეკიდა ამ საკითხს. მაგრამ ამ 100 ლარს მხოლოდ ბოლნისის უსინათლოები იღებენ, მე მარნეულის ფილიალიც შემომიერთეს და ისინი არ ფინანსდებიან. ამ ეტაპზე ჩემი მთავარი მიზანია, რომ მათაც შეძლონ ამ დახმარების მიღება. იმედი მაქვს, რომ გამგეობა არც ამჯერად მეტყვის უარს. მაგრამ ყველაზე მთავარი დასაქმების პრობლემა გახლავთ. მე ის მირჩევნია, რომ ამ ადამიანებს განსხვავებული პენსია ჰქონდეთ, დასაქმებულები იყვნენ, ვიდრე ამ შემონაწირზე იყვნენ დამოკიდებულნი, როცა ქველმოქმედებაზეა დამოკიდებული ადამიანი, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ შენ უკიდურესად გაჭირვებული ხარ. შემოსავლის სამსახურმა დაასაქმა რამდენიმე და ეგ არის და ეგ. სახელმწიფო რაღაც სუბსიდიებს უნდა დებდეს საწარმოებში, ანუ კანონპროექტი უნდა იყოს ასეთი, უსინათლოს როცა დაასაქმებ, საგადასახადო შეღავათები უნდა ჰქონდეს ფირმებს, რომ დაინტერესდნენ. დასაქმების პრობლემა და არანაირი შემოსავალი როცა არა აქვთ უსინათლოების 90%-ს, უკვე ხვდებით რა მდგომარეობაა. ამგვარი მოთხოვნაც არის, ჩვენ თუ ვერ გვასაქმებენ ოჯახის წევრები მაინც დაგვისაქმონო. ბევრი ზამთარს ისე ატარებს, რომ გათბობის საშუალებაც კი არა აქვთ. ნახევარზე მეტი მშიერს ატარებს მთელ დღეს. ამ ადამიანებს მიხედვა და პატრონობა უნდა.

დავით გურასპაშვილი: „როდესაც მხედველობა არა აქვს ადამიანს, ღმერთი მწყალობელია და რაღაცას მეტს გაძლევს. ამიტომ ძალიან ბევრი ნიჭიერი ხალხია, მათ შორის ძალიან კარგი მომღერლები, ძალიან მაგარი კომპიუტერის სპეციალისტები. რომლებსაც შეუძლიათ ჩვეულებრივ ადამიანზე მეტი გააკეთონ. ზოგისთვის წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია. მე მქონდა ამგვარი პროექტი, გორის უსინათლოებისთვის მინდოდა შემესწავლებინა კომპიუტერი, გვყავდა სპეციალისტიც, ბერს უკვირდა უსინათლო კომპიუტერს როგორ უნდა დაეუფლოსო, მაგრამ ძალიან ბევრი სპეციალისტია, არის ხმოვანი პროგრამები. უსინათლოს შეუძლია, რომ გათანასწორებული იყოს არაშეზღუდულ შესაძლებლობის მქონე ადამიანთან, მაგრამ ეს უნდა იყოს სახელმწიფო დონეზე გადაწყვეტილი. ბევრი კანონი საერთოდ არ არის მოქმედებაში, დაკონსერვებულია. ეს კანონები მაინც აამუშაონ... ჩემი მოთხოვნაა, რომ პარლამენტში ორი ადამიანი მაინც აუცილებლად იყოს უსინათლოთა კავშირიდან, თუ შენ არა გაქვს ამ ადამიანებთან შეხება, ძალიან რთულია იმათი პრობლემების შორიდან დანახვა და გულთან ახლოს მიიტანა... ჩემს ფილიალში კი არიან ისეთი წევრები, რომლებსაც ძალიან უჭირთ. გათბობაზე ხომ ზედმეტია საუბარი, ზოგჯერ 4-5 დღე ისე გადის, რომ პური არა აქვთ. ერთმანეთი გააქვთ. ერთ-ერთს არა აქვს მხედველობა და სმენაც დაქვეითებული აქვს, ანალოგიურ დღეში ჰყავს ძმაც, რომელიც ვერ დადის და ერთი დედის ამარა არიან. ის ქალი რომ გარდაიცვალოს ამათ რა ეშველებათ, არ ვიცი.

„ამგვარი მოთხოვნაც არის. ჩვენ თუ ვერ გვასაქმებენ, ოჯახის წევრები მაინც დაგვისაქმონო“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თამარ გონგაძე

„GOLADAMIAN“-ისა და „დალოოდ ჯგუფის“ ერთობლივი ჩვენება

22 წლის დიზაინერმა გოლა დამიანმა, „დალოოდ ჯგუფთან“ ერთად, ევროპის სახლში 2014 წლის გაზაფხული-ზაფხულის 20-წუთიანი დეფილე წარმოადგინა. ეს დიზაინერის რიგით მეოთხე ჩვენებაა; თუმცა „დალოოდ ჯგუფთან“ ერთად, „GOLADAMIAN“-ის ბრენდით, პირველი სრულყოფილი. პირველად გოლა თბილისის მოდის კვირეულის ნიუ ქამერების ჩვენებაზე გამოჩნდა, შემდეგ საქართველოს მოდის კვირეულზე. ვენის მოდის კვირეულზე მოხვედრას იკა ბობოხიძეს უმადლის. გასულ ზაფხულს მოდის საკონკურსო კვირეულ „ბინექსთიზე“ პირველად „დალოოდთან“ ტანდემით ათი კოსტიუმით წარსდგა.

ეს ჩვენება დიზაინერმა თბილისის მოდის კვირეულისთვის დაგეგმა და რადგან ის აღარ ჩატარდა, გადაწყვიტა ნამუშევრებით პერსონალურად წარმდგარიყო. ახალ იმიჯზე და კოლექციაზე დაახლოებით ერთ პერიოდში დაიწყო მუშაობა. ცხვირზე პირსინგი გაიკეთა, წვერი მოუშვა და ძლიერი ქალის კოლექციაზე მუშაობას შეუდგა. „ვთვლი, რომ ნიკაპი არ მაქვს და წვერით, პლასტიკური ქირურგიის ჩარევის გარეშე, სახის ფორმა დავიგრძელე. მომწონს, ვთვლი, რომ ჩემი სტილია და მიხდება. ცოტა სიმაღლე რომ მქონდეს, კიდევ უფრო მომიხდებოდა“.

თვითონ ასე ახასიათებს საკუთარ თავს: „ვარ მხიარული, მიყვარს გართობა, მუსიკა, მეგობრები... ადამიანს არასდროს ცუდს არ გავუკეთებ. მიყვარს მეორადი მოხმარების სამოსის შეძენა. როცა ბერლინში ვარ, იქ ვინთეიჯმარკეტზე ვიძენ“.

გაბედული, ენერგიული, საქმიანი...

გოლას ახალი კოლექცია 30 კოსტიუმისგან შედგება. დიზაინერმა საინტერესო და ტენდენციური ფერების სამოსი მძიმე როკის ფონზე წარმოგვიდგინა. გამოყენებული ნეოპრინის ქსოვილი 2014 წლის ტენდენციურ ქსოვილად ითვლება. პრინტები - ასევე აქტუალური გადაწყვეტა მოდის სფეროში. დიზაინერმა ერთ დროს „მოდური“ YES და NO სვიტრებზე გადმოიტანა, ოღონდ სხვა შრიფტით.

დიზაინერმა ფერები ასე გადაანაწილა. კოლექცია თეთრი სამოსით დაიწყო. მას თანმიმდევრულად მოჰყვა ფირუზისფერი, წითელი, ცისფერი, მწვანე, ოქროსფერი, ლურჯი და ფინალური ოთხი შავი კოსტიუმი. ეფექტური კოლექციაა, ქალურად იდუმალიც და საინტერესოც. ფეხსაცმელზე ბევრი არ უფუქრია, ამას თვითონაც ამბობს. გამოკვეთილი აქცენტი სამოსზე რომ ყოფილიყო შავი, სანდლის ტიპის ფეხსაცმელი გამოიყენა, რომელიც მოდელებს ბორდოსფერი და რუხი ფერის წინდებზე ეცვათ. YES და NO-ს პრინტებს ძალიან მოუხდა ცაგო ყანჩაველის აქსესუარები, სამკაულები, რომელზეც ასევე ლათინური ასოებია ახლართული. სურვილისამებრ ყელსაბამზე სასურველ სახელს იგულისხმებ.

„ინსპირაციით ჩარჩოში თავს არ ვისვამ, იმიტომ, რომ მზღუდავს და მხოლოდ იმ თემაზე ვფიქრობ. ამიტომ სასურველი შედეგის მისაღებად ვცდილობ თემით და ჩარჩოთი არ შევიზღუდო“.

როგორც ამბობს, ყველაზე მეტად უჭირს იმაზე საუბარი, თუ როგორია ეს ქალი, რომელიც საზოგადოების წინაშე კოლექციით წარმოადგინა.

„ვეცადე კლასიკური და სპორტული სტილი გამეერთიანებინა. გაბედული, ენერგიული, საქმიანი, სპორტული ქალი გამოვიდა. მაინტერესებს სხვა რას დაინახავს მასში“.

ფრანგული სტილის ლუქბუქისთვის გოლას კოლექცია ნია გვათუამ გადაიღო.

ფოტო: ჯიჯი რეჯინი

„ზოგჯერ მიხარია კიდეც, რომ არ მისწავლია და მხოლოდ საკუთარი იდეებით ვმუშაობ“

„ვეცადე კლასიკური და სპორტული სტილი გამეერთიანებინა. გაბედული, ენერგიული, საქმიანი, სპორტული ქალი გამოვიდა. მაინტერესებს სხვა რას დაინახავს მასში“

მოდელი, რომელმაც ფოტოსესიით პრეზენტაცია ახალ კოლექციას გაუკეთა, თეკლა ჩიჯავაძეა. ჩვენება სწორედ თეკლამ გახსნა. ფოტოსესიას ხუთი საიმიჯო ფოტო ერთვოდა თან, რომელიც ჯიჯი რეჯინის ეკუთვნის. მოდელი, რომელმაც რეჯინისთან იპოზირა, თინა შარაშენიძეა, გოლას არაპროფესიონალი მოდელი მეგობარი.

„ჯეომოდელსის“ 15 მოდელთან ერთად დიზაინერმა თავისი მეგობრები გამოიყვანა პოდიუმზე, მათ შორის არამოდელები. „მიყვარს არაპროფესიონალი, მაგრამ საინტერესო და სახასიათო გარეგნობის გოგონების პოდიუმზე გამოყვანა. ბევრი მათგანი ვიზუალურად ქართველ მოდელებს სჯობს. ამჯერად ჩემს ჩვენებაში სულ უცნობი სახეები იყვნენ - მარიკა მჟავია და თიკა გამცემლიძე. ჩემს დეფილეებში ეს ტენდენცია ყოველთვის შეინიშნება“.

„დალოოდ ჯგუფი“

„დალოოდ ჯგუფი“ 12 წელია არსებობს. თავდაპირველად მუშაობდა როგორც ატელიე, რომელიც თავის პროდუქციას აწარმოებდა. ახლა ფორმატს იცვლის და დიზაინერებისთვის იქნება საკონსულტაციო ბიურო, რომელიც ერთდროულად რამდენიმე პროექტს განახორციელებს. აიყვანს ახალ დიზაინერებს და მათგან ბრენდს შექმნის, როგორც ეს „GOLADAMIAN“-ის შემთხვევაშია. ამ ბრენდებს კონსულტაციას, რეალიზაციასა და პოპულარიზაციას გაუწევს. ამჟამად „დალოოდ ჯგუფის“ ბრენდები „GOLADAMIAN“-ის გარდა „სიმონ მაჩაბელი“ და „გიორგი ამირეჯიბია“. „დალოოდ ჯგუფის“ მიერ წარმოებული ბრენდი გაიყიდება არა მხოლოდ აქ, არამედ ევროპაშიც. **გოლა დამიანი:** „დალოოდში“ რომ მოვედი, მის დამფუძნებელს მაკას საერთოდ არ ვიცნობდი. დაპრინტული სვიტრების ესკიზები მოვიტანე, მოენონა. მერე შევთავაზე, „ბინექსთზე“ ერთობლივად გაგვეკეთებინა კოლექცია. მაისიდან მოყოლებული, მაკასთან ერთად მოსკოველი მომხმარებლისთვის ინტენსიურად ვმუშაობ. მოსკოვში მაღაზია „დაალოდ მოსქოუში“ სხვა ქართველი დიზაინერების სამოსთან ერთად ჩემიც იყიდება და დიდი მოთხოვნაა. მოსკოვში ძალიან მოთხოვნადი გავხდი. „დალოოდი“ ხელს მიწყობს ქსოვილიდან დაწყებული ყველაფერში. ჩემი სვიტრები ძალიან მოსწონთ. ბოლო დროს ისე გავაფორმე, რომ გამოსასვლელი ყოფილიყო. ქართული ხალიჩების პრინტს ვუკეთებ. არის ასეთი ონლაინ საიტი „მორიზლავი“, რომელსაც ეს სვიტრები მოეწონა. მისმა წარმომადგენელმა ნინჩო ელიავამ ხუთი დიზაინის სვიტრი შემიკვეთა. ბევრი მაშინვე გაიყიდა. ელენე მეტრეველმა (მოსკოველია) იყიდა ჩემი ზედა და მოსკოვში ფილმის პრეზენტაციაზე ჩაუცვამს. ჩაცმის მოყვარულებს ჩემი პრინტი უცვნიათ, რაც ძალიან მახარებს. ვფიქრობ, ჩემი სტილი მაქვს. როდესაც ჩემს სამოსს ნახავთ, მინდა მიხვდეთ, რომ ჩემია. ვფიქრობ, ეს დიზაინერისთვის მთავარია. მერე ბევრ ბლოგზე მოხვდა ჩემი სვიტრები, „ვოგიშიც“ დაინერა... მაკას და „დალოოდის“ გარეშე ამ ყველაფერს ვერ შევძლებდი“.

მაკა კვიციანი, „დალოოდ ჯგუფის“ დამფუძნებელი: „გოლამდე სიმონიკო მაჩაბელთან ვთანამშრომლობდით. ჩვენების მონწყობას მასთან ერთადაც ვგეგმავთ. თებერვალში გოლას 2014 წლის შემოდგომა-ზამთრის ჩვენება დაიგეგმება. მას, სავარაუდოდ, თბილისის მოდის კვირეულზე წარვადგენთ.

ყველანაირი ტენდენციების გათვალისწინებით გოლა ძალიან „თრენდი“ სამოსს აკეთებს. „GOLADAMIAN“-ი მასმარკეტი არ არის, ექსკლუზივია, მხოლოდ ხელმისაწვდომი ექსკლუზივი. აქ იმდენად არ იყიდება, როგორც ყაზახეთში, რუსეთში. იქ მის ფერად სამოსს წარმატებით ვყიდით. ამ ჩვენებით კი „GOLADAMIAN“-ის გამოჩენა პირველი ნაბიჯია ქართულ ბაზარზე. ყველა გველოდა და ჩვენც მონდომებულები ვართ“.

გოლა - გიორგი ზუმბულიძე

შრომისმოყვარე გოლას ნამდვილად გაუმართლა, საჭირო დროს, საჭირო ადგილას აღმოჩნდა. 16 წლიდან მოდის სფეროში ტრიალებს. პროფესიული განათლების გარეშე პრაქტიკით მოვიდა დღემდე.

მისი ნამდვილი სახელი და გვარია გიორგი ზუმბულიძე. გოლა ბაბუას სახელია და ადრე თუ დასცინოდა, ახლა ისე მოსწონს, გააბრენდა. „არის ერთი ფრანგული სპორტული ბრენდი „გოლა“. არასწორი იქნებოდა, მეც რომ მხოლოდ ასე მრქმეოდა. ერთ დღეს ხელში ჩამივარდა წიგნი, რომელიც გამომცემლობა „დამიანის“ მიერ იყო დაბეჭდილი. ასე გადავიწყვიტე „გოლადამიანი“ მრქმეოდა“.

უნდა პროფესიონალი და დიპლომირებული დიზაინერი იყოს. სასწავლებლად ან ვენის ან ანტვერპენის სასწავლებელში სურს გამგზავრება. ეს, ორი წლის შემდეგ. ახლა კი თვლის, რომ მოთხოვნადია და შრომის დროა.

„მოდის ტენდენციები არასდროს დამითვალიერებია „სტაილ ქომზე“. მაკა კვიციანი მეხმარება, ის ვორკშოფებზე დადის, სადაც ეცნობა მოდის ტენდენციებს. ვცდილობ, წავიკითხო და არ ვნახო. ხშირად, თვალის მეხსიერებით ის, რაც მომწონებია, მერე კოლექციაში გამომიყენებია. ეს რომ არ მოხდეს, ამიტომ არ ვათვალიერებ. ხშირად, ტენდენციას ემთხვევა ჩემი არჩევანი. ზოგჯერ მიხარია კიდეც, რომ არ მისწავლია და მხოლოდ საკუთარი იდეებით ვმუშაობ. თუმცა არის ისეთი დეტალები, რომელსაც მხოლოდ გამოცდილებით ვერ ისწავლი. ამიტომ საჭიროა პროფესიული განათლების მიღება. გაცილებით მეტი მეცოდინება“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ხაშურში ეგონათ, რომ მათ

თამუნა ლომსაძე: „პაროდისტი აერიათ და ხაშურში ყველამ იცოდა, რომ ცოლად ივანიშვილს გავყევი“

my View

თამარ გონგაძე

ბიძინა ივანიშვილის პაროდისტმა იქორწინა. რამდენიმე თვის წინ პირად ცხოვრებაზე საუბარი არ ისურვა, ეს თემა დახურულიაო. ახლა თამამად აჩენს პრესაში თავის მეორე ნახევარს. გაცნობიდან მეშვიდე თვეში სპონტანურად დაოჯახდა. ნიკა კაკაბაძის მეორე ნახევარი სამედიცინო ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი თამუნა ლომსაძეა, მომავალი ფარმაცევტი. ერთმანეთი, ძველით ახალ წელს, საერთო მეგობართან გაიცნეს. თამუნას კლასელი „კავეენში“ ნიკას გუნდში თამაშობდა. ახალ წელს ერთმანეთისთვის ყურადღება არც მიუქცევიათ. მერე ისევ იმავე მეგობართან შეხვდნენ და უკვე მესამე „შემთხვევით“ შეხვედრაზე ნიკა მიხვდა, რომ ეს გოგო მოსწონდა. მერე უკვე საერთო მეგობრის გარეშე მოუნდა თამუნას ნახვა.

რომანტიკული პერიოდი

„საერთოდ, აქტიური არ ვარ, მაგრამ სიყვარული ააქტიურებს ადამიანს და მეც გამააქტიურა. სახლში მივაცილე, მერე ვარდები ვაჩუქე... და სიყვარული ავუხსენი“ - მშრალად დაიწყო ნიკამ. სამაგიეროდ თამუნამ გაიხსენა სიყვარულის სახალხოდ ახსნის ამბავი.

თამუნა ლომსაძე: - 30 მარტს „რუსთავი 2“-ის დაბადების დღეზე დამპატიჟა მეგობრის სტატუსით. მანამდე უნივერსიტეტიდან მაცილებდა, მირეკავდა, მაგრამ ვერ ვიფიქრებდი, თუ ამ კორპორატიულ საღამოზე სიყვარულს ამიხსნიდა. ავიდა სცენაზე მიკროფონით. მეგონა, პაროდიის გასაკეთებლად. უცებ მესმის სიტყვები - მინდოდა აქამდე მეთქვა, თამო, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. მე შენ ძალიან მიყვარხარო და ვარდები მაჩუქა. მივედი მეგობრის სტატუსით და წამოვედი შეყვარებულის სტატუსით:)

ნიკა კაკაბაძე: „ენერგიით ავივსე და უკეთესადაც ვმუშაობდი. შეყვარებულს გგონია, რომ მთებს გადადგამ და მერე უკან გადმოდგმაც არ დაგეზარება“

ნიკა: - ანუ გაცნობიდან ერთი თვე ვმეგობრობდით, მეორე თვე მოგვწონდა, მესამე თვეს სიყვარული ავუხსენი.

თამუნა: - ამდენ ცნობილ სახეებს შორის სიყვარულის ახსნამ ძალიან დამაბნია. რა გამეკეთებინა, არ ვიცოდი. მოულოდნელი და სასიხარულო იყო. ალბათ, ყველა ოცნებობს, რომ სიყვარული ასე აუხსნან. სახლში მიმაცილა და მესიჯიც მომწერა -მიყვარხარო. სამწუხაროდ, ტელეფონი გამიფუჭდა და მისი მესიჯები აღარ მაქვს შენახული. ნიკას ყველა ჩემი მესიჯი შენახული აქვს და „ფეისბუქზე“ ჩვენი მიმოწერაც.

- დადებითი პასუხი როდის მიიღე?

ნიკა: - ათი დღე ფიქრობდა. ქალებმა იციან დროის აღება. ასეა ლიტერატურაშიც, ფილმებშიც, რეალობაშიც. დრო გაიწელა. პასუხს რომ ელოდები, დრო ნელა გადის. თუმცა ვიცოდი, რომ დადებით პასუხს მივიღებდი.

თამუნა: - ამ პერიოდში ხაშურში წავედი. ერთმანეთი ერთი კვირის უნახავი გვყავდა. მივხვდი, რომ მომენატრა და ნიკას გარეშე ველარ ვძლებდი. რომ ვერ მნახულობდა, ძალიან ცუდ ხასიათზე იყო. ხაშურში ჩამოსვლას ვუკრძალავდი. და ბოლოს მესიჯით მივწერე - მეც მიყვარხარ-მეთქი.

ნიკა: - ეს რომ მომწერა, დაღლილი ვიყავი, მოვეშვი და ბედნიერად დავიძინე.

- რითი შეგცვალა სიყვარულმა?

ნიკა: - ყურადღებიანი და თბილი გავხვდი. ისეთ დეტალებზე ამახვილებ ამ დროს ყურადღებას, რასაც მანამდე ყურადღებას არ მიაქცევ. ენერგიით ავივსე და უკეთესადაც ვმუშაობდი. შეყვარებულს გგონია, რომ მთებს გადადგამ და მერე უკან გადმოდგმაც არ დაგეზარება.

თამუნა: - რომანტიკული შეყვარებული იყო. მწერდა მესიჯს, გამოიხედეო, გავიხედავდი და კართან დადებული თაიგული მხვდებოდა.

ნიკა: - სართული შემშლია და ზევით ქვევით მირბენია, მაგრამ არა უშავს. კიდევ კარგი სადარბაზო ჩაბნელებული იყო და არ ვჩანდი...

- რა სიგიჟეები გიკეთებია?

- დიდ დიღომში, მარტში (იქაური საშინელი ქარი ხომ იცით) ყვავილებით რომ ივლი, სიგიჟეა, აბა რა არის?

თამუნა: - სახლში მიმაცილა, დიდი დიღმიდან კოლმეურნეობის მოედანზე გამოვიდა და ისევ დაბრუნდა ჩემთან, რომ ჩუმად ყვავილები დაედო.

„ახლა უფრო ბედნიერი ვარ, ვიდრე მარტო ცხოვრებისას ვიყავი“

წყვილს დაგეგმილი ჰქონდა ტრადიციული ქორწილი, ნიშნობით და ნათესავებით, მაგრამ აგვისტოში ის „ჭანჭიკი“ გადაბრუნდა, რას გაგაკეთებინებს, რომ არ იცი...

ნიკა: - ერთ დღესაც, უცებ გადავწყვიტეთ ბათუმში ერთად დასვენება. და ასე მივჯირყვნეთ ქორწილი. ერთი კვირა ვიყავით ბათუმში. მერე ჩემებთან, სადაც იყო სუფრები, ღრეობა და მთვრალი ძიები... როგორც ხდება ხოლმე. ბათუმში ამინდმა ხელი არ შეგვიწყო. თუმცა პირველ დღეს ზღვაზე დაისის ნახვა მოვასწარით. სიყვარულის ქალაქია. იანვარში ჯვრისწერას და ქორწილს მოკლე წრეში ვგეგმავთ. ახლა ასეა მოდაში. მერე საქორწინო მოგზაურობაში... თორნიკე მაჩიტაძე თქვენი გაზეთის მეშვეობით გაიგებს, რომ ჩემი მეჯვარე უნდა იყოს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

პარლამენტის სიყვარულის ისტორია



„ერთ დღესაც, უცებ გადავწყვიტეთ ბათუმში ერთად დასვენება და ასე მივჯირაჭვნეთ ქორწილი“

- როგორ შეხვდა ცნობილ სიძეს შენი ოჯახი?

თამუნა: - რომ გავთხოვდი, ხაშურში უთქვამთ, უი, თამუნა ივანიშვილს გაჰყოლია ცოლადო. პაროდისტი აერიათ და ხაშურში ყველამ იცოდა, რომ ცოლად ივანიშვილს გავყევი. მერე გაიცნეს და ძალიან მოეწონათ ნიკა, კარგად მიიღეს. იდეალური ქმარია.

ნიკა: - არაფერი შეგეშალოს.

თამუნა: - სულ მუშაობს, მაგრამ დაკავებულობის მიუხედავად დღეში რამდენჯერმე მომიკითხავს. გარეგნულად არ ეტყობა, რომ ასეთი თბილი და მზრუნველია.

ნიკა: - ეს სიტყვები დაგიფასდება.

- მამაკაცებს უჭირთ ქორწინების გადაწყვეტილების მიღება და თავისუფლებაზე გამომშვიდობება.

ნიკა: - რომ არ მდომოდა, არ გადავდგამდი ამ ნაბიჯს. არ ვთვლი, რომ თავისუფლებას შეველიე. ახლა უფრო ბედნიერი ვარ, ვიდრე მარტო ცხოვრებისას ვიყავი. უკვე სავსე ადამიანი ვარ. მარტო სულად მოარული აღარ ვარ. რომანტიკულად ხიდზე მარტო სიარულს სჯობს ხელჩაკიდებულმა იარო.

„არ გადამიმლაშებია“

ძალიან მომეწონა ნიკას ახალი - ირაკლი ღარიბაშვილის პაროდია, რომელიც „ვანოს შოუში“ გავიდა. ბიძინა ივანიშვილის პაროდია ადვილად გავაკეთეო, ამბობს. არ გაჭირვებია სოსო ჯაჭვლიანის პაროდიის კეთებაც. ირაკლი ღარიბაშვილის პაროდიას ერთი წელი ამუშავებდა, მას შემდეგ, რაც ის შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა.

თამუნა: - ნიკას მოსწონს რასაც აკეთებს და ის, რაც მას მოსწონს, მეც მომწონს. მომწონს ივანიშვილის პაროდია. პოპულარული მისი პაროდიით გახდა.

ნიკა: - ინტერვიუებში ვამბობდი, ახლო მომავალში ირაკლი ღარიბაშვილის პაროდიას ვაკეთებ-მეთქი. ასე გავიდა ერთი წელი. პრესაში დაიწერა, თქვა, რომ ღარიბაშვილის პაროდიას აკეთებს, მაგრამ ეტყობა არ გამოსდისო. მაშინ არ იყო აქტუალური.

თამუნა: - თან არც ტრადიცია დაარღვია, ბატონი ირაკლის გაპრემიერებას დაელოდა, ნიკა ხომ მანამდეც პრემიერის პაროდიას აკეთებდა :)

ნიკა: - არ იყო ნომერი სრულყოფილი. პაროდია ხალხამდე ისე უნდა მიიტანო, რომ მოაწონო. არ ვიცი მისი აზრი ამ პაროდიაზე, მაგრამ გამიგია, რომ იუმორი აქვს და დადებითი ადამიანია. სოსო ჯაჭვლიანი ადრე გავაკეთე. პირველად არ გამომივიდა. მერე პარლამენტის სხდომაზე იჯდა და ხასიათი წამოვიდა. ბატონ სოსოს როგორ მოეწონა, არ მინდა ვიცოდე :)

თამუნა: - სვანებს ემალება...

ნიკა: - ბევრი სვანი მეგობარი მყავს და არ მეშინია. პაროდია დადებითად უნდა აღიქვა. მე არ გადამიმლაშებია... კომენტარებშიც ცუდსაც ვკითხულობ და კარგსაც. ცუდი მოქმედებს, მაგრამ გაგებით ვეკიდები :)

თამუნა: - ჩემზეც მოქმედებდა ცუდს როცა უწერდნენ. ახლა მეც მივეჩვიე...

ნიკა: - ჯანსაღი კრიტიკა მისაღებია. ერთმა დამიწერა, მეტი მუშაობა გჭირდებაო და გავითვალისწინე.

- მიზანში არავინ გყავს?

- არ ვიტყვი, რაც ვთქვი, ერთი წელი მოვუნდი მის გაკეთებას. ბატონი გიორგი მარგველაშვილი ძალიან მომწონს. მაგრამ მე სუსტი ვარ. გამხდარი პოლიტიკოსი უნდა მოვძებნო. არადა, ამ ბოლო დროს ყველა გასუქდა.

გზა კუჭიდან გულისაკენ

- ნიკა დილით ყავას გიდუღებს?

თამუნა: - არ ვსვამ ყავას.

ნიკა: - თქვი, ხანდახან მიდუღებს-თქო.

თამუნა: - როცა სცალია შეუძლია საუზმის მომზადება.

ნიკა: - დაუზარელი ყმაწვილია-თქო, თქვი.

თამუნა: - ორივე ადრე გავრბივართ სახლიდან და ერთმანეთისთვის არ გვცალია. სხვათა შორის, ჩემი კერძები მოსწონს. ყველაფერს მიქებს.

- განსაკუთრებულად?

ნიკა: - საფირმო აქვს ჩახოხბილი.

თამუნა: - სალათები და ყვავილოვანი კომბოსტო უყვარს.

- რა არის სიყვარული?

ნიკა: - „კუკარაჩას“ სიტყვებით ვთქვა? არა, ჩემით ვიტყვი: სიყვარულს შეუძლია ადამიანის გარდაქმნა, შეცვლა. სიყვარულია, როცა დიღომში ქარში არ გცივა, ჩაბნელებულ სადარბაზოში ვარდებით დარბიხარ... აგიჟებს ადამიანს. ექსტრემია. სიყვარულის გარეშე არაფერია ცხოვრება.

თამუნა: - სიყვარული არ იხსნება... დიდი ბედნიერებაა. სულ სხვა ხდები, როცა შეყვარებული ხარ. მხოლოდ ჩემს თავზე აღარ ვფიქრობ. „მე“ შეიცვალა სიტყვა - „ჩვენი“-თ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ავტოგრაფი“- ხელოვნების ხელშეწყობის ახალი ფონდის პრეზენტაცია

გიორგი კალანდაძე: „ქართველი კომპოზიტორების ავტოგრაფების ასეთი ვრცელი კოლექცია პირველად გამოვფინეთ. ამით „ავტოგრაფთან“ თანამშრომლობის დიდი სურვილი დავადასტურეთ“

EXCLUSIVE

გიგა კობალაძე: „ფონდის მისია და მიზანი არის ხელოვნების ხელშეწყობა. გვინდა ისეთი პროექტები გავაკეთოთ, რომელიც ერთი მხრივ თანამედროვე ეპოქაში მოღვაწე ხელოვანებს დაეხმარება იმაში, რომ შემოქმედება საზოგადოებამდე მიიტანონ, მეორე მხრივ, გვაქვს პრიორიტეტული მიმართულება - მივიწყებული ხელოვნების ნიმუშები გავახსენოთ ხალხს და ინტერპრეტირება გავუკეთოთ. გვინდა, რომ უცხოეთში მოღვაწე ქართველებიც გავაცნოთ საზოგადოებას“

my View
თამარ გონგაძე

18 დეკემბერს ეროვნულ ბიბლიოთეკაში ხელოვნების ხელშეწყობის ფონდ „ავტოგრაფის“ პრეზენტაციაზე მიგვიწვიეს. ფონდის დამფუძნებელი გიგა კობალაძეა. ფონდი 25 ნოემბერს დაარსდა. ქართული ხელოვნების ხელშეწყობის მიზნით შექმნილი ფონდი არაკომერციული ორგანიზაციაა. ის ნებაყოფლობითი შემოწირულობებითა და სპონსორების შენატანებით ფინანსდება. მისი საქმიანობა ღიაა ნებისმიერი პიროვნებისთვის, ვისაც სურს საკუთარი წვლილი შეიტანოს ქართული ხელოვნების განვითარების საქმეში. ფონდის ძირითად საქმიანობას კომპოზიტორების შემოქმედებითი და საავტორო საღამოების ჩატარება, კონცერტების და წარმოდგენების ორგანიზება, წიგნების და CD-DVD ალბომების გამოცემა წარმოადგენს.

პრეზენტაციაზე „ავტოგრაფმა“, სახელწოდებიდან გამომდინარე, სიმბოლურად 16 ქართველი კომპოზიტორის უნიკალური ხელნაწერი ნოტებისა და ავტოგრაფების გამოფენა მოაწყო. მათ შორის - ვიქტორ დოლიძის რომანსი „მიხაკები მიმოზებით“, ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისი“, ნიკო სულხანიშვილის „სამშობლო ხევსურისა“, დიმიტრი არაყიშვილის „ურმული“, მელიტონ ბალანჩივაძის რომანსი „როდესაც გიცქერ“, რევაზ ლაღიძის „განთიადი“, ოთარ თაქთაქიშვილის „საქართველოს ჰიმნი“... წარმოდგენილი მასალა დაცულია საქართველოს კინოსა და თეატრის, მუსიკის, ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში. დიდი კომპოზიტორების ავტოგრაფებმა მუზეუმის საცავი პრეზენტაციისთვის რამდენიმე საათით დატოვა.

გიორგი კალანდია, მუზეუმის დირექტორი: - მე და გიგა კობალაძე პოლიტიკურ სკოლაში კურსელები ვიყავით. თანამშრომლობის იდეა მისგან წამოვიდა. ვიცი, გიგას დიდი სურვილი აქვს ქართული ხელოვნების განვითარებას შეუწყოს ხელი. ჩვენი მუზეუმიც ცდილობს ასეთ საკითხებში აქტიური იყოს. ქართველი კომპოზიტორების ავტოგრაფების ასეთი ვრცელი კოლექცია პირველად გამოვფინეთ. ამით „ავტოგრაფთან“ თანამშრომლობის დიდი სურვილი დავადასტურეთ. რაც მეტი იქნება საქართველოში ხელოვნების ხელშეწყობის ფონდი, მით უფრო სასურველია.

გიგა კობალაძესთან ერთად ფონდის დამფუძნებელია მწერალთა სახლის დირექტორი ნატა ლომოური და კომპოზიტორი ნანა კალანდაძე. ფონდის თანამშრომლები არიან ცნობილი ტელეწამყვანები - სალომე არშბა, ირინა ხიზანიშვილი, ეკო ფანგანი, ვიკა ბუკია...

პრეზენტაციაზე მისული სტუმრები, ნოტების დათვალიერების შემდეგ, ბანერზე სიმბოლურად თავიანთ ავტოგრაფებს ტოვებდნენ. ეკრანზე კი გადიოდა „სანოს სტუდიაში“ დამზადებული ვიდეორგოლი, დოკუმენტური კადრები ცნობილ კომპოზიტორებზე, თუ როგორ ქმნიდნენ თავიანთ უკვდავ მუსიკას. ელენე ვახანიამ სტუმრებისთვის ფორტეპიანოზე გია ყანჩელის რამდენიმე კომპოზიცია დაუკრა. ღონისძიების მთავარმა მხარდამჭერმა კომპანია „სარაჯიშვილმა“ სპეციალურად საღამოსთვის ჩამოასხა კონიაკი სახელწოდებით „ავტოგრაფი“.

გიგა კობალაძე: - ფონდის მისია და მიზანი არის ხელოვნების ხელშეწყობა. გვინდა ისეთი პროექტები გავაკეთოთ, რომელიც ერთი მხრივ თანამედროვე ეპოქაში მოღვაწე ხელოვანებს დაეხმარება იმაში, რომ შემოქმედება საზოგადოებამდე მიიტანონ, მეორე მხრივ, გვაქვს პრიორიტეტული მიმართულება - მივიწყებული ხელოვნების ნიმუშები გავახსენოთ ხალხს და ინტერპრეტირება გავუკეთოთ. გვინდა უცხოეთში მოღვაწე ქართველებიც გავაცნოთ საზოგადოებას. აქ გამოფენილი კომპოზიტორთა ხელნაწერები უნიკალურია, ის საზოგადოებას არასდროს უნახავს. ეს იმ კომპოზიტორების ავტოგრაფებია, რომლებიც მე-19 საუკუნის მიწურულს და მე-20 საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდნენ. ეს ის სიმდიდრეა, რომლის გაცოცხლებას სამომავლოდ ვცდილობთ. ხელნაწერები და ავტოგრაფები ასოციაციურად ჩვენ ფონდთან არის კავშირში.

ნანა კალანდაძე, კომპოზიტორი: - მე ვარ ერთ-ერთი იმ შემოქმედთაგანი, რომელიც ნამდვილად იბრძოდა იმისთვის, რომ ძველი ისე წარმოჩენილიყო, როგორც იმსახურებს; ახალი ისე, როგორც იმსახურებს და ახალგაზრდა ისე, როგორც იმსახურებს. თუ ეს ფონდი ამისთვის იარსებებს, ბედნიერი ვიქნები, რომ ამ არაჩვეულებრივი ქმედების სულ პატარა ჭანჭიკი აღმოვჩნდები. მადლობა იდეის ავტორს გიგა კობალაძეს და თანადგომისთვის სპონსორს - „სარაჯიშვილს“.

გიორგი კეკელიძე, ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი: - ეროვნული ბიბლიოთეკა, როგორც სახელმწიფო კონსტიტუცია, ცხადია, ჩაერთვება ამ პროექტის განხორციელებაში ერთი მარტივი მიზეზის გამო. ზოგადად ხელოვნების განვითარების სტრატეგია ყველა წარმატებულ ქვეყანაში გულისხმობს კერძო და სახელმწიფო ინსტიტუტების კოლაბორაციას, თანამშრომლობას. ასე რომ, ჩვენ მზად ვართ ამ ფონდის საქმიანობაში ჩვენი წვლილი მაქსიმალურად შევიტანოთ.

ნუნუ გაბუნია: - თითოეულის ნოტები ნანახი მაქვს. ბევრი ოთარ თაქთაქიშვილის, არჩილ კერესელიძის ნაჩუქარი მაქვს. მულტფილმებისთვის სტუდენტობის დროს მუსიკას მაწერინებდნენ. 13 მულტფილმი მაქვს მუსიკალურად გაფორმებული. არჩილი „ყოჩაღი ბაკურის თავგადასავალზე“ მუშაობდა, მითხრა, რამდენიმე ტაქტი მაქვს დაწერილი, რაღაც დამეზარა და მოდი, შენ გააგრძელეო. მისი ნაჩუქარი ნოტები მაქვს შენახული.

მამუკა ჩარკვიანი: -სიმღერებს მეც ვქმნი, მაგრამ ჩემი თავისთვის კომპოზიტორი არასდროს მიწოდებია. აი, ამ კომპოზიტორებთან შედარებით, ვისი ხელნაწერი ნოტებიც აქ არის, როგორ შეიძლება ჩემს თავს კომპოზიტორი ვუწოდო. მე სიმღერების ავტორი ვარ, ესენი არიან კომპოზიტორები.

ეკო ფანგანი: - როგორც ფონდის ერთ-ერთი წევრი პრეზენტაციისთვის მეც ვღელავდი. სტუმრებს რომ ვეპატიჟებოდით, ბუნებრივია, მათ არ იცოდნენ რა ფონდი იყო, კითხვის ნიშნები უჩნდებოდათ. ახლა კი შემიძლია გითხრათ, რომ ღონისძიება შედგა. კიდევ ორი პროექტი გვაქვს იანვარში დაგეგმილი. დარწმუნებული ვარ, ორივე 2014 წლის ერთ-ერთი საუკეთესო პროექტები იქნება.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლუკა ყვავილაშვილი: „არ მომწონს „ნიჭიერს“ რომ მეძახიან“

my View

თამარ გონგაძე

„უკრაინული შოუ დამეხმარა იდეის გადმოღებაში, რომ კუბით სახის აწყობა იყო შესაძლებელი. „ფეისბუქზე“ არიან ისეთები, რომლებიც წერენ, ნომერი გადაიღო უკრაინული „ნიჭიერიდანო“. თუ კუბს ვერ აწყობ, უბრალოდ ტრიალით და „გარტყმით“ ვერ იპოვი, მექანიკურად ვერ გაიმეორებ. ორი კვირა მოვანდომე სახის აწყობის სწავლას...“



„გამიხარდა გეგამ „ფეისბუქზე“ ჩემი აწყობილი პორტრეტი რომ დადო“

მოცარტის მეოცე საფორტეპიანო კონცერტის შესრულებისას, 13 წლის ლუკა ყვავილაშვილმა, 99 რუბიკის კუბის გამოყენებით ჟიურის ერთ-ერთი წევრის - გეგა ფალავანდიშვილის სახე ააწყო. გეგა ჟიურის წევრებს შორის ის გამონაკლისია, რომელიც ლუკას ჰობის აპროტესტებს - ასეთი ნიჭიერი ბავშვი კუბის აწყობაზე არ უნდა ცდებოდესო. ლუკამ ნახევარფინალში ამ ნომრით მისი გული ბოლომდე მოიგო. შოუს მეორე დღეს ფალავანდიშვილმა თავისი „ფეისბუქის“ პროფილის ფოტოდ სწორედ ლუკას აწყობილი პორტრეტი დააყენა და დაასათაურა - „ეს ბავშვი მართლა ნიჭიერია“. ნიჭიერი ლუკა კი დღეს უკვე პოპულარულია. სკოლაში (ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის 42-ე საჯარო სკოლა) უფროსკლასელები კუბით გატაცებული სკოლელის მიღწევებს მანამდეც იცნობდნენ. „ფეისბუქზე“ უამრავი ახალი ნაცნობი ჰყავს. ამბობს, რომ 200 უცნობი გულშემატკივარი დაიმატა და მეგობრებში აღარავის იმატებს.

„როგორ ხარ? შეყვარებული გყავსო - პირდაპირ მკითხა ერთმა გოგონამ, შეფარვის გარეშე. ვიეშმაკე და მყავს-მეთქი, მივწერე. პრაქტიკამ მიჩვენა, რომ ასეთ შემთხვევაში სჯობს იცოდნენ, რომ შეყვარებული მყავს, თორემ იერიშზე გადმოდიან. არც ერთი მათგანი არ მომწონებია, თორემ თვითონ ვიაქტიურებდი“, - იცინის ლუკა.

ისეთი რესპონდენტია, როგორსაც დაახლოებით წარმოიდგენ შოუში მისი გამოსვლების შემდეგ - დაფიქრებული და საზრიანი... თინეიჯერული ასაკის ახლახან გახდა. გარდატეხის პერიოდის დაწყებას უკვე გრძნობს. „ამ ბოლო დროს ხასიათში ცვალებადობა შევნიშნე. რომ ამბობდნენ, გარდატეხის ასაკში ხასიათი შეგეცვლებაო, არ მჯეროდა. მართალი ყოფილა. ადვილად ვღიზიანდები. ფეთქებადი ხასიათი გამიხდა. თვითონაც მიკვირს, ასე რატომ ვიქცევი, მაგრამ ჩემგან დამოუკიდებლად ხდება. ზედმეტი ყურადღებით, რომელსაც ჩემ მიმართ ახლა უკვე უცნობები იჩენენ, ვღიზიანდები. არ მომწონს „ნიჭიერს“ რომ მეძახიან. სახლში ტელეფონს მე თუ ვუპასუხე, იწყებენ - „ყოჩაღ, ასეთი ხარ, ისეთი“ და აღარ ასრულებენ... ეს მაღიზიანებს. არის სასიამოვნო მომენტიც. ქუჩაში მანქანიდან გადმოვდიოდი, ორმა გოგომ ჩამიარა. უცებ ერთმა მათგანმა ტელეფონზე გადარეკა, „დედა, აზრზე არ ხარ ახლა ვინ ვნახე. „ნიჭიერში“ „კუბიკ რუბიკით“ რომ ააწყო“. ეს ფაქტი მართლა გამიხარდა“.

ლუკას დედა მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ირმა ბერიანიძეა. ლუკას ორი და და ერთი ძმა ჰყავს. ტატა მისი ტყუპისცალი დაიკოა. „მახსოვს, პატარაობისას ერთი საათითაც რომ არ მენახა, ტატა ძალიან მენატრებოდა. ბავშვობიდან რაც მძაფრად მახსოვს ის იყო, რომ ბაღში ძალით მაჭმევდნენ ყველს. ეს პროდუქტი არ მიყვარს, მაგრამ ულტიმატუმს მიყენებდნენ, ისე ვერ ვითამაშებდი“.

ამბობს, რომ ექვსი წლით უფროსი ძმა, საბა, მისთვის მისაბაძი ადამიანია.

ირმა ბერიანიძე: „საბა პიანინოზე რომ უკრავდა, ლუკა დაუდგებოდა და უსმენდა. სმენითაც კი დაწერა რაღაც ნაწარმოები. იცოდა, რომ მუსიკალურ სკოლაში ექვსი წლიდან იღებდნენ მოსწავლეებს. ერთი სული ჰქონდა სანამ შევიყვანდით. ასევე იყო კუბით დაინტერესებაც. პირველად საბამ დაიწყო მისი აწყობა. ლუკაც აჰყვა. საბამ მუსიკის სკოლის ექვსი კლასი დაასრულა და შეეშვა დაკვრასაც და რუბიკის კუბსაც. ლუკა არც ერთს არ შეეშვა და გააუმჯობესა შედეგები. პატარაობიდან სულ ისხდნენ და თავსატეხებს მანამ უკირკიტებდნენ, სანამ არ ააწყობდნენ. მოკლედ, ლუკამ „მასწავლებელ ძმას“ აჯობა“.

ირმა ბერიანიძე

ლუკა ყვავილაშვილი: „ეს უფრო მონდომების ბრალია, თორემ შრომისმოყვარე არ ვარ. ხუთი წლის ვიყავი, ჩემი ძმა რაღაც კონცერტს უკრავდა, ძალიან მომწონდა და ვთხოვდი, გარჩევაში დამხმარებოდა. მერე ევგენი მიქელაძის სახელობის ცენტრალურ სამუსიკო სასწავლებელში შემიყვანეს და მეორე კლასში დავუკარი ის კონცერტი. ახლა მეშვიდე კლასში ვარ. მინდა, რომ პიანისტობა ჩემი პროფესია იყოს. მგონია, რომ ეს მყარი გადაწყვეტილებაა და არ შევცვლი. არ მიყვარს ფორტეპიანოსთან დიდხანს ჯდომა. სკოლაში რომ აღარ ვივლი, მერე მოვიცლი ფორტეპიანოსთვის. კლასიკური ნაწარმოების მოსმენა რომ მინდება, ვცდილობ, სვიატოსლავ რიხტერის შესრულებით მოვისმინო. მისი ტექნიკა ძალიან მომწონს. ძალიან სწრაფად უკრავს. ტექნიკურად რთულად შესასრულებელი ნაწარმოებები მიყვარს. მიყვარს მოცარტი“.

ლუკამ კუბის აწყობაში საბას მონაცემები გააუმჯობესა. თუ უფროსი ძმა 30 წამამდე დროში აწყობდა კუბს, ლუკას რეკორდი შვიდი წამია. კუბით კი ორი წლის წინ დაინტერესდა. „ნიჭიერამდე“ თავიც გაანება ჰობის, მომბეზრდაო, ამბობს.

ლუკა ყვავილაშვილი: „ნიჭიერში“ მონაწილეობამდე უკრაინული „ნიჭიერი“ ვნახე, სადაც ბიჭმა კუბით ააწყო ჟიურის წევრის სახე. ჩემმა ძმამ თქვა, შენც რომ იგივე გააკეთე, იდეის კოპირება გამოდისო, მაგრამ რადგან გეგამ ჩემი ნომრის დროს წითელ ღილაკს დააჭირა ხელი, თემატურად ჯდებოდა მისი სახის აწყობა. მე ვთვლი, რომ უკრაინული შოუ დამეხმარა იდეაში, რომ კუბით სახის აწყობა იყო შესაძლებელი. „ფეისბუქზე“ არიან ისეთები, რომლებიც წერენ, ნომერი გადაიღო უკრაინული „ნიჭიერიდანო“. არადა, მე იდეა ავიღე, თორემ თუ კუბს ვერ აწყობ, უბრალოდ ტრიალით და „გარტყმით“ ვერ იპოვი, მექანიკურად ვერ გაიმეორებ. ორი კვირა მოვანდომე ამ სახის აწყობის სწავლას... შოუზე ყველაფერი ისე წავიდა, როგორც მინდოდა. ჩემი გამოსვლით კმაყოფილი დავრჩი. ერთი შემეშალა, მაგრამ თვალის მახსოვრობით მივხვდი, რომ ხაზი ისე არ მიდიოდა, როგორც საჭირო იყო, ანუ ერთი დატრიალება დამაკლდა... და უცებ შევცვალე.

- ხალხმა რატომ გადაგიყვანა ფინალში, როგორ ფიქრობ?

- ალბათ, იმიტომ რომ აქამდე მსგავსი რამ არ უნახავთ. შეიძლება ასაკის გამო, არ ვიცი.

ირმა ბერიანიძე: „არც ჩვენ ველოდით ამას. კულისებში ვიდექით. ვფიქრობდი, იქნებ ჟიურიმ მაინც გადაიყვანოს-მეთქი. რომ გამოცხადდა - მაყურებლის გადაწყვეტილებით ხალხის რჩეული გახდა ლუკა ყვავილაშვილიო, მოულოდნელი და ემოციური იყო. იმდენი ვიტირე... სულ მიკვირდა დაჯილდოების დროს რომ ტიროდნენ, რა ემოციაა ასეთი, ასე რომ ტირიან-მეთქი. არც მე ვარ ემოციური, ამიტომ გაუკვირდათ ჩემი ასეთი რეაქცია. მეც მათ შორის. ემოციური იყო. დიდი პასუხიმსგებლობაა ხალხის რჩეული რომ ხდები. ხალხის არჩევანი დაემთხვა ჟიურის არჩევანს“.

ლუკა ყვავილაშვილი: „აწყობილი გეგას სახე რომ ამოვატრილე, თვითონ იცინოდა... გამიხარდა გეგამ „ფეისბუქზე“ ჩემი აწყობილი პორტრეტი რომ დადო“.

ირმა ბერიანიძე: „ჟიურის თითოეულ წევრს მადლობას ვუხდი შეფასებისთვის. ოთხივემ მთელი ცხოვრების მანძილზე დასამახსოვრებელი შეფასება მისცა. ნიკა გვარამიასი განსაკუთრებით დასამახსოვრებელია. ყველგან, სადაც არ უნდა იყო, მეცნიერული ნაშრომი იქნება, პიანისტი იქნები თუ არჩევნებში მიიღებ მონაწილეობას, ყველგან წარმატებული იქნები და მე შენთან მოვალო“.

ლუკა ყვავილაშვილი: „ჩემთვის ასევე მთავარი იყო ფორტეპიანოს დაკვრაში პროფესიონალს მოეცა კარგი შეფასება. მახსოვს, ხატია ბუნიათიშვილის შეფასება - როგორც კი დაკვრა დაიწყე, მივხვდი, რომ კარგი ხელი და ტექნიკა გაქვსო. ისე გამიხარდა, ამის მერე არც ვუსმენდი“...

- ფინალში რას აპირებ?

- ხარისხის აწევას შევეცდები. ჯერ მუშაობა არ დამიწყია, თეორიულად ვფიქრობ ნომერზე. უკრაინულ „ნიჭიერში“ ორმხრივი პორტრეტი გააკეთა ბიჭმა. ვეცდები ბევრად რთული ნომერი გავაკეთო. მადლობა ყველა ჩემს მეგობარს, ყველა იმ მაყურებელს, ვინც დამიმესიჯა, განსაკუთრებული მადლობა ნუცა ჭაბუკიანს, 180 ხმა მომცა.



ირმა ბერიანიძე: „საბა პიანინოზე რომ უკრავდა, ლუკა დაუდგებოდა და უსმენდა. სმენითაც კი დაწერა რაღაც ნაწარმოები. იცოდა, რომ მუსიკალურ სკოლაში ექვსი წლიდან იღებდნენ მოსწავლეებს. ერთი სული ჰქონდა სანამ შევიყვანდით“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N51 (249) ორშაბათი, 23 დეკემბერი 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

GOLDEN FEATHER
ოქროს ფრთა

ზაალ სულაკაური და ჯემო

საქველმოქმედო აუქციონი

თბილისის 202-ე საჯარო სკოლის უსინათლო მოსწავლეების დასახმარებლად



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

SARAJISHVILI

Gourmet La Cafétéria

ეროვნული ბორბალული სააგენტო NATIONAL WINE AGENCY

ბორჯომი

ISSN 1987-7404

9 771987 740005

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება